

780 / 2

2008

63



# საქართველო



3 - 6

2008

# საუნჯე

მასი  
აპოსტო  
დამამბარე



მსოფლიო ლიტერატურის  
მთარგმნელობითი შურნალი  
დამფუძნებლები: საპარტიკლოს მწერალთა  
კავშირი და შურნალ "საუნჯის" რედაქცია

3-4, 5-6, 2008

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ილია II. – კლავდიოსილსა, საპვირველმოქმელსა, გოროტის  
დამთრგუნველსა, ღილსა მოწამესა, წმილასა ნათელ  
ბიორბის. ეპისტოლე . . . . . 3

## პოეზია და პროზა

ანბელუს სილუზიელი. ძირუბიმული მოგზაური. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა მარიამ ქსოფრულმა. . . . .	4
ოკან ჯოლჯანაზ უონ ბოთა. ახალბაზრლა ვერთერის ვნა- ბანი. გერმანულიდან თარგმნა კონსტანტინე გამსახურდიამ. . . . .	20
სიბილას ბიადა. ლექსები. ღიტვურიდან თარგმნა რენე კლანდიამ. . . . .	101
ანტონ ჩახოვი. ხევეში. მოთხრობა. თარგმნა გურამ გო- გიაშვილმა. . . . .	119
რინერ მარია რილკე. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა. . . . .	147
შოტლანდიელი პოეტები. ლექსები. ინგლისურიდან თარ- გმნა თამარ ერისთავმა. . . . .	153
რუსი პოეტები. ლექსები. თარგმნა ლედა მეტრეველმა. . . . .	160
სერბი დოვლატოვი. უცხოელი. თარგმნა ლილი მკუდლიშვილმა. . . . .	170
მეილი დიკინსონი. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ხიშნიანიძემ. . . . .	236
ჯორჯ ბორლონ ბაირონი. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა თამარ ერისთავმა. . . . .	242
შარლ ლეკონტ დე ლილი. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა ბადრი თევზაძემ. . . . .	244
ორი ნოველა. (ჰანი როლარი, ხაკი). თარგმნა გურამ გოგიაშვილმა. . . . .	249



**პირველი ნაბიჯები**

**მოთხრობები.** (ალან სილიტო), ღორეთი კარკერი, ჯუჯერსონ  
ზანჯიანი). ინგლისურიდან თარგმნა ნათია გოგიაშვილმა. . . . . 256

**წერილები**

**მერი ტიტვინიკი.** ორი იბერიის ერთი კრიტიკული გამოცემა  
– “ინტრასტორია” და “შიდა-ცხოვრების მსტორიკა”. 269  
**ზურაბ კიკნაძე.** “ავთანდილის ანდერძი”, 2001. . . . . 295  
**ლუკიანე სამოსატელი.** ძეგათა ძეგა სამშობლოს,  
თარგმნა გურამ გოგიაშვილმა. . . . . 316  
**ილია II.** საქართველოს უძველესი კუთხის სამეგრელოს  
მკვიდრი. . . . . 320

**მთავარი რედაქტორი**  
**ნანა დარჩია-ბოლქვაძე**

**სარედაქციო საბჭო:**  
ელზა ახვლედიანი, მანანა ამისულაშვილი, ნანა ახოვაძე,  
ჯემალ აჯიაშვილი, ნანა ბართაია, გურამ გობიაშვილი,  
ნანა გოგოლაშვილი, თამარ ერისთავი, დალი ზანჯიკიძე,  
ეთერ ყურაშვილი, ბივი შაჰნაზარი, ქეთევან ჩიჭავაძე.

**პასუხისმგებელი მდივანი**  
**ვაჟა ჩორღელი**

*საპუბლიკაციო რედაქციის მამრ მარბიშვილი*

**შურნალი დაიბეჭდა სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და  
უნეტარესის, ილია II-ის ღოცვა-კურთხევით.**

კომპიუტერული მომსახურება: ივანე ბუნუკური

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380026. დესკელის ქ. №4.  
ტელ: 99-73-41, 33-46-80, 60-23-40

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 12. 2008 წ., ქადაღის ზომა 70X1081/16,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24.02, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა  
20 ფორმა. ტირაჟი 300.  
შეკვ. 21



ქვეყანისთვის, საკვირველმოქმედსა,  
ბერძნის ღამთრბუნველსა, ღიღსა მოვამსა, წმიდასა ნათელსა

**ბ ბ რ ბ ბ ს**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

**ო ღ ი ა II**

**მთავრალეპული თხოვნა**



ტყვეთა განმათავისუფლებელი, ტანჯულთა შემწეო, უძღურთა მკურნალი და მწუხარეთა ნუგეშისმცემელი, ქართველთა დიდი იმედი, ძლიერად მოხილვი წმიდა გიორგი, მე, მსახურებელი შენი, ილია II, წყალობითა და განგებითა დვითხათა კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი, გვედრები, აწ და მრადს იაყავ წინამძღვარ ქართველთა ერისა და მფარველ ეკლესიასა ჩვენისა.

შენი ბრძანებები თვითგანვე ერისმთავარი ჩვენი; ნუ დაივიწყებ ერსა შეცოდებულსა; მუხს გვეყავ, რათა უფადმან შეგვიხდოს და განკურნოს უძღურებანი სულთა ჩვენთანი; გვიხსნას: ურწმუნოებისა, ამპარტყენებისა და შურისაგან, დვარძლისა, მტრობისა და ცილისწამებისაგან, ვერცხლისმოყვარეობისა, ურთიერთშუდიისა და წყევლისაგან, სიძვისა, პტივმოყვარეობისა და სხვათა ქონების მითვისებისაგან და მოგვიტეოს უმეცრებანი ჩვენი: ეკლესია-მონასტერთა ხერევა, კერპთაყვანისმცემლობა, ცრუმორწმუნეობა...

შენიხოვე უფადსა, რათა მოგვმადლოს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, მოგვანიჭოს გრძნობები წმიდა და სული წრფელი; გაგვიხსნას გულისყური შეწყენად ქვრივთა, ობოლთა, მწირთა და ყოველთა გაჭირვებულთა, განამრავლოს ურთიერთშორის სათხოვბანი და საქმენი კეთილნი.

დიდმოწამეო გიორგი, განგვიხათლე გონება, რომ ვცხათ უფალი, ვითარცა გ'სა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; აღგვავეს დვთაებრივითა სიბრძნითა, რათა ყოველთა არსებითა შევიყვაროთ შემოქმედი, მოყვასი, მამული და ეხა ჩვენი; ჰყავ გულნი ჩვენი ღმობიერ და ურთიერთ ცოდვათა მიმტევებელ; მოგვიძიე და შეგაკრიბე ქრისტეს წმიდა ეკლესიაში.

სასოებით შეგვედრებ ხალხსა ჩემსა, ქრისტეს გვირგვინოსანი მხედარი გიორგი; წმიდითა მახვიდითა შენითა მრად დაგვიცვე და დაგვიფარე ბოროტთაგან და ყოველთა ძვირთა საქმეთა მათთაგან; ხილვი გამსა განკითხვისა საუამდგომელ გვეყავ წინაშე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რათა ღირს ვიქმნეთ მოპოვებად საუკუნოისა ცხოვრებისა.

მხურვალითა გულთა შეგთხოვ, შეეწიე საუკუნოთგან გარდაცვალებულთა მამათა, დედათა და ყოველთა წინაპართა ჩვენთა და დასჯიდნი სულნი სატახველთაგან იხსენ.

მუხმოდრეკილი გვედრები წმიდაო გიორგი, ნუ უგულებელყოფ ვედრებასა ჩემსა, აკურთხე ერი ქართველთა და წმიდა ეკლესია მისი; მოიდე წყალობა ჩემ ცოდვილთასა ზედა, რამეთუ მძიმეა ჯვარი ჩემი; შემეწიე და დამიცვე მადლითა შენითა, უძღვევლი.

ჩვენთას არს ღმერთი!

შენი სულიერი შვილი, ძალისაებრ ჩემისა  
აღმსრულებელი ჩემისა შენისა,  
მდაბალი ი ღ ი ა II

F 11830





# პოეზია და პროზა

ანგელოს სილეზიელი

ქერუბიმული მოგზაური



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გერმანელი დიდი  
თარგმნა მარიამ ძროვრელი

## ღეძსად თქმული მახვილგონივრული აზრები

გერმანელი მისტიკოსი პოეტი, რელიგიური შინაარსის ორტაეპიანი ლექსის ოსტატი, იოჰანეს შეფლერი, ანგელუს სილეზიელის (1624-1677) ფსევდონიმითაა ცნობილი. (ლათინურად სილეზიელ მოციქულს ნიშნავს.)

1657 წელს ანგელუს სილეზიელი აქვეყნებს ლექსების კრებულს "ღეძსად თქმული მახვილგონივრული აზრები". ეს წიგნი ლიტერატურის ისტორიაში შესულია "ქერუბიმული მოგზაურის" სახელით, რომელსაც დიდი აღიარება მოჰყვა და სხვადასხვა ენებზედაც ითარგმნა.

"ქერუბიმული მოგზაურის" ექვსი წიგნიდან ჩვენ მიერ წარმოდგენილია პირველი წიგნი, რომლის გაცნობა ქართული მკითხველისთვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება.

მთარგმნელისაგან

### რადც არს წმინდა, იგი არს უკვდავ

სუფთა, ვით ბაჯადლო, მტკიცე, ვით კლდე სალი,  
წმინდა, ვით კრისტალი, იყავნ სული შენი.

### მშუღრო საგანე, მარადიული

ზრუნავს მავანი თვისის თავის დამარხვაზედა,  
სურის შეუძკონ სარკოფაგი ძეგლით მდიდრულით.  
მე კი არ ვიდწვი ამქვეყნიურ სიღიადისთვის: საფლავსა ჩემსა,  
ღვაწლსა ჩემსა და ტახტრევანდსა,  
სად საუკუნოდ განვისვენებ, უნდა ეწოდოს იესოს გული.

### მთელი არსებით ღვთიურნი იყვნენ

უფადო, მე არა მკმარის შენსა მიმართ მსახურება ანგელოსური,  
ვეკავილოვნდები ღვთაებრივი სრულქმნილებით  
მარტოდენ შენთვის:



ძლიერ ვუდად ვარ, სულით ვმწირდები,  
რომელსა უნდეს ჭეშმარიტად შენ გემსახუროს,  
ღვთიური იყოს მთელი არსებით.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

**არა უწყიან, რანი არიან**

არ ვუწყვი, ვინ ვარ. მე ის არა ვარ, ვუწყვი მე რაიციონალური  
იქნებ რაიმე საგანი ვარ, ან ისიც არა, -  
არცა წერტილი და არცა წრე.

**იმაღ უნდა ბარდამცე, რაიც არს ღმერთი**

ოდეს შთავწვდები ჩემს აღსასრულს და პირველ საწყისს,  
ღმერთში შევალ და ღმერთი ჩემში დაისადგურებს.  
იმაღ ვიქმნებით, არს იგი რაიც: ნათელი ნათელში,  
სიტყვა სიტყვაში და ღმერთი ღმერთში.

**ღვთისა ჟმცნობის წყურვილი კვლავდეთ**

სად ვეძიო სამყოფელი ჩემი?  
ნეტავი სად ვიძყოფები, ან შენ სად სუფევ?  
სად არის ჩემი დასასრული, რომელშიც უნდა შევიდე ბოდოს?  
მივალ საითკენ? იქითკენ აღბათ, სად ვერვის კპოვებთ.  
ღვთისა წყურვილით მეუდაბნოდ გავიმარტოვებ.

**მე არასოდეს მტოვებს უშალი**

ვიცი, წამითაც არ დამტოვებს ჩემი უფალი,  
არარაობად ოდეს ვიქცევი, მე, შეჭირვებულს,  
სულს შთამბერავს, აღმომაცენებს.

**მე ღვთით მიპლავა და ღმერთსა ჩემგნით**

რამეთუ ღმერთი ნეტარი არს და სუფევს იგი თავისდათავად,  
ჩემგნით მიითვლის მხოდოდ იმას, რასაც თვით მაძღვეს.

**შემოსულია ჩემში უშალი და მე მასში ვარ**

ცეცხლივით იგი ჩემში გიზგიზებს, მე ვნათობ მასში:  
არა ვართ ერთნი ჩვენ შინაგანად?

**აღბილისა და ღრთის შემბრძნება**

აღაძიანო, როს სული შენი დროსა  
და ადვილს ზედ დახტრიალდებს,  
ამა ხედვითა შენ შეგიძლია, რომ შეუერთდე მარადისობას.

**მე აღამისა არს მარადიული**

მე თავად ვარ მარადიული, როდესაც მე დროს გადავაბიჯებ,  
დაისადგურებს ჩემში უფალი და მე უფალში დავემკვიდრები.

**არს ქრისტიანი ისე მდიდარი, ვითარც უშალი**

მდიდარი არის საუფლო ჩემი, ვითარცა ღმერთის,  
მტერის ნაწილაკშიც ღვთიურს ვხედავ (მურწმუნე, კაცო).



**ღვთის თაობაზე**

თუკი რამ თქმულა ღმრთისა მიმართ, იგი არ მკმარის; ღმერთზედ დადადებს ცხოვრება და სინათლე ჩემი.

**სიყვარული მორჩილებს უფალს**



არ უნდა უფალს, რომ შემაცნოს თავისი უმცირესი ამიტომაც მხურს, რომ მას მხოლოდ ღრმა სიყვარულით დავემორჩილო.

**ძრისტიანი არს კვი უფლისა**

მეც უფლის ძე ვარ და მჯდომარე გვერდითა მამის; და სული მისი, ხორცი მისი და სიხელი მისი გახვადდა ჩემთვის ღვთის სადიდებლად.

**იგი არს ღმერთი, რაიც მას სურის**

არს ხაოცრება ღმერთი ჩვენი: არს იგი ისა, სურინ მას რაიც, და სურს მას იგი, რაიც არს თავად; დაუხაბამო და უხასრულო, - არ უწყის ზღვარი.

**თავად არ იცის უფალმან ზღვარი**

უფალი არის უხასრულო, თავადშეუდგამი (ირწმუნე, კაცო), სვანი გონებით, იგიც თვის ხასრუდს, ხასრუდს ღვთაებრივს ვეროდეს ჰპოვებს.

**როგორ მკვიდრდება უფალი ჩვენში**

ღმერთი მკვიდრდება საძირკვლის და ფუძის გარეშე, სახომო მისი არს მარტიოდენ უხაზღვროება, და თუ შენც სული ხარ უფალი ღმერთის თანმდევი, ამას მიხვდები, ადამიანი.

**და წარმავალის სიყვარული უარყოფონ კაცთა**

შენ რაიც გიყვარს, ადამიანი, ამ ქვეყანაზე, არ არს მუდმივი და წარუვალი, ეს სიყვარული არ არს ღვთიური, მაშ, დაივიწყე და დაუტოვე იგი ყოველი, რასაც შენ ეტრფი.

**შეუძლებელი შესაძლებელი**

ვინც არას ნატრობს, არარაი აქვს, არარა უწყის, უყვარს არარა, არ სურის არც რა, მას აქვს, მან უწყის და უხასრულოდ უყვარს მას იგი.

**ტაძარი ღვთის და საკურთხეველი**

უფალი თვით არის შეწირული მსხვერპლი ღვთისათვის; და ყოველ წამსა, მე ვარ უფლის ტაძარი და საკურთხეველი, და ოდეს მიხნავს, განისვენებს უფალი ჩემში.



**სიმშვიდე არის უმაღლესი სახიერება**

სიმშვიდე არის უმაღლესი სახიერება:  
რომ არ ეოფილიყო უფალი მშვიდი,  
მე თვალებს ვერც კი გავახედდი.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

**ღვთის ტახტრეპანი**

შენ ეკითხები ჩემს მაცხოვარს,  
ხად მიუჩინა ღმერთმა თვისი საბრძანებელი.  
იგი არს იქა,  
ხად მეუფემ მხოლოდმოძიელი ძეი თვისი დაბადა შენში.

**მსბავსება ღვთისა**

ვინაც მუდმივად სიხარულშია,  
აუტანია ვნებათაღელვას ან ტკივილში შთება,  
ის ვერასოდეს ვერ შეიძლება,  
რომ მიემსგავსოს უფალსა ღმერთსა.

**სულიერი მღობვის მარცვალი**

მღობვის მარცვალი არს სული ჩემი,  
და მას დახათის თავს მზეი თვისი,  
და სული ჩემი უფლისა მსგავსად ხარობს, ნეტარობს.

**სიმშვიდეში არის სიძველე**

ადაძიანო, როს კეთილ საქმეს მხოლოდ  
შრომით და გარჯით აკეთებ,  
სიკვდილისაგან შენ ჯერ შორსა ხარ, ისწრაფვი.

**სიძველე სრული**

სიკვლეუ უნდა თავად ვიყო, და არ ვეძებლე შემთხვევას,  
როდის ვაკეთო ქველი საქმენი.

**ჩვენში არს წყარო**

არა გაქვს ნება, ევედრო უფალს,  
რამეთუ წყარო მაცოცხლებელი  
მან იმთავითვე შენში დაბადა.  
და თუ სათავეს არ ჩაუკეტავ, იღენს მარადის.

**უნდობლობა შეურაცხყოფს უფალს**

თუ უფალს უნდოდ მოეკიდები,  
და შენზედ ზრუნვას მას არ მიანდობ,  
ნუ იფიქრებ, რომ ამით უფალს არ შეურაცხყოფ.

**უმღაშობაში უფალი მოიკოვება**

ვინაც არს კოჭლი, ვინაც არს ბრმაი,  
იგი მოიქცეს უნდა იმგვარად, რომ მოიპოვოს უფლისა მადლი.

**სხეული, სამშვიინველი და ღვთაებრიობა**

სამშვიინველი არის კრისტალი,  
ღვთაებრიობა მისი მანათობელი,



ხილო სხეული, რომელშიც შენი სული დგას,  
არის ჭურჭელი სულისა და ღვთაებრიობის.

**უფალი შენს გულში უნდა იშვას**

თუნდაც ათასგზის დაიბადოს ქრისტე ბოდლებში /  
და არა შენში, შენ საუკუნოდ დაკარგულე **სიყვარული**  
**სიზღიერთება**

**და გარემოში ვერ იხსნის შენს სულს**

ვერ მოგაშორებს ბოროტებას ჯვარი გოდგოთის,  
თუ იგი შენშიც არ აღიმართა.

**შენაც აღსდამი მკვდრებით**

მე გეუბნები, შენ არ გიმეუდის  
მხოლოდ აღდგომა მკვდრებით ქრისტესი.  
თუ ცოდვის შორეულ თავს ვერ დაადწევ,  
ვერ დაეხსნები სიკვდილის ბორკილს.

**სულიერი მანა**

უფალი იგი არის ეახისა მოესველი,  
ხილო მარცვალი მარადიული სიტყვა იმისი,  
ხნული სულია მისი უკვდავი  
და გული ნემსი ჩასათესი ადაგი მისი.

**სიღატაკე არს ღვთაებრივი**

უღარიბესი არის უფალი, სულ მარტოდმარტო, თავისუფალი  
მართლაც განესჯი, როდესაც ვამბობ,  
რომ სიღატაკე არს ღვთაებრივი.

**გული ჩემი არს უფლის კერია**

თუ უფალი არს ცეცხლი მარადი,  
მაშინ ეს გული არს კერია მისი უქრობი,  
სად ქედმაღლობის შემასა სწევას უფალი ნემსი.

**დედას მოუხმობს კმაშთა გავშვი**

ვითარცა ხვილი დედას ძუძუს სთხოვს,  
ეგრეთვე სული უფაღს მოუხმობს, უფალსა მხოლოდ.

**ღვინიანი რძე კაცს აძლიერებს**

კაცობრიობა რძის მსგავსია, ღვთაებრიობა ღვინის მსგავსი.  
მაშ, შერეული შესვი რძე ღვინით,  
თუ გასურს, რომ გახდე უფრო ძლიერი.

**სიყვარული**

სიყვარული არს უფალი ნვენი,  
და სიყვარულით არის მსუფვევი,  
ნეტარ იქნება იგი მარადის, ვინ სიყვარულით ივსება მიწვივ.



**წარმოადგენდე უნდა არსებას**

რომ მოიპოვო სიყვარული, მრავალი ტანჯვა უნდა დახდეთ,  
ჩვენ მხოლოდ კი არ უნდა გვიყვარდეს,  
არამედ თავად სიყვარულად უნდა გარდვიქცეთ.



ქართველი  
მღვდანი

**როგორ ჰპოვებ ღმერთს?**

უფალი სუფევს ნათელსა შინა,  
მისკენ მიმსვლელი ნათელი გზა არს გაკვალული.  
და ვინაც თავად არ გახდება, ვითარც სინათლე,  
უფლის დანახვის ვერასოდეს გახდება ღირსი.

**დასაბამს უნდა დაუბრუნდნენ**

სულის წყალობით ჩემს არსებაში სუნთქავს უფალი,  
და ამიტომაც მიწვიე ღმერთში უნდა ვმყოფობდე.

**შენი კერპი, ღმერთი შენი**

შენ თუ მიეღწვი უფალთან ერთად კიდევ სხვა რამეს,  
დაუფარავად მიგითითებ, ვითარი წმინდაც უნდა იყო,  
რომ ეს გიქცევია კერპად.

**არსება არის უჩინარი ღმერთი**

უფლის ქმნილ დიად სამყაროში რა მცირედია სული ჩემი,  
მე უჩინარეს წერტილად ვხანვარ ღვთის საუფლოში.

**უფალი უფლებს ნაყოფთა სრულქმნილით**

რომელსა სურის დამიმტკიცოს,  
რომ სრულქმნილება არ არს ღვთაებრივ,  
იგი ჩამომტეხს უფლის ვენახში ამოსული ვახის რქისაგან.

**ხარობს ყოველი თავის გულში**

ელტვის ფრთოსანი დაეყარდს, ნაფარდობს,  
ქვა მიწაზედა მოსვენებულა...  
წყალში მრავლდება ყველა თევზი  
და ჩემი სული კი უფლის ხელშია.

**რტოთა თვისთაგან ყველა უფალი**

თუ უფალთან გშვა, მაშინ უფალი შენშივე ხარობს,  
მადლი უფლისა გასაზრდოებს და დაგამშვიდებს.

**შენში არს ზეცა**

რად ძრწინარ, დადექ. ზეცა არს შენში:  
თუ უფალს ეძებ გარეშე შეხსა, მას მოაკლდები სამარადისოდ.

**ვით შეიძლება ტკობა უფლითა**

ერთადერთია უფალი ღმერთი,  
და ვინაც სურის ღმერთებრი ტკობა,  
მიემსგავსოს თავად უფალსა, რათა შეერწყას.



**როგორ ემსბავსებიან უფალს**

სურინ რომედსა ედაროს უფადს,  
განირჩეოდეს უნდა ყოვლისგან.  
სულ განმარტოვდეს, ყულად იქმნეს  
და საღმობათგან განთავისუფლდეს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**ვითარ ისმენ სიტყვას უფლისას?**

თუ გსურს ისმენდე მარადიულ სიტყვას უფლისას  
და მეტყველებდე ამა სიტყვებით:  
უპირველესად მიატოვე შეოთიანობა.

**მე დიადი ვარ უფლისა დარად**

მე დიადი ვარ უფლისა დარად, არარას ძალუძს ამ ქვეყანაზე,  
(ო, საოცრებაჲ,) რომ მე დაძიპყროს და შემომსახდვროს.

**აღამიანი მოიცავს ყოველს**

ვით შეიძლება მითხოვდე რაიმეს, კაცო,  
ოდეს შენში არს უფალი თავად და ყოველივეს შენვე მოიცავ.

**სული არს უფლისა მსბავსი**

რამეთუ სული ჩემი მკვიდრობს უფლის წიადში  
ადგილისა და დროის გარეშე,  
მაშინ ეს სული უნდა ემსგავსოს  
ადგილსა და სიტყვას უცვლელსა.

**ღვთაებრიობა არის სიმწვანე**

ღვთაებრიობა არს სასმელი ჩემი:  
ის, რაიც ჩემგნით მწვანადლოვნდება და ჩემში ჰყვავის,  
ესე არს მისი სული წმინდა, რითაც ვნებანი დაძრტებიან.

**ვინაც სრულად ღვთიური იქმნა**

ვინაც ისეა, თითქოს არ იყოს და არც აროდეს იქნება არც რა,  
ო, ხეტარებაჲ! იგი გახდება სრულად ღვთიური.

**საკუთარ თავში ისმენენ სიტყვას**

ვინაც სუფევს თვის თავსა შინა, ის ისმენს სიტყვას,  
სიტყვას უფლისას,  
თუნდაც უარჰყო ყოველივე  
და გამორიცხო დრო და ადგილი, მაინც მოისმენს.

**მორჩილება**

მორჩილება არს საძირკველი, სახურავი და თანაც ხანდუკი,  
რომელიც ამოვსებულია ქველ საქმეებით პირთაძდე  
და დახურულია.



**უფალთან შეერთებული გამოიხსნება****მარადიული სატანჯველისგან**

ვინც უფალს ერთვის, მას უფალი აღარ შერისხავს,  
აღსასრულის ეამს ღმერთი მისი შემწე იქნება  
და გამოიხსნის ცეცხლის აღისგან.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

**მკვლარი ნება ხელმწიფობს**

რაკიღა ნება ჩემი არს დათრგუნვილი,  
მაშინ ის უნდა უფალს ჩემთვის, რაიც მე მსურინ.  
და ამიტომაც თავად ვახვენებ უფალს ჩემს სახეს  
და მიზანსწრაფვას.

**ქრისტე**

ისმინეთ საოცრება! ქრისტე კრავია და მწყემსი ცხოვართა,  
თუ ღმერთი ჩემში ვაცხა დაჰბადებს.

**სულიერი აღქმია**

ტყვია ბაჯადლოდ მხოლოდ მაშინ გარდაიქმნების,  
უფლით აღვხილი უფლის წყალობით  
ოდეს უფალში გარდავიქცევი.

**იბივეზე თქმული**

მე თავად ვარ ღითონი, სული არს ცეცხლი და კერია.  
მესია წყაროა ცხოვრების, სულ-სხეულ გაბრწყინებული.

**კვლავ მასზე თქმული**

რაც უფრო მალე გადამადნობს უფლისა ცეცხლი,  
მით უფრო მალე ამოტვიფრავს  
ღმერთი ჩემში თვის არსებასა.

**ღვთის ხატი**

ექმნიღვარ ღვთის ხატად:  
ოდეს უფალი მოისურვებს თვის თავს შეხედოს,  
მას ძალუქს თვისი სახის ხილვა ჩემს არსებაში.

**თანაარსებობა**

უფლის გარეშე მე არ ვარსებობ,  
უფალიც მუდამ ჩემზე მზრუნველობს,  
ბრწყინვალეობა და შეუქი მისი ვარ, იგი არს ჩემი შემამკობელი.

**ყველაზე უფალშია**

ყოველი ქმნილება ღმერთის ხელით არის შექმნილი,  
და როგორ ფიქრობ,  
ვით ეყოლება ეს ქმნილებანი თავის წიადში?

**ვარდი**

ვარდი, რომელსაც შენ თვალთ ხედავ,  
მარადიულად იმდება ღმერთში.



**არსებანი**

რამეთუ კაცნი უფლის სიტყვაში სუფივეს მხოლოდ:  
ვით შეიძლება არარად იქცნენ და ჩაიკარგნენ?



ეროვნული

**ძიება არსებისა**

დასაბამიდან დღემდე არს ასე:  
არრას ეძიებს კაცი, თუ არ სიმშვიდეს შემსწავლნას.

**ნეტარებაა მზის გულში ყოვნა**

ვის დაემკვიდრა მხესა შინა, მყენია შუქი,  
დანთქმულ არს იგი, ვის თვალდაშრეტილს გზა აძბნევია.

**უფალი მზე არს**

კვადში მისდით ნათელს მზისასა: მზე არს უფალი,  
ის ასხივოსნებს სუფსა ჩემსა და ახეტარებს.

**მზე არს მთავარი**

ვის მზე უნათის, მზე საკუთარი,  
ის აღარ ეძებს შუქსა მთვარისას  
და სხვა ვარსკვლავებს აღარ შენატრის.

**ცვარი**

ცვარი ციური მდელის აცოცხლებს,  
მან გული ჩემი უნდა ახაროს,  
და ცვარი იგი ზეცით ჩაქური  
ქრისტეს გულითგან უნდა მეპკუროს.

**არაშერი არს ღმერთზე უტკბესი**

ტკბება რამელიც ამქვეყნიურ ამოუბით  
და სიყვარული მას რისაზე კვალადვე იპერობს,  
მან ჯერ არ იცის სიტკბოებაი იმ უხილავის,  
რაიც არს ღმერთი.

**თავისუფალი რჩება სული მარადის**

თუგინდ ათასი რკინის საღტით მჭიდროდ შეძკარი,  
დავრნები მაინც ხელგახსნილი, თავისუფალი.

**გზამ დასაბამთან უნდა მიბიჭვანოს**

ყოველი წყარო სათავეში არის აჩკარა, იცოდუ კაცო,  
მაშ, დაეწაფე წმინდა წყაროს  
და ყოველ საფრთხეს განეშორები.

**ცვართაგან იშვის მარბალიტები**

ვითა ჩიქარა ცვარსა ისრუტავს,  
მე ქრისტეს სისხლსა დავეწაფები,  
ორივე კამსა კეთილშობილი თველები იშეება.



**ღმერთი მოელის თვისსა სასქლოსა**

გლოვობს დედა გვრიტი, როს გულის სწორს კარგავს,  
შენ კი უფალმა ამოგირჩია სამარადისოდ სიკვდილის შემდეგ.

**შენ უნდა იმე საწყისს შეერთო**

შენთვის განკაცდა უფალი ღმერთი,  
და კვლავ თუ მასთან არ დაბრუნდები,  
გმობ დაბადებას, სძრახავ სიკვდილსაც.



**უფლის მსბავსება განაძარცვებს ყოველგვარ ტანჯვას**  
ვინც ყოველივეს ღვთისა დარად ჭკრეტს, აღარ მჭმუნვარებს,  
თუნდ ჯოჯოხეთის ღრმა უფსკრულებში ჩავარდნილიყოს.

**ღმერთისთვის ერთი არის ყოველი**

არანაირი განსხვავება ღმერთმა არ იცის,  
თანასწორია მისთვის ყოველი.  
ერთგვარად ჰპოვებს ის ხაერთოს მწერთან და კაცთან.

**ბოროტი შენგნით მოლის**

მხოლოდ სიკეთე არს ჩვენი მამა-უფალი.  
წყველა და კრულვა, ტანჯვა, სიკვდილი  
და რაც ბოროტად წოდებულა, შენში ეძიე, ადამიანო.

**მეუღბს მართობა უშალსა შინა**

ო, რა ნეტარად განისვენებს სული ღმრთისა წიადში!  
ღმერთი და ყოველი არსებანი, იმისი ქმნილნი, არიან მართოდ.

**სამოთხე არს ტანჯვაში**

ადამიანო, თუ უფალზედ ხარ მინდობილი  
და მხოლოდ მასზე იმედოვნებ,  
მაშინ სამოთხედ გარდაგექცევა ყველა ტკივილი.

**ღმერთი მარადიულობაა**

მარადიული თუ არს უფალი, მაშ რაღა გიკვირს?  
განა არ ძაღუძს მას ყოფნა ჩემში და ყველა კაცში?

**არასრული ბარდაცვალება**

ოდეს ჯერ კიდევ სრუნავ მიწიერი საქმეებისთვის,  
მაშინ მოღიანად ვერ შეგიცვნია უფალი ჩვენი  
და ისე ჩახვალ შენ სამარეში.

**მხოლოდ ღმერთთან არს კვი მისი**

ძე კაცისა არს შობილი ღვთისაგან:  
ღმერთის ღვთაებრივ საკურთხეველთან  
ვერვინ დადგება მხოლოდშობილი მაცხოვრის გარდა.



**ვით განისვენებს უფალი ჩემში**

შენ უნდა იყო სრული სიწმიხდე,  
და უნდა იყო ყოველ წამს მზადა,  
რათა უფაღმან შენში იმზიროს  
და უტკბილესი შვება შეიგრძნოს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**უფალი არვის შინაწვენებს**

რად ჰყვედრი უფაღს? თავად წყველი საკუთარ თავსა:  
მას სულ არ უნდა ამისი ქმნა, მერწმუნე, მენდე.

**რაც უფრო მეტად ეძლევი უფალს,  
მით უფრო მეტად შემოვა შენში**

რაც უფრო მეტად უძღვნი თავს უფალს, ელტვი, ესწრაფვი,  
მით უფრო მეტად აგავსებს  
ღმერთი უხეტარესი ღვთაებრიობით.

**სიტყვა, რომელიც მე მომიცავს, მას მეც მოვიცავ**

სიტყვა, რომელიც შენ მოგიცავს,  
მე მომიცავს და მოიცავს ყოველს,  
მას მეც მოვიცავ სამარადისოდ და დავიმარხავ.

**მარტოღუნ ძალუძს ეს შემოქმედსა**

ჰგონებ, დაითვლი გუნდებს ვარსკვლავთა? –  
მარტოღუნ ძალუძს ეს შემოქმედსა.

**შენშია იგი, რაიც შენ ბსურინ**

ცაი არს შენში და ტანჯვის წყაროდ შენში არს თავად,  
რახაც აირხევ და მოისურვებ,  
ეს ყველაფერი ყველგანა ჰგოებს.

**ბარნა ქრისტესი სხვა არავინ უყვარს უფალსა**

უფაღს ძლიერად უყვარს ის სული,  
ვინც შეიმოსა ქრისტეს ნათელი,  
ხოლო არ უყვარს იგი უფალსა,  
რომელიც იტყვის უარს ქრისტეზე.

**ერთარსი სამეპისა**

სამშვიტელი, სული და სიტყვა გვაუწყებს ცხადად  
და ნათლად,  
(თუ შეგიძლია ამას ჩაწვდე),  
თუ ვითარ არის ღმერთი ერთობა სამის.

**ურთიერთარსი**

სხეულში მკვიდრობს სული ჩემი  
და ხორცი ჩემი სულსა შეიგრძნობს,  
მართაღსა ვიტყვი, სხეული ჩემი სულში გადადის.



**ადამიანი მოღის მარადისობიდან**

რამეთუ ღმერთმა უწინარესად შვა ძეი თვისი,  
მერმე მან მე და შენ დაგვბადა, ამოგვირჩია.

**გაფშვად უნდა გადაიქცე**

თუ არ იქნები, ვითარცა ბავშვი,  
შენ ვერ შეადწევ ვეროდეს იქა,  
სადაც სუფუვენი ღვთისა შეიღებო:  
კარიბჭე იგი ძლიერ ვიწრო იქნება შენთვის.

**იღუმალი ძოწინება**

ვინაც არს შუქი და უბიწო პირველქმნილივით,  
თავად უფალმა აირჩია იგი ქალწულად.

**ამ უნდა იყოს დასაბამი**

ადამიანო, თუკი გწადს მარად იდგე ღვთის კრავთან,  
მაშინ შენ უკვე აქედანვე მის ნაბიჯებით უნდა იარო.

**უფალი ქმნილა სამოვრად ჩვენდა**

ო, ხაოცრებავე, ღმერთი იმდენად თავმდაბალია,  
რომ მას თავად ხურს, იქცეს სამოვრად, ხაზრდოდ ცხოვართა.

**ვინაც სვამს წყაროს ცხოვრებისას**

ვინაც სწადია, რომ დაეწაფოს ცხოვრების წყაროს,  
მან აქედანვე უნდა მოიკლას წყურვილი თვისი.

**მარტოობით ეღრებიან უფალს**

ადამიანო, ოდეს ხარ მარტო,  
შენგან გადმოსჩქეფს უმრეტი წყარო  
ვითარცა წყარო მარადისობის.

**სწყურინ უფალსა, მას დაარწყულე**

მწყურვალე არის თავად უფალი,  
შენ კი ვერ უკლავ იხე წყურვილსა,  
ვითარცა ქალი სამარიტელი. შენ შეურაცხელოვ ამით უფალსა.

**მარადიული უში**

მე ვარ შუქი მარადიული, უწყვეტად ვნათობ, აროდეს ვქრები:  
ეს სული ჩემი არის ღამპარი  
და ხაწვავს მაძლევეს თავად უფალი.

**მოიპოვებლე ღვთისა უვილობას**

თუ გხურს უწოდო ღმერთსა უძაღდესს მამაი შენი,  
მაშინ ჯერ თავად უნდა შეიცნო შენივე თავი უფლისა შეიღად.

**რაც უფრო ახლოს მიხვალ უფალთან, მით უფრო  
მეტად შემოვსა შენში**

რაც უფრო შედის სული უფალში,  
მით უფრო სუფუვეს მასში უფალი, —  
არცა მეტად და არცა ნაკლებად გახდება იგი შენი.



**ქრისტე ყველაშერია**

ო, საოცრებავ! ქრისტე არს ჭეშმარიტება და სიტყვა,  
შუქი, ცხოვრება, საზრდო, სასმელი,  
გზა, მლოცველობა, კარიბჭე და ადგილი წმინდა.



**უზრუნველობა არს ნეტარება**

უფლის სიმშვიდით შეიმოსნენ წმინდანნი **მადამარიტა**  
და ნეტარებაც იმადა პპოვეს, რომ არახოდეს არას ითხოვენ.

**მარტო პურითა ვერ ცოცხლობს კაცი**

შენ მარტო პური ვერ გასაზრდობს:  
იგი, რასაც კი პურით ღებულობ,  
არს უფლის სიტყვა მარადიული,  
არის ცხოვრება და არის სული.

**საბოძვარი არ არს უვალი**

ვინაც უფაღს სთხოვს რამ საბოძვარსა,  
ის ღმერთს ვერ ხედავს.  
ის ევედრება, შესთხოვს არსებას, არა შემოქმედს.

**ძვი კაცისა არს უმთავრესი**

ძვი არს სიტყვა უსაყვარლესი,  
და ამ სიტყვითა ღაპარაკობს უვალი ჩემთან,  
უბნობს ის ასე: არა, არ მკმარის საძყარო  
და არც თავი ჩემი, მე მსურის ძვი.

**ძირითადად ყველაშერი ერთია**

ღაპარაკობენ დროზე, ადგილზე,  
საწუთროსა და მარადისობაზე,  
განა დროება ანდა ადგილი,  
საწუთროი და მარადისობა განსხვავდებიან ერთურთისაგან?

**ბრალი ჟენ მიბიძვის**

მხის ბრწყინვაში სახე შენი რომ იკარგება,  
ბრალია შენი თვალებისა და არა დიდი სინათლის შუქის.

**ღვთიური წყარო**

რამეთუ ჩემგნით უხდა იდინოს საკადმა ღვთისამ:  
მე თავად უხდა ვიყო წყარო,  
რათა არ დაშრტეს მდინარება იგი ღვთიური.

**კალისხმევა არს საჭირო**

ვინც არ მიუღტვის მაღალი ღმერთის სანატრულ ყრმასა,  
ის იმ ბოხელში დარჩება მუდამ,  
სადაც პირუტყვი და მეჯობები ბინადრობენ.

**ძვი არ იღვვის გასამრჯელოსთვის**

თუ შენ უფაღსა ემსახურები სამაგიერო სიკეთისა,  
ნეტარებისა და გასამრჯელოსთვის,



მაშინ, იცოდე,  
ქრისტესძიერი სიყვარული არა გქონია მეუფის შენის.

**საიღუმლო მოწინება**

განა არსებობს ამის მეტი სხვა სიხარული!  
ღმერთი მაცხოვარს  
სახძლოსა თვისას მიახდობს თვის მარადიულ სიყვარულს  
და თვისსავე სულით.



**ნამთვის იგი არს ღმერთი, რაიც მე მსურინ**

არს მეუფეი არგანი ჩემი, სინათლე ჩემი,  
გზაი ჩემი, მიზანი ჩემი, საქმეი ჩემი,  
მამახემი, ძმად ჩემი, შვიდი ჩემი და ყოველივე, რაიც მე მსურინ.

**ადამიანი თავად ქმნის დროსა**

დროს თავად შენ ქმნი: და მექანიზმი საათისა არის აზრები,  
ოდეს შეგიპყრობს მოუსვენრობა, გისხდტება დროი.

**ღვთისა ქმნილება არს მართლაც ღმერთში**

ღვთისა ქმნილება უფროისად უფალში პგებს,  
მერმე თვის თავში:  
თუ ის ქმნილება უარს იტყვის საკუთარ თავზედ,  
მაშინ უფალში დაიმკვიდრებს სამარადუამოდ.

**სულიერი კიდობანი და ციური მანანის დოქი**

ადამიანი, თუ გული შენი არს თქრო წმინდა  
და სული შენი უბიწოი,  
მაშინ შენ ძაღვისს გადაიქცე კიდობნად და მანანის დოქად.

**სრულქმნილება ღვთით არის**

ღმერთი რომ ყოველად ძლიერია, ამას იგი არ დაიჯერებს,  
ვინაც უარყოფს სრულყოფილებას, ვითარცა წადიდს უფლისასა.

**რატომ იშვა ღმერთი**

გაუგებრობავე! იმად დაივიწყა ღმერთმა თვისი თავი,  
რომ ჩემში ისევე ახლიდან იშვას.

**უმაღლესი ღირსება**

ო, უმაღლესო ღირსებავე! ტახტრევახიდან დგება უფალი  
და თავის საყვარულ მეში ადგილს მიმკვიდრებს.

**მუღამ იბივე**

ვიქეცი იმად, რაიც მე ვიყავ, და კვლავ იგი ვარ, რაიც ვიყავი,  
და მე დავრჩები მარადიული,  
თუ სული ჩემი და ხორცი ჩემი ღვთისგან მიიღებს განკურნებასა.

• • •

გონებას უხმე, ადამიანი, რამეთუ ოდეს გახვალ ამ ქვეყნით,  
შემდგომ ამისა ცხოვრებას აგრძელებს არსება შენი.

საქართველოს  
პატრიარქოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური



• • •  
სამყაროს შექმნა წიგნი არს ვრცელი:  
ვინც ამ წიგნს ბრძნულად იკითხავს,  
იგი შემოქმედს უცილობლად შეიცნობს



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

• • •  
მიხეხთა გამო არ ხარობს ვარდი,  
იგი ყვავილობს, რაშეთუ მას სურს აყვავილება,  
იგი თავის თავს ეურს სულ არ უგდებს,  
ხედვენ თუ არა, ის არ კითხულობს.

• • •  
როს ხივეარული ჩასახება, დუღს მაჭარივით,  
რაც უფრო მეტად დაძველდება,  
მით უფრო მეტად დაწდება და დაშეუდროვდება.

• • •  
ორი თვალი აქვს სულსა: ერთი დროებაში იცქირება,  
მეორე განჭვრეტს მარადისობას.

• • •  
იგი, რაიც შენ გამოძრავებს,  
არის მარადი, თავად შენა ხარ ბორბალი,  
და ბორბალი იგი შენგნითუ ბრუნავს შეუსვენებლივ.

• • •  
ოდეს ბრძენკაცი სტოვებს ამ სოფელს,  
თვალს არ მიაპურობს აროდეს ცახა,  
იგი მანამდეც ხედავს ხეცასა, სანამ გული შეუხერდება.

• • •  
არაფერია ამ ქვეყანაზე ისე დიადი და ფასიელი,  
ვიდრე ის კაცნი,  
რომელნიც ღვაწლით განდიდებისკენ არ მიიღტვიან.

• • •  
კაცსა რომელსაც შეუძლია მართოს გრძნობა  
და ძალა თავისი,  
იგი ღირსია, აღარებდეს მეფის სახელსა.

• • •  
ქადწულობა არს ღირსიული, მანგრამ ჯობია,  
შეიცვალოს დუღობრიობად,  
თუ არადა, იგი დარჩება, ვითარცა მიწა უნაყოფი.

• • •  
მოდო, შეხედე ღვთისმშობლის ერმასა,  
შენ დაინახავ აკვანში მწოდარ  
ცახ, დედამიწას, და ვარსკვლავებზე უმრავლეს სამყაროებსა.



•••

ცოდვილო, დადუმდი, ნუ ამუხათებ ადამს და ევას,  
თუ ევა ცოდვით არ დაეცემოდა,  
შენ ჩაიღენდი იმ ცოდვას უცილოდ.



ქართული  
ბიბლიოთეკა

•••

ადამიანო, შენ ღვთისგან ითხოვ მთელ მის საუფლოს:  
არხობის პურსა ითხოვდე,  
თორემ დამღიურდები და ჩამოტყნები.

•••

ვაი, რომ კაცნი ვერ ვედრებით ტყისა ფრინველთა,  
ყველანი ერთად სიხარულით გალობენ მუდამ.

•••

ყველაზე დიდი საოცრება მაინც კაცია,  
მას შეუძლია ღმრთის მსგავსი გახდეს,  
ან მიემსგავსოს თავად სატანას.

ღ



იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე

## ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი

გერმანულიდან

თარგმნა კონსტანტინე ბაშსახურობაძე



ყოველივე ცნობა ახალგაზრდა ვერტერის შესახებ ამ წიგნში მოვაგროვე და დარწმუნებული ვარ, დამძაღლებთ კიდევაც ამისთვის ვიცე წიხასწარ, თქვენ არ მიაკლებთ სიყვარულსა და განცვიფრებას მის ხასიათსა და მის სულიერ აღნაგობას, ხოლო ბედი მისი, მეგობრებო, უთუოდ დაიმსახურებს თქვენსავე ცრემლებს.

და შენაც, სულთ, მისებრ ჭმუნვითა და მწუხარებით გულგახენილი, ტახკვათა მისთა ფიალათაგან შეიმსუბუქებდე გულისა ტკივილს და მიიხევედე ამ მცირე წიგნს გულისა ტოლად, თუ არ გაგახნდეს მეგობარი მასზე უფრო ძვირფასი.

### წიგნი პირველი

1771 წელი მაისის 4-სა დღესა.

რარიჟ მიხარის, რომ წამოვედი! კეთილი ღეძო, რა არის გული კაცისა!

საოცარია!

გახარადეს ისეთი განუყრელი მეგობრის განშორება, როგორც შენ ღეძთვის იყავი? ვიცე, შენ ამას მომიტყევებ.

განა ღეძო დანარჩენი მეგობრობა ღეძთვის საგანგებოდ მირწყული არ იყო განგების ხელისაგან გულისა ღეძის დასათრგუნებლად?

საბრალო დეონორა!

მოუხედავად ამისა, მე უდანაშაუდო ვიყავი. განა მე რაშე ბრალი მომიძღვის იმაში, რომ მისი დათის თავნება აღტყინებამ გამოიტაცა და დაკოდილ გულში ეხება აღმოგზნო?

განა მე არ აღუხარდე მის გულში ნაზზე უნაზესი გრძნობა?

განა მე...

აიო, რა საოცარია ბუნება კაცისა, ბუნებას მისთვის ქეჩხის ნიჭი რომ მიუცია!

გაძლევეთ სიტყვას, მეგობარო, მე გამოვეკუთლები, მე მიხდა ის მცირე ფათურაჟი, რომელსაც ბედი გვიმზადებს ჩვენ ამ ცხოვრებაში, ადვილად მოვიხედო ისევე, როგორც ეს მრავალგზის მიქნია კიდევ.

მიხდა ამიერთიან მხედლოდ აწმყითი დავსტკბე და წარსულს წარსულად ვივლიდე.

რა თქმა უნდა, შენ უთუოდ მართალი ხარ: ადამიანებს ნაკლები ურვა შეხედებოდა ქვეყნად, ისინი განგების ნებით ისე საოცრად არ იყვნენ მოწყობილნი, რომ წარმოდგენის ძალით არ სხეუოდეთ მათ განვლილთა ჭირთა უკუხმობა და მოგონება. საცქვლად ამისა, რომ შეეცებონ ბოძებულ აწმყოს.

გეოაყვა, გადაეცეო დედახემს, რომ მის დავადებებს მე არ ვივიწყებ; აქ ყოფნის დროს ღეძი მაძიდა მოვისახუდე და დავრწმუნდი, იგი არც ეგზომ ბოროტი დედაკაცი ყოფილა. მაძიდა მხედლოდ გულფიცხი ქალია და სხვა არაფერი.



მე განვიმარტე მას დედაჩემის ჩვილი მასზე დარჩენილ ნაანდერძევის შესახებ.

მაშინდამ ამოხსნა, თუ რა პირობებში შეეძლება დაავიბრუნოს ჩვენი ხვედრი ამ ანდერძიდან; მოკლედ, გადავიცე დედაჩემს, ახლა მე არ მინდა ყოველივე აქ აღვხუხო, ერთი სიტყვით, ყოველივეს, მიხვან მონღობილს, მე კეთილად დავაავიბრუნებ.

უნდა გამოგიტყდე, მეგობარო, ამ უძნებელი საქმეების დროს მე დავრწმუნდი, რომ გაუგებრობა და სიზანტე ამ ქვეყნის უფრო მეტს სიავეს წარმოშვებებს ხოლმე, ვიდრე ბოროტება და მუხანათობა. ეს არი უკანასკნელი ყოველ შემთხვევაში უფრო ნაკლებ თვალსაჩინოა, ამ ცხოვრებაში წარმოდგენილი.

სხვათა შორის, მე აქ გვართახად ვგრძნობ ჩემს თავს, ამ სამთხისებურ მხარეში მარტოობა სახუკველ ბაღსამად მოეცხო ჩემს გულს.

და სიჭაბუკის დღეთა სავსება განცხრომით ათრობს გულს იჭვით სხეულს.

ყოველი ხე ყოველი ჩირაგი მწყანითა და ყვაყვილით შემოსილია, და ყოველ წუთს გენატრება კაცს გადაიქცე თუნდ პაწია ჭია-მაიად, რათა შეეძლოს ხელსურნელოვან მუშკით შეზავებულ სფეროთა დიფლივში პფრუნდე, იშვებდე, გაიხარებდე, ბუნების სახრდის უმეშვეოდ დაწაფებული.

ქალაქი თვითონ უხეიროა, სამაგიეროდ თვალისმომწყვეტი მშვენივით სავსეა საჩახები, აგარაკები, სწორედ ამან წააქეხა აღბათ განსვენებული გრაფი მ... რომელსაც საუცხოვო ბაღჩარი გაუშენებია მახლობელი გორაკის თხემზე.

ბაღი უბრალოდია გაკეთებული და შესვლის უმაღლე დარწმუნებით, რომ მისი გეგმა დაუდგენია არათუ მეცხიერულად განსწავლულ მებაღეს, არამედ მგრძობიარე გულისა პატრონს.

მე არაერთხელ გულგახსნილი ვმჯდარვარ აწ გავერანებულ, ხვით შემოსილ ტალავურს ქვეშ; თვით ბაღის პატრონს ყვარებია ადგილი იგი.

სულ მალე აღბათ ამ მშვენიერ ბაღს დავეუფლები, და მებაღეც ერთგულია და ფრთად ხელმომჭირნე.

მასის 10-ს.

საოცარმა სიხარულმა რომ აათროღა ჩემი გული, იგი მომეკლსა ვით გასაფხულის სეტარი დილა, რომელსაც ახლა მე განვიცდი მარტოობაში. მე აქ მარტოვა ვარ და შეუხარი თვითვე სიცოცხლეს და ამ სანახებს, შვების მომგვრელს და სახეტაროს, და გეტყვი, ჩემი გულისა სწორი, ეს მშვენიერი ტურვა მიდამო ჩემებრ სულისა პატრონისთვის შეთხზულია განგებისაგან, კეთილს ჩემი.

მე ისე ბედნიერი ვარ, ისე აღვხილი ამ აუმაღრველ მეუღრო ყოფნის სიხარულითა, რომ ჩემი შემოქმედების უნარი, ღამისაა, მოღად მოადუნოს ამ ხეტარებამ.

ამ წუთში მე ფუხეს ვერ გავუვარები, ერთი ხაზის მოხმაც არ შემოდია, მაგრამ არახდროს არ მიგრძენია ამაზე მეტი მხატვრული ძაღის მოხლვავება მე ჩემს მაჯებში.

როცა ქალაქებს, ირგვლივ მდებარეს, ცხელი აღმური თავს წაადგებათ და მაღალი მხისა ღამპარი გადმოიხრება თვალსაშავებულ უღრასი ტყის მწვანე ფაფარზე, მხოლოდ დერ-დურა სხივების ისრები შეიჭრებიან უღრან ტევრში, მაშინ ვხებიერობ ვერცხლის სახსქერის შირიახლო მოღზე განროხმული და საოცარი ფერძრავლობა ამ მწვანე მოღის, მაღალ ბაღახის მათლებს მაშინ, როცა ამ მაღალ ბაღახებში მცოცავ მწერების ფუხუფხსა და რბენას საცნაურსა ვეოვ, ამ გასაოცარ შეუცხობ პაწია სულდგმულებს სიახლოვე გულს ამიხქროღებს, მაშინ ცხადია, ვგრძნობ: მეახლა მე ყოვლად



ძლიერ შემთქმელის სუნთქვა და სიტყვო გულის მისის ყოველის შემცველის და მოყვარულის ამ არსებათა, რომელიც შექმნა მან თუითონვე თავის სურვილით, ჩემო კეთილო, და მერმე როცა ჩამოწყება ბინდი მწუხრისა და ჩემს თვალებში ჩამოეშვება სახახარბა სახუკველი და საოცარი, ვოცნებობ მაშინ და ფიქრს ვუძღვევი: ნეტავ შემქმნელს ავსახო იგი, გადავიტახო ქალაქდზე მაინც, რაც ასე ტფილად, ასე ცოცხლად ამ ჩემს სულში აღბეჭდილია, რათა ნაწერი, ან ნახატი იქნეს ხატებად სულის შენის, სურათხატებად ვახსოვროს ღვთის წარმოდგენის.

კეთილო ჩემო, ეჭვი არა მაქვს ამ მოვლენათა დიდებული ძალოვნება მე გადამიტანს, მომაჯადოვებს.

**მაისის 12-ს.**

არ მესმის სწორედ, ამ მხარეში ხომ არ დაფრენენ თვალის ამქცევი ნაზი სულები, თუ ზეციური ფანტაზიაა ეს სახახები რომ დაფერა სამოთხის დარად.

ჩვენს ახლოს, აქვე, თვალწარმტაცვი წყაროა ერთი, რომელმაც მე ისევე მომაჯადოვა, როგორც მელუზინა და მისი დები.

პატარა გორაკის ფერდობს რომ ჩაძევი, თაღს წააწელები უმნიშვნელოს, ჩაირბენ მერმე ოციოდე ნაბიჯს მხარმარჯვნივ და ხედავ, გულო, მოსჩქევს მარმარის ნაპრალებიდან წყარო ანკარა.

ირგვლივ ქვითკირის გაღავანია, ჩრდილმრავალ ხეთა მწყობრი მწკრივით შემორაგველი. და აქ სიგრიდე, თახისებრი აგავსებს შვეებით და სიტკბოებით.

აქვე მოდიან ქალაქიდან კოხტა ქალები სურებით ხელში. უბრალო საქმე, მაგრამ საქმე ფრიად საჭირო, რომელსაც უწინ სეფეწუდნიც ვერ ასცდებოდნენ. და ამ წყაროსთან როს გავგრიდდები, პატრიარქალურ იდეებით ივსება სული, მივხედავ მაშინ ჩვენს წინაპრებს, ბნელში დანთქმულებს, წყაროსთან მოხულოთ სასძლოთ არჩევა რომ სწვეოდათ მას ეამსა შინა.

ო, ვინც ამგვარ ფიქრებს არ უძღვევა ამ წყაროს პირას, იგი, სჯობია, არც მოვიდეს ამ წყაროს ჩრდილში დასახევენებლად.

**მაისის 13-ს.**

შენ ჩემი წიგნების გადმოგზავნის შესახებ მეკითხები? მიხედუ შენს დმერთს, ჩემო კარგო და, მომაცილე ზედმეტი ბარგი. მე აღარ მჭირია ამიერიდან ხელმძღვანელობა, გამხსენებება და წაქეხება. ეს ჩემი გული თავისთავად ასევეებულა. მე მხოლოდ ტკბილის ძილისპირი თუ დამჯირდება, ვიპოვე იგი ჩემს ძველ პომურში. ხშირად ამგვარად დავაშოშმინებ ჩემს ამბოხებულ სისხლს. ვინაიდან ასეთს დაუდევარსა და ცვალებად არსებას შენ ბადადსაც ვერ მოუხახავ ამ საწუთროში, როგორიცაა ეს ჩემი გული. თუმცა, კეთილო, რა საჭიროა შენთვის მოწერა ამ ამბებისა, შენთვის, რომელსაც არაერთხელ ვინახავარ მე პირქუშ გარამისაგან უდარდელობის მიუხეებისა და უკურნებელ მელანქოლიისაკენ, წამწყმედელ ვხებათა ღელვისაკენ დაქანებული.

და ჩემს საბრადლო გულის მე ისე ვანებივრებ, როგორც სხუელ ბავშვს; ყოველნაირ ჭირვეულებას ადვილად ვუთმობ. გთხოვ, ყოველივე ეს დარწეს ჩვენს შორის, რადგან ისეთნიც მოიძევიან ამ ქვეყნაზე, რომელნიც ამგვარ საქმეებში მე გამკიცხავენ განუკითხავად.

**მაისის 15-ს.**

ჩემს გარშემო მცხოვრები ადამიანები უკვე მიცნობენ, ბევრი მათგანი ფრიად თავაზიანად მეპყრობა კიდევ, მაგრამ მე ბავშვებს



შეუყვარდი განსაკუთრებით. ხამწუხარო რამ შევნიშნე ამ დღეებში: როცა თავდაპირველად მე ამ უბრალო ადამიანებს დავეახლოვდი, მათ ეგონათ, დავციხილდი, ამიტომაც უხეშად მომექცნენ. ამ დაკვირვებამ მე შემაგნებინა:

ზოგიერთი წოდების ხალხი შორს იტყურს თავს უბრალო ხალხისაგან, რადგანაც მათ ეძინათ დაახლოებით საკუთარი დონების შებღაღვისა. ხანდახან მათში გამოერევა მკრეხელი და თავიდან მდაბიო ხალხთან დაახლოებას, რათა ამგვარად თავის უბრალოებას მკაფიოდ გაუსვას ხაზი.

მე კარგად მეხმის, რომ ჩვენ, ადამიანები თანასწორნი არა ვართ და ვერც ვიქნებით თუ ვინც, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ის, ვისაც აუცილებელ საჭიროებად მიახნია საკუთარი პატივმოყვარეობის დასაცავად, ეგრედ წოდებული ბრბოსგან გამოიჯენა, ასევე გასაკიცხავია, როგორც ის მძიმარა, რომელიც მტერს ემადლება, რადგანაც თვითონ თავის ძაღლის იმედი არა აქვს.

ამას წინად წყაროხთან ვიდექი, მოსამსახურე გოგოს კიბის საფეხურზე დაედგა ხევსე კოკა და შორიდან მომავალ ამხანაგ ქალები-საქენს იხედებოდა.

კიბეზე ჩამოყვლ და შევხედე გოგონას. "მოგეხმარო, ქალო?" ვუბნები.

ძლიერ გაწითლდა.

— "არა ბატონო, როგორ გეკადრებათ..."

მე ავაწვევინე კოკა და მხარზე შევადგი.

მან მადლობა მოთხრა და გზას გაუდგა.

## მაისის 17-ს.

მე აქ ბევრი ვინმე გავიცანი, მაგრამ სახეში საზოგადოება ჯერ არ მიმიხნევია, არ ვიცი, ვის რა უნდა მოეწონოს ჩემში?

ზოგიერთი მათგანი არაერთხელ შემთვისებია, და როცა მეორე ადამიანთან გამოვლია მკარეოდენი ცხოვრების მანძილი, მე მუდამ ტკივილები მიგრძენია ამ დროს. შენ თუ მკითხავ, როგორი ადამიანებია აქ? როგორც ყოველგან, — გიპასუხებდი. კაცთა მოდგმა საოცრად ერთსახიერი რამ არის, ჩემო.

უმეტესობა თავის ხიცოცხლეს შრომაში ატარებს. და ზოგიერთი ადამიანი მოწადინებულია, რათაც არ უნდა დაუჯდეს, თავისი მცირე თავისუფალი საათებიც როგორმე მოჰკლას და თავიდან მოიშოროს.

კით, მწარე ხეუდრო კაცთა მოდგმისა!

ხანდახან თავდავიწყებას ვეძლევი, საკმაოდ კარგს საზოგადოებაში რომ გავერევი, აქ გახვიციდი იმ სიხარულს, რომელიც კაცთათვის კიდევაც ხელმისაწვდომია, გულუხვად მორთულ სუფრას შემოუესხლებით, ვხუმრობთ, ვბაასობთ, ან ხავით გავისეირნებთ მახლობელ ველებისაკენ, ან ცეკვას ვაგახადებთ და ყველაფერი ეს ფრიად სანუკველ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩემსე. მე მეძინია თღონდ, არ დავრწმუნდუ, რომ ჩემში მოვლემარე შემომქმედი ძალები უქმად დაიბდნენ.

აჰ, ეს ეტყები ჩრხიდივით ღრნიან ჩემს გულს.

და მაინც ხომ დამუთახსმები: ჩვენი მოდგმის მწარე ხეუდრია — ვერ გავიგოს მოევასმა შეხმას.

გული მიკვდება, ჩემი სიერმის მოჯნურს რომ მოვიგონებ: რა უდროოდ გამოძაცალა სიკვდილმა იგი! ხომ აჯობებდა, არც გამეცნო იგი თღესმე.



მე ვეტყობდი ჩემს თავს: შენ ჭეშმარიტად შლეგი ყოფილხარ. შენ მას ეძიებ, რაც ხელმოუწვდომელია სააქაოში.

მაგრამ ეს არის გასაოცარი, ხომ მეკუთვნიდა მე მისი გული?

განა მისი დიადი სულის სიახლოვეს მე არ დაუმტკბარვარ? განა იმ წუთში ჩემი თავი წარმოდგენილი არა მქონდა უფრო მეტად, ვიდრე ვიყავი სინამდვილეში და სინამდვილეში მე ვიყავი მთელის სავსებით, რაც კი ოდესმე რომ შემეძლო ვეზრდებოდი ღმერთო სახიერო!

განა თუნდ ბეწვის ოდენი ძალა რჩებოდა მაშინ ჩემს არსებაში უქმი, ურგები?

განა მე არ შემეძლო მის წინაშე გადამეშალა მთლად საოცარი სულის მხნეობა, რომლის შემწეობითაც ჩემი სული იკებს ბუნებას და მის სირთულეს განსაცვიფრებელს და ნაირ-ნაირს!

განა ჩვენი მეგობრობა სავსე არ იყო უნახესი გრძნობებით, უბასრესი სიმძლავრით და გონებამახვილობით, და ყოველივე ეს ხომ დადამღული იყო გენიის ბეჭდით.

აჰ, მან რამდენიმე წლით მიმასწრო სიკვდილის ბჭეებთან.

მე ვერასოდეს მას ვერ დავივიწყებ, მისი გულის სავსებას და მის ღვთაებრივ ჭირთა მომენობას.

სულ რამდენიმე დღის წინათ შევხვედი ახალგაზრდა ეც-ს, გულ-წრფელ ჭაბუკს, საკმაოდ ღამაზ გარეგნობით აღჭურვილს.

იგი ახლად დაბრუნებულია აკადემიიდან და მთლად ბრძენად არ მოაქვს თავი, მაგრამ დაბუჯითებით სჯერა, სხვაზე საგრძნობი ცოდნის პატრონი უნდა იყოს. როცა გაიგო, რომ მე ვხატავ თურმე და ძერწვაში ცოტა რამ გამეგება (ორი მეტეორი შეხვდა მიწაზე ვითომც ერთმანეთს), იგი დამიპირდაპირდა და საგრძნობი ცოდნის სკიურები გადმოაღაგა ჩემს წინაშე, ვარტოდან დაწყებული ვუუდამდის, პილესიდან – ვისკელმანამდის, რაც წაეკითხა ან გაეგონა და მარწმუნებდა სულცერის თეორიის პირველი ნაწილი გადაკითხული მაქვს და პეინენის ხელნაწერი ანტიკის მოძღვრებათა შესახებ ჩემს ხელშიათ.

მე ეს მოუწონებ და წავახალისებ. კიდევ ერთი წინებული კაცი გავიცანი აქ, სამთავროს მოხელე, ფრიად გულახდილი და ეხერგიული ვინმე. მასზე ამბობენ, გაწვრონილი აქვსო გული მოყვასთა სიყვარულში. და მართლაც კარგი სანახაყია იგი თავის ცხრა შვილის წრეში.

ძლიერ აქებენ მის უფროსს ქალიშვილს. იგი ამჟამად საბაზიერო სასახლეში ცხოვრობს. თავადის ბაზიერთა სასახლე აქედან საათნახეურის სავაღსება. აქ გადმოსახლებულია იგი თავის ცოდნის სიკვდილის შემდეგ, რადგან ქალაქში ყოფნა აორკეცებდა მის ღრმა სიმძიმის, დანარჩენი ჩემი ნაცნობები, გაცვეთილი ტიპებია, რომელთა შეხედვაც კი ვეღარ ამიტანია.

მშვიდობით.

მაისის 22-ს.

ადამიანის ცხოვრება რომ სიზმარსა ჰგავს, ეს ბევრს აღუნიშნავს და მეც ამკვიარებია ეს აზრი ბოლო ხანში.

როცა იმ დაბრკოლებათ გავითვალისწინებ, რომელნიც ადამიანის მომქმედსა და მაძიებელ ძალებს ბორკავენ, ვრწმუნდები, რომ ყოველივე გარჯა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენაა ბოლოს და ბოლოს მიქცეული, და ყველაფერ ამას სხვა მიზანი არ მოძეუება, თუ არა ჩვენი უბადრუკი არსებობის გახანგრძლივება და



ისიც ნათელია ჩემთვის, რომ ყოველნაირი გულის შეჯერება კვლევის ზოგიერთ შესაძლებლობათა შესახებ მხოლოდ მეცნიერთაგან მოგონილი ნუგეშისცემაა და სხვა არაფერი.

რადგან ჩვეულებრივად ჩვენ ხაირ-ხაირი ფერადებით ვამკობთ ამ კედლებს, რომელთა შორის თვითონვე ვართ გამოძველებული, ყოველივე ეს, ჩემო ვიღპელმ, ფრთად მასცვიფრებს.

მე ხემსავე არხებაში უკუიქცევი ამ შემთხვევაში კიდევაც ჩემს სამყაროს და თავშესაფარს.

მეტი ქვეშეცნებითი შეგრძნება, ვიდრე ცაცხალი შემოქმედებითი სახვა: აქ კი ყოველივე ბურუსის წიაღში უკუიქცევა და მე იჭვხუელი დიმილით შევსცქერი სამყაროს.

ბავშვებმა რომ თავიანთი საწადელის მიზეზი არ იციან, ამას ყველა განსწავლული აღმზრდელი თანაბრად ადასტურებს.

მაგრამ მოზრდილებიც რომ ბავშვებით ჭირვეულობით არიან შეპყრობილნი ამ ცხოვრებაში?

ვიცი, შენ ამაზე უთუოდ მომიგებ: სწორედ ისინია ბედნიერნი, ვინც ბავშვებით უდარდელად ატარებს თავის ცხოვრებას.

ისინი ბავშვებით დაათრევენ თავიანთ დედოფალებს და გულმოდგინედ იჭვრიტებიან იმ კოლოფებში, სადაც დიდებას მაქარლამა და ნამცვხრები შემოუნახავს, და როცა საწადელს აისრულებენ, გაფხილი პირით ყვირიან: კიდევ მომეცით!

სწორედ ამგვარი ადამიანებია ბედნიერი, არც იმათ უშავთ რა, ვინც საკუთარ, ხარბუხასებურ საქმიანობას მაღალფარდოვანი ხოტბით ამკობენ და ადამიანების მოდგმას ამადლიან კიდევაც თავიანთ მოღვაწეობას.

ნეტავი იმას, ვინც შესძლებს ამას! ხოლო იგი, ვინც თავმდაბლურად აღიარებს ადამიანების სწრაფვის ამოებას და ნათლად ამჩნევს, რომ ყოველი მოქალაქე თავის ბაღნას იმისთვის უვლის, მზის შუქით დატკბეს, ანდა ერთი წუთით მეტხანს უცქიროს, სწორედ იგი ხდუმს.

და თუმცა იგი შეხლუდულია და შებოჭვილი, მაგრამ გულში მაინც ატარებს ტკბილი თავისუფლების უხმო ოცნებას, ხავსებით დარწმუნებული, რომ მას ყოველ წუთში შეუძლია თავისი საპყრობილიდან თავის დაღწევა.

მათის 26-ს.

შენ აღბათ გახსოვს ჩემი ახირებუდი ჩვეულება. მე ხომ ყოველგან პატარა ქოხი უნდა ავიშენო, მყუდრო კუთხე უნდა გავიხიხო.

აქაც მოვსძებნე მე ჩემი ადგილი.

ქალაქიდან ერთი საათის სავადზე იმყოფება ვალჰაიმი.

ვალჰაიმში ერთი გორაკია, საიდანაც ხელისგულით მოხიანს გრულიაშემო ველ-მიდამო და სანახები.

ამ გორაკის ზეთავზე ორი საუცხოო ცაცხვი დგას. ამ ცაცხვების ჩრდილში ვხივარ ხშირად, მახლობელ დუქნიდან მოხუცებულ დედაკაცს აძოაქვს ჩემთვის ღუედი, საუხმე, ყავა და ღვინო. ცაცხვების შტოების ქვეშ ეკლესიის მოედანია ქოხმახებითა და სახლებით გარშემორტყმული. ასეთი მყუდრო ალაგი სხვაგან არ მეგულება, დაუჯდები ცაცხვის ქვეშ, შეუიქცევი ღვინოს, ან ყავას, თანაც ჩემს პომერს ვფურცლაგ, ვკითხულობ, თავდაპირველად როცა ამ ცაცხვების ძირას მოვედი, საოცარი მარტობა ვიგრძენი, მთელი სოფელი ეანებში გახულიყო, მხოლოდ ერთი ოთხიოდე წლის ბავშვი იჯდა მიწაზე და მეორე ექვსიოდე თვის ბაგლი მის ფერხით. მოზრდილი



პაწიას მკერდზე იხუტებდა, ეფერებოდა. ამ საოცარმა იდილიამ მე აღტაცებაში მომიყვანა. წამოვიჯექი იქვე მიგდებულ ძველ ერქვანზე და დიდის აღტაცებით დაეხატე, ძველი ქოხმახებისა, დამსხვრეულ, უვარგის ბორბლების, ძველი ერქვანის ფონზე.

ამ შემთხვევამ განამტკიცა ჩემი მხატვრული დევისი მეტი სიახლოვე ბუნებასთან.

მხოლოდ ბუნებაა უხვი მასალა, ბუნება აქმნის დრამატიკულ ხელოვანს. ნორმების შესახებ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ როგორც მოქალაქურ საზოგადოების შესახებაც ბევრი ნიტიების დაწერაც შეიძლება.

ვინც შემოქმედის ნორმების მიხედვით იწვრთნება, იგი უბემურსა და მახინჯს არ წარმოშვებს, როგორც კეთილგონიერ სოციალურ ნორმებზე აღზრდილი ადამიანი არასოდეს ბოროტმომქმედი არ იქნება.

ამავე დროს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დოგმატიური ნორმით მიმდევრობა ჭეშმარიტად ვნებს ბუნებრივ გრძნობებს.

კეთილი მეგობარო, გითხრა საამისო იგავი?

გაბეჯი ქარაგმულად სიყვარულის შესახებ. ვთქვათ, ვინმე ჭაბუკს შეუყვარდა ასული ვინმე, მთელი დღე მისი სიახლოვით სტკბება, დღე და დამეს მიჯნურის აღურსში ატარებს. სატრფოს ანდომებს მთელ თავის ენერჯიას, თავის ჯანსა და საბადებელს. ჭაბუკსა ამგვარს შემოეყრება ფილისტერი და ასე ეტყვის წრესგადასულს და შეყვარებულს: მშვენიერო ჭაბუკო, სიყვარული ღვთით გაწესებულია კაცთათვის, და თქვენც ისე უნდა გიყვარდეთ, როგორც ეს კაცთა სხვევით კიდევაც.

განაწესეთ თქვენი საათები, სამუშაო დრო მუშაობას მოახმარეთ და დასახვეწებლი — მიჯნურსა თქვენსას; მითხსოვეთ — ქონებაც თქვენი მამისეული, საჭირო და აუცილებელი ცხოვრებას მოახმარეთ და ზედმეტად მოეჩიდი — სატრფოსა თქვენსას; ამხაც განსაზღვრული დღეები აქვს ხომ მინეული: დაბადებისა და ანგელოზის დღე და სხვ.

თუ ეს ჭაბუკი ყოველივე ამას მოისმენს და შესაფერადაც მოიქცევა, უთუოდ კარგი ვაჟი დადგება იგი და ყოველ თავადს კურნეული მრხეველად აიყვანოს იგი.

მოვა დრო და სიყვარული მისი დაიშრიტება, თუ იგი მიჯნურია, და თუ ხელოვანია, მისი ხელოვნებაც მიაღწევს აღსასრულს.

ჰოი, მეგობრებო, რისთვის დაწესებულია ასე, რომ გენიის ნიადვარი იშვიათად თუ ამბობდება, იშვიათად ავარდება იგი მაღალ რეგიონებში სულისა თქვენის შესატოკებლად?

ძვირფასხო ჩემო, ამ ნიადვარის ორთავ კიდეზე გულგრილი ადამიანები ცხოვრობენ და მათი წაღკოტები, მათი ველები და ნათესები წაირღვებოდა და წაწყდებოდა აქედებულ სტიქიონისაგან, რომ ცივ გონებას ჯებირების ზღუდეებით არ შეეკრა ნაპირნი თვისნი.

მაისის 27-ს.

როგორც ვხედავ, მე ექსტაზში მომიყვანა ამ იგავებმა, დეკლამაციამ, და მთლად გადამაჟიწყდა უმთავრესი მომეთხრო შენთვის, თუ რა მოუვიდათ მერმე ამ ბაღლებს. მე ორი საათი მოვანდიმე მათ მხატვრულ ჯერეტას, ერქვანზე მჯდომარემ. ქაღალდის ნაჭერი მთლად გადავხაზე.



შეღამებულზე ბავშვებს ხელკალათებით დატვირთულმა ახალბაზრდა დედაკაცმა მოაკითხა და ერთ-ერთს წკრიალა ხმით გადამხდახა მორიახლოდ:

– ფილიპს, ფინად, ხეში პატარავ.

მერმე მე მომესალმა. მე ხალაპითვე ვუპასუხე. მივუხდით და ვუბნებდი: თქვენა ბრძახლებით ამ პაწიების დედა, ბატონო?

მან დაძიმოწმა. უფროსს ხამცხვარი მოუტეხა, პაწიები შედგინა და აკოცა.

– ხეში ფილიპსს ჩავაბარე პაწია და უფროსი ქალაქს წავიყვანე თეთრი პურისა და თიხის კეცების საყიდლად, – ამბობდა დედაკაცი. მე თვალს შევკაკლე ხელკალათაში მდებარე ხივთებს.

– პაწია პახსს წვხიასი უნდა გაუკეთო. ამ აბეზარმა კეცი გაძირეხა ფილიპსთან ბღლაძუნის დროს. გამოუკითხე უფროსი ვაჟის შესახებ და გამოიძვრა, რომ იგი მახლობელ ქელზე ბატებს აძირებს თურმე. აგრეთვე გავიგე, რომ ეს ქალი ხკოდის გაძვის ქალიშვილი ყოფილა, მისი მუუღლე შევიცარიას წახელა მიცვალებული ნათესავისაგან ნაანდერძევ ქონების ჩასაბარებლად. ქალი ძლიერ დანადგლიანებული იყო იმის გამო, რომ ქმრისაგან არავითარი ცხობა არ პქონდა ჯერ მიღებული.

მე გამოძინებდა ამ ქალის მოძორება, ბავშვებს თითო გროში ვახუძე. არ დაეიფიწვე პატარა ბატის მწვემხიც და გამოუკითხვე სამივეს.

უნდა გამოგიტყდე, მეგობარო, ეგ ხომ მძვენიერი ქმნილების შემხედვარეს, დამისაა, გული ამემღვრეს.

ბავშვები ძლიერ მოძინებენ: როცა მე ვხაუხმობ, ისინი ხეში გვერდით სდებთან და შექქვევთან თავიანთ წიგს რძეხა და ეავს. კვირლობით თეთრ უხადოთუხებხაც იღებენ ხახუქრად.

მეტად შემომძინებენ, დედა იმათი მოძობს, პატარებმა არ შემაწუხონ.

მაისის 30-ს.

რაც ამას წინათ მხატვრობის შესახებ მოგწერე, იგივე ითქმის პოეზიისათვისაც.

იქაც მოაგარია უპირატესის შეცნობა. მისი გამოთქმა – უკეთ, გაბეღვა თქმისა.

დღეს მე აქ რომ ხელება ვნახე, ზედმოწვევით რომ აღწეროს კაცმა, წმინდა წელის პოეზია იქნებოდა.

უემშვენიერესი იდილიაც თუ გნებავს.

ფარსავი რომ არ გეგონოს, ვიდგეღმ!

უბირი გლეხი-კაცის ამბავი მინდა მოგითხრო.

იგი თურმე ვინმე ქვრავი დედაკაცის მოჯამაგირე ყოფილა. ვაჟი ფრიად გულტყვილად იხსენიებდა ქვრივს, აქებდა და აღიღებდა მას.

ქვრივს ცუდი მოაბეჭდილება დარჩენია პირველი შეუღლებიდან და ამიტომაც უფროხიდა ხელმეორედ თჯახურ უღელში შებმას. ჭაბუკი ნატრობდა მგლოვიარე ქალის გულის მოგებას და ფიცხა ხდებდა, რომ იმდენ სიყვარულსა და ერთგულებას მოაგებდა ამ დედაკაცს, რომ უკვე განცდილ მწარე გამოცდილებას გაუქარწულებდა.

მე რომ დიდი პოეტის მეტყველების უნარი მქონდეს, სიტყვით-სიტყვაშის გადმოგცემდი მის ნაამბობს, მის მიხვრა-მოხვრას, დაპარავის მანერას, მისი ხმის კარმონიასა და მისი შემოხედვის აღგზნებას. არა, სიტყვით არ გამოითქმება ის საოცარი სინაზე, რომელსაც მისი მეტყველება ამჟღავნებს საუბრის დროს.



განსაკუთრებით გულუბრყვილოდ მომეჩვენა მისი შიში. ვაითუ მე მისი ხატრფო გულარძილ დედაკაცად წარმოვიდგინო. იგი სცდობდა როგორმე დავერწმუნებინე, რომ მათ ჯერ კიდევ არა ჰქონდათ ხორციელი დაახლოება. როცა იგი ამ ქალის სხეულზე მიაბობდა, ეხებით დათუთქუდო თვალებს ნაბაუდა. მე ჯერ არ მინახავს, ეგ'ხომ გახედებულე სექსუალური ეიბი რე მოხდევებოთა ახალგაზრდა ჰაბუკს, ხნიერი დედაკაცის სხეულზე შეყვარებულს.

ამდებოლოს მე მინდა სადმე შევხვედ ამ დედაკაცს, ეხებო მისი აღსაგობა, რომელსაც ეს ჰაბუკი ასე გაუცოფებია. მაგრამ სშირად ვეიქრობ, არა, ისევე სჯობია, მისი მოჩხურის თვალებით ვხედავდე მას შირიდან. ეიბ იცის, რომ ენახო, სულ სხვაგვარად მომეჩვენოს. ვიდრე მის მოჩხურს, და რისთვის წავიწყებდო ეგ'ხომ ნათელი წარმოადგენა მასზე.

იენისის 16-ს.

რატომ ბარათებს არა გწერ?

შენ შეკითხები ამას, გულმისხანო? შენ აღბათ მიხვდები, რომ მე კარგად ვგრძნობ თავს.

მოკლედ გეტყვი: აქ ისეთი ვინმე გავიცანი, ვინც ხემს გულთან ძლიერ ახლოა. დაწვრილებით გააძბო: როგორ, როდის, ან სად?

ეს ყველაფერი საძიებოა. მთაყარია: მე ბუნებური ვარ და კმაყოფილი. ისტორიების წერა არც ისე მემარჯვება.

ანგელოზი?..

ფუი, ყოველი კაცი ასე ეძახის თავის...

არა?

მე ვერ გეტყვი, რამდენად სრულყოფილია, ან რისთვისაა იგი ეგ'ხომ სრულყოფილი?

მან ხემი მოელი გული და გრძობა დაატყვევა და ვბონებ, ესეც საკმარისია.

ამდენი მიაძიება – ეგ'ხომ ნათელი გონების გვერდით, ამდენი სიქველუ – ეგ'ხომ დიდი ხასიათის სიმტკიცის ჯუჯით?

და ასე საოცარი, მშვიდი ბუნება!

ყველაფერი რაც წედან ვთქვი, უმწეო აბსტრაქციებია, რომელნიც დაახლოებითაც ვერ გადმოგცემენ მისი ჭეშმარიტი ბუნების სიაკვარგეს. სხვა დროს გეტყვი, თუმცა არა, სჯობია ახლავე... ახლავე მოგწერ... რაც ეს წერილი დავიწეე, სამჯერ მოვინდომე კადამი გადამეგდო, ცხენი შემეკა'ხმა და გავჭრიდიყავ – მაგრამ არ შემძდიია, დილით სიტყვა მივეცი ხემს თავს არ გავსულიყავ სახლიდან. ყოველ წუთში მივდივარ ფანჯარასთან, ენახო სადაა მზე?

მაგრამ ვერ დავხდლიე გულისხმა... მე უნდა წავსულიყავ მასთან. ახლა ისევე აქა ვარ, ვიღებდმ, ხემი ბუტერბროტი უნდა შევჭამო, სადამოს – წერილები გწერო. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორი სხარულია ხეთვის მისი დანახვა – თავისი რვა დაძმის წრეში.

მე რომ ამ გზით გახვავრდო წერა, ვიცო, შენ ვერას გაიგებ. მაშ მომისმინე, დაწვრილებით გააძბობ.

მე გწერდი ამას წინად, თუ როგორ გავიცანი სამთავროს მოხელე ს..., რომელმაც მოხოვა გწვეოდი სტუმრად თავის მარტყოფში, უკეთ – თავის პაწია სამთავროში.

მე მის თხოვნას ყურადღება არ მივაქციე და მხოლოდ შემთხვევის წყალობით მივაგენი ამ სამთავროში დაფლულ საგანძურს.

აქაურმა ახალგაზრდობამ გადასწყვიტა ბადი მოგვეწყო ადგილობრივი ძაღვების შემწვიბით.







– თ, რატომ არა, ჩვენ აღარებელი ძიები გვყავს და მე სამწუხაროდ დამირჩებოდა, რომ თქვენ მათ შორის უკანასკნელი ადგილი გეჭირონოთ. – შეუხერხებლად დაუბარა მან თავის მრწემს დაიას ბავშვებისთვის ყური ვგლო და როცა მამილო სეირნობითა დაბრუნდებოდა, მისთვის საღაბი ეთქვა.

პატარებს სთხოვა – სოფლის ხათქვამი ისევე გაეგონათ, როგორც მისი, და ისინიც დაპირდნენ – ჭკუთა ვიქნებთყურევენუღი

ექვსიოდე წლის ქერა გოგონამ თავი წამოგვეყურევენდობახა ლოტეს: მენს მაგვირობას სოფლი როგორ გაგვიწვეს ლოტესენ? ჩვენ მენს ვვივარხარ მხოლოდ.

ორი უფროსი ვაჟი ეტლის უკან შემოჯდა და ჩემის თხოვნით ლოტემ ჩება მისცა მათ, ტყეში შესვლამდე წამოგვეყოლოდნენ, მხოლოდ იმ პირობით, თუ მაგრად მოებდაუჭებოდნენ კეპაჟის კოდებს.

ჩვენ ჩებთურად ვისხვით ეტლში და ქაღები უკვე საუბრობდნენ ქაღებსზე და ტახისამოსზე. ლოტემ შეაძღა შეახერა და ბავშვებს უბრძანა ჩამოსულიყვნენ.

ბავშვები ხაზად ეამბორნენ უფროს დას და გამოეთხოვნენ. ჩემმა მხლებელმა ქაღისა მკითხა ლოტეს:

– მე რომ წელან წიგნი გამოგეჩავნეთ, გადაიკითხეთ თუ არა?  
– არა, ეს წიგნი არ მომეწონა, არც წინანდელი, ამიტომაც მადლე უკანვე დაგიბრუნებთ.\*

მე გავოცდი, როცა გავიგე, თუ რა წიგნები არ მოსწონებია მას. მისს ხათქვამში მე ამოვიკითხე მცირედი რამ მისი ხასიათისა და განვითარებისათვის. ბევრ რამეებში ჩვენ საერთო აზრებიც აღმოგვაჩნდა.

და შენ გგონია, ფული რომ მოგცეს და ჯამაგირი, შენ უთუოდ ბედნიერი იქნებოდი, ბედშაჟო, მაგრამ მაინც ნეტარო, შენი უბედობის მიზეზად ამქვეყნიური დაბრკოლება მიგინნევია? და ვეღარც კი გრძნობ, შენი უბედობის მიზეზი შენს დაბნელებულ გონებაში, შენს იავარქმნილ გულშია ჩაფლული და უამისოდ თვით ამქვეყნიური შეფეები ვერას გიშველიან.

იგი უნდა დაიღუპოს, ვინც ავადმყოფს დასცინის, რომელიც შორეულ სათავეს დაეძებს, თავის ტანჯვათა გამამრავლებელს, ვინც ხინდაისის ქენჯნის დასათკებლად წმინდა ავგიდებზე საღარიბოდ დაეხეტიება.

ყოველი ნატკრფალი მისი მიწისპირზე გადარჩენილი წვეთია, მისი შემკრთალი სულის მაღამოს მომცხები, და თქვენ ფუჭ ოცნებას უწოდებთ ამას, თქვენ, სიტყვებით მოვაჭრეო?

ფუჭი ოცნება?

უფალო, შენ ხომ ხედავ ამ ჩემს ცრემლებს?

მამათ სახიერო, უცნობო, ჩემს მიერ უხილავო, შენ, რომელიც თანხლაც ჩემს სულს, სათნოებით აღავსებდი და აწ პირი უკუგვიძრვია ჩემი არიდან, მიხმე, მამათ.

ჩუ სდუმხარ, კმარა.

ან როგორ შეუძლია მამას იმ წუთებში დუმილის დაცვა, როცა უძლები შვილი მამის წიადად მობრუნებული ყელს მოეჭდობა და ეტყვის ასე: მე შენთან ვარ ისევე, მამა, ჩუ განრისხდები, რომ ჩემი დარიბობა ამქვეყნიად უნდა შევწვიო, რადგან ასეთი იყო შენი ჩება, შენი სურვილი.

სოფელი ესე ხომ ყველგან ერთი და იგივეა სხარულსა, ტანჯვასა და შრომაში ჩაფლული.

მაგრამ რაი არს ეს ყოველივე? მე მხოლოდ იქ ვიგრძნობ შეებას, ხადაც შენა ხარ და შენს სიახლოვეს მინდა დავტკბე, მინდა ვიტანჯო, და შენ, საყვარელო, მამათ ხეციერო, ჩუ ხელსა პერავ ამგვარ უძლებ შვილს!..

დეკემბრის 1-ს.

ვიღამედმ,

ის კაცი, რომელზედაც წედან მოგწერე, ის უბედური, ის ბედნიერი, ღოტეს მამის მწერალი ყოფილა თურმე.

და მერმე დიდხანს პყვარებია საცოდავს ღოტე, დიდხანს უმაღლავს გულის სიდრმეში, შემდეგ ჭირს თავი არ დაუმაღლავს.

ღოტეს მამას სამსახურიდან დაუთხოვნია - გაგიუებულა.

შენ ამ რამდენიმე სიტყვიდან გაიგებ, როგორ ამართოდა მე ამ ამბავმა, რომელიც აღბურტმა ისე გულგრილად მიაშბო, როგორც შენ გადაიკითხავ აღბათ ამ წერილს.



დეკემბრის 4-ს.

ვიღებდამ,  
 მე დიდხანს ვერ გავუძლებ ამ ამბებს.  
 დღეს მის გვერდით ვიჯექ.  
 იგი თავის პიანინოზე უკრავდა სხვადასხვა მელოდებს.  
 მისი დაია ჩემს მუხლებზე დედოფალას ატყავდა.  
 მე ცრემლები მომყრია.  
 თავი ჩავქინდრე და მისი ნიშნობის ბეჭედი თვალში მომხვდა.  
 ცრემლები დაბადლებით ჩამომდიოდა ღოყებზე.  
 უცებ მას ის ძველი, ხეში საყვარელი მელოდია წამოიწყო.  
 ჩემს სულში იმედის სხივმა გაიელვა, წარსულის მოგონებამ  
 გამახალისა, ავდექ და გავიარ-გამოვიარე დარბაზში.  
 ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის მიატოვეთ დაკვრა.  
 იგი შეჩერდა და ისქითად შემომამშტერდა.  
 ვერტერ, — მოთხრა ღოტემ ნელი დიმილით, — თქვენ ავადა ხარო,  
 მეგობარო, თქვენი საყვარელი მელოდებიც გუფს გიხერავენ. დამშ-  
 ვიდდით, გთხოვთ თავი დაიმშვიდით.  
 მე გაუცილდი მას. გავეცალე.  
 დემროს,  
 მაკმარე, მაკმარე ესოდენი ტანჯვა და ვნება.

დეკემბრის 6-ს.

მისი ახრდილი არ მახვეჩებს.  
 მისი ახრდილი ყველგან თანა მსდევს.  
 თვალს რომ დაუხუჭავ, თვალს რომ გავახეღ, ყველგან, ყოველთვის  
 თვალწინ — მისი თვალები.  
 მე ამ გრძნობის გაბოთქმაც მიმიძის.  
 თვალს რომ დაუხუჭავ, როგორც უფსკრული, როგორც სღვა  
 შედახდება ეს თვალები.  
 რა საცოდავია ადამიანი, ეს ნაქები დემროსკაცი!  
 მას სწორედ იქ დააკლდება ძალა, სადაც ყველაზე უფრო მეტი  
 სულის მხნეობა უნდა გამოიხინოს.

გამომცემელის მიმართვა მკითხველისადმი

რაროგ მეწადა, ჩვენი მეგობრის უკანასკნელ დღეებზე რაც შეი-  
 ძლება მეტი მისივე საკუთარი ხელით ნაწერი მასალები მომეგროვე-  
 ბინა, რათა მე თვითონ არ დამჭირებოდა მისი წერილებით გაბმული  
 მოთხრობის ძაფი გამეგრძელებინა.  
 მე დაწერილებით გამოვკითხე ამ ამბების შესახებ ყველას, ვინც  
 კი ახლო იყო მახთან იმ წუთებში.  
 მათ მიერ მოთხრობილი ამბავი მარტივია და მცირეოდენის  
 გამონაკლისით თითქმის სუსტად ეთანხმებიან ერთიმეორეს. მხ-  
 თლოდ მოქმედ პირების გრძნობათა დახასიათებასა და მსჯავრის  
 დადებაში მცირედი ეთანხმობა შევამჩნიე.  
 ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არ საკმაო ჯაფით მონახ-  
 ვეჭი ამბები და ცნობები მიუდგომლად ისევ მოვითხროთ. ჩემი  
 ვაღია ვერტერის მიერ დატოვებული წერილები და ნაწერები, მცირე-  
 ეოდენი შენიშვნებიც ქადაღდის ნახევზე სათანადოდ დავაღაგო  
 წინამდებარე წიგნში და მოქმედთა სოგიერთი რამ საქციელი  
 ნათელყო და გავაშუქო.  
 უგუნებობა და დარდი უფრო და უფრო ერეოდა საცოდავ ვერტ-  
 ერს, ფესვებს იღვამდა და მოუღ არსებას ეუფლებოდა.



მისი სულის ჰარმონია მთლად დაიფუჭა, საზოგადოებაში გაღიშებულს ვეღარ ნახავდით.

ალბერტის მეგობრებმა გადმოძვეს, რომ ვერტერი ხშირად უმართობედ მოხედობდა ალბერტზე, ამ ხინებულ, წყნარ და თავმდაბალ კაცზე, რომელსაც ბუდმა ასეთი დიდი ბედნიერება წილად არიყუნა. ხოლო თვითონ საცოდავი ვერტერი უქმად ფლანგავდა თავის ქონებას.

ალბერტი სავსებით არ გამოცვლილა უკანასკნელ ხანებში იხუთივე დარჩა, როგორსაც ვერტერი თავიდანვე იცნობდა და პატივს სცემდა.

მას ძლიერ უყვარდა ლოტე და უხაროდა, როცა ხედავდა, რომ ყოველი ადამიანი აფასებდა ამ ქალში ღვთიურ მშვენიებას.

განა ალბერტი გასაკიცხავი იყო, რომ იგი იჭვის ნატამალსაც არ შეიმჩნევდა, მიუხედავად იმისა, რომ თავის საუნჯეს არც არავის გაუყოფდა ან დაუთმობდა.

მათვე აღნიშნეს, რომ ალბერტი ლოტეს ოთახიდან გამოდიოდა, როცა ამჩნევდა, რომ ვერტერს მისი სიახლოვე ეძძიმებოდა.

ლოტეს მამა მძიმე სენმა შეიპყრო იმუამად თურმე და ამიტომაც იგი კარში არ გადიოდა.

მან თავისი ეტლი გაუგზავნა ლოტეს და ლოტეც გაემგზავრა. საუცხოო ზამთრის დღე იყო – პირველი თოვლი უხვად ფარავდა არემიდამოს.

ვერტერი ფეხით წავიდა საბაზიერო სასახლეში იმ აზრით, რომ თუ ალბერტი ლოტეს მეორე დღეს არ მოაკითხავდა, თავად გაეცილებინა ლოტე მინისაკენ.

ნათელმა დღემ მის მოქუშულ ბუნებაში ვერავითარი ცვლილება ვერ შეიტანა.

მის წარმოდგენაში მწუხარე მოგონებები და სურათები აეკვიატნენ ერთიმეორეს.

თვით რომ დღე-მუდამ თავის ბედზე აღრენილი იყო, ასე ეგონა სხვებიც ამგვარი სენით შეპყრობილი უნდა იყოსო. მან წარმოდგინა თითქოს თვითონ ყოფილიყო იმის მიზეზი, ვითომდაც ალბერტისა და ლოტეს ჰარმონიული დამოკიდებულება რომ ირღვეოდა მის თვალწინ – და ყველაფერი თავის თავზე გადაიბრალა.

დიახ, დიახ, ეუბნებოდა იგი თავის თავს გზადაგზა კბილების დრტყენით, ეს არის განა ნაზი, გულჩვილი მეგობრობისა და ერთგულების ნიმუში?

ალბერტს სხვა ყველაფერი უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე ძვირფასი მეუღლე თვისი.

და შეუძლია განა მას თავის საუნჯეს შესაფერი რომ დასდვას ფასი?

მისთვის ესეც საკმარისია: ლოტე მას ეკუთვნის, ლოტე მისია და ესეც კმარა.

მე ისიც ვიცი, მე იგი გამაცოფებს, მე ის აზრიც შემომეჩვია, რომ მე მომკლავს ალბერტი და მშვიდობით მაშინ, მეგობრობავ.

განა მე არ ვგრძნობ, რომ მას არაფრად ეჭაშნიკება ჩემს მიერ ერთგვარი ყურადღება ლოტეს მიმართ?

მე კარგად ვგრძნობ, მას ჩემი ჩამოცილება აქვს მოწადინებული, მას ჩემი სიახლოვე ჭაპანად აწევს.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ვერტერი გზაზე, გზადაგზა ჩერდებოდა, ყოყმანობდა, თითქოს უკანვე გაბრუნებას აპირებო.

ბოლოს მიაღწია საბაზიერო სასახლეში.

ჭიშკარში შევიდა.

იკითხა ლოტე და მამა მისი.

მთელი სახლი აფორიაქებული დახვდა.



უფროსმა ვაჟმა უამბო: ვალჰაიმში უბედურება მომხდარა თურ-  
მე: ერთი გლეხი მოუკლავს ვიდაცას.

ლოტე მამას აშოშმინებდა. ავადმყოფი არ უჯერებდა და წა-  
მოდგომა ეწადა, რომ ბოროტმოქმედების ადგილზე წახველიყო და  
გამოეძიებია მკვლელობის მიხეხი.

ამ ამბავს ვერტერი გულგრილად შეეგება. <sup>ერეკუნული</sup>  
მკვლელის ვინაობა ჯერ ვერ გამოერკვირებო. <sup>მოკლულის</sup> ცხე-  
დარი სახლის კართან უპოვხიათ დილაადრიან.

მოკლული აღმოჩენილა ვინმე ქერივის მოსამსახურე, რომელ-  
საც წინად სხვა მოჯამაგირე ყოფილა და მის წახველაზე აურზაური  
ატყებოდა ქერივის ოჯახში.

როცა ვერტერმა ეს გაიგონა, წამს წამოიჭრა.

– ხუთუ ეს მართალია! – წამოიძახა.

დაუყოვნებლივ უხდა წავიდე.

მართლაც გაემურა ვალჰაიმისკენ.

მოაგონდა ყოველივე და დარწმუნდა კიდევაც, რომ მკვლელი  
უნდა ყოფილიყო ის კაცი, რომელმაც თავის გულის საიდუმლო  
გაანდო ვერტერს.

ცხედარი ღუქნისკენ გადაეტანათ, ახე რომ ვერტერს გზაში ცაცხ-  
ვების გვერდით უხდა ჩაეარნა.

გულისამრეკვად მოეჩვენა ახლა ის არე, სადაც ამდენი სიხარუ-  
ლი განუცდია ოდესღაც.

კარის ალაგი, სადაც მეზობლების ბავშვები თამაშობდენ ჩვეუ-  
ლებრივ, სისხლით იყო შეღებილი.

სიყვარული და ერთგულება – უღამაზესი ადამიანური გრძობანი  
ძალადობად და მკვლელობად ქცეულიყო.

ხსიერ, ძალთვან ხეებს გაშიშვლებული შტოები ზეცისთვის შეეშ-  
ვირათ.

თვალწარმტაც ბუჩქებს ზღუდეების ძირას, მწვანე სამოსი აღარ  
ამკობდა და სამარეს ღოდები თოვლს დაეფარა.

როდესაც იგი იმ ღუქანს მიუახლოვდა, სადაც მოელ სოფელს  
თავი მოეყარა, საშინელი წივილ-კივილი ატყდა.

შორიდან გამოჩნდა შეიარაღებულ მამაკაცების მოელი ჯგუფი  
და ყოველი მათგანი ყვიროდა: მკვლელი დაეჭირეთო.

ვერტერი შესდგა და დააკვირდა... დიახ, ეს იყო ის ვაჟი, იმ  
ქერივი ქალის შეყვარებული, რომელსაც იგი ხვდებოდა ამ მიდამო-  
ში, ბრაზისაგან გახელლებულს.

“ეს რა გიქნია, შე უბედურო!” – წარსოქვა მან და ტუსადს  
მიაშურა. ტუსადმა მღუმარედ შეჰხედა და გულგრილად ჩაილაპარ-  
აკა: “იგი არც ერთის აღარ იქნება, არც ერთი მისი აღარ იქნება”.

ამ საშინელმა შეხვედრამ მოელი მისი შინაარსი ააფორიაქა, და  
ამ ამბავმა გადაავიწვა წამიერად მას საკუთარი ურვა და სიძი-  
მილი.

და ერთადერთი სურვილი იბრძოდა ახლა ვერტერის გულში: ეს  
უბედური რაიმე გზით გადაერჩინა.

ვერტერი ხედავდა, თუ რა დიდი უბედურება დასტეხოდა თავზე  
საეოდავს და მისი აზრით, მკვლელი არ უნდა ყოფილიყო დახჯის  
ღირსი. ამ აზრებმა ისე მაგრად გაიდგეს მის გულში ფესვები, იგი  
დარწმუნებული იყო, რომ ის სხვასაც დაარწმუნებდა. იგი გაბრუნ-  
და საბაზიერო სასახლეში და გზადაგზა აღაგებდა აზრებს თუ  
როგორ, რა გზით გაემართლებინა მკვლელი.

ოთახში რომ შევიდა, აღბურტიც იქ დახვდა. ამ ამბავმა აუშ-  
დვრია ვერტერს გუნება. მაგრამ ძალ-ღონე მოიკრიფა და გულმხ-  
ურვადედ წარუდგინა სამთავროს მოხელეს თავისი მოსაზრებები.



ვერტერი ყოველივეს გულმოდგინედ, მჭევრმეტყველურად აღწესხავდა, და ცდილობდა გაემართლებინა საცოდავი ვაჟი. სამთავროს მოხელე მისმა ნათქვამმა ვერ აღელვა, წინააღმდეგ მან სიტყვის დათავება არც კი აცაღა. ჩვენს მეგობარს, არ მოუწონა ამგვარად განსჯა, გააკიცხა კიდევ, რომ კაცისმკვლელს გამოექომაგა.

და აგრე მიუგო ჩვენს ვერტერს: თქვენს მსჯელობას რომ აუკეთო, ყოველი კანონი უნდა გაუქმდეს და სახელმწიფოს მჭევრმეტყველებას საფუძველი გამოეთხაროს.

სიზღირითება

თანაც დასძინა, რომ იგი ასეთ შემთხვევაში სავსებით უძლურია, თუ დიდი პასუხისმგებლის ტვირთვა არ იკისრა, ამჟამად ყველაფერი კანონიერი გზით უნდა იქნას წარმოებული.

ვერტერი მაინც არ ტყდებოდა, და სთხოვა ღოტეს მამას, იმ შემთხვევაში, თუ ტუსადს გაქცევას მოუხერხებდა ვინმე, საგანგებო ზომები არ მიეღო.

ეს აზრიც არ მოუწონა მოხუცმა ვერტერს.

ბოლოს აღბერტიც ჩაერთა მათ საუბარში და მოხუც სიმამრს გამოექომაგა.

ვერტერი ძლიერ გულნატკენი წამოდგა. სამთავროს მოხელემ კიდევ ერთი წინადადების თქმა მოასწრო:

— არა, მას აღარაფერი უშველის აწი.

და ვერტერიც თავის გზას გაუდგა.

თუ რა მიიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ვერტერზე ამ სიტყვებს, ამ სტრიქონებიდანაც სჩანს (ეს უბრალო ქაღალდის ნაგლეჯზე წაუწერია მას): “ბედშავო, შენ ვედარაფერი გიშველის აწი. და მეც ვხედავ, რომ ჩვენ ვედარაფერი გვიშველის ამიერიდან”.

რაც აღბერტმა გამოსთქვა ტუსადის შესახებ იმ დღეს სამთავროს მოხელის გასაგონად, ვერტერს ზიზღსა პგვრიდა.

მისი აზრით, აღბერტს ამგვარად მისი გულის დაკოდვა ეწადა, მაგრამ ამ ამბავს ღრმად რომ ჩაუფიქრდა, დარწმუნდა კიდევ, რომ სიძე და სიმამრი მართალნი იყვნენ ამ შემთხვევაში.

მაგრამ ამ ჭეშმარიტების აღიარება ვერტერის აზრით, მისივე რაობის უარყოფას მოასწავებდა.

მის ქაღალდებში ჩვენ ამგვარი წარწერა ვიპოვნეთ ამ ამბის გამი:

“რა აზრი აქვს ან იმას, რომ მე ჩემს თავს ვარწმუნებ, რომ აღბერტი კეთილია და რიგიანი, ეს სწავს და დაგავს ჩემს შინა არსებას — მე არ შემიძლია ვიყო მისადმი მიუდგომელი”.

\* \* \*

რადგან ბუნება დაშოშმინდა და წყნარი საღამო დაიჭირა, თოვლი დაილეღმა და მოშუშდა, ღოტე და აღბერტი ფეხით წავიდნენ შინისაკენ.

ღოტეს გულს აკლდა, რომ ვერტერი აღარსად იყო. აღბერტმა სწორედ ვერტერზე ჩამოაგდო ღაპარაკი.

იგი კიცხავდა ვერტერს:

შეეხო მის ბედითს ვნებებს და სურვილი გამოსთქვა, რომ ძლიერ კარგი იქნებოდა, ღოტეს ვერტერი ჩამოეცილებინა რაიმე გზით.

მე გთხოვ, ღოტე, — განაგრძო აღბერტმა, — ეცადე როგორმე შენს მიმართ საქციელი შეაცვლევინო და ეგზომ სძირი სტუმრობაც აღუკვეთო.

ხალხი ამ ამბავს ყურადღებას აქცევს, ალაგ-ალაგ ამაზე კიდევ ჩურჩულებენ.

ღოტე განუქმდა.



აღბურტმა, როგორც სჩანს, ამ სიხუმესაც აუღო ადღო და ამის შემდეგ ვერტერს არ ახსენებდა ღოტესთან და როცა ღოტე ვერტერზე სიტყვას ჩამოაგდებდა, აღბურტი სიტყვას სხვა საგანზე გადაიტანდა.

უძედეგო ცდა საცოდავი მკვლელის დახახსნელად, უკანასკნელი აელვარება იყო, ნასაქრობად განწირული.

ამის შემდეგ იგი მოღაღ მწუხარებამ და გდოვამ-მადევა განსაკუთრებით მაშინ წარუკვეთა ვერტერს, როცა გაიგო, რომ მკვლელი ახლა უარზე დამდგარა და შესაძლებელი იყო იგი მოწმედ გამოეძახათ სასამართლოში.

ეს სამწუხარო ამბავი, საელხოში შეხვედრილი უხიაძოვნება, ყველაფერი, რაც კი უბედობა რამ შეხვედრიდა ამ ცხოვრებაში, ადუღდა და აიშალდა მის დამწუხრებულ სულში.

იგი დარწმუნდა განცდილ მაგალითებიდან, რომ უმწეო იყო პრაქტიკული ცხოვრების ადღოს ართმევისა და საქმიანობაში.

ველარც მის უხუგეშო სიყვარულში პოულობდა ვერტერი სანუგეშო რაიმეს, მისი სიახლოვე სულის მშვიდობას ურღვევდა მისთვის საყვარელ არსებას და ყოველივე ამას მოხალოდნელი სამწუხარო შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

აქვე წარმოადგენილი წერილები მკვერმეტყველურად მოწმობენ მის დაბნეულობას, მის ვნებებს, მის სულმოუთქმელ სწრაფვას და ცხოვრების მოყირკებას.

დეკემბრის 12-ს.

“მკირვასო ვიღოქელმ, მე ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, რომელშიაც აღბათ ის ბუღმაჯი უნდა ყოფილიყვნენ, ბოროტი სულისთ შეპყრობილებად რომ არიან საქუესოდ ცნობილნი.

ხანდახან რაღაც საშისელი, ჯერაც განუცდელი სიახსლე დამეუფლება, ეელში წამიჭერს, და, დამისაა, საგულუდან გული ამომივარდეს.

ვაიმე, ვაიმე.

და შემდეგ დავხეტიალობ მე დამით დაბნელებულ მიდამოებში, კაცთა სამტროდ განმსაღებულ ამინდის მოუხედავად.

გუშინ გარე მიდამოებში ვისეტიალე.

უცებ თოვლი გალღვა.

გზაში გავიგე, მდინარე ადიდებულა და ვაღმაიმიდან გადმომსკდარ ნიაღვრებს წაუღეკავთ ხეში საყვარელი ველი.

საოცარი სურათი ვხახე.

კლდეების ნაპრაღებიდან გადმომსკდარიყო თქეში და წაერღვნა ნათესები, ბარდები და გადარჩენილ მკვენარეთა და ხეთა კენწეროები მიწასე დაეფინა გრიგაღს. და მოვარე რომ ამოვიდა და მოღეშულ დრუბლებზე წამოსკეპდა, მე გამაქრეოლა ამ უკმეხი სანახაობის ხიღვამ. ხელებგაშლილი შევსცქეროდი ხემს ფურხით გაშლილ უფსკრულს. თა, ამ ნიაღვარიეთი რომ ამომსკდეს გულდან ტახევა, თქეშად მოვარდნილი და ბობოქარი!.

მაგრამ კამი ხეში ჯერ არ მოწეულა, მე ვგრძნობ ამას, ხემ ვიღოქელმ.

დიდის სიაშით ხემს კაცობას გავეწირავდი, თღონდ შემქედლოს ავეუე ამ გრიგაღს და შევეღეწო იმ შავბნელ დრუბლებს, ან დავეუფლო მპყრობელი ხელით ამ სტიქიონებს, კლდიდან გადმომსკდართ.

აა? ხეთუ თღესმე ეღირსება ბნელში ჩაკირულს, ეს ნეტარება საოცნებო რომ ერგოს წიღად? და გულმოკლული ვდგავარ, გავსცქერი იმ ადგილს აწ უკვე წარღვნის ნიაღვრისაგან, სადაც მე და ღოტე



ვიჯექით მოღ'ხე და ვისვენებდით, ხანგრძლივი გზით დაქანცულუ-  
ბი.

პა, მაშაძისის ყანა, მინდვრები, საბაზიერო სასახლის არემარენი,  
გიქმაუ ნააღვარს წაუღლეკავს მისი ტაღავერი, ოღესდაც მწვანედ  
მოსილი.

ვიდექ მარტოკა.

ახლა უკვე არ მქენჯნის გული, რადგან გული უკვე მერხის მე  
სახიკვდილოდ".



#### დეკემბრის 14-ს.

“რას მოასწავებს ეს, ნეტავი, ჩემო ძვირფასო?

ხანდახან მევე შემინია ჩემივე თავის.

განა ჩემი მისდამი სიყვარული უწმინდესი, უსპეტაკესი, ძმური  
სიყვარული არ არის?

განა ოღესმე თუ აღმძვრია გულში გრძნობა რამ გასაკიცხავი?

მე არ შემოდია ფიცვი დავსდო.

ოცნება!

ამ ღამეს მე ვერთი, მეკრძალვის გამოთქმა, იგი ჩემს მკლავებში  
იყო, მეკრძხე მიყრდნობილი მყავდა და სააღერსო სიტყვების მოჩურ-  
ჩულე ჩემმა ტუჩებმა აღბეჭდეს მის ბაგეზე ათასი კოცნა.

და თვალი ჩემი ევლობოდა ვნებისაგან მოვრად ღოტეს თვალუბ-  
ში.

უფალო, განა მე ამისთვის უნდა ვამკიცხონ, ტკბილი ხმანების  
მოგონებით მვება რომ ვაგრძნო?

ღოტე,

ღოტე!

გავთავდი, ვგონებ!

ჩემი გრძნობები აირია.

ეს მერვე დღეა, გონს ვერ მოვხუდვარ, ჩემი თვალები განუწ-  
ვეტლივ სველია ცრემლით.

აღარსად ჩემთვის მოხვეხება არ მოიძევა, არც არაფერი მენატრება,  
არც არას ვითხოვ.

და უკეთესი იქნებოდა,

წავიდე ბარემც".

ვერტერის გულში დღე-დღე'ხე მკვიდრდება ამ ცხოვრებიდან  
გასვლის მიუცილებლობა.

რაც იგი ღოტეს სახახაყად კვლავ მობრუნდა ამ არემარეში, ეს  
იყო მისი უკანასკნელი იმედი და გამოსავალი.

მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა – ეს ნაბიჯი მოულოდნელად,  
ახქარებულად არ გადაედგა.

მისი სურვილი იყო მაშინ, სიცოცხლეზე ხელი აეღო, როცა ეს  
აზრი საბოლოოდ მომწიფდებოდა.

უკანასკნელი გაკამათება თავისივე თავთან და მისი ეჭვები გა-  
მოსჭვივიან ერთ პატარა წერილის ნაწევებიდან (ხიანს, ვიღპედმი-  
სათვის უნდა იყოს იგი მინაწერი).

ეს ბარათი დათარიღებული არ არის.

“მისი სიახლოვე, მისი ბედი, მისი თანაგრძნობა უკანასკნელ  
ცრემლებს იწვევს ჩემი ჩაფურვლილი სულიდან.

ფარდის ახლა და ფარდის უკან დამადგა, ეს არის საქმე, მაგრამ  
რას მოასწავებს ეს ყოყმანი? რადგან არ ვიცით, რა ამბავია ამ  
ფარდის უკან.

და რომ ვერ მოვადო ხელმეორედ, ვერ მოვბრძანდებით?



ეს ჩვენი სულის თვისებაა გახალისარი. არევ-დარევის და სიბნელის მკრთალი შეგრძნება – რაც ჩვენ არც ვიცით, თუ რას ხიშნავს დაბეჯითებით”.

აქვე მოყვანილი წერილიდან ვაკებულობთ, რომ ვერტერი შეყოფილა და შეეხვია აკვირებულ ბედით ახრებსა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დეკემბრის 20-ს.

“გმადლობთ, ვიდკუნდ, რომ ჩემი სიტყვა სწორედ გაგიგია. დიახ, შენ მართალი ხარ, ჩემო კარგო.

უკეთესია, რომ მე წავიდე, ჩემს გზას ვეწიო.

შენი რჩევა, თქვენთან მიბრუნების შესახებ, არ მომწონს. ისიც ძლიერად სასიხარულოა ჩემთვის, რომ შენ გადამებია ჩემ წამოსაყვანად ჩამოსვლა. მაპატივე, მაგრამ 14 დღე კიდევ შეიცადე და მოუცადე ჩემს წერილს. ხამს არაფერი მოიმკა დამწიფებადის. 14 დღე საამისოდ არც უმნიშვნელო ვადაა.

დედაჩემს გადაეცი: ილოცოს თავის შვილისთვის, და მომიტეოს, რომ ამდენი მწუხარება მივაყენე.

ასეთი ყოფილა ჩემი ბედისწერა: მწუხარება მივაგე იმით, ვისთვისაც სიხარული უნდა მიმეხლო.

მშვიდობით, ძვირფასო. ნუმც მოგკლებია ზეცის კურთხევა. მშვიდობით”.

\* \* \*

რაც ამ ხანებში ღოტეს სულში ხდებოდა, თუ რას გრძნობდა იგი თავის მეუღლისა და უბედური მეგობრის მიმართ, სვეს ვეღარ ვბედავთ ვუვლავურ ამის სიტყვებით გადმოცემას, თუმცა მისი ხასიათის და ბუნების მკვლევს მკრთალი წარმოდგენა მაინც ექნება, თუ რას იგრძნობდა ასეთ დროს ნახი, ხათუთი სულის პატრონი ქალი.

ერთი რამ უტყუარია:

ღოტეს გადაწყვეტილი პქონდა, რამუნაირად ვერტერი ჩამოეშორებინა, და თუ იგი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ამის მიზეზი იყო მისი მხრუხველი და სათხი ბუნება, ვინაიდან მან კარგად იცოდა, თუ რა ძვირად დაუჯდებოდა მისი განშორება ვერტერს, და რომ ეს თითქმის შეუძლებელი იქნებოდა მისთვის.

და ბოლოს ღოტემ შეიგნო, რომ დრო არ იცდოდა.

აღბურტი ხმას არ იღებდა. ეს დემილი მით უფრო ასქარებდა ღოტეს სისრულეში მოყვანა თავისი გადაწყვეტილება.

იმავე დღის საღამოს, როცა უკანასკნელი წერილი მისწერა ვერტერმა თავის მეგობარს, ვერტერი ღოტესას მოვიდა. შობის კვირამდელი იყო.

ღოტე მარტო დახვდა.

დაახახლისი გართულებით თავის პატარა და-ძმებისათვის ნაყოფ სათამაშოების გამოწყობით.

ვერტერმა სიტყვა ჩამოაგდო იმ საამეხე, რომელსაც იგრძნობენ პატარები ამ ხანუქრების დანახვაზე და მოიგონა ის დროებაც, როცა იგიც აღტაცებული ეგებებოდა სახილვებით გახირადღნებულ შობის ხის გამოჩენას დია კარებში.

– თქვენც მიიღებთ პატარა შობის ხეს და სხვა ხანუქრებს, თუ ყონაღად იქნებით.

– რას გულისხმობთ თქვენ ამ სიტყვაში, ძვირფასო ღოტე? – წამოიძახა ვერტერმა, – როგორი უნდა ვიქნე მე?







შეწყდა ეს საუბარი. მერმე აღბერტმა შინაურ საქმეებზე რაღაც ჰკითხა ლოტეს და როცა გაიგო, რომ საქმე ჯერაც არ იყო მოგვარებული, საკმაოდ უკმეხი სიტყვები აკადრა ლოტეს.

ვერტერს წახვლა უნდოდა, მაგრამ თანაც ყოყმანობდა; ბოლოს სუფრა გააწყეს და მან ქუდსა და ჯოხს ხელი წამოაწყო.

აღბერტმა ვახშად დარჩენა სთხოვა, მაგრამ ვერტერს ეს საკმაოდ ნაძაღადევ თავახთანობად მოეჩვენა. გუფერეფე ქადლობა მოახსენა და წავიდა.

შინ მოვიდა, მსახურმა სახათურს ხელი წაავლო, უნდოდა ოთახში შექცოდოდა. მაგრამ ვერტერმა სახათური გამოართვა. ოთახში შევიდა, დიდხანს სტიროდა იგი ხმაძაღლა, შემდეგ ადგა და დაუინებოთ დადიოდა ოთახში. ბოლოს ტანისამოსი გაიხადა, ღოჯინზე დაჰყარა. თერთმეტ საათზე მსახური შევიდა, უნდა ეკითხნა, ხეკმებს ხომ არ გაიხდითო, და ტანისამოსი იქვე იპოვნა მსახურმა.

ვერტერმა ფეხთ გაახდევინა, შემდეგ გაგულისებულმა აღუკვეთა მსახურს ოთახში შემოსვლა, ვიდრე მას არ უხმობდენ წინასწარ.

ორშაბათ დიღას, დეკემბრის 21-ს, მან შემდეგი წერილი მისწერა ლოტეს. მისი სიკვდილის შემდეგ ეს წიგნი დაბეჭდილი იპოვნეს მის საწერ მაგიდაზე და ლოტეს გადახცეს, რაც მე ნაჯერ-ნაჯერად აქვე მომყავს.

\* \* \*

“გადაწყდა, ლოტე, მე უნდა მოვკვდე, და ამას გწერ მე შენ რომანტიული გადაჭარბების გარეშე, გუღდამშვიდებით, სწორედ იმ დიღით, როცა შენ უნდა შეგხვდე უკანასკნელად.

ვიდრე შენ ამ სტრიქონებს თვალს გადააუღებდე, ძვირფასო ჩემო, უკვე შაჳი მიწა გადაეყრება შენს უბედურ ვერტერს, რომელსაც თავის ცხოვრების უკანასკნელ წუთებში სხვა არაფერი დაშთენია მოსაგონებლად, თუ არა მკრთალი სიტკბოება შენი ხეღებისა და შენთან საუბრისა. მე საშინელი დამე გავათიე უკანასკნელად, და იგი იყო ამავე დროს ჩემთვის დამე ეგზომ საწუკველი.

ამ დამეს საბოღლოდ განმკვიდრდა ჩემში ეს ახრი და გადაწყდა ჩემი სიკვდილი: მე უნდა მოვკვდე.

გუშის შენ რომ მოგშორდი, აფორიაქებულმა გრძნობებმა თან გამომსდოეს.

და შემთენითო ჩემს გუღს შენს ხიხღოვეს უსახოთ და უხიხარუღო დაყოვნების ზაფრა და დარდი, ძღიღს მოვადწიე ჩემს ოთახამღის, გონებადაბსეღებუღი დაეკმხე ძირს და, დმერთო სახიერთ, ეს შენ მომანიტე მე სიტკბოება მღუღარე ცრემღთა, ყით ნაზი როვიღი, დახეტყვიღ გუღის მოსარბიღებღად წარმოგზავნიღი.

ათახი გუგმა, ათახი ახრი აირია წამში ჩემს სუღში. საბოღლოდ მაინც გაიმარჯვა ერთმა, ურყევმა: მე უნდა მოვკვდე.

მე დაკწექი და დიღით ადრე რომ გამეღვიღა, ისევე ჯიქურად მუღგა თვადწინ: მე უნდა მოვკვდე.

ეს არ არის სასოწარკვეთა, ეს ჩემი თავის ზვარაკად მიტანაა შენი მაღალი სიყვარუღის საკურთხევეღზე: მე უნდა მოვკვდე.

ო, ლოტე! რათ არ განგაზრახო, საიღუმღლოდ ვეღარ დარჩება, ჩვეს სამში ერთი უნდა წახუღიეთ და ეს ერთიღ – მე მიხღა ვიყვა, ჩემი კეთიღო. ჩემს აფორიაქებულ გუღში მწიგანა გვეღივეით დასიხინებღა ეს ახრი: შენი მეუღლე უნდა მომეკღა. მეც – შენც – ახე იყოს.

როცა შენ მთაზე აირბინო მშყენიერ ზაფხუღის საღამოს, რომეღზეღაც მე გადმოვმღღარვარ ახე ხშირად ძირს გამღიღ ცრამაღლის თვადის მოსავღებად, მიჩხეღე ჩემს საფღავს განმარ-



ტოვებულს მახლობელ ეკლესიის სასაფლაოზე. ნახე ბაღახი მობობინე ჩემი სამარის გარშემო, მომიგონებდე, ძვირფახო ჩემო.

გულდაამწყვდებით დავიწვე ამ წიგნის წერა და ახლა ბავშვით ვტირი”...



ქართული

\* \* \*

ათ საათზე იხმო მსახური ვერტერმა, ტანზე იცვლიდა მსახურები და ეუბნებოდა, რომ იგი რამდენიმე დღით უნდა გაემგზავროს მახლობელ დაბაში. ამიტომაც მსახურს ტანისამოსები უნდა ჩაეღაგებინა; უბრძანა აგრეთვე ანგარიშები გაესწორებინა, თუ ვინმეხი რაიმე ეძარათათ, მეზობლებში განათხივრებული წიგნები მოეტანა, საჩუქრები დაურიგებინა ხელზე მოსამსახურეთათვის, თრი თვის სარგო მიეცა ყველასთვის.

საჭმელი ოთახში მოატახინა. ნასადილევს ცხენით გაემგზავრა სამთავროს მოხელესთან.

მასპინძელი შინ არ დაუხვდა. — დაფიქრებული სეირნობდა ბაღში, მოგონებები შემთავვა. მალე ბავშვები შემოეხვივეს, ეთამაშებოდნენ, მომავალ შობის საღამოს როგორ ესტუმრებოდნენ ლოტეს, საჩუქრებს მიიღებდნენ მისგან.

ხვალ,  
ხუბ,  
კიდევ  
ერთი  
ხვალ.

წამოიძახა ვერტერმა და აკოცა სათითაოდ ყველას, და, ის იყო, წასვლას აპირებდა, პატარამ ეურში ჩასწურწულა, რომ ბავშვებს საახალწლო მილოცვა დაუმზადებიათ მამისათვის, ლოტესათვის, აღბერტისა და ბატონ ვერტერისათვის. მათ გადაუწვევითათ ახალწლის დღეს გადასცეს დანიშნულებისამებრ.

ვერტერი მოუფერა პატარას, საჩუქრები დაურიგა ბავშვებს. ცხენზე შეჯდა, დაუბარა მოხუცი მოყვითხათ და თვალცრემლიანი გაუდგა გზას.

ხუთ საათზე მივიდა შინ, უბრძანა მსახურ ქაღს — ცეცხლს მიხედე, დამქმდის არ ჩააქროთ. მოსამსახურეს საცვლები, წიგნები და ტანისამოსი უნდა ჩაეღაგებინა.

ამის შემდეგ დაუწერია აღბათ ლოტესადმი მიმართული უკანასკნელი წერილის ტექსტი:

„მე შენ არ მედი, შენა გგონია, აღბათ მე დავემორჩილები შენს ნებას და მხოლოდ შობის დამეს მოგინახულებ.

ო, ლოტე, ან დღეს, ან — არახოდეს, შობადამეს ეს ბარათი შენს ათრთილებულ ხელში იქნება, შენი ძვირფახი ცრემლებით დაინამება აღბათ იგი.

მე მიხდა...

მე იძულებული ვარ...

ო, რა კარგად ვგრძნობ თავს, რომ ყოველივე გადაწედა”.

ამასობაში ლოტეს საოცარი გახწობილება დაუფლებოდა.

ვერტერთან უკანასკნელი საუბრის დროს მან იგრძნო, თუ როგორ გაუძნელებოდა ვერტერის განშორება, ან როგორ ღრმა მწუხარება მოიცავდა ვერტერის სულის.

აღბერტის თანდასწრებით გაკვრით თქვა, შობამდის ვერტერი არ გამოივლიხო; ამის შემდეგ აღბერტი ცხენით წავიდა მახლობელ დაბაში ერთ მოხელესთან იმ აზრით, რომ მეორე დღემდის იქ დარჩენილიყო.

ლოტე მარტო დარჩა სახლში. იმ დღეს ბავშვებიც არ მოხუღან მის სახახავად. ფიქრები აიშალენ მის გონებაში.



ლოტე ხომ სამუდამოდ დაკავშირებული იყო თავის ქმართან, მისი სულიერი სიმშვიდე, მისი ერთგულება, თითქოს განგებას ისე მოეწყო, რომ ქველი მეუღლისა და მისი შვილების მომავალ სამკვიდროს მტკიცე საფუძვლად გამხდარიყო.

მეორეს მხრით, ამ ხნის განმავლობაში ვერტერი ისე შეეყოფისა მას, გაცნობის პირველსავე დღიდან ლოტე გრძნობდა, თუ რამდენი ხაერით ახრებით, გრძნობებით და ფიქრებით იქნებოდა ვერტერი ერთმანეთთან დაკავშირებული. ვერტერის სწრაფი მისვლა-მოსვლამ წარუხიციელი შთაბეჭდილება დასტოვა მის გულზე.

ლოტეს მოთხოვნებიად პქონდა გადაქცეული: ყველაფერი საინტერესო როგორც ნაფიქრში, ისე საგრძნობში ვერტერისათვის გაუზიარებინა – და ახლა მისი ჩამოშორება უთუოდ დიდი დანაკლისი იქნებოდა ლოტესათვის, – ცხადი იყო, შეუძლებელი იქნებოდა ამ მძიმე დანაკლისის ანაზღაურება.

ო, ნეტავ შესაძლებელი იყოს ამ წუთში ვერტერი ჩემ დვიდო ქმად რომ გადაიქცეს!

ფიქრობდა ლოტე.

რა ბედხიერი იქნებოდა ლოტე.

მაშინ ლოტე თავის დობილებში მოუნახავდა ძვირფასს ვერტერს შესაფერ სასიძლოს – და აღბერტსა და ვერტერს შორის კვლავ დამყარდებოდა ტკბილი მეგობრობა. ლოტემ წამიერად სათითაოდ გადაარჩია თვისი დობილები, მაგრამ ყოველ მათგანს აღმოაჩნდა სათითო წუნი და ვეღარც ერთი ეცხო ვერტერის შეუძლებლის დირსად იმ წუთში.

ამ ფიქრებში და თცნებაში გართული ლოტე ჩასწვდა საკუთარი გონების თვალთ გულის სიღრმეში მიჩქმალულ ზრახვას, ზრახვას იღუმალს და გაუმხელელს, რომ მას ვერტერი თავისთვის უნდოდა, სხვა არავისთვის.

მაგრამ ისიც იგრძნო წამსვე, რომ მას ეს არ შეეძლო, ეს შეუძლებელი იყო.

მისი ნაზი, სათუთი სული არ იყო ჩვეული დრმა შენადვლიანობას და საოცარი იყო: ამ წუთებში იგი აივხო ენით უთქმელ მწუხარებით და ყოველივე ბედხიერი გამოსავალი ამ წუხიდიდან დახშული მოეჩვენა სამუდამოდ.

გული მისი დაითუთქა სიმძიმითა და ბნელი რამ დრუბელი გადაჰყენოდა მის ნათელ თვალებს.

უკვე შვიდის ნახევარი გამხდარიყო და ლოტემ გაიგონა კიბეზე ამომავალ ვერტერის ფეხის ხმა, და ლოტემ გაიგონა მისი ხმა.

ვერტერმა კართან მოიკითხა დიასახლისი, ის იყო სწორედ.

გულმა რეხი უყო ლოტეს, და ეს იყო პირველად მას შემდეგ, რაც ის გაიცნო.

ლოტე აენტო და ვერტერი ჯერაც არ გადმოძცდარიყო კარის ხდურბდს – მიამახა: თქვენ თქვენი სიტყვის უფალი არა ყოფილხართ.

ვერტერმა ასე მიუგო:

– მე არაფერს შეგპირებივართ.

– ყოველ შემთხვევაში თქვენ ჩემი თხოვნისთვის უნდა გაგეწიათ ახგარიში, და მე ეს გთხოვეთ ჩვენ ორთავეს სულიერ მშვიდობისთვის.

ლოტე ისე დაიბნა, მას აღარ იცოდა, რას ამბობდა, ან რა უნდა მოემოქმედნა. რამდენიმე მეგობარ ქალს შეუთვალა შემოეარნათ, რადგან არასგზით არ უნდოდა ამ სადამოს ვერტერთან მარტო დარჩენა.



ვერტერმა თან მოტანილი წიგნები მაგიდაზე დააწყო — სხვა წიგნებიც მოიკითხა და ამასობაში ღოტე ირყეოდა: ხან ეწადა მისი დობილები მოსულიყვნენ და ხან — კიდევაც ეჩოთრებოდა მათი შემოვლა ამ წუთებში.

მსახური ქალი მობრუნდა და გადახცა ღოტეს: *თქვენი მეგობრები ბოდიშს იხდიან, რადგან მოუცლელობის გამო...*

ახალმა აზრმა გაურბინა ღოტეს გულში. მოხამსახურე გოგო შემოეყვანა ოთახში და ხელსაქმე მიეჩინა, მაგრამ მალე ამ აზრზე დაც აიღო ხელი.

ვერტერი აღელვებული დადიოდა ოთახში.

ღოტე როიადს მიუჯდა და მენუეტი დაიწყო, მაგრამ ხელები არ ემორჩილებოდა.

ღოტემ ძალი მოიკრიფა და გულგრილი გამომეტყველებით დაჯდა ვერტერის ახლოს, რომელიც ამასობაში ჩვეულებრივ ადგილს ჩამომჯდარიყო.

არაფერი გაქვთ საკითხავი?

სოქვა ღოტემ.

მას არაფერი აღმოაჩნდა.

ხემს უჯრაში ოსიანის თარგმასია, თქვენი მოტანილი, აქამდის არ წამიკითხავს, რადგან იმედი მქონდა მთარგმნელისგანვე მომესმინა იგი.

ვერტერმა გაიღიმა, გამოიტანა ხელთნაწერი. ურუხტელმა დაუარა ტანში, როცა იგი ხელში აიღო, და ცრემლები მოადგა თვალებზე, როცა შიგ ჩაჰხედა — დაჯდა და კითხვა დაიწყო:

“გარსკვლავო მწუხრისავ, ანათებ შენებით გავსილი დასაკლის კიდეს, ბრწყინვალე მწვერვალი შენი დაქათქათებს ღრუბელსა შენსას, ტან-ახოვანი რთინებ მარტოკა შენსავე სერზე.

დაკეცა ფრთები უქმურმა არაგმა; შორიდას მოისმის ჩანსქერის ხრიადლი, მჩქევარე სვირთები შორეულ კლდის კედელს აწყდება — და დამეულ მწერების ზუზუნი მოისმის ნელი.

რას უმხერ ნეტავი, სინათლევ ჩატიყო?

შენ იღიმები და მიდიხარ.

შეფრინვით გეახლენ ზვირთები, დაგირთვიდეს მოხასხასე თმუბი.

მშვიდობით, შუქო, მწყაზარო შუქო, მოგვეჩვენე, ოსიანის სულისა ნათელი თვალისჩინო.

“და იგიც მოგვევლინა ძალთვანი კიდევაც.

მე ვხედავ ხემს მხეგადახულ მეგობრებს, ისინი შემოკრბენ ღორასე, როგორც ეს სხეულოათ მათ განვლილ დღეებში, ფინგალი მოდის — დაცვარული ნისლისა სვეტი.

გარსშემორტყმიათ თავისი ღომბულნი — და ამა, სიმღერის ბარდები: გაღარა უღის, ეგერ რინო — ტანახოვანი, ეგერაც აღპინ საამო ხმითა გამყინავი, თავხედი ბარდი.

და შენც, ტკბილხმოვანო მიხონა.

აჰ, როგორ გამოცვლიდხართ, თქვენ, ხემო კეთილნო, მას შემდეგ, რაც ვლადისბდით ხელმახე გამართულ სადიმში, გაზაფხელის პაერიით ვიცვლიდით ბორცვებს და ვთელავდით მობიბისე მოდს”.

“გამოეყო მიხონა ტოლებს, ეღვარებდა მშვენება მისი, თვალნი დაეხარხა ღამაზნი, ცრემლები კიაფობდნენ წამწამსე, ნიავი მახლობელ სერიდან მოპარული, აღიყლიყვებდა მის მხრებზე ჩამომღიღ დაღაღებს.

ჩამობხედდა ვმირების გულში, როცა მიხონა ამღერდა, არაერთხელ უხიდავო მათ ზაღგარის სამარე, და თეთრი კედლას სავანე ბნელი.



კოლმა, ტკბილხმოვანი მგოსანი, მარტოკა შეყნილი სერზე.  
ზაღვარი შეპირდა მოსვლას, მაგრამ კაღთები გაშალა ღამემ.  
ისმინეთ სიმღერა კოლმასი, ბექობზე მარტოკა მჯდარისა.

კოლმა.



“ღამეა, მარტო ვარ. ამეკცა მხარი და ვზივარ სერზე მოებში  
ატეხილა არავი, ზაღვარი გადმომსკდარა კლდის შუქრსზე.  
არ გამანია თავშესაფარი ქოხი, მე სერზე მიტოვებულს ღამით.  
“მოვარეუ, გადმომხედუ ღრუბელთა რიდიდან. გამონნდით, ღამისა  
ვარსკვლავნი.

მაყანო სინათლის შუქო, გამოკვლიე ვზა იმ ადგილამდის, სადაც  
საყვარელი ასვენებს ნადირობით დაქანცულს ჩემს სხეულს – მის  
გვერდით ძევს მშვილდი საისრე, მეძებრები გარშემო დარბიან ქენ-  
თელთ.

მე კი აქ უნდა ვიჯდე მარტოხელა, არავი და თქეში მატულობს,  
ზმუის – და ხმაც ვერ გავიგონე მე გულის მოჯხურისა.

“რატომ ყოყმანობ, ზაღვარო ჩემო?”

ხეთუ მან თავისივე სიტყვა დავიწყებას მისცა.

ეგერ კლდე, აგერ ხე და მქშინავი მდინარეც აგერ, ხომ შემპირდი  
მოსვლასა, როგორც კი ღამე გაშლიდა ფრთებს? ასე ვზა თუ აერია  
ჩემს ზაღვარს? ან სიტყვა დაავიწყდა თავისი?

ხომ მეწადა გაქცევა შენთანა და გავეროდი ამაყ მამასა და  
ძმებს დიდი ხანია, ჩვენი გვარები რომ მტრობენ ერთმანეთს, მაგრამ  
მე და შენ, ზაღვარ, ხომ არა ვართ ერთმანეთის მტრები?

“გავედრები, ქართ, იყუნე მცირე ხანს.

მცირე ხანს დადუმდი, ზაღვარო ხევისაგ, ჩემი ხმა გაიგონონ  
მოებში, რომ მოისმინოს მღევარმა ჩემმა.

“ზაღვარ, ეს მე ვარ, რომ გიხმობ, აქვეა ხე და აქვეა კლდეც.  
ზაღვარ ძვირფასო, ზაღვარ, აქვე ვარ მეცა.

რისთვის აყოვნებ მოსვლას?”

ზაღვარ, ძვირფასო ზაღვარ”... ხომ ხედავ, ჩემო, აღმოხდა მოთ-  
ვარე და ყიხული კამკამებს ხეეში, პირქუში მოებისა მწვერვალნი  
აგრუხულან ნაცრისფერ ცამდე. ვაიმე, მე ვერ ვამჩნევ მას მოების  
ფერდობებზე, აქშინებული ძაღლები არ მაცნობენ მის მოსვლას  
წინასწარ, და მარტოკა ვზივარ მე კლდის ქიმზე.

“ამას ვის ვხედავ, ძირს გაშლილ ტრამალზე მწოლარეს?”

ნეტავ თუ ჩემი მოჯხურია? ან ეგებ ძმა არის ჩემი? მარქვით,  
მეგობრებო, ვინა ხართ?

ორნივე სდუმან.

ვაიმე, როგორ შემკროთალა ამ ღამეს გლახ სული!

ვაიმე, ორივე მკვდარია. მათი დაშნები შეუღებავს აღისფერ სისხ-  
ლს.

ო, ძმაო ჩემო, ო, ძმაო ჩემო, რისთვის მოპკალი ჩემი მოჯხური?

ო, ჩემო ზაღვარ, მოჯხურო ჩემო, რისთვის მომიკალ ძმა, თვალის  
ჩინი?

როგორ მიყვარდით ორივე, როგორ მიყვარდით!

ო, როგორ შეენოდი შენ ათასთა შორის, მთის ბექობზე გამონე-  
ნილი.

ო, რა მძვიხვარე იყო იგი ფიცხელ ბრძოლაში ხმაღამოწვდილი!  
გამეცით ხმა და მიპასუხეთ, ჩემო კარგებო!

მაგრამ ვაიმე, დამუნჯებულან ორივენი სამუდამკამოდ.

გაცივებულა მათი მკერდი, როგორც უბე ბნელი მიწისა.



ო, მთის ნაპრაღით გადმოღუქით, მთის მწვერვალიდან გადმოიხედეთ და ამეტიყუდებით, სულხო ჩემხო, ეამგადასულხო, გახსუნო ბაგე, ჩემი გული აღარ შეკრთება.

მარქვით, ხად გაპქრით, ხად იპოვნეთ მეუდრო სავანე.

რომელ მღვიმეში მოგიძიოთ, რომელ ნაპრაღში მოგიხატოთ? ვერც ერთი სუსტი დაძახება ვერ გამაგონებს მე ამ გრეგალიში, ვეღარც მორთოღვარე პახესს მიგაწვდით მძვინვარე ქარში.

ვხივარ მთის ბექობზე და ცრემლმორეული ვუცხადებ ვთხოვს. გასთხარეთ სამარე, მიცვალებულთა მეგობრებო, მაგრამ მიწას ნუ მიაყრით მათ ჩემს მოსვლაში.

ჩემი ცხოვრება ხიხმარით იღვევა კიდევ ან როგორ უნდა დავრჩე ცოცხალი ამ ქვეყანაზე!

აქ უნდა დავრჩე ჩემს მეგობრებთან, ხალი კლდის ჩქერის ხიხლოვებს მსურს დაყოვნება. როდესაც დამე ჩამოწვება მთის მწვერვალებზე და ტრამალებზე გადაირბენს ფრთამაღლი ქარი, მაშინვე ხლვაურს ამოჰყვება ჩემი სულიცა და ვიგლოვებ კიდევაც ჩემს მეგობრებს, მხეგადასულებს.

შორით მოისმენს მონადირე ჩემს ხმას გლოვისას, შეეძინდება, მაგრამ მაინც მოისმენს, ცივი.

რადგანაც ტკბილი ხმით დავიტირებ ჩემს გულისხწორებს, რადგან მიყვარდა ორივენი სულზე უტკბესნი.

“ეს იყო შენი საამური ხიმღება, მთი, მინონა, ნა'ხო ასულთ რაინდ ტორმანის.

ჩვენი ცრემლები დასტირიან ამგვარად კოლმას და ჩვენი სული მოიდრუბლა სევდით მოცული.

“უღის წამოდგა, ხედო იპურო ჩანგი და გადმოგვცა აღპინის ქება. აღპინის ხმა მხიარულად აედერდა მაშინ, და რინოს სული აკვესებდა ცეცხლის ნაპერწკალს.

მაგრამ ისინი ამ დუხჭირ სავანეში განისვენებენ, მათი ხიმღებიც მიმოიბნა სელმას წიაღში.

“ერთხელ უღის ნადირობიდან გამოიბრუნდა, ვიდრე გმირები ცოცხალნი იყვნენ.

უცობრებოდნენ ორივენი ერთმეორეს ხიმღერაში მთების ბექობზე.

მათი ხიმღერა ნა'ხო იყო, მაგრამ ხაგზე გულის წუხილით, ისინი იგლოვდნენ პირველი გმირის – მორასის დაკარგვას. მისი სული ფინგალის სულს ედარებოდა, მისი მახვილი – თსკარის მახვილს.

მაგრამ იგი მოჰკლეს და იგლოვდა მოხუცი მამა, მისი დათა ცხარე ცრემლით ატირდა მაშინ, ატირდა მაშინ ნა'ხო მინონა, დიდებული გმირის – მორასის ძვირფასი დათ.

მინონამ უღისის ხიმღერა რომ გაიგო, უკან დაიხია, როგორც მოვარე დახავლისა უკუიქცევა, როცა ხლვაურის ამოვარდნას მოედო. დება და ნა'ხ სახეზე დრუბლის რიღეს წამოიფარებს. მეც ჩამოვკარი მაშინ ჩემს ჩახვს და უღისის ხმას ავაყოლე გლოვის ხიმღერა.

## რინო.

ქარი ჩამდგარა და მერეხი დადუმებულა, მოდის შუადღე და დრუბლები იფანტებიან.

ცახცახით ატფობს მთისა ბექობს ცხელი მზის შუქი.

მოწითალო ზვირთი ჩანსქერისა კიაფობს ხევში.

ტკბილია შენი ხელი ეღურტული, დელევ ხევისავ. შენზე უტკბესი მომესმის მე გლოვის ხარი მოხუც აღპინის, მიცვალებულებს რომ დასტირით უხახოთ ხმით.



სიბერეს მწარედ მოუდრეკია ამაყი ქედი ტკბილხმოვანი გმირის აღპინისა.

რად მოხთქვამ, აღპინ, ვითა ქარი გვიანი ღამით, ან ტაღდა ზღვისა შორეულსა ნაპირს რომ ღოშნის?

აღპინ.

“ცრემლები ჩემი, პოი რინო, მიცვალებულთა ხანუკემოდ დაფრქვეულია, ჩემი ხმა – სამარის ბინადართა ხმა არის მხოლოდ. ახოვანი ხარ შენ, მთის ბეჭობზე გადმოდგარს მშვენიერი ამ ტრამაღის ბინადართა შორის; მაგრამ შენაც წასუქცქვი ერთხელ ისევე, როგორც მორარი – და შენს სამარეს დაიტირებს მგლოვიარე ქალწული ერთხელ.

მთების ბეჭობნი დავიწყებას მივცემენ შენც და მშვიდი შენი აქ ეგდება მოუძართავი.

“იყავ ფეხმარდი, პოი, მორარ, როგორც ქურციკი მაღალ ბეჭობისა და ხაშინელი ვით ღამის ცეცხლი შორეული ხეცისა.

შენს განრისხებას ვადარებდი თდესლაც გრიგაღს, მახვილსა შენსას – ხელხართულ თმში ეღვისა ისარს ღრუბელთა შორის.

შენი ხმა იყო ხმა ქუხილისა წვიმიან დღეში, ან თვით ქუხილი შორი ტრამაღის.

მრავალი გმირი მოცველილა შენი ხელითა, შენი რისხვისა აღისქართო გაქარწყლებული.

მაგრამ როდესაც ბრძოლის ველით მობრუნდებოდი, რა ხაზი იყო და რა ხათხო, გმირო, ხმა შენი! და ხახე შენი მზესა ჰგავდა ნაწვიმარ დღითა, და შენი ხახე მოვარეს ჰგავდა მღუმარე ღამით.

და შენი გული ზღვასა ჰგავდა მშვიდად მოვლემარეს, როდესაც ქარი ფრთას დაჰკეცავს და დაიძინებს.

“ვიწროა შენი სამარე გმირო, ბნელია შენი სამყოფელი სამარადქამო.

სამი ნაბიჯით გამოვზომე შენი საფლაფი, სამარე შენი, ახოვანო თდესლაც გმირო.

ოთხოდე ქვა ხავხით მოხილი დარჩენილია შენი ხსოვნის აღსანიშნავად.

და ხე აწ შტოებშემოდარცველი, ხშირი ბაღახი მობიბინე, ქარს აყოლილი.

ეს ყველაფერი თუ ანიშნებს აქ გზადგამოვლილ მონადირეს მაღალმთებისას: აქ ასვენია ძაღოვანი გმირი მორასი, არ მოვა დედა დამტირებლად, აღარც ხასძლო გაიშლის კაეებს. მკვდარია იგი, ვინცა გშობა მწარე ტანჯვაში და თმში მოკლეს ასული გმირი მორგლანისა.

“ვინ არის იგი, ხელყავარჯენს რომ იშველებს?

ვინ არის იგი – თმაჭადარა, თვალცრემლიანი?

ეს მამაშენმა მოაკითხა შენს საფლაფს, მორას.

მამა მოვიდა ერთადერთი პირმშოს საფლაფზე.

მან გაიგონა შენი ძახილი ბრძოლის ველიდან.

მან გაიგონა, ვით დაფანტე ხმლით შენი მტრები.

მამის ყურამდის მისწვდა შენი ქება-დიდება.

იტირე, ბერო,

მორასის მამავ!

“იტირე, მაგრამ შენი შვილი ვერ გაიგონებს.

ღრმა არის ძილი მიცვალებულთა, მათ აღარ ესმის არც ხმაური, არც დაძახება.

ო, ნეტავ როდის ჩაეშვეება ბნელში სინათლე და მიცვალებულს გააგონებს: “შეი, აღსდევინ!”

“მშვიდობით, გმირო, კაცთა შორის უხათხოესო, შეუპოვარო ბრძოლისა ველზე.



ვაიმე, ეელი ევლარ გნახავს შენ აწი გმირო, ტყე ვერ იხილავს აწ შენს მახვილს აელვარებულს.

“შენ თუმცა აღარ დაგრჩენია ძე, ნაშთიერი, ხალხური ლექსი შეინახავს შენს უჭკნობს ხახელს, დრო მომავალი გაიხსენებს ეთუოდ, გმირო, დრო მომავალი გაიხსენებს ბრძოლაში მოკლულს.”

ერეკლე

მამა

“იგლოვდენ ხმადალა გმირები, ყველაზე ხმადალა მოსოქვამდა არმის.

პირში მოიგონა თვისი, ჭაბუკი მოკლული ომში. კარმორ გვერდს უჯდა გმირებს. შორეულ გაღმადლის მთავარი.

რად მოსოქვამს არმისი ასე გულმოკლულად?

ამბობდა თავადი კარმორ, განა თუ შაირი, სიმღერა არ ახარებს კაცთა ხედს უფრო? ისინი ნაზ ნისლის ნაფლეთს მივამსგავსებ, ზღვებიდან გადმოსულს, ყვავილის ელორტებს რომ დათროვილავს და ფურცელი იხარებს შერძე.

მაგრამ ნაშუადღევს მზე იძალეებს, გაიბნევა ნისლი.

რათ დაღვრემილხარ, აგრე, ო, არმის, მკერობელი გორმის?

“აღესიღვარ დიახაც ვარამით, და მიზეზიც მომძევა ამისა. კარმორ, შენ ჯერაც არ იცი, რა მწარეა შეილისა დაკარგვა, ან თუნდაც მოწიფული ქალწულის. მამაცი კოლეგარი ვივის, და ამირა, ქალწულთა შორის უნახესი ასული შენი.

შტოები ფეხვისა ჰყვავიან, ო, კარმორ, და არმის ერთადერთი შტო არის ამომწყდარ გვარის და ჯიშის.

ბხელია საფლავში, დაურა, ხარეკელი გაშლილი შენთვის.

როდის გაიღვიძებ და მოგვასმენ შენს ტკბილსა, მედლოდურ ხმას.

აღხდექით, შემოდგომის ქარებო, აღხდექით, ტრამალზე გაჭკნდით.

მთის ნიაღვარხო, მოსწყდით კლდეების ძუძუ-მკერდს – და დაეშვით ხევში.

გრიგაღინო, შეუტოეთ მუხნარებს, იარე, ო, მოვარეკ, დრუბლებში, გვისვენე ნათელი პირი, მომაგონე ის დამე საზარი, როს ბავშვები დამელუპენ ბრძოლაში, არინდალ ძაღოვანი მოჰკლეს, და დაურა კეკლუცი დაკვარგე.

“დაურა, ასულო ხემო, შეენოდი, ვით მოვარე ცაზე, ან ფურას ბექობზე მომდგარი, თეთრი, ვით პირველი თოვლი, ტკბილი, ვით ხეფირი დამისა.

არინდალ, ხელთ გეპყრა მაგარი მშვიდი, შუბი ხელმარჯვე გსვევოდა.

და მხერა შენი – ვითა ნისლი ზღვების ტაღლებზე, მშვილდი შენი – ცეცხლის დრუბელი გრიგაღის პირზე.

“არმის ბრძოლებში განთქმული მოვიდა, შეიყვარა დაურა, დაურამ შეითვისა იგი და იმედი უბრწყინავდა ორივეს.

“ერატი, ოდგაღისის ძე, განრისხდა, რადგანაც ძმა მოუკლა ოდესღაც არმარმა.

გადაცმული მოვიდა იგი, მუზღვაური ეგონა უბრალო. თეთრად კიაფობდა აურა, თეთრი კულულები შუბლზე, მშვიდი – თვალთა-მხერა მისი.

და არქვა მან დაურას ასე: “უტურფესო ხასძლითა შორის, არმისის ასულო ნატიფო, იქ კლდისა ნაპირას, ზღვის ახლოს, სადაც შტოებში მოსხანს ნაყოფი მწითური ფერად, იქ ელის დაურას –



არმარ, მოესულვარ, რომ სახილო მოგვარო ზღვადაზღვა მამაცხა არმარს.

“ლაურა თან გაჰყვა ზღვაში. ეძახდა, უხმობდა არმარს. — პასუხად მოძახილი ეხმოდა ტაღდისა და სალი კლდეების.

“არმარ, საყვარელო ხემო, რად გინდა შემოკრთეს გული, არნატიხაშიერო? მისმინე, ლაურა ვარ, რომ გიხმობ ზღვაში.

“ერატ მოღალატემ ხარხარით მიაშურა მალევე ქვემოთ. ხმა აიმაღლა ლაურამ, მოუხმო მამას და ძმას.

“ხმამ მოაწია ხმელზე, არინდალ ძე ხემო გადმოვგა ბექობზე, მშვილდი შერხეხოდა ხელში, და მხრებზე ისრების კაპარჭი; გარშემო სუნსუელით მოსდევენ მეძებრები: ყურშია, ქედანა.

“თვალიდა შეასწრო ერატს, ნაპირზე მომავადს რაინდს. შეიპყრო ერატი ფლით და მიაბა მუხისა ხეს.

“არინდალ გადალახა ტაღდები თავისი ფრთამალი აფრით, ლაურა წარუტაცა ზღვისთვის, მოეგვარა ტყვექმნილი სახელში.

არმარ გახრისხდა და ისარი გამოსტყორცნა ფრთამალი, ისარი შენს გულში ჩაერჭო, ო, არინდალ, ნაშიერო ხემო.

“მოღალატე ერატის ნაცვლად შენ გაგწირა მუხთაღმა ბედმა, ხომალდმა მოაღწია ნაპირს და არინდალ ძირს დაეცა უსულო. შენს ფერხით დაიქცა, ლაურა, შენივე ძმის უმანკო სისხლი”. ტაღდებმა დაღეწეს ნავი.

არმარ გადაეშვა ზვირთებში, მოუტაცნა ზღვისათვის ლაურა, ან ზღვაშივე ეპოვნა სიკვდილი.

სწრაფად გააქროლა ტაღდამ არმარის ნავი და ჩანთქა.

მარტოხელამ ნაპირზე მდგარმა გავიგონე ლაურას კივილი, მაგრამ, ვაიმე, შვილო, ვერ გიშველა ბედმაჟამა მამამ.

“მოელ დამეს ვტრიალებდი ნაპირთან, ვხედავდი მოვარის შექხე ლაურას, შორიდან მოყიადე ნავზე. მოელ დამეს მესმოდა კივილი უსასოოდ განწირულ ასულის. იბადა ნაშუადაბევს ქარმა, და ნავი მოახალა რიქრაეზე ნაპირის კლდეების ქიშს.

აღიონზე შესუსტდა ძახილი, იმსხვერპლა ლაურა ზღვამ — და არმარი დახტოვა ობლად და გაქრა სიამაყე ხემო, განადგურდა მეომარის სახელი.

“როდესაც გრიგალი მთას წამოეწევა, როდესაც ზვირთები მთას მოაწევიან, ხათქით და ხარით მოზღვაველება ტაღდა, გავსცქერი მე მაშინ ნაპირის ქიშს.

და ზღვაში ჩაშვებულ მოვარისა შექხე მოღიანდება დაღუპულ შვილების სული, წყვილად რომ დადიან ბილიკზე და-ძმანი დანოქმულნი ზღვაში.”

\* \* \*

ცრემლები ღვარად წამოვიდა ღორტეს თვალოთაგან და გზა გაუხსნა მის გულში დაგუბულ ვარამს. ვერტერმა შესწყვიტა თავისი სიმღერების კითხვა, რვეული განზე გადააგდო, შემოეჭდო ღორტეს ხელს და მწარედ აქვითინდა.

ორთავეს გული აუხქროდდათ, ისინი საკუთარ ბედისწერად მიიჩნევდნენ დაღუპულთა ბედს.

ვერტერის ბაგე და თვალი აუნთენ ღორტეს ხელებზე.

ღორტე ურუახტელმა შეიპყრო, უხლოდა ადგომა, მაგრამ თანაგრძნობა და გულისტკივილი ტყვიასებრ დასწოლიდა გულზე.

ღორტემ ამოიოხრა და ქვითინით შესთხოვა ვერტერს გახეგრძო კითხვა. შესთხოვა ზეციური ხმით.



ვერტერი კრთოდა, მისი გული დაიმდურა ცრემლებით. ხელი წამოაყვას რვეულს და კითხვა გახაგრძო ისევ:

“გაზაფხულისა მადრო ამო, რისთვის-ღა მადვიებ დილით? შენ გინდა მომხიბლო და ამბობ: ციური რთვილით განვიკურთავ ვუღელს. მაგრამ ჭკნობისა დარი უცილოდ დამიდგა მე მოახლოვდა გრივალის სუხოქვა, განმქმარცვა ფურცელი ნორჩი.

ხვალ გამოივლის მგზავრი, რომელსაც უნახაქრქუტდქქე მშვეებით გაეხილი ერთხელ, და თვალმა მომიძიოს მსხმდქქრმმამოვნოს ვერასოდეს აწი.”

მოელი სიმძიმე ამ სტრიქონებისა გულზე შემოაწვა ლოტესა და ვერტერს, ბედისგან გახწირულების ხვედრმა გული დაუთუთქა მათ.

ვერტერი მუხლებზე მოეხვია ლოტეს, ხელები ხელზე წაავლო, მისი ხელისგულით სახე დაიფარა, მკერდზე მიეკრა, ასე რომ მათი მხურვალე ღოყები ეხებოდნენ ერთიმეორეს. მან ხელები შემოკხვია შემდეგ ლოტეს, მკერდზე მიეკრა ათრთილებული ქალი და აღგზნებული ტუჩები დაფარა ვნებიანი კოცნით.

ვერტერ,

ვერტერ!

დაიძახა ლოტემ და ცდილობდა თავი გაენთავისუფლებინა მისი ხვევისაგან.

ვერტერმა ხელები შეუშვა, და ფერხით დაუფარდა.

ქალი დაიბნა, ტორტმანობდა რისხვისა და სიყვარულის მოჯნაზე: “ვერტერ იცოდეთ, ეს უკანასკნელი უნდა იყოს! მე თქვენ აწი ვედარ მნახავთ”. და სიყვარულით ახთუბული თვალებით ერთხელ კიდევ მიხვდა და მიაშურა მახლობელ ოთახს, შევიდა და კარები გადიკეტა.

ვერტერი სახახევროდ იატაკზე იყო გართხმული, ზემო ტანი და თავი დივანზე მიყრდნობილი – და ამ მდგომარეობაში დარჩა კარგა ხანს, ვიდრე მცირე რამ ხმაურობამ გონს არ მოიყვანა.

ეს იყო მსახური ქალი, რომელიც სეფრის გასაწყობად მოეშურებოდა. ვერტერი ადგა, ოთახში გაიარა, ვედარ გაუძლო მარტობას, ოთახის კარამდის მიხუღმა დაიძახა: ლოტე, ლოტე, კიდევ ერთი სიტყვა, კიდევ ერთი... მშვიდობით... სამუდამოდ მშვიდობით...

ვერტერმა უკვე ქალაქის ჭიშკართან მიაღწია. დარაჯებმა იცნეს და მდუმარედ გაატარეს.

იგი თოვლ-ჭყაპში დაეიაღობდა მთა-ველად, მხოლოდ თერთმეტ საათზე მიაღწია შინ.

მსახურმა შენიშნა, რომ შინ მობრუნებულს ქუდი აღარ მოჰყოლია თან.

ვერტერმა გაუბედა ხმის გაცემა, ტანთგახდას რომ შეელოდა, შენიშნა: ვერტერი სულმთლად დახველებულიყო. ვერტერის ქუდი იპოვნეს გვიან მაღალი კედლის ქიმზე, რომელიც ველს გადმოსცქერის. საოცარია, თუ როგორ ავიდა იგი წვიმიან ბნელ ღამით ასეთ სიმაღლეზე.

იგი დაწვა და დიდხანს ეძინა. დილას მსახურმა ყავა რომ შემოუტანა, ვერტერი წერდა ამ სტრიქონებს:

“უკანასკნელად, უკანასკნელად ვახელ, იცოდეთ, თვალებს; აჰ, ისინი აწი მზეს ვედარ იხილავენ.

მხეც აღარ ჩანს, ნისლს დაუფარავს ცისა კამარა. იგლოვებუნებავ-

შენი პირმშო, შენი მოჯნური და მეგობარი მიუახლოვდა უკვე აღსასრულს.

ლოტე, ეს უბადლო გრძნობაა, მწუხრი შემომეხია გულზე და ვამბობ ხემთვის: ეს არის წემი უკანასკნელი დილა, უკანასკნელი!



ლოტე, მე არ მესმის, რას უნდა მოასწავებდეს ეს ბედითი სიტყვა - უკანასკნელი.

მე აღარ შეძრჩა ძალი, მე ვეღარ წამოვდგები და მიწაზე გართხმული ძიღს მივუცემი.

სიკვდილი?

რას ნიშნავს ეს?

დასე, ჩვენ ვიცხებობთ მხოლოდ, როდესაც ეს სიტყვა უკანასკნელად სიკვდილს. მე ძრავალი მიხახავს მომაკვდავი, მე უკანასკნელი მესმის, როგორ უნდა გათავდეს სიცოხლე? ჯერ კიდევ ვეკუთვნი ჩემს თავს, უფრო შენ ვეკუთვნი, პოე, საყვარელო ჩემო.

და სულ ერთ წუთში...

გავქრები.

აღარ ვიქნები.

გავკერები.

ვის იცის, ეგებ სამუდამოდ.

არა, ლოტე, არა, არ მესმის, როგორ უნდა გავქრე, არ უნდა ვიქნე?

როგორ უნდა გავქრე?

ან შენ როგორ?..

რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ეს ხომ უბრალო, ცარიელი სიტყვაა?

ცარიელი ხმაური?

უგრძნობი ხმაური, რომელიც გამოძახილს ვეღარ პოულობს ჩემს გულში.

ლოტე,

მოკვდიომა, ბნელსა და ვიწრო სამარეში ჩაფლვა? მე მყავდა მეგობარი ქალი, რომელიც ჩემს სიჭაბუკეში ყველაფერს მერჩია, იგი მიიცვალა და მე მისი ცხედარი სამარეში მივაცილე. ვხედავდი, როგორ ჩაუშვებს კუბო საფლავში, მესმოდა, როგორ დააყარეს ნიჩბით მიწა და კუბოში ყრულ დაიგრუხუნა, ასე გრუხუნებდა კუბო უფრო და უფრო, ვიდრე მთლად არ დაიფარა მიწით.

მე ვიდექი სამარის კიდესთან ამღვრეული, გარღვეული, შემკრთალი, მთელი ჩემი შინაარსი აფორიაქებული იყო, მაგრამ მე არ ვიცოდი, როგორ მოხდა ეს ყოველივე, როგორ შეემთხვა ეს მას, ან მე როგორ შეემთხვევა თდესმე სიკვდილი?

საფლავი?

არა, არ მესმის ეს სიტყვები.

მაპატიე, ლოტე, მაპატიე, გუშინ - ეს ხომ ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წუთი იყო, ანგელოზო ჩემო, უკანასკნელად ჩემი არსების სიღრმეში გაივლვა ნეტარების აღმძვრელმა აზრმა: მე მას ვუფ ვარვარ.

ჩემს ტუჩებზე კიდევ არ გამქრალა შენგან ამონასუნთქი წმინდა ცეცხლის მღუდარე აღმერი.

მომიტვევ, ჩემო, მომიტვევ.

ასე, მე ვიცოდი, რომ შენ გიყვარდი, ვიცოდი ეს პირველივე შემთხედვის უმაღლ, პირველად ხელის ჩამორთმევის დროს. მაგრამ როცა მოგცილდებოდი და შენს გვერდით აღბერტს შევამხნევდი, იჭვი მახრჩობდა და გულს მიდრღნიდა.

ვახსოვს ის ყვავილები, შენ რომ გამომიგზავნე, იმ ფატალურ საზოგადოებაში, სადაც ვერც ხელი ჩამომართვი, ვერც სიტყვა მითხარი.

მაგრამ ასე ამ შთაბეჭდილებებმა გათარეს ისევე, როგორც ხანდახან მორწმუნის გულზე გადაივლის ხოლმე უცდის წყალობის გრძნობა.

ყოველივე წარმატალია, მაგრამ ვერავითარი უკუხეთი ვერ აღმოფხვრის იმ მხურვალე სიცოცხლის სუბთქვას, რომელიც მე შენს ბაგეთაგან ყაბემე გუშინ.



შენ ჩემი ხარ, ლოტე, შენ ჩემი ხარ სამარადისოდ.

მერმე რა, რომ აღბერტი შენი ქმარია! ეს ხომ მეტი არაფერია, თუ არა ცოდვა ამ წუთისთვის? და იხილ ცოდვა — რომ მე შენ მიყვარხარ, რომ მე მეწადა შენი წართმევა, ესეც ცოდვაა? ცოდვაა?

კარგი, დეე, მე დავისაჯო ამისათვის, უკეთ, მე ჩემს თავს დავსჯი ამიტომ.

მე ვივარა ამ ცოდვის ციური ნეტარება, მე შევისუნთქავ ამისათვის უცხო სურნელებს.

და ამ წუთიდან შენ ჩემი ხარ, ლოტე, მე ადრე მივდივარ მამახემთან და დედაშენთან.

მე მას შევჩივლებ და მე მანუგეშებს იგი. ვიდრე შენც მოხვიდოდე, ვიდრე შეფრფინვით არ შეგეგებები, შემოგეველები, სამუდამოდ შენთან დავრჩები — განუხაზღვრელს წიაღთა შორის.

აღარ ვოცხებობ უკვე სამარის კართან.

მე გამოვფხიზლდი. ჩვენ ვიქნებით, ჩვენ ისევ შევიყრებით.

შენს დედას შევხვდები, და მას გაგანდობ ჩემი დაკოდილი გულის ტკივილებს.

შენს დედას — შენს განსახიერებას”.

\* \* \*

თერთმეტი საათიც არ იქნებოდა, როცა ვერტერმა მსახურს მკითხა, აღბერტი თუ დაბრუნდათ. მსახურმა უპასუხა: მისი ცხენი გაატარესო რამდენიმე წუთის წინად.

ვერტერმა მსახურს ასეთი ბარათი გადასცა:

“აღბერტ, სხვაგან მივემგზავრები და თუ არ გეშეშებით, თქვენი დამბახა მათხოვეთ, გისურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს”.

\* \* \*

ლოტეს უკანასკნელი დამე არ სძინებია. ის, რისიც მას ეშინოდა, უკვე გადაწყვეტილი იყო და იმგვარად გადაწყვეტილი, რაც მას არც კი შეეძლო წარმოედგინა. ჩვეულებრივად მშვიდი ბუნება და სიხელი მისი, უკანასკნელ საღამოს განმავლობაში განცდილმა გრძნობებმა ააფორიაქა და ნაციებით უკანკალებდა სათნო გული.

განა ეს ვერტერის კოცნისა და სვევისაგან შემონახული ცეცხლი იყო, აგრე რომ სწავდა მის გულს, თუ უგუნებობა ამ მოულოდნელ გამბედაობისაგან წარმოშობილი? როგორ უნდა შეხვედროდა იგი ახლა თავის მეუღლეს.

ხომ უნდა ეთქვა მისთვის, რაც გუშინ მოხდა! მაგრამ ამ თქმისაც ვერძალეობდა. ამდენხანს ორივენი სდუმდნენ ვერტერზე და ახლა ლოტეს უნდა დაერღვია დუმილი პირველად და ასეთ აღმონენაზე მიექცია აღბერტის თვალი.

ჯერ იმისაც ეშინოდა მას, რომ აღბერტს მარტოოდენ ვერტერის მოხელის ამბავიც არ იამებოდა და ეს მოულოდნელი კატასტროფა?.. ლოტეს ხომ იტვი არ მქონდა, რომ მისი ქმარი ამ ამბებს მოუდგომლად განსჯიდა? იგი ხომ მუდამ გულახდილი იყო თავის მეუღლის მიმართ და მის ბროლივით გამსჭვირვალე არსებაში აღბერტს აროდეს შეუმჩნეველი მცირედი ხინჯიც, განუჭკვერტელი. ეს ყოველივე აღუვებდა ლოტეს, მისი აზრები წამდაუნუმ ვერტერისკენ მისწრაფოდეს.

მისთვის დაიკარგა ვერტერი. ეძნელებოდა მისი დაკარგვაც, მაგრამ უამისობაც შეუძლებელი იყო.

ყოველივე ამას ერთი საოცარი გარემოებაც ზედ დაერთო.







მაღე მის სულში მომწიფდა მტკიცე გადაწყვეტილება: ფერხ-  
თით დაეარდნოდა ალბერტს და ყველაფერი დაწერილებით მოეთ-  
ხრო მისთვის, რაც გუშინ მოხდა და თავს გადახდა; ეამბნა მისი  
ბრალისა და წინასწარ გრძნობების შესახებაც.

მაგრამ ისევ დარწმუნდა, რომ ეს ყოველივე უნაყოფო იქნებოდა,  
რადგანაც იგი ვერ დაარწმუნებდა ალბერტს, ვერტყეროთ იგი არ  
წავიდოდა.

სურდა გააწყვეს და ღოტეს მეგობარი ქალის მსგავსად; არ უნდოდა დაცვა, მაგრამ არ გაუშვეს და სწორედ სტუმარი შეელოდა  
ორივეს – უხერხული დუმილი დაერღვიათ.

მსახური დაბრუნდა.

ვერტყერი აღტაცებაში მოიყვანა იმის გაგებაში, რომ დამბახა  
ღოტეს ხელით იქნა გამოგზავნილი.

მას პური და ღვინო შემოატანინა, მსახურს უბრძანა ესაუხმა და  
თვითონ წერას შეუდგა:

“ეს დამბახა შენგან ხელშეხაველებია, შენ მოგიცილებია ამისთვის  
მტვერი, და შენ, ციურთ არსებავ, მიდასტურებ კიდევაც ხემს გადაწ-  
ვეტილებას!

ღოტე, შენ მაწკაი მაშ იმ იარადს, რომლითაც მე ბოლო უნდა  
მოვუღო ხემს ცხოვრებას და აჰა, კიდევაც აღსასრული მისი.

მე გამოვკითხე ხემს მსახურს და თურმე, ღოტე, შენ კანკალებდი,  
როცა დამბახას უწვდიდი და ვერც მოგისერხებია, რომ გეთქვა უკან-  
ასკნელი მშვიდობით!

ვაიმე.

ვაიმე.

არა, მშვიდობით.

ღოტე, სეთუ შენი გული ხემთვის კარგამოხურული უხდა დარ-  
ჩენილიყო, თუნდაც იმ წამის გულისხათვის, რომელმაც სამუდამოდ  
დაგაკაკავშირა ხვენ ერთმანეთთან?”

ღოტე, ამ შთაბეჭდილებას თუნდაც ასეული წლებიც ვერ წარხო-  
ცავენ.

და მეც ვიგრძნობ, შენ არ ძაღგობს შეიძულო იგი, ვინც შენთვის  
იწვოდა.

\* \* \*

სახადილევს მსახურს უბრძანა ყველაფერი ჩაეღებინა. გავი-  
და გარედ, კიდევ დარჩენილი მცირეოდენი ვალები გაისტუმრა. ისევ  
მობრუნდა, ისევ გავიდა სახლიდან. წვიმის მოუხედავად დახეტია-  
ლობდა მახლობელ არეშარეში და შეღამებულზე ისევ შინ იყო და  
სწერდა ამ სტრიქონებს:

“ვიღპეღმ, უკანასკნელად თვალი შევაველე ველს, ტყეს, მშვი-  
დობით შენაც, ძვირფასო დედა, მაპატიე, ვიღპეღმ, ახუგეშე იგი.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე, მე ამ ყველაფერი მოვაგვარე, ხვენ  
კიდევ შევხვდებით, მაგრამ უფრო მხიარულნი”.

\* \* \*

“ალბერტ, შენც მაპატიე, რომ უსიამოვნება მოგაყენე სიამის საცუ-  
ლად.

მე შენი თჯახის მეუდროება დავარღვიე, თქვენს შორის იჭვი და  
უნდობლობა ჩამოგთესე, ახლა გათავდა.

მშვიდობით!

ხეტავ ხემს სიკვდილს შემდეგ ბედნიერი იქნებოდეთ ორივენი.

ალბერტ, ალბერტ, ის ახგელოში გააბედნიერე და კურთხევა  
უფლისა ხუმც მოგაკლდებათ თქვენ”.



\* \* \*

იმ საღამოს ვერტერი ძლიერ ვართუღი იყო. ქაღალდებს ალაგებდა, ხოვს სწავდა, ხოვს ხედა, ხოვს დაბეჭდილ პაკეტებში სტოვებდა, ვიღძველების სახელზე. ამ პაკეტებში მე ვიპოვნე რამდენიმე ნარკვევი, დაუმთავრებელი ახრები.

ათი საათის შემდეგ მსახურს ცეცხლი გაახადებინა, დიხსე მოატანინა. როგორც მსახურის, ისე სახლის პატრონების მოყვები დაშორებული იყო ვერტერის ოთახს.

მსახური წავიდა და გაუხადელად წამოწვა, <sup>ქრისტეშვილი</sup> <sup>გადაგან</sup> <sup>მეს</sup> <sup>პატონს</sup> ნაბრძანები პქონდა: ფოსტის ცხენები დიდაადრიან მოძაკითხავენ და მზად იყავით.

\* \* \*

### თერთმეტ საათს შემდეგ

მეუდროებაა ირგვლივ და სიმშვიდეა ჩემს სულშიაც.

გმადლობ, უფალო, უკანასკნელი წუთებისათვის, რომ არ მომაკვლი სიტყვით და ძაღა.

ფანჯარასთან მივედი, ძვირფასო ჩემო! და ვხედავ, კიდევ ვხედავ, მიმქრად ღრუბელთა შორის ვით კიაფობენ ვარსკვლავები მარადიულ ცაზე.

არა, თქვენ არ ჩამოცვივით, რადგან მარადი ძაღა გაკავებთ თქვენცა და მეც.

ვაკვირდები ვენერას, სხივგამკრთად მოკიაფებს, რამდენჯერ თვალი შემძივლია ამ ვარსკვლავისთვის, როცა შენგან ვბრუნდებოდი გვიან, საღამოს.

ხანდახან გრძნობისგან მოვრადს თვალი გამიშტერებია მისთვის, რომ წმინდა გრძნობების თარჯად მიმქნია მე იგი ცაზე.

ო, ღოტე, ყველაფერი ამ ქვეყანაზე შენს თავს მაგონებდა.

შენს სიახლოვებს დანატრებული მე ბავშვივით განგებ თავს ვირთობდი იმ ხაზების სიახლოვით, რომელთათვისაც შენ ოდესღაც ხელი გაქვს შენაველები.

ძვირფასო ხატებაც, ყოველივე ამას შენვე გიტოვებ და გთხოვ გული არ აიცრუო მათზე.

ათახი კოცნა გამოგიგზავნე მე იმ საღამოს შენგან წამოსუღმა და ათახი სათხო სურვილი.

მე შენს მამას მცირე ბარათით ვთხოვე ჩემს ცხედარზე მხრუნველობის გაღება.

– აღმანახი “ხიდი”, ოცდაათი წელი, გვერდი ორას ორმოცდაოთხი.

ფილოლოგებს უევარდათ მისი ერუდიციისა და უანგარობის გამო...



ესწრებოდა სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს, კულუარებში ესაუბრებოდა ქორე ნიკას, ოტენბურგსა და რანიტს, პქონდა მიმოწერა ვერა ნაბოკოვასთან. სათუთად ინახავდა მისგან მიღებულ რელიკვირებს:

“გადაჭრით წინააღმდეგი ვარ”. “არავითარ შემთხვევაში თანახმა არ ვარ”. “პირობები მიუღებლად მიმაჩნია” – ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მერე რეზინის ბუკეტი შეუკვეთა: “უკიმ გ. დრუკერი. გამომცემელი”. შეუკვეთა ემბლემა – ფილიანტზე შემოდებული ბატის ფრთითა და მისამართით.

ამაზე ფული, რაც პქონდა, შემოეღია.

აღვა და სახესხებლად მიხაილ ბარიშნიკოვს მიმართა. ბარიშნიკოვმა ხელი ათას ხუთასი დოლარით გაუმართა და ურჩია, მასაჟი ესწავლა, მაგრამ ნაცვლად ამისა, დაადო თავი და ამკერსტში კონფერენციაზე გაემგზავრა. იქ ორი ხანდასმული სწავლული – ვეუდლე და კარლინსკი გაიძნო, ორივეს მათი მივიწყებული პუბლიკაციები გაახსენა და თავისი განსწავლულობით ორივე გააოცა. უკან მომავალმა გზად მოხუც პოეტს – იური ივასკუს შეუარა, იქ მთელი ორი კვირა დაჰყო და ეს ორი კვირა იმაზე საუბარში გაატარა, ვაგინოვი იყო პომოსექსუალი თუ დობინევი.

და ისევე გაუთავდა ფული.

მაშინ ფიქრად თავისი უნიკალური ბიბლიოთეკის ნაწილი გაყიდა. იმ იმედით, ებრაელი თემა ნუენს ემიგრაციას დააინტერესებოდა, აღებული თანხით ფილიპინგერის “ებრაელი ხუსი” ხელმეორედ გამოსცა, მაგრამ გამომცემლობისთვის, რომელსაც “რუსული წიგნი” ერქვა, ეს მეტად უცნაური არსევანი გამოდგა.

წიგნის გარეკანზე მსხვილი ასოებით მხოლოდ ავტორის გვარი – “ფილიპინგერი” იყო გამოტანილი.

“ებრაელი ხუსი” ხელა იყიდებოდა. იქ, საბჭოეთში, თავისუფლება არ იყო, მაგრამ იყვნენ მკითხველები. აქ თავისუფლება საქმარისზე მეტი იყო, მაგრამ არ იყვნენ მკითხველები.

ამასობაში დრუკერის მეუღლემ განქორწინებაზე განცხადება შეიტანა და ფიქსი ოფისში გადაბარგდა.

ოფისი “ებრაელი ხუსით” იყო გამოტენილი, ფიქსი იქ ყუთებზე ეძინა. ხელფასს ერენბურგის შვილიშვილს “ხუსით” უნახდაურებდა, მაღაზიაში წიგნებს ძეხვში ცვლიდა, წიგნებს მეგობრებს ნუქნიდა.

გახაოცარი კი ის იყო, დრუკერი ყველას უყვარდა, ცოლის გარდა.

ზიამა პიუოვაროვი მაღაზია “დნეპრის” პატრონია, ახლა იგი თაროებზე საქონელს ალაგებს.

საბჭოთა კავშირში ზიამა პროკურორი იყო. ამერიკაში ჩასვლისთანავე ჯერ მტვირთავად დაიწყო ბახარში მუშაობა, მერე ბოსტნეულის ჯიხურში ყოველნაირ სამუშაოს ასრულებდა. და აი, ერთი წლის შემდეგ ჯიხური იყიდა.

ჯიხურს საქონლით ცნობილი ფირმა “დემსა და რახინი” ამარაგებს, რა არ იყიდება – ვოლოგდის კარაქი, რიგის შპროტი, ქართული ხაი თუ უკრაინული ძეხვი. შეგიძლია ქარვის ფარდულიც შეიძინო. ელექტროსამოვარიც, ხის მატრიოშკებიცა და შალიაპინის ფირფიტაც.

ზიამა შრომაში დღე და ღამეს ასწორებს. ეს რეალობისა და ოცნების იშვიათი თანხვედრა, ძალისხმევებისა და შედეგების, შესაძლებლობისა და სურვილის გახაოცარი ერთობაა...



მე მას ბედნიერ ადამიანად ვიხსენი. სურსათი მისი ხტეხია, მისი ბიოლოგიური გარემოა.

ზიადა ისე შეესაბამება თავის დელიკატესებს ჯახურს, როგორც ნაპოლეონი აუსტერიცს. დელიკატესებს შორის ის ისევე ორგანულია, როგორც მოცარტი და "ჯადოსნური ფლეუტის" პრემიერა. ხეყნს რაიონში თითქმის ყველა მისი მოვადლე.



უჩინებელი

თევზის მავაზის გვერდით ძაღლთან ერთად შექმნილი სარეცკი დასეირნობს. აცვია პაჭანიკიანი სპორტული კოსტიუმი, გამკლავებულ თავზე ცელოფანის პარკი აქვს ჩამოცმული.

საბჭოთა კავშირში სარეცკი კულტურის მოღვაწეებზე დაწერილი პოპულარული მონოგრაფიებით იყო ცნობილი. იმავედროულად კერძო გამომცემლობაში გამოხატულად მზადდებოდა მისი ანონიმური გამოკვლევა – "სექსი ტოტალიტარიზმის დროს", სადაც ამტკიცებდა, რომ საბჭოთა ქალების ოთხმოცდაათი პროცენტი ფრივიდული იყო.

მაღე სადამსჯელო ორგანოებმა სარეცკის იდენტიფიკაცია მოახდინეს და იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა. საბაჟოზე სარეცკიმ ერთი ასეთი ისტორიული განცხადება გააკეთა:

- მე არ ვტოვებ რუსეთს, ეს რუსეთი მტოვებს მე!
- თითოეულ გამცილებელს ეკითხებოდა:
- არის აქ აკადემიკოსი სახაროვი?
- თვითმფრინავში ჩაჯდომამდე რამდენიმე წუთით ადრე უცხოეთში ერთი მუჭა მიწის წახადებად თამამად შეაბოჯა გახონზე მაგრამ მიღიციონხერმა გახონიდან გამოაგდო.

- სარეცკიმ ხმამაღლა იყვირა:
- რუსეთი თან ჩექმის ძირებით მიმაქვს!
- ამერიკაში მაშინვე მასწავლებლობა დაიწყო. ასწავლიდა ყველაფერს: ებრაელებს – მართლმადიდებლობას, სლავებს – იუდაიზმს, ამერიკულ კონტრმზურავეებს – სიფხიზლეს.
- იბრძოდა დემოკრატიისათვის. ასე ამბობდა:
- ამისათვის ყოველგვარი საშუალება უნდა გამოიყენო, თვით ატომური ბომბიც კი!

როგორც ცნობილია, ამერიკაში რომ გაგიგონ, წყნარად უნდა ილაპარაკო, მაგრამ სარეცკი ამას ვერ ხვდებოდა. უყვიროდა სოციალური უზრუნველყოფის თანამშრომლებს, ყოველდღიური ემიგრანტული გაზეთის რედაქტორს, მოწყალების დებს საავადმყოფოში... შედეგი კი ის იყო, რომ აღარაფერ უსმენდა. მიუხედავად ამისა, ყველა ემიგრანტულ თაყურისღობას ესწრებოდა და ყვიროდა. ყვიროდა, რომ დასავლურ დემოკრატიას საფრთხე ედის, რომ ჯერადის ფერარო საბჭოთა შპიონია, ამერიკული ლიტერატურა არ არსებობს. სუპერმარკეტებში ხელოვნური ხორცი იყიდება, რომ კარდუმში უნდა დაიბომბოს, ველფერი უნდა გაფართოვდეს.

სარეცკი პროფესიული დამახგრეველი იყო. ნგრევის ინსტიტუტი მასში შემოქმედებითი ჟინის მასშტაბებს იძენდა. მის ხელში ყველაფერი იმსხვრეოდა – იმსხვრეოდა საათები, იმსხვრეოდა მაგნიტოფონები, იმსხვრეოდა ფოტოაპარატები... მწუობრიდან გამოდიოდა კალკულატორები, ელექტროსაპარსები, ხანოებულები...

დაამტკრია რკინის ტურნიკეტი საბვეიში. მის გამო სიტი-პოლის მბრუნავი კარი კარგა დიდხანს საჭყდილი იყო.

- ნაცნობებს შეხვედრისას ასე ეუბნებოდა:
- რა ხდება, საყვარელა? თქვენი ცოლი რაღაც ძაღლიან მოეშვა. ვაჟიშვილი, როგორც ამბობენ, ცუდ წრეში ტრიალებს. თქვენც ავადმყოფურად ხართ სახეზე წამოწითლებული... ძვირფასო, დროა ექიმს მიმართო!



რათღუნ უცხაურიც უნდა იყოს, ზარეცკის პატივს სცემდნენ, ცოტა არ იყოს, ეშიხოდათ კიდევაც.

აი, გამონდა გადაძვარი დისიდენტი კარავაევი. მასი სახე ერთ-  
დროულად მღელვარებასა და ენთუზიაზმს გამოხატავს. ხელში წაუ-  
იხვერი პაკეტი უჭირავს, პაკეტიში, ეტყობა, ღუდისეულები  
უწყვია.

საბჭოეთში ის უფლებების ცნობილი დამცველი იყო. რეჟიმის  
წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებულ გამბედაობას იჩენდა. შეიდ-  
ჯერ შიმშილობა გამოაცხადა, მაგრამ, მორხებოდა თუ არა, მაშინვე  
თავიდან იწყებდა.

ახალგაზრდობაში ერთი ასეთი იგავი დაწერა: ჯიქის გაღია-  
სთან ზოოპარკში უამრავი ხალხია, გაღიის ქვედა ნაწილზე სპილენძის  
ფირფიტაა, ფირფიტაზე ჯიქის ლათინური სახელი წერია, აგრეთვე  
– სად ბინადრობს და რით იკვებება. იქვე მითითებულია, რომ იგი  
ცუდად მრავლდება ტყვეობაში. ამის შემდეგ ავტორი მცირედენ  
პაუზას აკეთებს და კითხულობს:

“თქვენ?”

გადასახლებაში მესამე ვადა რომ ჩაათავა, დასავლეთში გადა-  
სახლეს. თავიდან იქ ინტერვიუებს იძლეოდა და ლექციებს კითხ-  
ულობდა. მერე რაღაც ფონდი დააარსა, მაგრამ მის მიმართ ინტერ-  
ესმა თანდათან იკლო და საჭირო გახდა არსებობისათვის რაღაც  
სხვა გზა გამოეძებნა.

ინგლისური არ იცოდა. დიპლომი არ პქონდა. გადასახლებაში  
შექნილი მტვირთავის, პურის მჭრელისა თუ მენიჟნივეს სპეციალ-  
ობები ამერიკაში არ ფასობდა. მხოლოდ რუსული გაზეთები სწუ-  
ალობდნენ. წერდა ერთადერთ თემაზე – რუსეთის მომავალზე და,  
უნდა ითქვას, აწმყოსთან შედარებით მომავალს უკეთ ახნალიზებდა.

მოგეხსენებათ, წინასწარმეტყველთათვის ეს ჩვეულებრივი ამბა-  
ვია.

ბოლოს იმედი ამერიკამაც გაუცრუა. ახლა უკვე საბჭოთა ხე-  
ლისუფლება, მარქსიზმი და დამსჯელი ორგანოები ენაკლისებოდა  
– აქ ხომ არაფერი იყო ისეთი, რასაც შეიძლებოდა შესწინააღმდე-  
გებოდა.

ბანაკიდან გამოყოფილი ათასგვარი ავადმყოფობის გამო შეეძ-  
ლო ინკალიდის უფლებებით ესარგებლა. ბევრს სვამდა, რაც მოა-  
ვარია, სვამდა ნაბახუსევსაც, მით უმეტეს, ღუდი აქ თავისუფლად  
იყო. ამის გამო წვენი მეტაქსეებიც და ბიზნესმენებიც ზევიდან  
უყურებდნენ.

აგერ საზოგადო მოღვაწე ლემკუსი “შევროლეს” საჭესთან ჯდება.  
საბჭოთა კავშირში ის პროუესიული წამომწყები იყო – აწყობდა  
მასობრივ სეირნობებს, საპირველმაისო დემონსტრაციებისთვის სა-  
დღესასწაულოდ რთავდა ჯანმრთელობის კერებს, წერდა საიუბი-  
ლეო სიტყვებს, კანტატებს, გაღექსილ ინსტრუქციებს ავტომოყვარულ-  
თათვის, თამადაობდა ახალგაზრდების ქორწილებში და ფულს თამა-  
დობითაც შოულობდა. თხზავდა საეკლესიო რეპრიზებს. მაგალი-  
თად, აი, ასეთს:

- ვასია, მოწყენილი რატომ ხარ?
- ხემ თვალწიხ კაცი გუბეში ჩავარდა.
- ამიტომ წაგიხდა გუნება?
- რა თქმა უნდა!.. ის კაცი ხო მე ვიყავი!”

რუსეთი მას პოლიტიკური დევნის გამო დატოვა. დევნა კი აი  
ასეთ კომძარულ უასრობას მოჰყვა:

შეიარაღებული ძალების მესამოცე წლისთავზე ლემკუსმა კან-  
ტატა დაწერა. კანტატა იფიცურთა სახელში იქნა შესრულებული, ის



წამყვანის ტექსტს კითხულობდა. დარბაზში ექვსასზე მეტი ფლოტისა და არმიის წარმომადგენელი იჯდა, დინამიკები ზეიძნ მოულოდნელად გადასცემდნენ. სასულე ორკესტრი მის ზურგს უკან იყო განლაგებული.

თავიდან ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა. დეკლამირებისას ხან ჯარისკაცის ქუდს წამოიცივამდა თავზე, ხან მატროსის უსახელო ქუდს.

კანტატა ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა:

ეროვნული  
ზიზღით

ჩვენს მშვიდობიან სიხმრებს იცავდით,  
მტკიცეხი გახდით გრანიტზე უფრო...  
გმირობისათვის თქვენ – დირსეულებს,  
მშობლიური პარტია ჩვენი  
დირსეულად დაგასახუქრებთ!..

უკანასკნელი ფრაზა დემკუსმა განსაკუთრებულად ხმაძაღლა და მგზნებარედ წარმოთქვა – “თქვენ – დირსეულებს, პარტია ჩვენი დირსეულად დაგასახუქრებთ!..” ამ დროს, ხად იყო და ხად არა, თავზე სცენის საპირწონე, ანუ, უბრალოდ, თორმეტკვილოგრაძიანი ბრეხენტის ტომარა დაეცა.

გულწასული დემკუსი იატაკზე გაიშხლართა, მაყურებელი მხედლოდ მისი საკონცერტო ფეხსაცმლის შეღახულ ძირებსდა ხედავდა.

ორიოდე წუთში დარბაზი მიღიციონერებით აივსო. კიდევ სამი წუთი და მოულოდნელად შენობა უკვე გარშემორტყმული იყო. დემკუსი მოასულიერეს, მაგრამ მაშინვე დააპატიმრეს კიდევაც.

კა-გუ-ბეს მათორმა დივერსიაში დააღანაშაულა, ირწმუნებოდა, ყველაფერი წინასწარ გათვალა, კომუნისტური პარტიის დისკრედიტაციისათვის წამყვანს ტომარა განგებ ჩამოაძხოო.

– კი, მაგრამ, წამყვანი ხომ მე თვითონ ვიყავი! – თავს იმართლებდა დემკუსი.

– მით უმეტეს!.. – არ ცხრებოდა მათორი.

მოკლედ, დევნა დაუწყეს, აუკრძალეს იდეოლოგიური საქმიანობა, სხვაგვარ სამუშაოზე კი დემკუსს წარმოადგენა არ აქონდა.

ბოლოს იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. ოთხი თვე იქ თავისი სპეციალობით მუშაობდა, ემიგრანტებისათვის ნიაგარაზე მახლობრივ ექსკურსიებს აწყოდა, უძღვებოდა სუფრებს, თამადაობდა, წერდა დექსებს, გართმულ განცხადებებს, სადღეგრძელოებს, კანტატებს... მაგალითად, მე მისი ერთი ასეთი სტროფი მახსოვს:

კა-გუ-ბესაგან წუთისოფელგამწარებულებს  
გვახსოვს სიმწარე ყოველი წყენის!  
დე, ამერიკამ, მშობლიურმა,  
დაგვიფაროს მტრისაგან ჩვენის...

სამწუხაროდ, დემკუსს ცოტას უხადინეს. თან ამახობაში მეორე მვიდიც ეყოლა და სწორედ ამ მდგომარეობაში იყო, რომ ბაპტისტები გააცნეს.

ბაპტისტები კი, მოგუხსენებათ, რუსი ემიგრანტების ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ – იქ მათ თავიანთი კაცი სჭირდებოდათ და აი, დემკუსი მათ სათანადოდ შეაფასეს – იყო კარგი მეოჯახე, სიგარეტს არ ეწყოდა, რაც მთავარია, არ ღოთობდა.

ასე გახდა რელიგიური მოღვაწე. სათავეში ჩაუდგა რომელიღაც საიდუმლოებით მოცულ ტრანსმსოფლიო რადიოს, მიჰყავდა რეკლამარული გადაცემა – “როგორ ვიხილოთ დემკუსი?”

გახდა ღვთისმოსავი და სეკულიანი. თვადებს დახრიდა და ჩუმადა ჩაიბუტბუტებდა: “ფირა, ხადიდად, ღვთის ხებით, ხბოს ხორცს ხომ მომიმზადებ?”



ხვენს რაიონში ლეკმუსს ყველა თაღლითად თვლიდა.

აი, ქუჩის კუთხეში უძრავი ქონებით მოვაჭრე არკაშა ლერხერმა შექმნილია — ეტეობა, საუხმისათვის რაღაც განსაკუთრებული საკმაში დასჭირდა.

ლერხელმა კარიერა ბელორუსის ტელევიზიაში რეჟისორობით დაიწყო. მისი ცოლიც იმავე ტელევიზიაში დიქტირებად მუშაობდა.

იყო მეგობრული, ბედნიერი ცოლ-ქმარი, პქონდნათ კარგი ბინა, ორი ხელფასი, პყავდათ ვაჟიშვილი მიშანია და ავტომობილი.

საბჭოეთში არკადი ლერხერს საუკეთესო პროფესიონალად თვლიდნენ. მის ტელენარკვევებს შენელებული გადაღებებით გატაცებაც კი ვერაფერს აკლებდა. მათში გრაციოზულად დაცორვაკდნენ კადმეურსეობის შავრა ცხენები, ხელა იშლებოდა ყვავილები, ტაღლების თავზე ლამაზად დაღიყლიყვებდნენ თოღიები... ლერხერს პარმონია ხიბლავდა, მას იმპრესიონისტად თვლიდნენ. მის მოკლემეტრაჟიან ფილმებს — იმპრესიონისტურად.

ირგვლივ კი სოციალისტური რეალიზმით გაჯერებული ცხოვრება ღუღდა. კელედს იქით ვინმე ბერენდევევი ცოლს უტყაპუნებდა... ფანჯრის ქვეშით ღოთები ხმაურობდნენ... ტელესტუდიის ღირექტორი პირწავარდნილი ანტისემიტი იყო.

და ლერხერებმა ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტეს, მით უმეტეს, იმ დროს უკვე ბევრი ტოვებდა ქვეყანას, მათ შორის მათი უახლოესი მეგობრებიც.

ამერიკაში ლერხერმა დაახლოებით ერთი წელი მხარ-თემოზე წამოწოღიღმა გაატარა. მისი ცოლი უკვე "აღუქხანდერსში" მუშაობდა გამყიდველად, ვაჟიშვილი ებრაულ სკოლაში დადიოდა. თვითონ მხოლოდ ტელევიზიაზე ოცნებობდა. ამასთან, ტიპურ ემიგრანტს არაფერი უგაედა, თავს არ ასაღებდა სახელმწიფო პრემიის ღაურეატად. არ ფანტაზირობდა თავის დისიდენტურ დამსახურებაზე, დასავლური კულტურა კრიზისს განიცდისო, არ ამტკიცებდა.

ერთხელაც მეგობრებმა იმ პროდიუსერს შეახვედრეს, ვისაც რუსული კლასიკის გადაღება უნდოდა და სღაგური წარმოშობის რეჟისორს ეძებდა.

- შეხვედრა რესტორან "ბლოუ-აპის" ტერასაზე შედგა.
- რეჟისორი ხართ? — პკითხა ამერიკელმა.
- არა მგონია, — უპასუხა ლერხერმა.
- ესე იგი?
- ამ ერთ წელიწადში ძღიერი დეგრადაცია განვიცადე.
- ამბობენ, რომ რეჟისორი იყავით?
- ვიყავი, უფრო სწორად, ვითვლებოდი. რეჟისორად სამოცდაშვიდში დავიწყე მუშაობა, მანამდე დამხმარულ ვმუშაობდი.
- რეჟისორის დამხმარულ?
- დიახ. იმად, ვისაც არეის მოსატანად დაარბენინებენ.
- ამბობენ ნიჭიერი რეჟისორი იყოთ...
- ნიჭიერი? პირველად მესმის. ის, რასაც ვაკეთებდი, არახოდეს მაკმაყოფილებდა...
- თ'კვი... მე კლასიკის ეკრანიზაციაზე ვმუშაობ.
- ხეძი ახრით, ყოველი ეკრანიზაცია ნაგავია.
- ეს კომპლიმენტია?
- მინდაღა მეთქვა, უპირატესობას რაიმე ორიგინალურ თემას მიეცემდი-მეთქი.
- მაგალითად?
- მაგალითად, თემას ბუნების შესახებ.
- აქ მოსაუბრეებს შორის ღრმა უფსკრული განხდა, რომელიც სულ უფრო ღრმავედებოდა.
- ბუნება წამგებიანია, ამოგება არა აქვს, — ამბობს იანკი.



– ხელოვნება არ იყიდება!.. – ცხარობს ლერნერი.

და ამის შემდეგ სამი თვე ლერნერმა ისევ მხარ-თემოზე წამოწალიდმა გაატარა, თუმცა მისი ფინანსური მდგომარეობა არც ისე ცუდად იყო.

ჩანს, ლერნერს მატერიალური კეთილდღეობის რაღაც თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, სიმდიდრე და სიღარიბე, ისე როგორც თმის ფერი ან, დავუშვათ, მუსიკალური ხმესა ადამიანის თანდაყოლილი ნიჭია. ერთი ღარიბად იბადება, მეორე – მდიდრად, ფული აქ არაფერ შუაშუა.

მდიდრებს უმძიმეს პირობებში მყოფ ხეკებს შორისაც შევხვედრივარ, ღარიბებს – ბანკის ადმინისტრაციის უმაღლეს მონღეებს შორისაც...

ღარიბები ხარაღს ყოველგვარ ვითარებაში ითმენენ. ღარიბებს იმისთვისაც აჯარიმებენ, მათმა ძაღლმა სადმე უადგილო ადგილას რომ მოისაქმოს. ღარიბს შემთხვევით ხურდა ფული რომ დაუკარდეს, აუცილებლად ღიუკში წაგარდება. მდიდრებისთვის კი ყველაფერი პირიქითაა. ფულს ისინი ძველი პიჯაკის ჯიბეებში წახულობენ, ლატარიაში იგებენ, შორეული ნათესავეები შემკვიდრეობით აგარაკებს უტოვებენ, მათი ძაღლები უხვად ჯიღდოვდებიან გამოფენებზე.

როგორც ჩანს, ლერნერი მდიდრის ქუდბელით იყო დაბადებული. ჯერ იყო, ადგილობრივი დახტისტის ნიუჯაუნდლენდმა უკბინა და ხარაღის ასახაზდაურებლად ბლომა ფული გადაუხადეს. მერე ერთმა იმ ბერიკაცმა მოძებნა, იმპერიალისტური თმის წინ ლერნერს ბაბუისაგან სამი თქროს თუმბიანი რომ ისესხა და სამოცდაათი წლის შემდეგ ის სამი თუმბიანი რამდენიმე ათას დოლარად იქცა. ამის შემდეგ ლერნერს კიდევ ერთმა ნაცნობმა მიაკითხა:

– რაღაც თანხა მაქვს, გამომართვი და შეინახე, იღონე, თუ შეიძლება, ხედმეტად ნურაფერს მკითხაე.

ლერნერმა ფული გამოართვა, კითხვები, რა თქმა უნდა, არ დაუსვამს, უხარებოდა.

ერთ კვირასაც არ გაეკლო, რომ მისი ის ნაცნობი ატლანტიკ-ხიტიში მოკლეს.

შედეგად იმ ფულით ლერნერმა საუცხოო ბინა იყიდა. ბინა ერთ წელიწადში ერთიორად გაძვირდა, გაყიდა და სამი ახალი ბინა მყიდინა. მოკლედ, უძრავი ქონებით ვაჭრობა დაიწყო.

დივნიდან ის ახლა კიდევ უფრო იმუიათად დგებოდა, ფული კი მოედინებოდა და ლერნერიც ხელგამდიდრად ხარჯავდა.

ამერიკაში ცხოვრების მთელი თარმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთადერთი წიგნი იყიდა. წიგნს მეტად შთაბეჭდავი სახელწოდება ჰქონდა – “როგორ დავხარჯეთ სამახი დოლარი საუხმისთვის”...

საუხმის შემდეგ ლერნერი ტელეფონს გათიშავდა და თვლემდა, სიგარეტის მოწვევაც კი უხარებოდა...

მგონი, გამოგრძელდა მესავალი, დროა, დავუბრუნდეთ მარუსია ტატაროვიჩს.

**ქალიშვილი კარბი ოჯახიდან**

მარუსიას მამა – ფიოდორ მაკაროვიჩი საწარმოო-ტექნიკური კომბინატის გენერალური დირექტორი გახლდათ. დედა – გალინა ტიმოფეევნა, ქალაქის ყველაზე მსხვილ სამკერვალო ატელიეს განაგებდა.

მარუსიას მშობლები კარიერისტები არ იყვნენ. პირიქით, თავმდაბალი, მოკრძალებული ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ფიოდორ მაკაროვიჩს, მაგალითად, ერიდებოდა ტრამვაიში ასვლა. ამიტომაც ქალაქკომის მავი მახჭახით დადიოდა, ოფიციალტების ეძინოდა და სურსათს ე.წ. “დახურული გამანაწილებლიდან” იღებდა.



რაც შეეხება გალინა ტიმოფეევას, ხმაურსა და აურხაურს ვერ იტანდა, არც უვარგისი თანამშრომლის გაშვება შეეძლო, ამიტომაც მოხსნით ხაღხს ადგილკომი ხსნიდა, დაჯილდოებით კი სტახანოვლებს თავად გალინა ტიმოფეევას აჯილდოებდა.

მარუხიას არც მამა იყო კარიერისათვის განხილვი და არც დედა, ამას მათ სამოქალაქო გარემოება აიძულებდა.

არის მონაცემები, რომელიც სწრაფი ნომენკლატურული აღმაშენებლის გარანტიას წარმოადგენს. ამისთვის საჭიროა მისი მრავალი და პრიმიტიული რამ — უნდა იყო რუსი, პარტიული ნიჭიერი და დაკვირვებულნი. ამასთან, ყველა ეს თვისება აუცილებელია, ერთის გამოკლებაც კომბინაციას ახრს უკარგავს.

რუსი, პარტიული, ნიჭიერი, ღლითი — არ ვარგა. რუსი, პარტიული, დაკვირვებულნი, მაგრამ არც ისე ნიჭიერი — არ გამოდგება. ყველა ამ თვისების მქონე და უპარტიო — ნდობას არ იმსახურებს და, ბოლოს — დაკვირვებულნი, ფხიხელი, ნიჭიერი, ებრაელ-კომუნისტი — უბრალოდ, გამაღიზიანებელია.

აი, მარუხიას მშობლები კი ოთხივე ამ თვისებით იყვნენ შექცეული. იყვნენ რუსები, დაკვირვებულნი, პარტიულნი და ძალიან ნიჭიერნი — თუ არა, მიღებული წესების უსიტყვო შემსრულებლები მაინც.

ისინი ჯერ კიდევ ომამდე შეუღლდნენ. ოცდასამი წლის ფილოდორ მაკაროვიჩი ინჟინერი იყო, გალინა ტიმოფეევას — მკერავი-მოტორისტი.

მერე 1938 წელი დადგა.

რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდი დრო იყო. ოღონდ — არა ყველასათვის. უმეტესობა დენაევსკის მხიარულ მუსიკაზე ცეკვავდა. გარდა ამისა, დღითიდღე სულ იაფდებოდა და იაფდებოდა ყველაფერი. ერთი კილოგრამი ხიხილადა ცხრამეტი მანეთი ღირდა და ყოველ ფუხის ნაბიჯზე იყიდებოდა.

რა თქმა უნდა, ხერუტდნენ უდანაშაულო ადამიანებს. მიუხედავად ამისა, ერთის დახვრეტა სხვა ათის სასიკეთოდ ხდებოდა. ერთი მარშალის დახვრეტა ათი მისი თანამშრომლის დაწინაურების საწინდარი იყო — გათავისუფლებულ ადგილზე გენერალის აწინაურებდნენ. ამ გენერალის ადგილის პოლკოვნიკი იკავებდა, პოლკოვნიკს მაიორი ცვლიდა. შესაბამისად წოდებებს უმატებდნენ კაპიტნებსა და ლეიტენანტებს.

ერთი მიხისტრის დახვრეტას ათობით სამსახურეობრივი გადაადგილება მოსდევდა, თანაც მხოლოდ ზევით. ქვედა ბიუროკრატიის წარმომადგენლები სამსახურეობრივ კიბეზე ზევით-ზევით აღიოდნენ.

ქარხანაში, სადაც ფილოდორ მაკაროვიჩი მუშაობდა, რვა კაცი დააპატიმრეს, მათ შორის — სამქროს უფროსიც და მისი ადგილი ფილოდორ მაკაროვიჩმა დაიკავა.

იმ ფაბრიკაშიც, სადაც მისი მეუღლე მუშაობდა, ბრიკადირი დაიჭირეს, ხოლო მის ადგილას გალინა ტიმოფეევას დააწინაურეს.

დაჭერები ორ წელიწადს გაგრძელდა. ამ ორ წელიწადში ფილოდორ მაკაროვიჩი ერთი პატარა წარმოების მთავარი ტექნოლოგი გახდა, გალინა ტიმოფეევას — საკაჭრო განყოფილების გამგე.

მერე ომი დაიწყო და მეტალურგიული ქარხანაცა და სამკერვალო ფაბრიკაც სოვოსიბირსკში იქნა ევაკუირებული. სოვოსიბირსკში ფილოდორ მაკაროვიჩსა და გალინა ტიმოფეევას ქალიშვილი შეეძინათ. ქალიშვილს მარუხია დაარქვეს.

მარუხიას მშობლები დრმა ზურგში იყვნენ საჭირონი. თუმცა უამრავმა ადმინისტრაციულმა მუშაკმა თავი შუა ფრონტზე ამოყო.



მათ შორის საუკეთესოები დაიღუპნენ, ფიოდორ მაკაროვიჩი და გალიან ტომოფეევსა კი დააწინაურეს. ვინ გაბუდავდა, ვინ უსაყვედურებდათ?!

მეოცე საუკუნის სამოციანი წლებისთვის მარუსიას მშობლები უკვე მყარად იყვნენ დამკვიდრებულები საშუალო ნომინალურულ რგოლში. ორივე საწარმოს ხელმძღვანელი, ორივე პედაგოგიური საბჭოს დეპუტატი იყო. სარგებლობდნენ ყველა სათანადო პრვილეგიით: პქონდათ უშუქლებელი ბინა, ავარაქვიანული ფისური ავეჯი, ფანჯრებს ქვემოთ ორივეს სამსახურის მანქანა იდგა.

საწარმო, რომელსაც ფიოდორ მაკაროვიჩი ხელმძღვანელობდა, ხანმოკლედ ითვლებოდა. 1970 წელს საწარმო დეინოდ იღის ბრეჟნევი მა მოინახულა და ფიოდორ მაკაროვიჩმა თავი მის წინაშეც იხაზა.

“ბაღახზე სიარული აკრძალულია”, – ეწერა ქარხნის სამმართველოს კორპუსის წინ ხელმიშვებული გახონის ფირნიშზე.

გენერალური მდივანი საწარმოს ოქტომბერში უნდა სწავლიდა. იმის გამო, რომ იმ დროისთვის ბაღახი უკვე გაყვითლებული იყო, ფიოდორ მაკაროვიჩმა განკარგულება გასცა, პუდუერიზატორით შექვლებათ და გახონი მართლაც მწვანედ გადაბიბინდა.

ხამოვიდა ბრეჟნევი. მცველებით გარშემორტყმულმა შენობის წინ გახონს შეხედა და იხუმრა:

– მაშ, აკრძალულია, არა, ზედ სიარული? აბა, ერთი ვცადოთ!

და მტკიცედ გადააბიჯა ბაღახზე.

ყველამ გაიცინა, უცებ ყველამ ტაში დასცხო. ფიოდორ მაკაროვიჩის სიცილისგან მისასაღძებელი ადრეხი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ ბრეჟნევი გადაეხვია და უთხრა:

– აბა, არწივო, მანვეზე შენი საწარმო!

გენერალური მდივანი იმ დღიდან ტატაროვიჩის ყოველთვის მფარველობას უწევდა.

მარუსია უზრუნველყოფილ, ბედნიერ ოჯახში იზრდებოდა. ეზოში მის გარშემო მუდამ დამჯერი, ღამაზად ნაცმული ბავშვები ტრიალებდნენ. სახლი, სადაც ტატაროვიჩები ცხოვრობდნენ, ქალაქის კომიტეტისა იყო და სახლის წინ საგანგებოდ დადგმულ ჯიხურში დღედაღამ მილიციონერი მორიგეობდა, ვისაც, ცოტა არ იყოს, ეძინოდა კიდეც იქ მცხოვრებლების.

ტატაროვიჩების ქალიშვილი უკომპლექსო, ბედნიერი გოგონა იყო. სკოლაში კარგად სწავლობდა, დადიოდა სამედიცინო ცენტრზე. პქონდა როიალი, ფერადი ტელევიზორი, პყავდა ძაღლი, მეცადინეობდა კეთილსინდისიერად, ეწეოდა მშვიდ, ჯანსაღ ცხოვრებას, დადიოდა კინოთეატრებსა და მუსეუმებში.

ფიზკულტურა სქესობრივი მომწიფების ტვივიდს უმსუბუქებდა.

სკოლა რომ დაამთავრა, კულტურის ინსტიტუტში ყოველგვარი ვართულების გარეშე მოეწყო. ამ ინსტიტუტდამთავრებულები, როგორც წესი, მხატვრული თვითშემოქმედების განხრით იწყებდნენ მუშაობას, თუმცა მარუსია დარწმუნებული იყო, მშობლები დაესმარებოდნენ და რაიმე უკეთეს სამუშაოს იშოვიდა, ვთქვათ, რადიოში ან ისეთ უფრხალში, სადაც მუსიკაზე წერდნენ.

ცამეტი წლიდან ირგვლივ მუდამ ინტელიგენტი, კარგად აღზრდილი ჭაბუკები ეხვივნენ. გოგონა ისე იყო მათთან მეგობრობას შეჩვეული, სიყვარულზე თითქმის არ ფიქრობდა, თუმცა თითოეული იმ ახალგაზრდათაგანი ტატაროვიჩების ტასწერსტა, პირმშვენიერი და მხიარული ქალიშვილის ერთგული თაყვანისმცემელი იყო, თითოეული მხად იყო, ცოლად ეთხოვა იგი.

მაგრამ, გამოვიდა ისე, რომ მარუსიას ებრაელი შეუყვარდა...



ყველა, ვისაც ბედნიერი ბავშვობა ჰქონია, საკუთარ თავს ხშირად უნდა პკითხავდეს, რით გადაიხდის ამ ბედნიერებისათვის? რას მოუტანს ხილამაზე, ჯანმრთელობა, უხრუნველი ხასიათი? რა ფასად დაუჯდება მდიდარი, მოყვარული მშობლები? და აი, ცხნოვიცის მარუსიამ ებრაელი, თანაც უცხოური გვარის ებრაელი - ცხნოვიცური შეიყვარა.

ეროვნული

ზიზღიერება

ებრაელი არხებითად, გვარი, პროფესია და გარეგნობაა. არიან ზრდილი, დელიკატური, წესიერი პროფესიის, კოსმოპოლიტიკური გარეგნობისა და ნეიტრალური გვარის ებრაელები, მაგრამ მარუსიას რჩეული ახეთი არ გახლდათ.

მას მუდამ სახელითა და გვართ მოიხსენიებდნენ - ღაზარ რუვიძოვის ცხნოვიცური. იყო გამხდარი, გრძელცხვირა და თმასუჭუჭა. სწავლობდა ეოლოინოზე დაკურას და ქალიშვილმაც ის სწორედ ამ სივამხდრის, ნიჭიერების, ერუდიციის, სარკასტული იუმორისათვის შეიყვარა.

მარუსიას მშობლები, მართალია, ანტისემიტები არ იყვნენ, მაგრამ ძალიან დარდობდნენ, თუმცა გალინა ტიმოფეევას არაოფიციალურ ვითარებაში ხშირად უთქვამს:

- სამუშაოზე მირჩევნია ებრაელი ავიყვანო, ყოველ შემთხვევაში, არ იფოთებს მაინც...

- გარდა ამისა, - დასძენდა ფიოდორ მაკაროვინი, - ებრაელი სხვა თუ არაფერი, ჭკუით მაინც იპარავს, წარმოებიდან ის მიაქვს, რაც საჭიროა, რუსს კი, რაც ხელთ მოხვდება, ყველაფერი...

რაც მთავარია, მარუსიას მშობლებს ცხნოვიცური საუჭუკო პიროვნებად მიაჩნდათ - ყოველდამ დასაყდეთის რადიოს უხმუნს, დაბადეულიანი დახურული ფეხსაცმელი აკვია, გაუთავებლად ხუმრობს, მარუსიას იდეურად მოუღებელ წიგნებს - ბებელს, პლატონოვს, ლიშჩენკოს აკითხებო.

ებრაელი სიძე ხომ ტრაგედიაა, - ფიქრობდა ფიოდორ მაკაროვინი, - მაგრამ ებრაელი შვილიშვილი უკვე კატასტროფაა, ამის წარმოდგენაც შეუძლებელია.

გადაწყვიტა, დაღაპარაკებოდა ცხნოვიცურს, ფული შეეთავაზებინა, მაგრამ ტიმოფეევმა უფრო წინდახედული აღმოჩნდა.

ცხნოვიცურს დაპატიუება დაუწყო. სრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდა, თან მასთან ერთად გოვოროვის, ნიხიბაბინის, ლინეცკის, შუმეიკოს ვაკეშივილებს პატიუებდა (გოვოროვი მარშალი გახლდათ, ნიხიბაბინი - სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, ლინეცკი - ფირმა "სოფრაბტის" დირექტორი, შუმეიკო - ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი). ცხნოვიცური ამ საზოგადოებაში თავს აბუხალაკივით გრძნობდა. დედამისი კონდექტორი იყო, მამა ფრონტზე პეავდა დაღუპული.

ტატაროვისებთან თავმოყრილი ახადგაზრდები სამხრეთსა და ბალტიისპირეთში იხვეწებდნენ, ყვეათ საუცხოოდ, უყვარდათ რუსტორნებში და თიატრალურ პრემიერებზე სიარული, ჯაზის ჩანაწერებს გადაამყიდველებთან ვიდულობდნენ.

ცხნოვიცურს კი ჯიბეში გახკრეტილი შაურიანიც არ ედო, მის მაგიერ ფულს მარუსია იხდიდა.

და ცხნოვიცურმა შეიძულა მარუსიას მეგობრები, გონებაჩლუნგებს, ხეპრეებს, ცინიკოსებს ეძახდა. თუ ეტყოდნენ, მანგო მიირთვით, თვალებს ხერვიულად მოჭუტავდა:

- მე პურის ბურახი მირჩევნია!

მეგობრულად თუ გამოელაპარაკებოდნენ, წარბშეკრული პასუხობდა:



– მირხენია, ხიხუმეს ვუხმენდე!

ბოდოს მობეზრდა მარუსიას ცეხნოვიცერი და ფეოდოროვი შეიყვარა.

გენერალ ფეოდოროვის ვაჟი ქორუგოელზე სწავლობდა. ეს იყო ახალგაზრდა ემაწვილი, მიხარული, დამახს და უპრობლემო. ცხოვრებით გაღაღებულსა და უხრუხველს სხვაგვარად უხრუხველზე წარმოდგენა არ აქონდა.

ჰყავდა მამა, ვისითაც შეეძლო ეამაყა, აქონდა ბინა შხარხის ქუჩაზე, სადაც მხოლოდ ბებიათან ერთად ცხოვრობდა. აქონდა აგარაკი, მოტოციკლი, საყვარელი პროფესია, ჰყავდა ძაღლი და აქონდა სახადირო თოფი. მისი ერთადერთი სახრუხავი კარგ თჯახში აღზრდილი ახალგაზრდა, მომხიბვლელი ქალიშვილი და მასზე დათჯახება იყო.

მეხუთე კურსზე დიმა ფეოდოროვი ის-ის იყო ცოდის შერთვა გადაწყვიტა რომ მარუსია ტატაროვისი გაიცხო და ერთ კვირასაც არ გაეყო, ქორწინების სახლის მარმარილოს კბეზე უკვე ხელმოწერილუბი ჩამოდიოდნენ, ერთი დღის შემდეგ კი საქორწილო მოგზაურობაში უკვე ყირიმის ვზას აღზენ.

იმდე შემოდგომაზე ახლადქორწინებულები მშობლებმა ორთახიანი ბინით დაასახუქრეს.

ახე დაიწყო დიმასა და მარუსიას ცოდ-ქმრული ცხოვრება. დიმა მოუღ დღეებს აკადემიაში ატარებდა. მარუსია დაპლომის დასაცვად ემხადებოდა – მისი სადიპლომი თუმა “სამეჯლისო ცეკვების ესთეტიკა” იყო.

სადამოებს ცოდ-ქმარი ტელევიზორის უყრებასა და საუბარში ატარებდა. შაბათობით კინოში დადიოდნენ, იღებდნენ და სტუმრობდნენ საცნობ-შეგობრებს.

მარუსია დარწმუნებული იყო, რომ დიმა უყვარდა – ის ხომ თვითონ აირნია!

ჭკვიანი, მხრუნველი, წესრიგის მოყვარული დიმა უწესრიგობას ვერ იტანდა, ყოველ დღეა ბლოკნოტში რუბრიკების მიხედვით – “მოვიფიქრო”, “გავაკეთო”, “დავრეკო” – ჩანაწერებს აკეთებდა. სოფჯერ ამგვარ რამეებსაც იწერდა: “არ მიყვხადმო ვიტალი დუცენკოს”, ანდა – “აღუშკოვისის ქაჯობას სიმშვიდით ვუპასუხო...”

შაბათს ჩანაწერი “მაშა” – კინოს, თეატრს, რესტორანში ვახშამსა და სიყვარულს ნიშნავდა.

დიმა ამბობდა: – არა, პედანტი არა ვარ. უბრალოდ, ვცდილობ თავი ქათხისაგან დავიცვა...

დიმა კარგი ადამიანი იყო, მისი ჩაკლი უნაკლობა გახლდათ, მაგრამ ჩაკლი ხომ შეტად იხიდავს ადამიანებს, ვიდრე დირსება, ანდა, როგორც მინიმუმი, უფრო ძლიერ გრძნობებს იწვევს!

ერთი წლის შემდეგ მარუსიამ დიმა შეიძულა, თუმცა ხიბულვილის გამოხატვაში ხელს დიმას წუნდაუღებელი საქციელი უშლიდა. მიუხედავად ამისა, ერთად მაინც მშვენიერად ცხოვრობდნენ. მაგრამ, ეს რომ უბედურებაა, ცოტა ვინმემ თუ იცის... უბედურებაა, როცა ყველაფერი კარგად იწყება, ბოდოს კი შეიძლება კატასტროფით დაძთავრდეს.

და დამთავრდა კიდევაც. ჯერ დიმა მამა – გენერალი გარდაიცვალა. მერე მისმა დოთმა დედამ თავი საგიჟეთში ამოყო, რის შემდეგაც სამი ძმა და ერთი და ქონების გაყოფაზე მამახისხლად წაიკიდნენ.

გენერლის სახლის ყველაზე ძვირფასი ნივთი – სტადიონის ჩანუქარი მაში და ღადის თვლებით მოტკვილი ორდენი პროკურორის მიერ კონფისკებულ იქნა.



ერთ თვეში დიმა ჩვეულებრივ რიგით ადამიანად იქცა, საშუალო ნიჭის მიხანსწრაფულ, შრომისმოყვარე ასპირანტად.

სოკაჯერ მარუსია გაღიხიანებული ეტყოდა:

- დათვერი მაინც!
- რაზეც დიმა პასუხობდა:
- ღოთობა ეს ნებაყოფლობითი სიგიჟეა.
- მარუსია არ ცხრებოდა:
- იტყვიანე მაინც!
- ეტყვიანობა სპეკულაციური თავის მიმართ შურისძიების მსახურად.



ქართული ენის ინსტიტუტი

შეცდომების გამო... - პასუხობდა დიმა.

ჩველაზე ძველი გამოცდა ბედისგან განებივრებული ადამიანისთვის მოულოდნელად თავს დატეხილი ბედუკუდმართობაა. დიმა სულ უფრო დაბნეული დადიოდა, გულგატეხილი და მოწყენილი იყო იმის გამო, რომ რცხვენიდა და მარუსიას მშობლებისაგან ფიხანსურ დახმარებაზე უარს ამბობდა. რესტორანში ახლა მხოლოდ მრგვალი კატლეტს და კომპოტს სჯერდებოდა. საზღვარგარეთულ კონტინენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იცვამდა.

ბილსის მარუსია დიმას უკვე დაღატობდა, სხვათა შორის, გამუდმებით და განურსევლად. დაღატობდა მეგობრებთან, ნაცნობებთან, ტაქსის მძღოლებთან, კულტურის ინსტიტუტის მასწავლებლებთან თუ ტრამვაიში შემთხვევით გაცნობილებთან. უღაღატა მოულოდნელად გამოიხენილ ცეხნოვიცერთანაც.

თავიდან მარუსია თავის გამართლებას ცდილობდა და ყოველ ნაბიჯზე ტყუოდა. იგონებდა არარსებულ ფაქტულტურ მუცადისებობებს, სემინარებს, დაპარაკობდა თავის მოკვლის განხრახვით ამხანაგთან გატარებულ უძილო დამეხე თუ დურგახვეოში ნათესავებთან მოულოდნელ გამგზავრებაზე. მერე მობეზრდა თავის მართლება და ტყუილი, მობეზრდა ფანტასტიური ამბების მოგონება.

დილით, შინ დაბრუნებისას, გზად თავის თავს უებნებოდა, არა უმაჯს, ტაქსის ან ლიფტში რამეს მოვიფიქრებო...

დიმა შეშფოთებული რომ კითხავდა, აქამდე ხად იყო, მარუსია გაოცებული წამოიძახებდა:

- მე?
- ჰო, - დაუდასტურებდა დიმა.
- როგორ თუ ხად ვიყავი?! შეკითხება კიდევაც! დავუშვას დრო ვინმე ნაცნობთან გავატარე. უფლება არა მაქვს, ნაცნობები მოვიხახულო?

თუ მაინც ჩაეკითხებოდა, მარუსიას უკვე თავი აღარ ქეხდა მართლებას:

- ნათვალე, რომ ესვამდი!. ნათვალე, რომ თავაშვებული ქალი ვარ!. ნათვალე, რომ ცოლ-ქმარი აღარა ვართ!.
- ვის არ იცის, ცოლ-ქმრის თანასწორობა რომ ზღაპარია. უპირატესობა, თუ ეს უპირატესობად შეიძლება ჩათვალოს, იმის მხარესაა, ვისაც ნაკლებად უყვარს.

მარუსიამ თვდაათი წლისამ უკვე საბოლოოდ ირწმუნა, რომ ცხოვრების აზრი მხოლოდ სიამოვნებაში იყო. სიამოვნება - ყვავილეტი, რესტორნები, სიყვარული, უცხოური ნივთები და მუსიკა; უსიამოვნება - უფულობა, საყვადურები, ავადმყოფობა და დახაშაულის გრძნობა. მარუსია სიამოვნებას ეძლეოდა. დიმა ეცოდებოდა, სინდისი ქეხნიდა და ხშირად ეუბნებოდა:

- ვინდა, ვინმე ქალიშვილი გაგაცნო?
- დიმა გაოცებას ვერ მაღაყდა:
- ჰო, მაგრამ, რისთვის?

მაღე დიმა და მარუსია განქორწინდნენ. მარუსია მშობლებთან გადაბარგდა. თავიდან ფოთლორ მაკაროვიჩი და გაღინა ტიმოფეევ-



ნა, მართალია, ცოტა შეწუხდნენ, მაგრამ დიდხანს არ უნერვიულებათ – დიმა ფიფქოვი, როგორც ხოცე მათ უკვე აღარ აინტერესებდათ. ასე და ამგვარად, მარუსია – ქალიშვილი კარგი თჯახიდან – ისევ გასათხოვარი ბრძანდებოდა.

დიდი დრო არ იყო გასული, რომ მარუსიამ ცნობილი დირიჟორი კაუდანოვი შეიყვარა; მერე ცნობილი მხატვარი, პირადად პეიზაჟიზმის მფარველობის ქვეშ მყოფი მარუსიის მხატვრობის საყოველთაოდ სახელგანთქმული ილუზიონისტი მხატვრის დაქვრივებული ქალის ორ ნაწილად ჭრიდა. კაუდანოვიც, მარაფუტდინოვიცა და მადისიც გაცილებით უფროსები იყვნენ მარუსიასზე.

კაუდანოვმა მარუსია ბალტიისპირეთსა და ურალში ამოგზავრა. მარაფუტდინოვთან ერთი წელი აღუპკაში იცხოვრა. ილუზიონისტი მადისთან თვითმფრინავით მოკლე იმიერპოდარეთს შემოუფრინა.

მაგრამ მონოგამიით დაავადებული კაუდანოვი გარდაიცვალა. მარაფუტდინოვი სასულხო კომიტეტის ხელნაწილთ თავის ავადმყოფსა და შეუხედავ მუდღეს დაუბრუნდა. ფრანკფურტში გახტროლეზზე მყოფმა მადისმა მოახერხა და პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

მოკლედ, მუსია ყველამ მიატოვა. ამასთან, მისი ცხოვრებიდან მხოლოდ კაუდანოვი წავიდა პატიოსნად, დანარჩენების საქციელი რაღაცით უფრო გაქცევას ჰგავდა.

მარუსია მღელვარებაში შეიპყრო. ყველა მისი მეგობარი გათხოვილი იყო, ყველა თავს მშვიდად და მყარად გრძნობდა, ყველას თავისი თჯახი და თბილი კერა ჰქონდა.

შეიძლება მისი მეგობრები მდიდრულად არ ცხოვრობდნენ, შეიძლება ქმრებსაც დაღატობდნენ, სასტიკად ექცეოდნენ და იბრიყვებდნენ კიდევაც, ახლა ზოგიერთი შეიძლება პირიქით, თვითონ ითმუნდა დაღატკს, მაგრამ გათხოვილები იყვნენ და მარტო იმის გამო, რომ ქმრები აყავდათ, ყველა ურიდებოდა და ყველა პატივს სცემდა.

ამ დროისთვის მარუსიას უკვე ოცდაათი წელი უსრულდებოდა, კარგა ხანია, შვილი უნდა აყოლიოდა და დედა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მშვენიერად იცოდა, რომ ორი-სამი წელიც და ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა.

ამასზე უკვე ამკარად დედავდა. მართალია უცოდლო მამაკაცები გარს უწინდებურად ეხეივნენ, ქალებს უწინდებურად შურდათ, უწინდებურად არც ახლა აქვდა რესტორნები, თეატრი, სერტიფიკატების მაღაზიები, ყველა სიკეთე უწინდებურად მის ხელთ იყო, მაგრამ ვერაფერი ამშვიდებდა.

სწორედ ამ დროს პორიზანტზე ესტრადის ცნობილი მომღერალი – ბრონისლავ რაზუდალოვი გამოჩნდა. მისი სახელი დღეს უკვე აღარავის ახსოვს, სამოციან წლებში კი ხიდზეც, კობზონზეც და დოღინსკიზეც პოპულარული გახლდათ.

რაზუდალოვი მარუსიას ყოველგვარ მოთხოვნილებას პასუხობდა. იყო ღამაში, ნიჭიერი, პოპულარული, ფულის მშოვნელი და, რაც მთავარია, ცხოვრებას მხიარულად, ღაღად, უსრუენველად ატარებდა.

მარუსია რაზუდალოვსაც მოეწონა – ესეც კეთილად აღზავი, პირმშვენიერი, ღალი, მხიარული და თავქარიანი იყო. მალე რაზუდალოვმა და მარუსიამ რაღაც სამოქალაქო ქორწილივით გადაიხადეს.

მომღერალი ხშირად დადიოდა გახტროლეზზე, მარუსიაც თან სიამოვნებით დაჰყვებოდა. თავიდან, უბრალოდ, მის გვერდით იყო –



ხალამობით კონცერტებს უხმენდა, დღისით საკომისიო მაღაზიებში დადიოდა. მერე სამუშაო გამოუჩნდა – აფიშებს უკვეთდა და ადვილობრივ გახეთქებში დადებითი რეცეპსიების საქმეს აგვარებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბუღალტრობდა კიდევაც, ვინაიდან მისთვის მაინცდამაინც დიდი პროფესიონალიზმი არ იყო საქმის.

მარუსიას გამოიხეხამდე რაზუდალოვს თვითონ მიჰყავდა თავისი კონცერტები. მაყურებელთან საუბარი მოსწონდა უკვე მთელი წახსკურებით პროვინციაში. მაგალითად, გამოვიდოდა სიციხეში და იტყვოდა:

– ზოგიერთ მომღერალს ღამაში ხმა აქვს, ზოგიერთი, რომ იტყვიან, მოელი გუფით მღერის. აი, მე კი ხმა არა მაქვს.

მერე პატარა პაუსას მოაყოლებდა და დახმენდა:

– არც მოელი გუფით ვმღერი...

ბოდოს ტაშა და სიციღ-ხარხარში ნათქვამს ასე დააგვირგვინებდა:

– როგარ ვმღერი, მართალი გითხრათ, თვითონაც გარცეხული ვარ!

მაღე მარუსიას წამყვანის მოვალეობაც ანდევს და ერთდროულად სამი საკონცერტო კაბა შეუკვეთა, ისწავლა ცხენზე მოხდენილი ჯდომაც.

გამოვიდოდა კედისებიდან სწრაფად, ერთ წუთს გაირინდებოდა პროექტორების დამაბრმავეებელ სინათლეზე, მერე თვალს პირველ რიგში მსხდომებს მოაველებდა და წამოიყვირებდა:

– მიკროფონთან ესტრადის მომღერალთა საკავშირო კონკურსის ღაურეატი ბრინხლავ რაზუდალოვი, – და წუთების სიღიადით დამძიმებულ თავს გრაცითსუღად დახრიდა...

კონცერტები მუდამ დიდი წარმატებით მიდიოდა. იყო თანამედროვე კამერული რეპერტუარი, იყო სიმღერებში თავმკვავებული ინტიმური კიდოც:

შენ მითხარი – არა,

მე გითხარი – დიახ...

შენი კვადი

დიდ ტბორთან დაიკარგა...

შენ მითხარი – დიახ,

მე გავიგე – არა!...

რაზუდალოვი მხიარული კაცი იყო. ფუფს იმ ემოციებით მოიპოვებდა, რა ემოციებითაც ადამიანები უსახდურო სიხარულს, დიდ თავდავიწყებას გამოხატავენ. მღეროდა, ვეკვავდა და ვეკვის დროს ათასგვარ სისუღელეებს წამოიძახებდა – ამაში მას კარგად უხდიდნენ.

მაგრამ მაღე მუსიამ შეიტყო, რომ რაზუდალოვის სიცოცხლის სიუყარული მეტისმეტად შორს მიდიოდა და ცოდიქმრულ დაღობში არცთუ უხაფუძვლოდ დადანაშაულება დაუწყო.

ქმრის ჯიბეებში ხან საპუდრეს ნახულობდა, ხან თმის სარჭს. მისი პერანგები ხშირად პომადით იყო დახვრიდი. და აი ერთხელაც მის საგრძობროში მუცლითმეხდაპრე კახინას დედიშობილას წაახწრო.

იმ დღეს ქმარს ნორების პიუპიტრით სცემა. ოცი წუთის შემდეგ რაზუდალოვი ხცენაზე შავი ხათვლით რომ გამოვიდა, მარცხენა ხელი უხიციოცხლოდ აქონდა ჩამოკიდებული.

ცოდის საუკედურებს ის ყოველთვის როგორიღაც იდიოტური სიცილით პახუხობდა.

უებნებოდა:

– მარია, ეს არახერიოხული საქციელია! მეგონა, ჭკვიანი, კულტურული ქალი იყავი...



მაგრამ ბოლომდე თავისი ხასიათის ერთგული რჩებოდა, ისევე ისეთი მექალთანე და ქალების მოყვარული იყო, თან ტყუილებსაც მიეხვია. გაუთავებელი ტყუილების გამო ენა ბლუსავით ებმოდა. მაშინაც კი ტყუოდა, როცა ამას არავითარი აზრი არა ჰქონდა.

მეგობრები სუძრობდნენ: რა ხუდადლოვს უნდა, თუ რომ მოძრაობს, ყველაფერი თავის ქვეშ მოიქცეოსო...

ახლა უკვე მარუსია იტანჯებოდა ეჭვებისაგან. მარს მთელი დამეები თვალმოუხუჭავად ელოდა. ვერ გაეგო, ახერხებულაქნებოდა, ასე რატომ შეიცვალა?! იქამდეც კი მივიდა, გაგაგონებოდა.

რა ხუდადლოვი შინ რომ მოვიდა, იმ დღესაც უკვე გათყვებული იყო. სახლი ღვინისა და კონსერვის სუნით ააქოთა, იფიცებოდა:

- გესმის, მეგვვიანდით, ვსვამდით, მთელი დამე ხელოვნებაზე ებედობდით...

- სად იყავი?

- იმასთან... აი, იმასთან... გოლოშენკინთან... ბიჭებმა მოკითხვა შემოგიფარეს.

მარუსიამ უბის წიგნაკში იმ ვიდეო გოლოშენკინის ტელეფონის ნომერი მოძებნა და რომ დაურეკა, ქერბილში ქალმა მკვახელ უპასუხა:

- იღია სახაროვიჩი რა ხანია საავადმყოფოში წავს...

განრისხებული მარუსია რა ხუდადლოვს ეცა:

- ესე იგი გოლოშენკინთან, არა? ხელოვნებაზე ებედობდით, არა?

- უცხაურია, პირადად მე იმასთან ვიყავი, - თქვა შემცბარმა რა ხუდადლოვმა.

და აი, მარუსია აქ პირველად დაფიქრდა, რა ექნა, როგორ გაეტარებინა ცხოვრების დარჩენილი დღეები - სიამოვნების შემდეგ დანაშაულის გრძნობა გაეფლავა. უანგარო ქმედების ჯილდო დამცირებდა, გამოდის, ჩაკეტილ წრეში ხარ...

სად არის ბედნიერება? სად არის სხარულის წყარო? როგორ უნდა გაექცე გულსტკივილსა და სასოწარკვეთას? ხუთუ არ მუძღება სიამოვნებას ისე მიეცე, მერე ხინახუღმა არ დაგახრჩოს? - ეს აზრები მოსვენებას არ აძლევდა.

ერთი წლის შემდეგ მარუსიას ბიჭუნა ეყოდა.

ყველაფერი ძველებურად მიუღინებოდა. რა ხუდადლოვი ხშირად იყო გასტროლებზე, მაგრამ, დაბრუნდებოდა თუ არა, ისევე იკარგებოდა მთელი დამეები.

ცოლის საყვადურებზე უმაღლ თავის მართლებას იწყებდა:

- გათგე, მე ხომ მსახიობი ვარ, იმპულსი მჭირდება...

და მარუსია ისე მშობლების სახლში გადაბარგდა. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა გაღინა ტიმოფეევმა პენსიაზე გავიდა.

მოულოდნელად რა ხუდადლოვი ყვავილებითა და შამპანურით გამოეცხადათ. თავის შემოქმედებით წარმატებებზე პყვებოდა. ცენზურას უჩიოდა, ხეში საუკეთესო ხიმღერა - "შენი ბაგიდან მიხდა შევსვა ტკბილი ხექტარი" აკრძალესო...

გაღინა ტიმოფეევს მორიდებლად დედის ეძახდა და უხიროდ ხუმრობდა. მაგალითად, მარუსიას მამას ასე გაეკილიკა:

- ძია ფედია, შენ მე ასე ხუ მიყურებ! კარგად თუ გავერკვევით, შენ არავინ ხარ. მე კი, სხვათა შორის, ფილდორ ტატაროვიჩის სიძე გახლავართ!

შამპანურისა და კონიაკის ხმას რომ მორჩა, ერთი დასტა დაჭმუჭნილი ფული მაგიდაზე დაყარა და გაიქცა. მამა ვარო, არაფრად დაგიდეკა, შვილის მარტო კოცნიდა და ჭკუას არიგებდა:

- იმედი მაქვს, ჭკვიანი და დიდბუნებოვანი ვაჟკაცი გაიზრდები!



სამაგიეროდ, მარუხიას ზოგჯერ სახიფათო კუჭლებიდა, თავს მოვიკლავო, — ქმარს ეძუქრებოდა, რომ სწორედ იმ ხანად რაზე დადოვის რეპერტუარში ერთი ასეთი შლაგერი განხდა:

თავის დახრხოდა თუ გადაწყვიტა,  
სახამდე წახვედ მდინარისაკენ,  
ჯერ ნემთან მოდი —  
ბოლო სიტყვა ვუთხრათ ერთმანეთს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მერე მიგიყვან იმ მდინარესთან  
და მიგასწავლი გზას მორუგისას...

მარუხიას კი, ისე როგორც ზღაპარში, სწორედ ამ დროს ცეხნოვიცური გამოეცხადა. წასაკითხად “არქიპელაგი გულაგი” მოუტანა და ემიგრაციაში წახვედა ურჩია:

— ფიქტიურად დაქორწინდეთ, მერე კი, როგორც ებრაელები, წავიდეთ.

— სად? — ჰკითხა მარუხიამ.

— მე, მაგალითად, ისრაელში წავაღ, შენ — ამერიკასა ან საფრანგეთში.

— რა მინდა, რა უნდა ვაკეთო საფრანგეთსა ან ამერიკაში?! მერე და რა უღის აქ მამახემს?!

მიუხედავად ამისა, მაინც აუკვიატა ემიგრაციაზე ფიქრი. ჯერ ერთი, მოღაში იყო, თითქმის ყოველ მოახროვნე ადამიანს ჯიბეში მოწვევა ეყო.

დღე არ გადიოდა, კულტურის რომელიმე მოღვაწეს ქვეყანა არ დაეტოვებინა. წავიდა მოქანდაკე ნეიზვესტნი, რათა ამერიკაში თავისი გრანდიოზული პროექტი — “ხე სივოცხლისა” განეხორციელებინა. წავიდა რელიგიური გრძნობებით შეპყრობილი სავა კრამაროვი. უკანონო კონცურტების გამო ციხისთვის თავი რომ აერიდებინა, წავიდა გენიალური ბორია ხაჩიანი. წავიდა მოდიხიდენტო პოეტი კუპერშტოკი, ვინც თავის ერთ-ერთ ლექსში ამაყად აცხადებს:

მემკვიდრე პეშკინის და ბლოკის,  
მე ვარ შვილი ებრაელი კუპერშტოკის!

მიდიოდნენ მწერლები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები, სხვათა შორის, არა მხოლოდ ებრაელები, მიდიოდნენ რუსები, ქართველები, მოლდაველები, ლატვიელები, ამტკიცებდნენ, ხვენში ებრაული ხისხლიც სქეფსო. მოკლედ, ემიგრაციის პრობლემა ფართოდ განიხილებოდა შემოქმედებით წრეებში და მარუხიაც სულ უფრო ხშირად ფიქრობდა ამაზე.

ემიგრაციაში რაღაც ირეალური იყო, რაღაც, რაც იმქვეყნიური ცხოვრების იდეას შეგახსნებდა. ესე იგი, შეიძლებოდა ყველაფრის თავიდან დაწყება გეცადა, წარსულის ტვირთისგან გათავისუფლებულიყავი.

შემოქმედებითი ცხოვრება მუხიას არ აეწყო. ბედი არც გათხოვებაში დაჰყვა, ამ მხრივ მისი უამრავი ამხანაგი მასში შურსა და სიმუღვიღს იწვევდა.

მშობლების სახლში თავს ისე გრძნობდა, როგორც მოხუცთა თავშესაფარში. ცხოვრობდა ყოველმხრივ მზამზარეულზე ყოველგვარი რეალური პერსპექტივის გარეშე. ძილი, ტელევიზორი, დეფიციტური სურსათი გამაჩაწილებლიდან და ფიოდორ მაკაროვისის ხელქვეით საქმროები, რომლებიც ცდილობდნენ, მისთვის კი არა, თავი უფრო მამამისისთვის მოეწონებინათ.

მარუხია გრძნობდა, კიდევ საბოლოო და ყველაფერი სამუდამოდ იქნებოდა დაკარგული...

ცეხნოვიცური კვლავაც ისე დაბუჯითებით ურჩევდა ფიქტიურ ქორწინებას, რომ ერთხელაც მარუხიამ უთხრა:

— ადრე ისე ვიყვარდი, როგორც ქალი...



ამაზე ცეხნოვიცერმა უპასუხა:

– ახლა კი ისე მიყვარხარ, როგორც საერთოდ აღამიანი.

მარუსიამ არ იცოდა, უნდა სწყუხიდა ეს თუ გახარებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც გულნატკეპნი დარჩა. ჩანს, ასეთია ქალის ბუნება – არ უყვარს, თაყვანისმცემელს რომ კარგავს, ისეთსაც კი, როგორიც ცეხნოვიცერი იყო...

ემიგრაციაში წახვლა რეალური ჩანდა, მარტამ საქმე-საქმეზე რომ მიდგებოდა, თავს მაშინვე უამრავი პრობლემა წინაშე ხდებოდა.

რა დღეში ჩაცვივდებოდნენ მშობლები? ხანსაც კი მკვირვებდა?... მთავარი მაინც ის იყო, ვერ წარმოედგინა, რა უნდა ეკეთებინა იქ, დასავლეთში?

ცეხნოვიცერთან ერთად ხელის მონაწერად ქორწინების სახელში წახვლაც პრობლემა იყო. საქმროს საამისოდ აღბათ ხეირიანი კონსტიტუციც არ ჰქონდა. ინსტრუქტორს იმას ხომ არ ებუდებოდა, ქორწილი ფიქტიურიათ?..

მერე სინავთგასთან ხელის შეხვედრები, გასაუბრებები უცხოელ ქურნალისტებთან და რაღაც “სამახსოვრო ბუკლეტები” წამსვლელთათვის.

მარუსიამ აკრძალული სახატების გამოყენაზე სიარულს მოუხშირა, საკუთარ “ოლიმპიაზე” მადამოვისა და დომბროვსკის აკრძალულ მოთხრობებს იწერდა, ცდილობდა, კემბიგუეი ორიგინალში წაეკითხა.

მისი მშობლები რაღაცას ხედებოდნენ, მაგრამ დუმდნენ, ამიტომაც მარუსია იძულებული გახდა, ყველაფერი აეხსნა.

რა იყო და როგორ იყო, ამაზე აჯობებს არაფერი ვითხრათ. მით უმეტეს, მსგავსი დრამა არც სხვა უამრავ ნომენკლატურულ ოჯახში გახლდათ იშვიათი.

მშობლები შვილებს დაღატკეპნი აღანაშაულებდნენ, შვილები მშობლებს კონფორმისმისა და ქვეშევრდომული ერთგულებისათვის აკრიტიკებდნენ.

ტირილს, შეურაცხყოფასა და საყვედურებს ხვეწნა-კოცნა ცვლიდა.

ფილდორ მაკაროვიჩმა იცოდა, შედეგად ამას სამსახურის დაკარგვა და პენსია მოუვებოდა. გაღიზიანებული იყო და რაღაცეები უნდა ეთქვა, მაგრამ არაფერი ვითხრათ. მით უმეტეს, მსგავსი დრამა არც სხვა უამრავ ნომენკლატურულ ოჯახში გახლდათ იშვიათი.

ოქტომბერში მარუსიამ და ცეხნოვიცერმა ხელი მიაწერეს, ახალი წლისათვის ნებართვაც მიიღეს და ცხრა იანვარს უკვე ავსტრიაში იყვნენ.

ჩავიდნენ თუ არა, ცეხნოვიცერი სრულიად შეიცვალა. ახლა ის ებრაელი პატრიოტი იყო, ამაყი, ბრძენი და თვსაუ ქედმაღალი. ხვდებოდა პიასის წარმომადგენლებს, ატარებდა ექვსკუთხა ანოლირებულ ვარსკვლავს და ცოლად ებრაელი ქალის მოყვანაზე ოცნებობდა.

ფიქტიური ქორწინების პირობები ცეხნოვიცერმა კეთილსინდისიერად შეასრულა – ცოლი დასავლეთში წაიყვანა, სამაგიეროდ ყოველგვარი ხარჯი მარუსიამ იკისრა, ის კი არა, ხემოდანიც უყიდა.

მადე თითოეული თავისი გზით უნდა წახულიყო. ცეხნოვიცერი ისრაელში გაფრინდა, მარუსია ვიზას ელოდებოდა და ჯერ ისე იცდიდა.

ცეხნოვიცერს შეწუხებულად ეკითხებოდა:

– ისრაელში რა გაგადიდებინებს, იქ როგორ უნდა იცხოვრო, იქ ხომ მხოლოდ ებრაელები არიან?

– არა უშავს, მივესწევი... – პასუხობდა ცეხნოვიცერი.

მარუსია დარდობდა მასთან განშორებას, ის ხომ ერთადერთი აღამიანი იყო მისი წარსულიდან!

მოუხედავად ყველაფრისა, ამ აგრესიული, ამაყი, ქედმაღალი, უიღბლო კაცის მიძარბო რაღაც სიყვარულისმაგვარს გრძნობდა. ხომ იყო გრძნობა მათ შორის! ჰოდა, რახან იყო, რა მნიშვნელობა აქვს, ცუდი იყო თუ კარგი! და თუკი მართლაც იყო, მაშინ სად ან როგორ შეიძლება გამქრადიყო?..



აეროპორტში მარუსიას ცეხილიცერი არ გაუცილებია - სწორედ იმ დღეებში ელი სტკიოდა ლეკუშკას.

ფახჩრიდან უყურებდა, როდის ჯდებოდა ავტობუსში და იდუის იმ დიდი ტვირთის ქვეშ ხალხრად მოუხეშავი ეხვეებოდა, ისე მტკიცედ მიაბიჯებდა, როგორც კარგად გავარჯიშებული უსიხლო. ერთი კვირის შემდეგ ლეკუშკას, რომელიც პოსპიტაღში ტილსტის ფონდის წევრმა - მისის კუკმა წაიყვანა, გადახედვა წარმარებით ამოატრეს. ამ დროისთვის მარუსიას ვიხა შემდეგ დიდი კქონდა.

გავიდა თექვსმეტი დღე და თვითმფრინავი, რომელშიც მარუსია იჯდა, კენედის სახელობის აეროპორტში დაეშვა. მარუსიას ხელში სიმინხის ჩიპების პაკეტი ეჭირა. მის გვერდით უხალისოდ მიბანცალებდა უძილობისგან გაბრუებული, ძილგამოყოლილი ღვეა. თრი ხანის დანახვაზე ბიჭუნა უცებ ხმადაღლა აღრიაღდა და მარუსია შეეცადა, დაემშვიდებინა:

- ღვეა, კარგი, განუმდი!

და დასძინა:

- პირწავარდნილი მამაშენი ხარ, ხმაც ზუსტად მისი გაქვს!..

### ხომაღლის ღალუპვის უემღუპ

აეროპორტში მარუსიას დედის მხრიდან ბიძაშვილი ღორა და ღორას მეუღლე ფიმა ელოდნენ. ღორას დედა - დეიდა ნადია რიგით კორექტორად მუშაობდა, მამა - ბიძია საკული ფისკულტურის მასწავლებელი იყო.

ღორა მამის გვარს - მელინდორს ატარებდა.

ტატაროვინები ხევიდან არ უყურებდნენ მელინდორებს. ღორა ზოგჯერ ავარაკზეც მიჰავდათ, ზოგჯერ თვითონაც მიდიოდნენ დერგანეოში, მარუსია ბიძაშვილს კაბებსა და კოფტებს ხუქნიდა:

- ღურჯი კოფტა აიღე, მწვანეს ჯერ ისევ ვიცვამ.

ახრად არ მოსდითოდა, რომ ღორას ეს გულის სტკეხდა. მოკლე, მარუსია და ღორა არ შეგობობდნენ.

მარუსია ღამაში და ქარაფშუტა იყო, ღორა - ნაკითხი, ნაზი და თვინიერი. მისი ხედიანი სახე ბიბლიურად მიანდათ.

ტატაროვინის ცხოვრება მხიარულად და ხმაურთანად მიედინებოდა, ღორას ცხოვრება მთხოშილი და ერთფეროვანი იყო.

მარუსია წეწუნებდა:

- ყველა მამაკაცი ერთნაირად უტიფარია!

ღორა გულგრილად ასწუქდა წარბებს:

- რატომ? ხეში ნაცხობები ძალიანაც კორექტულები არიან.

ამაზე მარუსია აკაყბულად უპასუხებდა:

- ნახე რა, შენც საამაყო!

ტატაროვინები არ გაურბოდნენ მელინდორებს. მელინდორები, უბრალოდ, სხვა სოციალური წრისანი იყვნენ. ძველად ამას ღარიბ ნათესავებს ეძახდნენ. ასე რომ, ბიძაშვილები ერთმანეთს საკმაოდ იშვიათად ხვდებოდნენ...

მარუსიამ ვილაღისაგან გაიგო, ღორა გათხოვდა, მისი ქმარი - ფიმა ასპირანტიო, მაგრამ ასპირანტი სიძე მას მხოლოდ ამერიკაში გაიცნო.

ახალდაქორწინებულმა ღორამ და ფიმამ გადაწვევიტეს, ნიუ-იორკში ეცხოვრათ. ემიგრაცია მათთვის საქორწილო მოგზაურობაც იყო. ერთი წლის შემდეგ ორივენი უკვე რიგიანად ლაპარაკობდნენ ინგლისურად. ფიმა საბუღალტრო კურსებზე სწავლობდა, ღორა მანიკიურის შემსწავლელ კურსებზე. საქმე ხინებულად მისდიოდათ. რამდენიმე თვეში ერთიკა და მეორეც სამუშაოზე მოეწყო.



ფიმა მდიდარ საუკეთესო კორპორაციაში შეუდგა მუშაობას, ღორა საპარიკმახეროში ამერიკულ კლიენტურას ემსახურებოდა. ასე ამბობდა: - რუსები ჩვენთან თითქმის არ დადიან, აქ მათთვის ძალიან მაღალი ფასებია.

ღორა წელიწადში თხუთმეტი ათასს გამოიმუშავებდა, ფიმა - ორჯერ მეტს.

მაღე საკუთარი სახლი შეიძინეს. ეს იყო პატარა აფერის შენობა ფორესტ-ჰილსში, სადაც ცხოვრება მაშინ არც ისე ძვირი ღირდა. ფორესტ-ჰილსში ძირითადად კორეელები, ინდოელები და კერამიკის კერამიკები ცხოვრობდნენ. ფიმა ხშირად ამბობდა:

- რუსებთან ურთიერთობა პრაქტიკულად თითქმის არ გვაქვს.

ცოლ-ქმარს უყვარდა თავიანთი სახლი. ფიმა წყაღვავიანობა და სახურავი საკუთარი ხელით შეაკეთა, გარაჟში დენი გაეყვანა, ღორამ ფარდები და კერამიკის ავეჯი იყიდა.

მეუღრო სახლი იყო, ღამაში და შედარებით არც ისე ძვირი. ქურნალისტი ხარეცი, რომელიც ღორამ პიასში გაიყვანა, ამ სახლს "მავხოლეუმს" ეძახდა. აშკარად ჩანდა, ბერიკაცს ეხარბებოდა სხვათა კეთილდღეობა...

ღორა და ფიმა ახალგაზრდა ბედნიერი წყვილი იყო. ბედნიერება მათთვის ისეთივე ბუნებრივი და ორგანული გახლდათ, როგორც ჯანმრთელობა. ყოველგვარ უსიამოვნებას არაჯანსაღი ადამიანის ხეუღრად თვლიდნენ. იცოდნენ, ზოგი ემიგრანტი ხელმოკლედ ცხოვრობდა და მიახნდათ, რომ ისინიც ხარეცკით ავადმყოფები და ცუდი ხასიათისანი იყვნენ.

ცოლ-ქმარი თავს ისე ბედნიერად გრძნობდა, რომ ღორა ზოგჯერ თავისდა უნებურად წამოიძახებდა:

- ფიმა, მე ისეთი ბედნიერი ვარ!

მაგრამ ბედნიერება, ცოტა არ იყოს, აშინებდათ კიდევაც: ამის გამო დროდადრო პატარ-პატარა უსიამოვნებებსაც იგონებდნენ. მაგალითად, საღამოს ფიმა შებღვს შეიკმეხნიდა და იტყოდა:

- იცი, ამ დღეს კახლამ ველისიკედი დავაშტვრიე.

ღორა შეშინებული შეაფეთებდა თვალებს:

- ფრთხილად იყავი, რა, გუხვეწები, ფრთხილად იყავი!

- ნუ დელავ, ღორა, შესახიშნავი რეაქცია მაქვს.

- მაგრამ, ველისიკედზე? - ვერ მშვიდდებოდა ღორა.

- ზოგჯერ ფიმა სახლში დამნაშავესავით შემობიოჯებდა.

- ცუდ გუნებაზე ხარ? - შეეკითხებოდა ღორა, - რა იყო, რა მოხდა?

- არ გამოჯავრდები?

- თქვი, თორემ ვიტყვებ.

- დაიფიცე, რომ არ გამოჯავრდები.

- კარგი ახლა, შითხარი!

- თღონდ არ გაბრაზდე. მე შენ იტალიური ჩექმები ვიყიდე.

- ხელეღოს! ჩვენ ხომ მეუთანხმდით, ფული ეკონომიურად გვეხარჯა... აბა, მახვენი!

- ძალიან მომეწონა... ორიგინალური ფერი აქვს, - ისეთი კარგი ყავისფერია...

მაბათ დიღას ღორა და ფიმა დიღხანს საუბრობდნენ. მერე მაღაზიაში წავიდნენ, საღამოს რელევიზორს უყურეს და კარგა ხანია უკვე ვერანდაზე ეძინათ, რომ უცებ ზარის ხმა გაისმა - ფოსტადონმა ვეხიდან გამოგზავნილი დეკემბა მოიტანა, სადაც მარუსია სწერდა, ხვალ დიღას ორას სამოცდამეოთხე რეისით ჩამოფრინდებოდა. ესე იგი, ფიმა და ღორა რვის სახეგარზე უკვე აეროპორტში უნდა ყოფილიყვნენ.

მარუსიას სხარულით შეხვდნენ. პირველ დამეს სამ საათამდე არ დაუძინათ. ცოლ-ქმარი გამოართული იყო. ფიმა კომპიუტერს

მარუსიას სხარულით შეხვდნენ. პირველ დამეს სამ საათამდე არ დაუძინათ. ცოლ-ქმარი გამოართული იყო. ფიმა კომპიუტერს



ამხადებდა. მარუსია და ღორა ფარდაგზე მოეწყვნენ - აქ ასეა მიღებული, - თქვა ღორამ.

მერე დივანზე დახედნენ.

ღორა მარუსიას უკვე შეათუფ ეკითხებოდა:

- მაინც რატომ წამოხვედი? თან ამ პატარა ბავშვით სჯობს?

- არ ვიცი... ასე გამოვიდა.

- დისიდენტები, ებრაელები, სისხლის სამართლის დარღვევები რომ მოდიან, მესმის, შენ კი...

- უხასიათოდ ვიყავი.

- ანუ?

- მენუყენებოდა, რომ ყველაფერი დამთავრდა.

მუსიას უნდოდა, გაეგოთ და თანაეგრძნოთ, თუმცა თავად მისთვისაც ბევრი რამ გაუგებარი იყო.

- იქ შენ არაფერი გაკვდა - გართობა, თაყვანისმცემლები, ნახაცმელ-დასახური... მიუხედავად ამისა, დაქვარი ფეხი და წამოხვედი.

- რაღაც მესიზმრა.

- მაინც?

- თითქოს ფრთები მქონდა, ქალაქის თავზე დავფრინავდი და ვლექტრონათურებს ვაქრობდი.

- ნათურებს? - დაინტერესდა ფიმა, - გახაზებია... ფროიდის მიხედვით ნათურები პენისის სიმბოლოა, სექსუალურ დაუკმაყოფილებას ნიშნავს.

- ფრთები?

- ფრთებიც პენისის სიმბოლოა, - თქვა ფიმამ.

ამასუ მარუსიამ უპასუხა:

- ვხედავ, ის თქვენი ფროიდი რაზუდალოვზე ნაკლებ თავქარიანი არ ყოფილა...

- პო. მაგრამ, მაინც რისთვის წამოხვედი? - ეკითხება ისევ ღორა, - პოლიტიკა არასდროს გაინტერესებდა, მატერიალურად უზრუნველყოფილი იყავი, არც ანტისემიტიზმის გამო იტანჯებოდი.

- ეგდა მაკვდა!

- მაშ რა იყო, რა მოხდა?

- არაფერი, წამოვედი და მორჩა... შენი ხახვა მიხდოდა, ფიმა-სიც.

რადიოდან მუსიკის ხმა ისმოდა, ჭიქებში ყისული წკრიალებდა. ტოსტერიდან ცხელი პურის სურნელი დიოდა, გარეთ ბნელოდა.

შუალამისას ყველას მოშიოდა.

- ფიმიუღია, მაცივრიდან ქეიქი მოგვიტანე... - სთხოვა ღორამ, ღორას მოსწონდა, ხახლი კარგად რომ ჰქონდა მოწყობილი.

კედლებს შიშიაკოვის დითოგრაფიები ამშვენებდა, მაცივარი ყოველთვის გემრიელი ხახუსნავით იყო საყეს, გარაქში იაპონური მანქანა იდგა, კარადაში ნაირ-ნაირი საუკეთესო ტანსაცმელი ეკიდა.

ღორა ჯერ კიდევ დილით ეუბნებოდა ქმარს:

- რამდენ ხანსაც მოუნდებათ, იმდენ ხანს იყვნენ... არ მიხდა სამაგიერო გადავუხადო იმ გულსტკივილისთვის, არ მიხდა ხეში უპირატესობა ვაგრძნობინო... ხუენ ამასუ მაღლა უნდა დავდგეთ, წყნაზე სიკეთით უნდა ვუპასუხოთ...

- რა იყო, რაზე ფიქრობ? - აკითხა ბოდოს.

- რაზე და, ბედნიერებაა შენ რომ მეავხარ...

- მე კი - შენ!

ღორამ ბავშვსა და მუსიას ცაღკე ოთახი მიუჩინა, რაზეც მუსიას, უბრალოდ, მადლობაც არ უთქვამს. ღორა სთავაზობდა, რაც მოგისდებოდა, მაცივარი გამოადე და იქ ყველაფერი იყო, თუმცა მარუსია კარტოფილის ჩიპსებითაც კმაყოფილდებოდა.

თვარტი არ აინტერესებდა. მაღალსიაში თუ შევიდოდა, მხოლოდ ბავშვის სათამაშოებს ათვალთვრებდა. ღამის ბრთღვეი ხმაურიანი და ჭეუჭეიანი იყო, - ამბობდა.





ახე გავიდა შვიდი დღე.

კვირას სტუმრად კორპორაციის მენეჯერი ჯი კეი ელბაუმი ეწვიათ, ხმაურიანი, მოურიდებელი და მსუქანი. თბილური უკანა პარმადზე ხოსის წვაკდნენ და "ბადვაიხერს" შეექცეოდნენ.

- აქამდე ჯი კეის ყოველთვის თავის საცოდე კარენ როუნი მოჰყავდა, ახლა კი რატომღაც მის გარეშე მოვიდა - თქვა ღორამ.

- კარენი სად არის? - პკითხა მან ელბაუმს.

- კარენმა მიმატოვა. პირდაპირ ხასოწარკვეთილი ვიყავი. მერე ახალი მანქანა ვიყიდე და ბინა გამოვიცვალე, ახლა ბუნდოვანი კაცი ვარ, - იყო ელბაუმის პასუხი.

ელბაუმს მარუსია მოეწონა. მერე მარუსიამ მისთვის რამდენიმე შაირი იმღერა, მაგალითად, აი, ეს:

"დიდ რაკეტას აგებენ, მთვარეზე აგზავნიან. მე მინდა იმ რაკეტით ცოლი ჩემი ფუძფულა მთვარეზე ავაფრინო".

შაირი ფიქრად ელბაუმს სიტყვასიტყვით გადაუთარგმნა.

მადე ელბაუმი გამოემშვიდობათ და წავიდა.

- მე მგონი, დიდი სულელი ვინმეა! - თქვა მარუსიამ.

ღორა აღშფოთდა:



პეპი პედი

მარუსია ტატაროვიჩის სახლს მსუბუქი მანქანების ჯერი მოადგა. სასიამოვნოდ ჩხაკუნობდა ტყვადი საბარგულების საკეტები. გადმოჰქონდათ და გადმოჰქონდათ კადათები თუ ფერად-ფერადი, ლენტებით შეკრული ფუთები...

ბარანოვს, ესელევსკისა და პერცოვიჩს პადსტუხებიც არ მოეხსნიათ. ჩაქუჩებით შეიარაღებულები ფართო ტროტუარზე უშველუბელი თეთრი საწოლის აწყობას შეუდგნენ. ევსეი რუბინჩიკი თუჯის მესამე კაღიას, რომელიც, მართალია, ღოღოსათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ შიგ რაფაელიც თავისუფლად დაეტკოდა, ძლივს, ბარბაც-ბარბაცით მოათრევა.

არკაშა ღერსერი მსუბუქად მოაბიჯებდა. მარუსიას მან მხოლოდ ერთ დოღარად ნაყიდი ნიუ-იორკის ლატარის ბილეთი აჩუქა – დღეს, არც მეტი, არც ნაკლებს, ოთხი მილიონი თამაშდებოდა, – უთხრა.

მელახია “დნეპრის” პატრონი ფანტაზიით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, მუსიას ახლაც ხაირ-ნაირი დელიკატესებით დატვირთული საზიდარა მოართვა, თუმცა, წინანდელისაგან განსხვავებით, საზიდარა ამჯერად მეღაჭორისა იყო.

დრუკერი “ფანტასტიკისა და სათავგადასავლო ლიტერატურის მსოფლიო ბიბლიოთეკის” ასოვრამეტ ტომს დასჯერდა.

გრიგორი ლემკუსმა საბარგულიდან ოთხკუთხა გაპრიალებული ფუტლარი გადმოიღო – ფუტლარში კიპარისის ინკრუსტირებული მუღნი იდა.

– სულს აკეთილშობილებს! – აუხსნა ლემკუსმა მარუსიას.

ქვითარი შეინახა და თან იდუმადი ხმით წარმოთქვა:

– ტაქსდიდაკტიბლ...

უფლებათა დამცველმა კარავაევმა ყველა გააოცა: გამოეცხადათ ნაბახუსევ-ცხვირნამოშვეებული და მარუსია ტატაროვიჩის პატივსაცემად თვითდაწვის პატარა სცენის გათამაშება მოინდომა. თან პირადაპირ მარუსიას ღიფტოან.







ნება მომეცი, გათხრა, რომ ჩემს იმპოტენციას ეღუენე, ნიკა და დედა ჰქვია. ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია. დიახ, მე შებოჭილი ვარ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მე მიყვარს ჩემი ბორკილები, ჩემი უღელი, ჩემი ცალუდი, ჩემი ხელნა თუ ჩემი დეზები. მოულო სულოთა და გულოთ მიყვარს...

შენ პერსონაჟი ხარ, მე - ავტორი. შენ ჩემი ახერხებულობა ყველაფერს, რაც გესმის, მე ვამბობ, ყველაფერი, რაც მოხდა, ჩემს გულში გატარებული და ჩემს მიერ განცდილია.

მე ვარ შურისმაძიებელი, დამცირებული, უნიჭო, ბრაზიანი ავტორი - მოკლეა, როგორც გენებოთ.

თითოეული, ვისაც კი ვიცნობდი, ჩემში ცხოვრობს. ისინი ჩემი ნევრასთენია, ჩემი ჯვარი, ჩემი აპლომბია.

ხოლო ყველაზე სისხლიანი თმი - ახრდილების თმია.

მე ავტორი ვარ, თქვენ - ჩემი გამირები. ცოცხლები ასე არ მიყვარებოდით.

არ ვიცი, გჯერა თუ არა, ხანდახან თითქმის ხამამაღლა გაუკვივი: "ო, ღმერთო! რა პატივია, რა დაუმსახურებელი საჩუქარია - მე ვფლობ რუსულ ანბანს!"

მოკლეა, ჩვენ ბარიბარსა ვართ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს! მაგრამ ღმერთი თუ ხელს არ მოგიმართავს, მუსია, მოგიწევს, შენით და შენ თვითონ იმოქმედო.

აქ მე ამით წერტილს ვსვამ.





ედილი დიკინსონი

ლ ე ძ ს ე ბ ი

ი ნ გ ლ ი ს უ რ ი დ ა ნ  
თარგმნა ბიორბი ნიშნიანიძე



●  
მე რომ მოკვდები, გულწითელები  
თუკი დაბრუნდნენ კიდეც,  
დაუგდე ფინხა ჩემს სამახსოვროდ  
მათგან ყველაზე წითელს.

არ გაგიკვირდეს, თუ რომ მადლობა  
ვერც გადავიხადო უცებ,  
ოღონდ იცოდე რომ გულმოდგინედ  
ვხსნი ჩემს გრანიტის ტუჩებს.

●  
რაა ხალისი, თუ არა სულის  
მიწიდან გამდიდრ ზღვაზე გადახველა –  
გაივლი სახლებს და გაგიტყუებს  
მარადისობის სივრცე გზადაგზა.

აღბათ, ჩვენსავით მთებში გაზრდილი  
ვერც მეზღვაური დამემოწმება –  
რა დიდი შვეება და სიხარული  
ახლავს მიწიდან პირველ მოწყვეტას.

●  
ღუთაებრივ ნექტარს ვსვამ არხეინად  
ღაღის და ოქროს სამწვეურებით,  
ამ ტყბიდ სასმელთან რაა რაინის  
ღვინის გინდ გეზო, გინდა სურნელიც.

როცა ვარდების “ფუნდუკებიდან”  
გარეთ გამოჩეყო მოზაღი ფაქრები  
მე ისევ “ღუქნებს” ვებრუნდები და  
უფრო მეტს ვსვამ და უფრო ვბრუნდები

ცვარია იგი ველზე ნაპკური,  
სუნი უტკბესი და უმძაფრესი  
და დღე და ღამე მთელი ზაფხული,  
ვედივარ ვეწვილთა ძვირვას “კაფქში”.

და რის მხედვენი, თუ როგორ ვუძამ  
სავსე სასმისებს მე გამწარებით,  
სერაფიმები ისვრიან ქუდებს  
და მეხვევიან გარს წმინდანები.



●  
 მე ვარ არავინ — შენ,  
 ნეტავ, ვინ ხარ? —  
 ნეთუ შენც დღემდე არავინ იყავ?  
 — კეთილი, მაგრამ  
 ნურავის ვეცემით, —  
 ყველა არავინ იმ ქვეყნად მიჰყავთ.

ვიყოთ მე და შენ  
 ბედის ანაბრად,  
 კიდევ კარგი, რომ  
 არავინ არა ვართ —  
 როგორ აღვივლოდ  
 აურზაურს და დავიდარაბას...



●  
 სხვები საყდარში მიდიან შაბათს,  
 მე როგორც წესი, შინ მარტო ვრჩები,  
 ჩიტია ჩემი პატარა ქორთი  
 და ციცქნა ბაღი — ტადარი ჩემი.

აქ ხარს აროდეს არისხებს მხათუ  
 მხოლოდ გლობს და გლობით ვიჭრები

სხვებს ძაწისფერი ამშვენებთ რიზა,  
 მე კი — მარტოდენ ვეება ფრთები,

მოკლეს წირვა — ცხოვლილი მოკლული  
 მღალაღი ღმერთი ქადაგებს თავად  
 და სამოთხისკენ კი არ ვისწრაფვი  
 ჩემთვის ჩემისად ბაღასხე დავად.

●  
 სიკვდილ-სიცოცხლეს — ამ ძველ გიგანტებს —  
 სძინავთ და მათი არ ისმის ჩქამიც,  
 წერილფუხობას კი — ხარეკელას თუ  
 ფარვანას, აღმა რომ შთახთქა ღამის —  
 სწამთ, ბრმა შემთხვევა წარმართავს საგნებს  
 და ყველაფერი მთავრდება აბით.

●  
 მე არასოდეს მინახავს ჭანჭყვი  
 და ზღვასაც აღბათ ოდესმე ვნახავ  
 მაგრამ ვგრძობ, როგორ ბუჩუკის მხანა  
 და ნაპირს როგორ ეხლეუბა ტაღლა.

მე არც ქვეყანა მინახავს ზენა,  
 არც დუთისთვის მოქცამს სიჭყა მცორული,  
 მაგრამ მწამს — არის ასეთი მხარე  
 თითქოს მოჭირავს ხელში ბილეთიც

●  
 ამ წერილის ახლა ვწერ მოუღ ქვეყნას  
 მე რომ ვრთხელდაც არ მომიკითხა,  
 ბუნების წერილმან და ღამას ამბებს  
 ყველა შეიტყობს მაღლე იქიდან.

ის უნდა გახსნან, აღბათ, ხელეებმა,  
 მე ვერასოდეს ვნახავ რომელითაც —  
 ბუნებისადმი სიყვარულისთვის  
 აღბათ სათუთად უნდა მომეპყროთ.

●  
 მე სიღამაზემ მომკლა და მიწა  
 ის იყო მეტკბო როგორც მშობელი,



რომ უცებ გვერდით დამარხეს ვიღაც,  
სიმართლისათვის მოკვდა რომელიც.

“რამ მოგვკლა?” – მკითხა კედელს იქიდან,  
მშვენიებამ-მეთქი, ვთქვი დავრდომილმა.  
“მე კი – სიმართლემ, ეს იგივეა,  
თურმე ორივე ძმები ვყოფილვართ”.



და მთელი ღამე, ვით გულისხწორნი,  
აღარ ვაცვლიდით ერთუროს დაპარაკს,  
ვიდრე ბაგემდე არ მოგვწვდა ხავსი  
და სახელებიც არ გადაფარა.



თურმე ტკივილსაც აქვს ერთი ხავსი,  
მან, მაგალითად, არ იცის, როლის  
მოვიდა ქვეყნად, ან ვით ისწავლეს  
წუთისოფელში, ვთქვათ, მისი კიდა,

ის არც მიმივჯას მიუღწვის, რადგან  
არა აქვს თურმე თავი და ბოლო –  
წარსული მისი – მრუმე ბურანი  
და ფახები და ციკლები მხოლოდ.



ხვენ ტრფობის მთელი კურსი ვისწავლეო –  
ჯერ გავიარეთ ახბანი, მერე  
ზმნები, ფრაზები და ოქროს წიგნი  
და ბოლოს თვითონ საკურსოც ვწერეთ.  
მაგრამ ერთუროთს თვალებში ისევ  
სრულ უვიცობას ვხედავდით მხოლოდ –  
კვლავ ყრმებად დავრჩით – უცოდველობა  
რადაცას ხომ სჯობს ბოლოს და ბოლოს.  
ვცადეთ, ის მაინც შეგვეტყო ვინძდო,  
რომელმა რა ვერ გავიგეთ, მაგრამ  
ვაი, რომ სიბრძნის ფესვი გრძელია  
და სხვადასხვა სიმართლევც, ვაგდახ!



ხად ნახავთ წიგნზე უკეთეს ფრეგატს,  
ყველა ქვეყანას რომ მოგატარებს,  
ან პოეზიის ზღაპრული რაშის  
სხვა ვინ მოგაწვდის ოქროს სადავეს?!  
არ უჭირს ზღვა და ხმელეთის მოვლა  
არც დარიბ-დატაკს თუ ქვეყნის გლახას –  
რა იაფი და მუქთაა ეტლი,  
აღამიანის სული რომ დაჰყავს!



●  
 ის გულგრილობა, მოკვდავი რითაც  
 არარაობის უკუხეთს ერთვის,  
 საწუთროს ყველა საოცრებაზე  
 უდავოდ უფრო მეტია ხედივის –  
 “შინ არ ვარ” – სხეულს წააწერს სული,  
 კარს მოიხურავს – ეს დღე და ის დღე  
 და ხაღხით სავსე ქუჩას გაჰყვება  
 პაეროვანი ნაბიჯით ცისკენ.



●  
 აი, საფხულზე უფრო ხანმოკლე  
 რა უნდა იყოს ამქვეყნად, მაგრამ  
 ცხოვრება უფრო სწრაფად გავიდა,  
 ყურგახვრეტილი გროშოვით გაჰქრა,  
 სევდა კი, როგორც ჭაბუკი ზრდილი,  
 მარტოს არ მტოვებს ღამით თუ დღისით.  
 ვჰ, სიხარულიც რომ მძულვებოდა,  
 აქ იქნებოდა დღეს აღბათ ისიც.

●  
 მე დრო არ მყოფნის სიძულვილისთვის,  
 რადგან სიკვდილი, ვიცო, ანაზღად  
 მომაშთობს სადღაც და მაშინ მტრობას  
 ვეღარ მოვასწრებ მოელ ქვეყანასთან.

არც სიყვარულის დრო მყოფნის, მაგრამ  
 რაკი ხიადაც უნდა შრომობდე,  
 მე სიყვარულის ყველაზე მცირე  
 გარჯაც ჩამითრევს, აღბათ ბოლომდე.

●  
 დე, ითქვას მოელი სიმართლე, ოღონდ  
 უნდა როგორღაც გვითხრან გადაკვრით –  
 უხეხაესი სიმართლის ცეცხლი  
 არ არის ჩვენი სულის სადაგი,  
 რომ არ დავბრმავედეთ უცბად ყველანი,  
 იგი თანდათან უნდა აენთოს –  
 პატიარებს ეღვას გაკვრით უხსნიან  
 და არიდებენ მის შუქს საერთოდ.

●  
 თოჯინა გვერდზე გადახდო, საქმრო  
 როცა მოვიდა, და მეყსეულად



მეუღლისა და ქალის საკმაოდ  
რთულ და ღირსეულ საქმეს შეუდგა.

პირველ დამეს რომ შიშით და რიდით  
და იმედებით არ შეხვედროდა,  
გაგრძელდებოდა თამაში მშვიდი  
და თოჯინების წყნარი დედობა.



ეძინებოდა უქმად ოქროსაც  
მის სულში, როგორც მარგალიტს ზღვაში,  
და სიყვარულის აზრს და ცოლქმრობას  
მარტო მეუღლე იგრძნობდა მაშინ.



სიკვდილის შემდეგ პირველი დილა  
თენდება ხოლმე ღიდის ზეიმით:  
შენთვის სულ მარტო ფუსფუსებ ტკბილად,  
სრულიად მშვიდი და არხეინი, –

ნელსინელ ბერტყავ, რაც გულში დარჩა  
და სიყვარულიც განზე გადადე, –  
აწ აღდგომამდე არაფერ გარჯას  
არა აქვს აზრი და არც გადარდება.



როგორც წუხილი, შეუნიშნავად  
ზაფხული უცებ გაქრა რატომღაც,  
გამოგვეპარა, დაუფიქრებლად  
თითქოს გაგვეწირა და მიგვატოვა.

მაღე დამდება, მზე გვიან დილით  
ოღნავ შეღებავს ზევას ჭიფრად –  
ეს ყურადღება უფრო რე სრდილი  
კაცის ხანმოკლე ვიზიტს მიაგავს.

ორჯერ ნახადი დუმილი მწუხრზე  
უკვე ედება მთებს იისფერად,  
თითქოს დაღლილი დედაბუნება  
ნაშუადღევს ღანდს ეხიზნება.

და ასე ხვენი ზაფხული უფროოდ,  
ხომადღისა თუ გემის გარეშე  
უცბად გაგვიქრა და მიიკარგა  
მშვენიერების ზღაპრულ მხარეში.



მე მეავს უტყვი და მუნჯი მეუფე,  
სულ ჩამოვცილდი და დავეუბრე  
მისი გულისთვის დღეს და სინათლეს –  
დადამდება და დღე ჩაგვირაზავს  
პალატს, დავწვევებით ტახტზე პირადმა  
და ერთ-ორ სიტყვას მეტყვის დილაამდე.



თუ მითხრა, დილით ჩემს ყურთბალიშთან  
 მოესურვება ცეკვა ქარიშხალს  
 და დაფდაფები წრეს გადადიან,  
 ჩემს ზეცას ავსებს ხმები ფრთოსანთა  
 და უხორცოთა დასთა ოსანა  
 მოძესმის სულის ღურჯ გუმბათიდან.



მაგრამ თუ სიტყვაც კი არ მაღირსა,  
 ფახუნიც აღარ მესმის ბადისა,  
 იძღვრევა ჩემი აზრის სათავეც. –  
 მაშაო, იყავნ ხებაი შენი,  
 რამეთუ ჩემს თავს მე ვეღარ ვშველი  
 და აღბათ უკვე სჯულსაც გადაველ.

●  
 ვერს მგრიდა ფიიოჯლი ცხარე კახთა,  
 რეცინენ ჯაგების მწყანე მოხნები –  
 ბუნების ფხიზელ გუშაგებისგან  
 თავი ვერაფრით ვერ დავიხსენი.

ვრუ და უღაბურ გამოქვაბულშიც  
 ვერ დავრჩი ჩემი თავის ამარა,  
 უმწეო იყო მთელი სამყარო,  
 მე რომ ვერ იქნა და ვერ დამძალა.

●  
 რა დიდებული აზრია მართლაც,  
 სიაძოვნებით მოუხდი ქუდსაც –  
 ვილაც მოძღვარი თუ სეფუ-კაცი  
 თითქოს ქქაში შეხიფხილა უცბად.

მარადიული ბინა გაქვს ქვეყნად,  
 მაშინ როდესაც უჩუმრად ირგვლივ  
 ინგრევა დიდი პირამიდები  
 და სამეფოთა იცვლება ციკლი.

●  
 ელიზიუმი ძალზე ახლოა,  
 გვერდით, მეორე ოთახში იცდის  
 ყოველთვის, როცა გულით მოუღი  
 ან ჩეჭარებას ან მხოლოდ სიჯდითს.

რა ძლიერია ადამის შვილი,  
 ანდა ასეთ დროს რა გული უძლებს –  
 კარებთან უკვე ფეხისხმა ისმის,  
 კარები უნდა გაიღოს უცებ...





ჯორჯ გორდონ გაირონი

ლ ე მ ს ე ბ ი

ინგლისური დან  
თარგმნა თამარ ერისთავმა



დღეს შეშინებულდა ოცდათექვსმეტი  
მისოლონი, 22 იანვარი, 1824

დრო არის, გულო, დაიცხრო ვნება,  
თუ სხვის გულს ვეღარ გაუჩენ დარდებს!  
არვის ვუყვარვარ? – მომეცი ნება,  
რომ მე მიყვარდეს.

გულმკერდს უშრეტი ცეცხლი მიდაღავს, –  
გულის ვულკანი არ არის მცხრალი,  
მაგრამ ვერ ვანთებ ვერვის ჩირაღდანს  
ამ ცეცხლის ალით.

ტკბილი იმედი, სიმწარე აზრთა,  
შიში და ეჭვი ვერავის ვანდე,  
და სიყვარულის უსიტყვო განცდა  
ბორკილად მადევს.

მაგრამ ამ ფიქრებს აქ რისთვის ვამხელ,  
სადაც ბრძოლების გუგუნში ახლა  
დიდება მოხავს გმირების სახელს,  
ან გმირთა საფლავს.

ჰა, ხმალი, დროშა და ბრძოლის ველი,  
აქ საბერძნეთის დიდება ელავს,  
ვერ დაიტევდა გმირი სპარტელიც  
უმეტეს ღელვას.

აღსდექი, სულო! როგორც ერთთავად  
მოელი ელადა აღსდგა და იბრძვის,  
აღსდექ! ძარღვებში გიდულს ძველთაგან  
მეომრის სისხლი.

ნუღარ აჰყვები ვნებათა თამაშს,  
კმარა ნადველი და სიმძიმელი,  
ნუ შეგაშფოთებს დღეიდან... ღამაშ  
თვალთა დიმილი.

თუ სიჭაბუკე წარსულს გადაჰყვა,  
აწ სიცოცხლისგან რაღას მოელი!



თავგანწირვისთვის რახან მზადა ხარ, –  
დასომე ყოველი!

შენ მხოლოდ გძირის საფლავი გინდა.  
შენ სხვა დიდება უკვე აღარ გსურს;  
მაშ, გაიბრძოლე ერთი და... მშვიდად  
შეხვდი დახასრულს.



### ჩემს სულში ბნელა

ჩემს სულში ბნელა, ჩამოჰკარ ნელა,  
აულერე ნაზად არფის სიმები,  
მოესაღბუნოს ეგების სმენას  
ხმა, მაგ თითებით ნათილისმები.

იქნება კრთოდეს გულში იმედი,  
გამოიტყუონ ჰანგებმა გარეთ,  
ო, იქნებ შვეება ვიგრძნო მცირედი, –  
როგორმე ცრემლი მოეწურო თვალებს.

პოი, მენესტრელო, ნუ უკრავ მდორედ,  
დასძარი ჰანგი ველური ძაღის,  
უნდა ვიტირო როგორმე, თორემ  
გული სიმძიმით გამისკდეს ღამის;

მას მწუხარება გადიად ჰყავდა,  
ტკივილს ითმენდა დღიდან ღამემდე,  
დღეს უნდა გასკდეს ეს გული ნაღვლად,  
ანდა სიმღერას უნდა დახებდეს.





# ფრანგული პოეზია

შარლ ლეკონტ დე ლილი

ლ ე მ ს ე ბ ი



ფ რ ა ნ გ უ ლ ი დ ა ნ

თარგმნა ბადრი თაყაიძემ

## დათვის ცრემლები

რუნების მეფე, ჩამოსული ველურ მთებიდან,  
უსმენდა ბნელ ზღვას, შუოთიანს და შმაგად მღელვარეს,  
დათვის ავ ბურტყუნს და არყის ხის მოთქმას სევდიანს  
და მკაცრ ნისლოვანს ანათებდა თმები ეღვარე.

უკვდავმა სკალდმა გაკვირვებით იკითხა მაშინ:  
რა მძვინვარება გარყევს, ზღვარო, ბნელო და მძლავრო,  
რად ტირი, არყო, ან მთელი დღის განმავლობაში  
დათვო, თოვლისფრად შემოსილო, რატომღა ჯავრობ?

– რუნების მეფე, – ფერძიხდილი უებნება ხე  
და თან ატოკებს ცივი ქარის ავი ძგერება, –  
ნატვრით ველი და ვერასოდეს ვერ დავინახე  
ტურფა ქალწულის მომხიბლავი მშვენიერება.

– რუნების მეფე, – ზღვაც პასუხობს უხარმაზარი, –  
ჩემს ცივ უბეში მხოლოდ ზამთრის მკაცრი ფერია,  
ჩემი სიღრმიდან მიტომ ისმის გმინვა საზარი,  
რომ მზის სითბოთი გაღაღებულს არ მიმღერია.

– რუნების მეფე, – ამბობს დათვი, ხშირბეწვა ტყავი  
ვისაც ვერ იცავს შიმშილისაგან, უიღბლოს ასე, –  
რატომ არა ვარ უღარდელი, უმანკო კრავი,  
ბაღახს რომ ხმოვს და არის ყოყის სიტკბოთი ხავსე?

უკვდავმა სკალდმა მოიძარჯვა არფა თავისი,  
ზამთრის ბუტკედი დაამსხვრია მანგმა ყოველი.  
ხე აკანკაღდა ნეტარებით, ვარდით, აისით.  
ზღვაზეც სიცილი ათამაშდა მანათობელი.

ტორებს დაეყრდნო დიდი დათვი, მოცული სიბლით,  
თვალეზნასისხლულ ურნხულს ტრფობამ გაუთბო გული,  
გადმოუვიდა მოწითალო ცრემლების წყვილი  
და დაედინა ბეწვზე ნაზად, ვით ნაკადული.



ლეილას სიზმარი

არც ფრთის შერხევა და არც წყლის ხმა მელოდიური,  
 მაღალ ბადახში ცურავს ფერფლი მხურვალე მზისა,  
 მანგოს ნაყოფში მაღავს თითქოს ბახრ ხისკარტს თვისას  
 და თქროსფერ ხისხდს სვამს სტვენია ბენგალიური.

ეროვნული  
 ბიზლირთხა

სამეფო ბადში მოხდებია ხანძრის აღები  
 მაღალ გაღავანს, თითქოს წვაგდეს ცა ფერმიხდილი.  
 ლეილას, სიცხით დაწვალანძულს, მფარველი ჩრდილი  
 უპოვია და მიუღწევად შვეებით თვალები.

ღალით შეძკულ შუბლს მკლავი ნაზი და მოძხიბვლელი  
 ესახთუმლა და მარმარილოს ფეხი შიშველი  
 მარგალიტიან ქოშის ტილოს სიტურფეს მატებს.

ქაღს ეზმანება სატრფო მხნე და პაეროვანი,  
 ვით მწიფე ხილი, მხურვალე და სურნელოვანი,  
 გუფს რომ აგრილებს და ბაგეებს წყურვილით ანთებს.

უღბანი

გზამ პორებიდან სირიისკენ მოთენთა რაკი,  
 პაღმას მიაბა ბელუინმა გამხდარი ჭაკი  
 და მტვრიან ჩრდილში, სადაც შრება და ხმება ხილი,  
 წამოსახამში გამოხვეულს ეწვია ძილი.  
 ისეუ თუ ხედავს ის, ვინც ასე გადადლილია,  
 თვის შორ თახისს, სად ღელვები წითლად ღვივიან,  
 ციცქნა ველს, სადაც მისი ტომი დასახლებულა,  
 წყაროს, რომლითაც მისი ბაგე დარწყულებულა,  
 ცხვარს აბღავლებულს ან მოღობილ სადგომს ხარების,  
 ან ქაღთ, წყლისპირს რომ საუბრობენ ჩამომსხდარები,  
 ან მეაქლემეთ, წრედ რომ სხედან ფეხმორთხმულები  
 და ამბავთ ძველთა ყურს უგდებენ გაღურსულები.  
 არა და არა – მისი სული მშფოთვარ ვნებებით  
 აღგზნებულა და სტუმრობს მხარეს მოჩვენებების.  
 ესიზმრება, რომ აღ ბორაკი, განთქმული რაში,  
 მიაფრენს მაღლა კურთხეულ და დალოცვილ ცაში,  
 ღამეთა ხიბლით გრძნეული და აღმოდებული  
 ჯენეთის ტურფა ასულებს ჭკრეტს ათროთლებული.  
 ო, მათი თმები ჯოჯოხეთის ღამეზე შავი,  
 სურნელი მათი – დამდაგველი და დამთენთავი.  
 ყვირის აღძრული, შეპერობილი სურვილით მწვაკით,  
 შეეხოს, წელზე შემთავდოს მთროთლოვარე მკლავი.  
 მაგრამ სადაც შორს დაიკივლა ტურამ ავბედად,  
 მიწას სცა ფლოქვი ცხენმაცა და გაქრა ზმანება.  
 გაქრა ჯენეთი, პა, სინუმე, ხვატი და მტვერი,  
 სივრცეს უსახღვროს ცა დაპყრებს სპილენძისფერი.



პიალმარის ბუღი

ღამე ნათელი. ყინვა და ქარი. თოვლი ელვარე, აღმოდებული. ათასი გმირი ხელში მახვილით, იქ უსაფლავოდ ვედზე მძინარე ღიად შთენილი მკაცრი თვალებით, ათასი გმირი გარინდებული. ზემოდან გუნდი შავი ყორხების დასტრიალებს და დაქმნის არეს.

შინგლირთხვა

ირგვლივ იღვრება მკრთალი სხივები შორეული და ცივი მოვარისა. ჰა, პიალმარმა წამოიწია მკვდართა სისხლიან გორაკებიდან. ორივე ხელით ეყრდნობა ნატებს ომში დამსხვრეულ სატევარისა და მოჩქევს სისხლი, ვით ნაკადული, გადახეხილი მისი მხრებიდან.

“შეი, ნეტავი, ამდენ ვაჟკაცში თუნდ ერთი მაინც თუ სუნთქავს ახლა, დილით რომ იყვნენ მხიარულები, ბორგავდნენ რიხით და თავაშეკებით, რომ იკინოდნენ და თან მიუღი ხმით ბრძოლის სიმღერას მღეროდნენ ღაჯად, ისე ვით ტევრში არაკრაკებენ უდარდელ პანგებს ანცი შაშუები.

დამუნჯდა ყველა. დაღწილია ჩემი აბჯარი და მუხარადი. დაჯვრდა ყველა ღერსმხის სკელის ნაგებ დამსხვრეულს ცხარე ბრძოლისას და მუწ ირტება სისხლით თვალები და თან ჩურჩული მესმის მარადი, ვით ხევის დმუილი გაშმაგებული, ანდა ყმუილი მკვლთა ხროვისა.

ღუმის მჭამელი შავი ყორახო, არ დააყოვნო, მოფრინდი ჩემთან! გამბისენ მკერდი რკინის ხისკარტით, როგორც ვხეცია ომების აესულს. წვენ აქ ვიქებით ხეაღუც და მურეც, დახოციდნი და მიერთნი ერთად, ეს ჩემი გული, ასე მხურვალე, გასწი, მიართვი იღმერის ასულს.

ოქსაღამში, იქ სადაც წყურვილს იკლავენ ღუდით დამათრობელით, მღერიან ღაჯად და ოქროს ტოღხებს უჭახუნებენ ერთმანეთს რიხით, შენ იქ იპოვი საცოლეს ჩემსას, ბოლო სამსახურს შენგან მოყული. მიართვი ჩემი გული მხურვალე, ფრთა გაშალე და გაფრინდი იქით.

იქ კოშკის თავზე, სადაც ყვავები დაბუდებულან მისულნი ყოველით, შენ მას იხილავ ფერმკრთალს, შავიძახს მღვარს და მცქერავს განმარტებით. ღერებზე, ხაზად ჩამოქნილებზე, მას ვერცხდის ორი პკიღია რგოლი და აქვს თვალები ისე ნათელი, ვით მნათობთ ღამას საღამოების.

მას გასწი მსვენ პრქუმო მაცხეც უთხარ, რომ მყვარს ტრფობით ძლიერით. მა ჩემი გული იგი მას იცნობს, უდრეცს, ვნებით რომ გიზგიზებს წითლად, თვით სკვდილიმაც რომ ვერ აათრთიღა, რომ ვერ უცვავდა ძველი იერი და საფასურად ამ ძვირფას ძღვენის, შენ გაგიღიმებს ასული ტკბილად.

ვკვლები და ღია ჭრილობებიდან აწ ჩემი სული გაუდინება, მასმ, მესუთი, მგლებო, სისხლი წითელი, შეურყვნელია, მე ვარ თავდები. მხნეს, ჭაბუკს, მცინარს და თავისუფალს არ დამიკარგავს უინი და ვნება, და მე მხის წიად, მარად ნათელში, ჩემს ღმერთებს შორის დაგბინავლები!”



მ ლ უ მ ბ ი

ღამაზ მდელოზე გაუმართავთ ეღფებს ფერხული,  
ცეკვავენ კოხტა გვირგვინებით თავებშემკული.



ტყის ბილიკს მისდევს ირმის ტყავით დამშვენებული  
გულმხნე რაინდი. შავ მერანზე ამხედრებული, უბრალოდ  
მოდის პირდაპირ, შეუცვლელად აღებულ გეზის  
და სიბნელეში თქროსფერი ეღვარებს დეზი,  
და როს მის სხეულს ეფინება სხივი მოვარისა,  
ბზინავს, ციმციმებს ვერცხლი მისი მუხარადისა.

ღამაზ მდელოზე გაუმართავთ ეღფებს ფერხული,  
ცეკვავენ კოხტა გვირგვინებით თავებშემკული.

ჰა, ეხვევიან ეღფნი რაინდს ფუტკრების მსგავსად  
და მათი ნორსი დედოფალი მიძმართავს ნაზად:  
– გულმხნე რაინდო, დავიდამდა გზაზე სრულებით,  
ასე გულდაგულ ნეტავ საით მიეშურები?  
აუი სულეტი ბინადრობენ სიღრმეში ტყეთა.  
შესდექ, დარჩი და ამ მდელოზე იცეკვე სვეთთან.

ღამაზ მდელოზე გაუმართავთ ეღფებს ფერხული,  
ცეკვავენ კოხტა გვირგვინებით თავებშემკული.

– არა, მე მეღის სატრფო ჩემი ნათელთვალეობა,  
ხვალ შევუღლდებით და ქორწილი გაიძმართება.  
მაშ, გამატარეთ და გამიშვით ჩემს სავალ გზაზე  
და გააგრძელეთ თქვენი ცელქი ფერხული ხავსზე.  
ნულარ მაყოვნებთ, მონატრებით გული მევსება,  
გამიშვით დროზე, სადაცაა დაგვათენდება.

ღამაზ მდელოზე გაუმართავთ ეღფებს ფერხული,  
ცეკვავენ კოხტა გვირგვინებით თავებშემკული.

– დარჩი რაინდო, ნუ მაწბილებ ეღფთა დედოფალს,  
ვიძღვნი ამ ბეჭედს თქროსას და ჯადოსნურ ოპალს.  
ჰა, ჩემი კაბაც მოვარის შუქით ნაქსოვი, ნაზი,  
თვით იღბალზე და დიდებაზე უფრო ძვირფასი.  
– არა! – მაშ წადი, შეგახურო, არ ვიცი, რითი, –  
შეახო მკერდზე რაინდს თეთრი, ღამაზი თითი.

ღამაზ მდელოზე გაუმართავთ ეღფებს ფერხული,  
ცეკვავენ კოხტა გვირგვინებით თავებშემკული.

ბასრი დეზებით აგზებულნი მიჰქრის მერანი,  
მირბის და გრძელ გზას ამოკლებენ ფლოქეთა ცემანი,  
მაგრამ მხედარი უხანგებზე შედგომით მკვეთრით



წინ გადახრება, გზაზე მოსჩანს ფიგურა თეთრი,  
ჩუმად რომ მოდის რაინდისკენ მკლავებგაწვდილი.

– ვინა ხარ, ელფი, დემონი თუ ავი აჩრდილი?  
ღამაზ მდელთზე გაუმართავთ ელფებს ფერხული,  
ცეკვავენ კონტა გვირგვინებით თავებშემკული.

– არ შემახერო, სატრფო მელის ღამაზთგანდობა,  
განვედი ჩემგან, საქორწინოდ მიმეჩქარება.

– ქმარო, ძვირფასო, სვენთვის შავი სამარე კრული  
აწ საქორწინო საწოლია მარადიული,  
მე მივიცვალე. – გაოგნებით უმხერს მხედარი  
და ტრფობითა და დაღლილობით ეცემა მკვდარი.

ღამაზ მდელთზე გაუმართავთ ელფებს ფერხული,  
ცეკვავენ კონტა გვირგვინებით თავებშემკული.

კ ო ლ ი ბ რ ი

მწვანე კოლიბრი ღამაზ სერთა მეფედ ხმობილი,  
როს უმხერს ცვრის და მზიურ შუქის ერთობლივ ნთებას  
ბუდეში, რაიც ბაღახებით აქვს მოქსოვილი,  
ვით ცეღეჩი სხივი, აგზნებულნი ჰაერში სხლტება.

ჩქარობს, წყაროებს ესტუმრება გაფრენით მარდით,  
სადაც ღერწმები ზღვას ბაძავენ შრიალა ენით,  
წითელ ყვავილებს დვთაებრივი სურხელი ასდით,  
იხსნებიან და გულს ივსებენ ნათელი ტენით.

ოქროსფერ ყვავილს პოულობს და ეფლობა მასში  
და ტრფობის სასმელს ეწაფება ვარდისფერ თასში,  
გაბრუებული სვამს უზომოდ, დაცლის და კვდება.

ო, ასე სურდა, სატრფოე ჩემო, ჩემს სულს სიკვდილი  
შენს ნაზ ბაგეზე, როს იგემა ნექტარი ტკბილი  
პირველი კოცნის და შეიგრძნო ნექტარი ვნება.







ჯანი როლარი (იტალია)

## კატეპთან ყოფნა უკეთესია

(ზღაპარი მოხრდილთათვის)

პენსიონერი ანტონიო რკინიგზის სადგურის უფროსად ნამუშევარი კაცია. მის შვილიცა ჰყავს, რძალიცა და შვილიშვილებიც – თავისი მოსახელე ანტონიო და კუდრაჭა დანიელა, მაგრამ პაპა გინდ ყოფილა და გინდა არა, არაუარა არაფრად აღარ აგდებს.

– მახსოვს, წინათ, – დაიწეებს ანტონიო პაპა მოყოლას, – პოჯობონხის სადგურში რომ ვმუშაობდი...

– დაიცა, მამა, რა დროს ეგ არი, – შეაწვევებინებს შვილი, – ნუთუ ერთი წყნარად ვერ უნდა წავიკითხო გახუთი? ვენესუელის მთაყრობა შევ დღეშია, გადადგომაზე აქვს საქმე.

ანტონიო პაპა ასლა რძალს მიუბრუნდა:

– კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ გაღარატეს სადგურში...

– მამა, – ხიტყვას აწვევებინებს რძალი, – გადი, გარეთ არ გირხევნია? სუფთა პაერს მაინც ჩაყლაპავ. ხო მიყურებ, იატაკს ვაპრიადებ.

ანტონიო პაპა ვერც თავის მოსახელე შვილიშვილს უბამს ლაპარაკს. ის უკვე თექვსმეტი წლის ბიჭია და პაპისათვის სადა სცაღია, გამწარებული ხასცქერის ნათხოვარ წიგნს, რომლის წაკითხვაც თვრამეტ წლამდე მიზანშეწონილად არ ითვლება.

მაგრამ პაპა ფარ-ხმადს არა ჰყრის. პატარა შვილიშვილის იმედი აქვს, დანიელასი. გოგო უფრო მოსიყვარულეაო, ფიქრობს. ადრე, სადგურის უფროსად რომ მუშაობდა, თავის ქედს დაახურავდა ხოლმე, როცა დანიელა ბიჭებს მატარებლების დაჯახობანას ეთამაშებოდა. დანიელა ტელევიზორს თვალს არ აშორებს, ისე ეუბნება:

– რა მოგივიდა, პაპა, ვერ უყურებ, აღზრდის ამბებზეა გადმოცემა! ბოლომდე მაყურებინე!

დანიელა ჯერ ექვსი წლისაა, მაგრამ უკვე იცის აღზრდის ფასი. პაპა ანტონიო გულმოკლული ამოთხრებს.

– პაი, დედასა! კარგა გატყობთ, აღარაუარა არ გინდიყართ და, რა ექნა, ავღებები და სულაც კატებთან წავალ.

ერთხელაც, მართლა ადგა და წავიდა შინიდან. ლოტოს სათამაშოდ მივდივარო, დაიბარა, მაგრამ რის ლოტო, რა ლოტო, არჯენტინოს მოედნისაკენ გასწია. იქ, ძველი რომის ნანგრევებში, თვლა არა ჰქონდათ კატებს. ანტონიო პაპა კიბეებს ჩაჰყვა, გადაძვრა რკინის მთაჯირზე, საკატეთს ავტომობილებით გაჭედილი ქუჩისაგან რომ ჰყოფდა, და კატად გადაიქცა. ერთი გაიხედ-გამოიხედა, დაჯდა და თათების ღოკვა დაიწყო: ამ ახალ ცხოვრებაში ადამიანის შვილთა ფეხის ჭუჭყი და მტყერი არა შემყვეს რაო.

სწორედ ამ დროს იქვე ერთმა გაქუცულმა კატამ ჩამოიარა და თვალის თვალში გაუყარა, უცქირა, უცქირა და ჰკითხა:



– ბოდიში, სინიორ, მაგრამ თქვენ ანტონიო არა ბრძნდებით? მე ის პენსიონერი მასწავლებელი ვარ, თქვენი სახლის წინ რომ ვცხოვრობდი. მგონი, უნდა გახსოვდეთ. თუ არა და, ჩემი და მაინც აუცილებლად გეცოდინებათ.

– როგორ არა, ორივეს გიცნობთ. სულ ერთთავად რადონებზე ჩხუბობდით.

– მართალი ხარ, მართალი. სწორედ იმ ჩხუბს და დავადარბას გამოვექეცი. კატებთან ყოფნა ვამჯობინე.

ანტონიო პაპა დიდად განაცვიფრა ამ ამბავმა. იმას ეგონა, კატად გადაქცევის ბრწყინვალე ასრი ჩექმა მებტს არავის არ შეიძლება მოუვიდესო. ახლა კი თავისი თვალით ხედავდა, რომ არჯენტინოს მოედანზე მუტად ცოტანი იყვხენ ნამდვილი კატები, დედათა და მამით კატები. უმეტესობა ის ხალხი იყო, ვინც პენსიონერად გახდომის მერე გადაქცეულიყო კატად.

კატები პირდაპირდნენ შესცქეროდნენ ანტონიო პაპას. კატაქცეულ სადგურის უფროსს პირველად ხედავდნენ და ყველას ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა იყო, რა ხდებოდა მატარებლებში, მეორე კლასის საპირფარეშოებში რატომ არახოდეს არა დევს საპინი და ა.შ.

როცა მოსაღამოვდა და ცახე ვარსკვლავები აკიაფდნენ, კატა-მასწავლებელი ლექციის კითხვას შეუდგა ანტონიომის ხაზით.

– აბა, აიხედეთ მაღლა, – მიმართა კატებს, – აგერ იმ თანავარსკვლავედს დიდი დათვის თანავარსკვლავედი ჰქვია. ახლა აქეთ შემობრუნდით და მარჯვნივ გაიხედეთ, ის თხის რქაა. მერე თევზი მოდის, თევზს კორხიბი და დრიანკალი მოსდევს.

– მოელი ზოოპარკი ყოფილა! – სიტყვა შეაშველა კატა-მეეხოვემ.

– აგერ ის კი ძაღლის თანავარსკვლავედია...

– კარგი, კარგი! – გაისმა აქეთ-იქიდან, – კატის თანავარსკვლავედი თუა, შენ ის გვითხარი.

– არა, კატისა არ არის, – უპასუხა მასწავლებელმა.

– უყურე ერთი, ძაღლისა და ღორისა არი და მაინცდამაინც კატისა გამოჩინებათ!

კატებმა პროტესტის ნიშნად კნავილი მორთეს და დემონსტრაციის მოწყობა გადაწყვიტეს. საგანგებო წერილები დაუგზავნეს რომის კატებს, ფორის უბნის კატებს, ხორციისა და თევზის დახლების კატებს, საავადმყოფოების ფანჯრებთან მოდარაჯე კატებს, რომელთაც იციათ, რომ ავადმყოფები აუცილებლად გარეთ გადმოშვრიან თავიანთ წილ უვარგის საჭმელს. შეხვედრის აღვიდად კოლიზეი დათქვეს.

მეორე დღით კატებმა ალყა შემოარტყეს კოლიზეის. ხელად პლაკატიც გახნდა: “კოლიზეი ჩვეს ხელთ არის! მოვითხოვთ კატის თანავარსკვლავედს!”

ტურისტები, მოგზაურები და ამველ-ჩამველნი გაოცებულნი იდგნენ და ტაშს უკრავდნენ. დღესასწაულმა ბრწყინვალედ ჩაიარა.

რომის კატები შემდგომი მოვლენების მოლოდინში თავიანთ ძველ კუთხე-კუნჭულთ დაუბრუნდნენ. ანტონიო პაპა და კატა-მასწავლებელი არჯენტინოს მოედნისაკენ გაეჩქარნენ და გზაში თან მოძავლის გეგმებს აწყობდნენ.

– რა კარგი რამ იქნებოდა, – წამოიკნავდა კატა-მასწავლებელმა, – წმიდა პეტრეს ტაძრის თაღი კუდაპრეხილი კატებით რომ მოეხატათ!

ის იყო, სინიორ ანტონიომ კუერის დაკვრა დააპირა, ცუდი არ იქნებოდათ, რომ საიდანაც ხმა შემოესმა:

– პაპა, პაპა!

პაპაო? ხუთუ მართლა დანიელაა? ის არი, ნამდვილად ის არი. სკოლიდან მოძავალმა იცნო პაპა და დაესმაურა. მაგრამ ანტონიო პაპა უკვე მიეწვია კატად ყოფნას და თავს ისე იტერს, ვითომ ვერც დაინახა თავისი კუდრაჭა შვილიშვილი.



– ცუდი კაცი ხარ, პაპუკა, ცუდი, ორი დღეა დაგეძებ, სად გაგვეპარე?  
 – რა ღამაში გოგოა, – ამბობს კატა-მასწავლებელი, – რომელ კლასშია ნეტავი! კარგი ხელი თუ აქვს? ფრხილებს ხომ იწმენდს ხოლმე? მაგას აღბათ არ უყვარს საპირფარეშოს კარების ყვანა...

– ტყუილია, მაგისთანა გოგო მეორე არ დადის ქვეშაზე, – ეუბნება, ცოტა არ იყოს, შეშფოთებული ანტონიო პაპა, წავალ, სახლამდე მივაციდები, თორემ მეშინია, სადმე უადგილოდ დავიკარგავ არ გადავიდეს.

– გახაგებია, გახაგები, – კნავის კატა-მასწავლებელი, – მეც წამოვალ, ჩემს დას შევუყვლი, საწყაღს აღბათ ისევ სახსრების ანთება აქვს და თავისით ფეხზე ვერ იცვამს.

– წამო, მალე წავიდეთ, პაპა! – უბრძანებს დანიელა.

შინდაბრუნებულმა კატა სინთორ ანტონიომ თავის საყვარელ სავარძელში მოიკაღათა და მისაღმების ნიშნად ყურები გამოიბერტყა.

– პაპამ ყურები გამოიბერტყა, პაპამ ყურები გამოიბერტყა, – შეკვივრა გახარებულმა დანიელამ.

– კარგი, კარგი, გეყოფა, – დაუტიეს შეცბუნებულმა მშობლებმა, – მალე, მადი, მაგიდას მიუჯექი.

რაც კი რამ საუკეთესო იყო, ყველაფერი კატად ქცეულ პაპას ერგო – სუკიც, დამტკბარი რძეც, ბისკვიტიც, ზრუნვას და აღერსს ხომ ნულარ იტყვით. ხან – აბა, როგორ კრუტუნებსო, შესციცინებდნენ, ხან – თათის ჩამორთმევა თუ იცისო, ხელს ართმევდნენ, ხანაც ყურებსა ფხანდნენ, ანდა თაქქვემ ფუმფულა ბალიშს უდებდნენ და სახერხიც კი მოიტანეს, საჭირო ადგილი გაუმართეს.

ნახადილეუს პაპა აივანზე გავიდა, მოპირდაპირე სახლის აივანზე კატა-მასწავლებელი იდგა და იადონებს უთვალთვალებდა.

– როგორ არი საქმე? – აკითხა ანტონიო პაპამ.

– უკეთესს ვერ ინატრებ, – უპასუხა კატა-მასწავლებელმა, – ჩემი და ისე მექცევა, რაღა მე და რაღა რომის პაპის ცოლი.

– მერე უთხარი, ვინც ხარ?

– ეუთხრა რა, სულელი კი არა ვარ, რო გამოგოს, ეგრევე საგიჟეში გამაგ'სავხის. ეხლა კი საწყაღი დედაჩემის ნაქონი საბანი მახურავს, წინათ ხედაც არ მახედებდა. შენ რასა შერები? როგორ გიკითხო?

– ყოფნით, იცოცხლე, მეც არა მიჭირს რა, მაგრამ აღარ ვიცი, რა კქნა, დანიელა სულ იმას მეხვეწება, ისევ პაპა გახდით, თანაც სუყუღა კეთილად მექცევა.

– არ გაგიუღე და მართლა არ დაუჯერო! ეგ იგივეა, ნაპოვნი განძი წყაღში რო გადაყარო.

– რა ვიცი, – გაიმეორა ანტონიო პაპამ, – ეჰ, ერთი ტოსკანური სიგარა მომაწვეინა ეხლა, ნახევარი მაინც...

ახე იყო თუ ისე, ადგა ბოდოს ანტონიო პაპა და წავიდა არჯენტინოს მოედანზე. მივიდა ისევ იმ რკინის მოაჯირთან და ახლა იქიდან აქეთ გადმოძვრა. გადმოძვრა და კატა კვლავ ბერიკაცად გადაიქცა. ბერიკაცს ხელთ სიგარა ეჭირა და ცეცხლს უკიდებდა.

შის რომ მივიდა, ანტონიო პაპას გუღს სულ ბაგაბუგი გაჰქონდა. პაპის დანახვაზე დანიელა ღამის გადაირია სიხარულით. მოპირდაპირე სახლის აივანიდან კი კატა-მასწავლებელმა ცალი თვალით გამოხედა და დაიკრუტუნა:

– ვაი შე სულელი, შენა!





## მიმწუხრი

საკი ინგლისური კომიკური ნოველის ბრწყინვალე ოსტატის პექტორ მანროს (1870-1916) ფსევდონიმია, რაც სპარსულად მერიქიფეს, მწდეს (საყი) ნიშნავს. აღმოსავლური პოეზიისა და კერძოდ, ომარ ხაიამის შემოქმედების სიყვარულის გამო აირჩია მწერალმა ეს ღვინის დამსხმელის სახელწოდება. საკი, როგორც საკუთარი კორესპონდენტი, რამდენიმე წელიწადი გაზეთ "მორნინგ პოსტს" წარმოადგენდა რუსეთში. ფიქრობენ, რომ იგი საქართველოშიც ნამყოფია.

ნორმან გორტსბი გრძელ სკამზე ჩამომჯდარიყო პარკში. სკამს უკან ზოლად გაყვანილი მთლი მწვანობდა. მერმე უკვე ბუჩქნარსა და ამ ბაღ-ხეხარის ღობე-ყორეს მოკრავდი თვალს, რომელი ღობე-ყორის წინაც, საეტლე შარავხის გვერდით, როტტენ-როუ\* ჩანდა. გორტსბის მარჯვნივ, იქვე, ჰაიდ-პარკის კუთხე გამოიყურებოდა, სადაც ქუჩიდან მოძრაობის ხმაური და რიხინი ატანდა. მარტის დამდეგის საღამო ხანი იყო, შვიდის ნახევარი იქნებოდა, და უკვე ხშირდებოდა მიმწუხრი, რომელსაც ოდნავ აცრიატებდა, აბაცებდა მოვარისა და უამრავი ქუჩის ფარნის სუსტი შუქი. გზა ბილიკებსაც და ხეივნებსაც სრული უდაბურობა დასტყობოდათ, თუმცაღა ამ ნახევრად განათებულ სივრცეში ბევრი შეუმჩნეველი ღანდი ირეოდა. ერთნი უჩუმრად მოძრაობდნენ, მეორენი ცალცალკე წერტილებად ისხდნენ მერხებსა და სკამებზე. გორტსბის მოსწონდა, თვალში მოხდიოდა ეს ადგილი, ისეთ განწყობილებაზე იყო იმ საღამოს მაინც ძალიან ეხმატკბილებოდა აქაურობა. მიმწუხრი დამარცხებულთა ჟამად წარმოუდგებოდა. სუყველა კაცი თუ ქალი, ვისაც კი ებრძოდა და წაეგო ბრძოლა, ვისაც კი ცნობიმიყვარეთა ყოვლისმანხრეკელ თვალთაგან საგულდაგულოდ დაემაღლა თავის მიუღწეველი წარმატება და მკვდარი იმედები, აქ გამოდიოდა ამ მიმწუხრის ჟამს, როცა თითოეულის აბრანძული ტახისამოსი, მოკუხული მხრები და ვაგდახიანი თვალები შეიძლებოდა რომ ვერცვის შეემჩნია, ანდა თუნდაც ვერ ამოეცნო.

ეს ადამიანის მვიდნი მიმწუხრში დამურებსავით ეპატრონებოდნენ გაუდაბურებულ პარკს. თავის კანონიერ მფლობელთაგან ხელადებულს. ამ ბედრკულთაგან თავშესაფრად დაგულეებული ბუჩქებისა და ღობე-ყორის საფარველს იქით გაბრდღვიალებული შუქებისა და ხმაურიანი დაზურზურებულ-გამადებული მოძრაობის სამეფო გაშლილიყო. მიმწუხრს, რომელსაც თითქმის ფახტავდა თვალის მომჭრელად განახნახებული ფანჯრების მრავალსართულიანი ხომლი – იქ იმ სხვა ადამიანის მვიდთა სამყარო იწეებოდა. ვისაც ცხოვრების ომში გაეძლო, ანდა სულაც თავს დამარცხებუ-

\* როტტენ-როუ – ვიწრო საცხენოსნო გზა-ბილიკი ჰაიდ-პარკში.



ლად არ მიიხნევედა. ამდაგვარი სურათები ეხატებოდა თვალწინ გორტსბის, თითქმის გაუკაცრიელებული გზა-ბილიკის პირას გრძელ სკამზე ჩამომჯდარს. ის თავისთავსაც დამარცხებულად თვლიდა. ფულის მხრივ გაჭირვება არ ჰქონდა, თუკი მოესურვებოდა, ადგებოდა და ისიც შეერთვოდა ქუჩას, ხინათლითა და ხმაერთი ხავსეს, და უმაღლ თავის ადგილს დაიჭერდა იმ ხალხის დეხდგოში, ვინც სავსე ოჯახში ყოფილებდა, ანდა სიმდიდრეს ეძიებოდა. გორტსბის ხელი სხვა უფრო დიდ-დიდ რამეებში მისწავსებოდა და ახლა გული ეკუმშებოდა, შეწუხებული იყო და თავის თავისთვის უარი ვეღარ ეთქვა რამდენადმე ცინიკურ სიამოვნებაზე, უკეთუ თვალს შეავლებდა იმ თავისნაირ მწირ-მაწანწალა ხალხს, ვისი გზაც ფარნებს შირის ბნელ სივრცეებში გადიოდა, და ყველას კარგეობად დაყოფდა.

გორტსბის გვერდით გრძელ სკამზე ხნიერი ჯენტლმენი იჯდა. ჯენტლმენს იმ თავპირსამომტირალი კაცის იერი ჰქონდა, ვისაც ჯერეთ კიდევ არად მიახნია გარემომცველი სამყარო, და ამგვარად საკუთარი ღირსების ნარჩენებსდა ინარჩუნებს, თუმცადა სინამვიდეში უკვე კარგა ხანია აღარც ვისმე და აღარც რისიმე აბუჩად აგდების თავი აქვს. ჯენტლმენის სამოსელს გაქუცულს ვერ ეტყოდა, ბინდ-ბუნდში მისც სავსებით უძლებდა გამოცდას, მაგრამ იმის წარმოდგენა კი შეუძლებელი იყო, რომ იმ ტანსაცმლის პატრონი ნახუარკრონად ერთი კოლოფი მოკოლადის ყიდვას გაბუდავდა. ანდა სადილეში ჩასაბნევი მიხაკისთვის ცხრა პენსს გაიმეტებდა. ის უდავოდ იმ მივიწყებულ ორკესტრს ეკუთვნოდა, რომლის დაკრულ მუსიკაზეც აღარავინ ცეკვავს. ამქვეყნად ის ერთი იმ მჭეუნვარუთაგანი იყო, ვისი ხივილიც საპასუხო ვაივიშს აღარ იწვევს. როცა ჯენტლმენი წახსდებოდად წამოდგა, გორტსბიმ გონების თვალთ წარმოიდგინა, როგორ მივიდოდა იგი შინ, სადაც თავსიციღს დააყრიდნენ და გაამასხარავებდნენ, ანდა როგორ შერგავდა თავს სადმე ცივ სოროში, სადაც გარკვეულ წილ პატივსაც იმისდა მიხედვით მიაგებდნენ, ყოველი კვირის ქირის გადახდის რა უნარიც ჰქონდა. წინმაგადლი ჯენტლმენის ღანდი ნელნელა შეერთა ბინდს. თითქმის მაშინვე, როგორც კი ის წავიდა, იმისი ადგილი ბადის გრძელ სკამზე ერთმა ყმაწვილმა კაცმა დაიჭირა. ყმაწვილ კაცს ცუდად სულაც არ ეცვა, სახით თავის წინამორბედზე უფრო დაღხენილი ჩანდა. თითქოსდა იმის ყურადღების მისაქცევად, რა შავ დღეში იყო ჩავარდნილი, სკამს ეგრევე მოწვევით დაუხრევა თუ არა, მოსულმა ერთი ბრაზიანად და ხმაძაღლა შეიკურთხა.

— ალაც ცუდ ხასიათზე ჩანხართ, — უთხრა გორტსბიმ, რადგან საჭიროდ ჩათვალა, რომ გაპასუხებოდა ამ გამომწვევი საქციელის გამო.

ყმაწვილი კაცი გაპასუხებდისკენ შეტრიალდა და თავგზადამბნევეად გულუბრყვილო მხერა მიაპყრო, რამაც გორტსბის მყის ყურადღება დააძაბინა.

— არც თქვენ იქნებოდით კარგ ხასიათზე, ხემიხთანად რომ გამძულიყავით ხათაბაღაში. ეს ყველაზე დიდი ხისულელება, რაც კი ხემს სიცოცხლეში ჩამიდენია.

— კო? — გულგრილად თქვა გორტსბიმ.

— დღეს ჩამოვედი, ბერქშირის მოედანზე სასტუმრო “პატაგონიაში” ვაპირებდი ვახერებას, — გასაგრძობდა ყმაწვილი კაცი, — იქ მოსულმა კი შევიტყვე, რომ ორი კვირის წინათ აუღიათ და იმის ადგილას კინოთეატრი წამოუჭიძავთ. ტაქსის მძღოლმა სხვა სასტუმროში წასვლა მირჩია, სადაც იქვე ახლოს, და მეც წავედი.



ჩვენებს მისამართიანი წერილი გაუუგზავნე და გარეთ საპნის საყიდლად გამოვედი, წამოღება დამავიწყდა, სასტუმროს საპნის ხმარებას კი ვერ ვიტან. მერე ქუჩა-ქუჩა ვიხეტიალე, ბარში ერთი-ორი ჭიქაც გადავეარი, ვიტრინებს აუარ-ჩაუარე და როცა უკან სასტუმროში მიბრუნება დავაპირე, უცებ დამცეცხლა, რომ სასტუმროდან გადამვარდნოდა და აღარც ქუჩა მახსოვდა სადაც ის სასტუმრო იყო. უკეთეს ვერ ინატრებ კაცისთვის, ვისაც რღობინდნენში არც ახლობლები ყვანავ, არც ნაცნობები! ცხადია, ჩვენს უბანში დეპეშის გაგზავნა და მისამართის თხოვნა შემეძლო, მაგრამ ისინი ჩემს ამბავს ხეაღამდე ვერ შეიტყობენ, მე კი სრულიად უფულო ვარ – გარეთ რომ გამოვედი, ჯიბეში ერთ შილინგამდე მეგდო, და ისიც საპონზე და ლუდზე დამეხარჯა. აღია-ბაღია, ორი პესოლა მიტყავის, აღარ ვიცი, რა ვქნა სად წავიდე ამ დამეში.

ამბის მბობა რომ მორჩა, მჭევრმეტყველური პაუზა ჩამოვარდა.

– ალბათ, ფიქრობ, ეს ზღაპარი მოჩმახათ, – თქვა ყმაწვილმა კაცმა, და ხმაში წყენა დაეცყო.

– არა, ზღაპარი რა მოსატანია, – მიუგო გორტსბიმ მშვიდად, – მახსოვს, მეც დამემართა ვგეთი რამ ერთ უცხო სატახტო ქალაქში, და რაც უფრო აღსანიშნავია მარტო კი არა ორნი ვიყავით. საბედნიეროდ, გავიხსენეთ, ჩვენი სასტუმრო რომელიდაც არსზე იდგა, და არხს რაკი მივაგეხით, მერე სასტუმროს გზის პოვნაც აღარ გაგვიძნელებია.

მოსაუბრემ თავისი ამბავი რომ მოათავა ყმაწვილ კაცს სახე გაეზადრა.

– სადმე უცხო სატახტო ქალაქში აგრერიგად არ შევწუხდებოდი, – თქვა მან. – იქ ადგები კაცი, შენი ქვეყნის კონსულს მიადგები, მიჭირს, დამეხმარეო, და ისიც ხელს გაგიმართავს. აქ კი, შენს საკუთარ ქვეყანაში რამე სათაბაღაში გაეხვევი თუ არა გაცილებით უფრო უმწყო ხარ. თუკი ღმერთი გამიწერა და ვინმე ღვთისნიერ კაცს ვერ გადავეყარე, ვინც ჩემს ამბავს გაიგებდა და ცოტაოდენ ფულს მასეხებდა, ნამდვილად სანაპიროზე მომიწევს დამის გათუვა. ისე კი, მოხარული ვარ, რომ ჩემი ამბავი მაინცდამაინც დაუჯერებლად არ გეჩვენება.

თავის ბოლო შენიშვნაში მან კარგა გვარიანი სიტბო ჩართო, თითქოს იმის მიხვედრება უნდოდა, რომ გორტსბი არც თუ ისეთ კაცად წარმოედგინა, ვისაც სხვისი ხელის აპყრობა არ სჩვეოდა.

– არ მეჩვენება, მაგრამ – ხელა წარმოხტევა გორტსბიმ – თქვენი ამბის სუსტი ადგილი ის არის, რომ საპნის ჩვენება არ შეგიძლიათ.

ყმაწვილი კაცი უცებ წელში გასწორდა, პაღტოს ჯიბეების ქექვა დაიწყო, კარგახანს იქექა და წამოხტა.

– ეტყობა დავკარგე, – წაიბუტბუტა მან გაჯავრებულმა.  
– ერთ დღეში სასტუმროსა და საპნის დაკარგვა რაღაც განზრახულ გაუფროთხილებლობაზე დაპარაკობს, – მიუგო გორტსბიმ.

მაგრამ ყმაწვილკაცს ფრაზის დამთავრებისთვის აღარ დაუცდია. მაღლააბღუენილი თავითა და რამდენადმე ნაცოდვილარი კუნთნავარდობით სწრაფად მიეფარა თვალს ბაღის გზა-ბილიკზე.

– ისე, კაცმა რომ თქვას; – ფიქრობდა გორტსბი, – რატომ არ შეიძლებოდა, რომ საპნის საყიდლად გამოსულიყო, რაც მთელ ამ ამბავში ერთადერთ დამაჯერებელ მომენტად ჩანს. არადა, სწორედ ამ პატარა დეტალმა უმტყუნა. გვარიანი წინდახედულობა რომ აქონოდა და ის ერთი ცალი საპონი მართლა აღმოჩენოდა ისევე კონტად შეხვეული და შეფუთული, როგორც ეს აფთიაქში იცინან, თქმა



არ უნდა, თავისი გამორჩეული საქმიანობის გენიოსი იქნებოდა. ამ გამორჩეულ საქმიანობაში გენიალურობა კი ის არის, რომ კაცმა სიფრთხილის განუხაზღვრელი უნარი გამოიჩინოს.

ამის გაფიქრება იყო და გორტსბი წამოდგა, წახვდა პარტარა და უცებ შემცბარმა შეწყვიტა. მიწაზე, იქვე სკამთან რაღაც პარტარა თვალური ნაკრავლა ეგდო, ისევე კონტად გახვეული და შეფუთული, როგორც ეს აფთიაქში დახდის უკან მდგომი იცინავს. გორტსბი რამ, საპონი იყო, აღბათ ემაწვილკაცს პალტოს უკანაფარსხვა ამოუვარდა, როცა სკამზე მოწვევით დაეხევა. გორტსბი უძალ ვეხ-ახქარებული გაუყვა წყვლიადში ჩადირულ გზა-ბილიკს, რათა როგორმე დასწეოდა თხელპალტოიან ემაწვილკაცს. დაწვეით მალე დაეწია კიდეც, მაგრამ თითქმის უარი თქვა თავის განზრახვაზე, როდესაც თავისი დეკნის თბიექტს მოატანა თვალი; ემაწვილი კაცი საეტლე გზასთან იდგა და რაღაც ყოყმანი ეტყობოდა. როგორც ჩანს ვერ გადაეწყვიტა საით წახულიყო, პირდაპირ პარკი გადაეჭრა თუ ნაიტსბრიჯის ტროტუარებს შეჰკედლებოდა და იქაურ რომ-ტრიადში ამოეყო თავი. როცა მან გორტსბის ძახილს მოჰკრა ყური ცქვიტად შემოტრიალდა და ისეთი სახე პქონდა თითქოს მტრის ხმა შემოესმა და წინააღმდეგობის გაწევას აპირებო.

— ფრიად მნიშვნელოვანი მოწმე გაჩნდა, რომელიც თქვენი ამბის ჭეშმარიტებას ადასტურებს. — უთხრა გორტსბიმ და საპონი გაუწოდა, — აღბათ, ჯიბიდან დაჯდომისას ამოგივარდა. წამოხვედით თუ არა იმ წუთას თვალში მომხვდა, ძირს ეგდო. უნდა შემინდოთ, მაპატიოთ ჩემი უჯერობა — ურწმუნობა. მაგრამ ისე, მართალი თუ გინდათ ყველაფერი თქვენს წინააღმდეგ დაპარაკობდა. ახლა კი, ამ საპნის ხვესებებზე დაურღსობით, ვფიქრობ, განახეინც უნდა აღვასრულო, თუკი რასაკვირველია, ერთი სოვერენის\* ოდენობის სესხი რამდენიმე ხელს გაძლეუთ...

ემაწვილმა კაცმა ოქროს ფული ცქაფად იკრა ჯიბეში, თითქოს ეშინია, ემახდ ისევ რამე ეჭვი არ გაუხხდეს და უკან არ გამომართვას.

— ბარემ ეს ბარათიც გამომართვით, ჩემი მისამართია, — განაგრძობდა გორტსბი, — ფულს რაც მალე გამომიგზავნით, მით უკეთესი, ამ საპნის კი ნულა დაჰკარგავთ, ამან კარგი სამსახური გაგიწიათ.

— რა კარგია, რომ იპოვეთ, — უთხრა ემაწვილმა კაცმა. მერე უღდანაკრავივით თან ხმა უწყდებოდა, რამდენიმე სამადლობელი ხიტყვა წარმოთქვა და თავქუდმოგლეჯილი ნაიტსბრიჯის მხარეს დაეშვა.

— საწვალე ბიჭი, როგორ დაიბნა, — ჩაილაპარაკა თავისთვის გორტსბიმ, — არც გასაკვირია: ეტყობა, ძალიან განიცდის გასაჭირისგან თავის დახსნას. ჩემთვის კი კარგი გაკვეთილია: კაცმა არც ძალიან უნდა დაატახო ჭკუას ძალა და არც მარტო გარეგნობამ უნდა მოგატყუოს.

გორტსბიმ ბადის გრძელ სკამს გვერდით რომ ჩაუარა, სადაც ეს პარტარა დრამა გათამაშდა, ხსიერ ჯენტლმენს შეასწრო თვალი, რაღაცას ეძებდა ხან სკამქვეშ, ხან იქავე გვერდით. გორტსბიმ თავისი ძველი მეზობელი იცნო.

— დაკარგეთ რამე, სურ? — პკითხა მან.

— დიას, სურ, საპონი დამეკარგა.



\*სოვერენი — ინგლისური ოქროს ფული, ერთი გირვანქა სტერლინგის ღირებულებიხა.



## მოთხრობები



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ი ს გ ლ ი ს უ რ ი დ ა ნ  
თარგმნა ნათია ბობიაშვილმა

ალან სილიტოუ (ინგლისი)

### ენოქის ორი წერილი

ენოქის მშობლები უეცრად დაშორდნენ ერთმანეთს. მაშინ ენოქი რვა წლისა იყო. ეს ამბავი ერთ დღეს მოხდა. ენოქი, ჩვეულებრივად, სკოლაში წავიდა და როცა დაბრუნდა, ასეთი ამბავი დახვდა.

ჯექ ბოლენი როგორც ყოველთვის, ახლაც შეიდ საათზე ადგა. ცოცხალი, ენოქის დედამ, საუბრისათვის ბეკონი და კვერცხი მოუმზადა. ისინი დიდხანს არასოდეს ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. იმ დღეს კი თითქმის არ ამოუღიათ ხმა; ორივე საკუთარ ფიქრებში ჩაძირულიყო. როგორც იქნა, ორივემ გადაწყვიტა ეს...

იმის მაგივრად, რომ ქარხანაში წასულიყო, ჯექი ქალაქის ცენტრისაკენ გაემშურა. ერთპენიან საპირფარეოში სამუშაო ფორმა გამოიცვალა და ყავისფერ ქაღალდში გაახვია. ქაღალდი სახლიდან გამოსვლისას ძალუღლად ჩაიღო ჯიბეში და ცოცხალი სამხარეულოდან გასდახა: "დროებით, საყვარელო, შეაღებდე."

ახლა უკვე მოხდენილ ტანსაცმელში გამოწყობილი ჯექი გაემართა რკინიგზის სადგურისაკენ, სადაც რენე ელოდებოდა ორი ჩემოდნით ხელში. რენეს ის ნივთებიც წამოეღო, ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მათი საიდუმლო შეხვედრების დროს ჯექმა რომ აჩუქა. ორივე ერთ ქარხანაში მუშაობდა. იქ ბევრი ამჩნევდა, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ. რენე გასათხოვარი იყო, ასე რომ, არაფერი უშლიდა ხელს ჯექს გამყოფოდა. რენეს გაცნობის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში ჯექი იტანჯებოდა, სინდისი ქენჯნიდა და ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვეტილებაც მიიღო.

ისინი ღონღონის მატარებელში ჩასხდნენ. ცოცხალი ადგილებზე იყვნენ საკუთარი გადაწყვეტილების გამო, თუმცა ამაზე საუბარს გაუბრუნდნენ, რათა ერთმანეთისთვის მერყეობა არ შეემჩნიათ და არ ეფიქრათ, უკან დაბრუნება აჯობებსო.

მთელი დღე თითქმის სიტყვა არ დაუძრავთ. რენეს აინტერესებდა, რას იტყვოდნენ მისი მშობლები, როცა გაიგებდნენ, რომ მათი ქალიშვილი სახლიდან წავიდა. ჯექი კი უფრო ენოქზე ფიქრობდა, თუმცა, იცოდა, რომ დედასთან არაფერი გაუჭირდებოდა. პოდა, გადაწყვიტა, ღონღონიდან გაეგზავნა ცოცხლისთვის წერილი და აეხსნა სახლიდან წასვლის მიზეზი, თუ, რა თქმა უნდა, ედნა თავად ვერ მიხვდებოდა ამ მიზეზს.

როგორც კი ჯექი ქარხანაში წავიდა, ედნამ ენოქს საუბრე მოუმზადა. მერე ბუხართან დადგა და დიდხანს უყურებდა შვილს, რომელიც მაგიდასთან იჯდა და საუბრობდა. ბიჭმა ნაძვინარევი თვალებით ახედა მომღიმარ დედას, მაგრამ დიმილითვე არ უპასუხა.

ედნამ შვილს აკოცა, ჯიბეში ექვსპენიანი ჩაუღო და სკოლაში გაუშვა. თვითონ ჩემოდნების ჩახალაგებლად ზემოთ ავიდა. ნივთების არჩევა არ გაუჭირდებოდა, რადგან შეძლებულად ცხოვრობდნენ, თუმცა არცთუ დიდი ქონების პატრონები იყვნენ. სულ ორი ჩემოდანი და ერთი ხელჩანთა გამოუვიდა.



დრო საკმაოდ ჰქონდა, ქვემოთ ჩავიდა სასაუზმოდ. ისინი ათი წლის ცოლ-ქმარი იყვნენ და აქედან შვიდი წელი მეტად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ჯეკის ხაკლი მისი უდარდელი ხახათი იყო, იმდენად უდარდელი, რომ ედნას ხერვებს უძლიდა. ქალებზეც არ გიჟდებოდა. მთელი უბედურება ის იყო, რომ იგი ვერ ამხნევდა, როდის გამოდიოდა ადამიანი წონასწორობიდან და როცა კი ამას შეამჩნევდა, იქით დასდებდა ბრალს, ხერვებს მიშლით.

ედნას იმდენი პრობლემა ჰქონდა, რომ ახლა, როცა ვეკლავარზე ამბობდა უარს, მათი განხეხებაც უჭირდა, ეს კი უბედურების ერთ-ერთს არწმუნებდა, რომ უნდა წასულიყო. ცოლიც და ქმარსაც ადამიან ცდილობდნენ მათ შორის არსებული უთანხმოება ადამიანური საუბრით მოეგვარებინათ, ერთმანეთის დახახვაზე საუბრის სურვილი უქრებოდათ. თორმეტი წლის წინ ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი. ახლა კი აღარც ცდილობდნენ საკუთარ გრძნობებზე ესაუბრათ, თრივე ფიქრობდა, ეს შედეგს არ გამოიღებდა. რადგანაც საქმე აქამდე მივიდა, გამოსავალი ერთი იყო – რაიმე გადაწყვეტილება მიუღოთ. იმიტომ კი არა, რომ ერთფეროვნად ცხოვრობდნენ, არამედ საერთო უკვე აღარაფერი ჰქონდათ. სხვა შემთხვევაში ედნა იქნებ შეგუებოდა კიდევ ქმარს, რა აუტანელიც არ უნდა ყოფილიყო ეს მისთვის.

მთელი კვირა ცდილობდა წერილი დაეწერა, რომელსაც იქიდან გამოაგზავნიდა, სადაც მიემგზავრებოდა, მაგრამ ამაზე მეტი ვერაფერი მოახერხა: "მივდივარ სამუდამოდ. ხემზე ნუ იდარდებ. მხოლოდ ენოქს მიხედუ. მივდივარ, რადგან მეტიც მოთმენა აღარ შემიძლია." წერილი ხელმეორედ გადაიკითხა და ისევ ჩანთაში ჩაიდო.

ედნა წლების განმავლობაში ფიქრობდა განქორწინებაზე და ახლა, როცა უკვე გადაწყვიტა, ხუსტად არ იცოდა, რას გააკეთებდა. მისი და პალმი ცხოვრობდა, ასე რომ, ჯერ მასთან დარჩებოდა, ხანამ სამუშაოს და ბინას იშოვიდა. სულ ეს იყო, რისი იმედიც ჰქონდა, სხვაზე ჯერ არაფერზე ფიქრობდა. უბრალოდ, კიდევ ბევრი რამის მოგვარება მოუწევდა. მაგრამ რაკი უკვე გადაწყვიტა, აღარაფერი შეახერხებდა. თუმცა ეს ამბავი არც ისე ახარებდა.

ერთი საათის შემდეგ, ედნამ საათი კედლისკენ მიაბრუნა და სამუდამოდ გავიდა სახლიდან. დარწმუნებული იყო, რომ სკოლიდან დაბრუნებულ ენოქის მამა შინ დახვდებოდა და დააპურებდა. ორივეს ძალიან უყვარდა შვილი, თუმცა ედნამ ისიც იცოდა, ცოტათუნი სიყვარული ერთმანეთისთვისაც უნდა ეწილადებინათ. მაგრამ ასე არ მოხდა.

ენოქისთვის კარი ღია დატოვა. ჭკვიანი ბიჭი იყო და თუკი შესცივდებოდა, გახსაც ანთებდა. როცა ედნა სახლიდან გადიოდა, მეზობელმა მისის მაკლიმ თავისი სახლის უკანა კარიდან გამოსძახა, დასახვეწებლად ხომ არ მიდიხარო. ედნამ სიცილით უპასუხა, დედამთილის მოსახახულებლად მივდივარ ნეზერფილდში და მისთვის ძველმანები მიმაქვს ფარდაგის შესაკერადო.



– დედა, სად არის ხემი ჩაი?! – დაიძახა ენოქმა სახლის უკანა კარიდან. სახლამდე სირბილით მოადწია, ჯიბე მარმარილოს სათამაშოებით ჰქონდა სავსე. რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა: მრგვალი სახე გაფითრებოდა, მოწითალო თმა შებღზე ჩამოშლილია, პირიც წითელი კანფეტით მოთხუპხოდა.

სახლში რომ შევიდა და სამზარეულო ცარიელი დახვდა, არ ესიაშოვნა. სახელოებგადაგრეხილი პალტო დივანზე მიაგდო. ორგულივ უჩვეულო სიხუმე სუფევდა, თუმცა ვერ გაეგო, რატომ, კედლისკენ მიტრიალებული საათი მთა ბრუნა, სამზარეულოში შევიდა და ქურაზე ჩაიდანა დადგა.

1. ინგლისის დიდი საპორტო ქალაქი.



ნაი ისეთი კარგი ვერ გამოუვიდა, დედა რომ უმზადებდა, მაგრამ ცხელი იყო, შაქარი ბლღმად ჩაყარა და მაგიდას მიუჯდა.

გა'საფხული უკვე დამდგარიყო, როცა მოხალამოუდა, შუქი აახო და ფარდები ჩამოაყარა, მაგრამ კარგად ვერ გაასწორა და სანამ დაბნელებოდა, ნახევრად გადაწეული ფარდა დიდ, დადებულ პირს დაემსგავსა; მერე ტელევიზორი ჩართო.

ბიჭი ჯერ დედაზე ფიქრობდა, მერე — მამაზე. დედა აღბათ დეიდა ჯეინისთან წავიდა, ავტობუსმა გამოასწორა მამაწამალბათ რაიმე უბედურება შეემთხვა ქარხანაში. თუ ვინმე ყავდა, მამაწამალბათ იქიდან ცოცხალი ვერ ამოვიდოდა.

ვახშამი დაამთავრა. სამსარეულოს მაგიდაზე მიმოფანტული პურის ნამცეცებში საკარაქე, მურაბის ქილა და დანა იდო. სულაც არ ადარდებდა, რომ მამამისი შეიძლება ვინმეს მოეკლა, რადგან როცა რამდენიმე თვის წინ მშობლებმა ერთი საათით მარტო დატოვეს, ენოქი უკვე გვეგებს აწყობდა, რაც უნდა გაეკეთებინა, მშობლები რომ არ დაბრუნებულყვნენ. მაგრამ სანამ ამ ფიქრებში იყო გართული, მშობლები მოვიდნენ კიდევ და სუნდუნიც მოუტანეს. შემდეგ კი დასაძინებლად გაგზავნეს, რადგან მუორე დილით სკოლაში იყო წახასვლელი. ასე რომ, ენოქმა იცოდა, მშობლები იმაზე ადრე დაბრუნდებოდნენ, ვიდრე მოელოდა. მარშან, როცა ჯონ ბუთლის მამა მოკლეს სატვირთო მანქანაში, ენოქს შეშურდა ჯონისა, მაგრამ თვითონ ჯონ ბუთლიმ კი ძალიან გახიცადა მამის ამბავი.

ენოქს მოეწონა სახლში მარტო ყოფნა, აღარ ადარდებდა, დედა მამა დაბრუნდებოდა თუ არა. ახლა თავად იყო სახლის ბატონ-პატრონი, შექმნილი კიდევ დაუყენებინა ჩაი, თუკი მოუნდებოდა და გახი ახოებული დაეტოვებინა რამდენ ხანსაც მოისურვებდა. ტელევიზორის ეკრანი ციმციმებდა, მაგრამ გამორთვა არ უნდოდა, მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულებები იგრიხებოდნენ, თავები უგრძელდებოდათ. ნახევარი წუთით ეკრანს თვალი გა'ესწორა და მოეხვეწა, თითქოს თავებს ფერხული გაემართათ. ქილიდან კოდოს მურაბა გადმოიღო და ჩაის მიაყოლა.

ენოქი მამამისის სკამზე იჯდა ბუხართან, ფეხები ხაღინაზე გაემხლართა, მაგრამ მზად იყო კარის ხმაზე სწრაფად წამომხტარიყო და მერე სწრაფადვე მაგიდას მიხჯდომოდა, სანამ მშობლები ოთახში შემოვიდოდნენ. მამას არ მოეწონებოდა, ენოქი რომ მის სკამზე იჯდა. სიგარეტი მოინდომა, ჭურჭლის კარადის თავზე შეიხედა, მაგრამ ამაოდ. მერე რომ ვერაფერი მოიფიქრა, დიდი კაცივით დაიწყო ხტვნა. მართალია, ჯონ ბუთლის მამა მოუკვდა, მაგრამ იმაში მაინც გაუშართდა, რომ დაჰყავდა.

თუ მშობლები იმ დამით არ დაბრუნდებოდნენ, ენოქი მუორე დილით სკოლაში აღარ წავიდა. დედა და მამა რომ გაიგებდნენ, გაკვეთილები გააცდინათ, გაუბრაზდებოდნენ; მაგრამ თუ დაიხიციხენ, ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა. უკვე რვა საათი იყო და ვერ გაეგო, სად უნდა ყოფილიყვნენ მისი მშობლები. ენოქი უკვე ნახობდა, რატომ ვნატრობდი, აღარ დაბრუნდნენ-მეთქი, ხომ შეიძლება ღმერთმა დამსაჯოს და მართლაც აღარ დამიბრუნოსო.

დაამთქნარა და საათი აიღო დასაქოქად. ხალამოს რვა საათის შემდეგ, როცა მოქნარებას იწყებ, ჩვეულებისამებრ, საათს ქოქავ. თუ მალე არ დაბრუნდებიან, ზემით მოუწევს ასვლა დასაძინებლად, მაგრამ ურჩივს იქვე, დივანზე დაეძინა და პალტო გადაეფარა, გა'სის აღის კაშკაშა სინათლეზე ყოფილიყო, ვიდრე გაებედა და მარტოს დაეძინა თავის ოთახში. როგორც ჩანდა, ნამდვილად მოელი დამით იყვნენ წასულები: შეიძლება იმიტომ შეაკვიანდათ, რომ განქორწინების საქმეებს აგვარებენ. იგივე შეემთხვა ტომ ბრანტსაც, როცა დედამისი ბავშვის მოხაყვანად წავიდა, ტომი მუხობელთან დატოვა ცოტახნით. ენოქმა კვლავ თაროს გახედა, რათა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა სიგარეტი იყო თუ არა. უნდოდა სიგარეტი პირში ჩაეღო და ყთამაშა, ვითომ ეწყოდა. თვალი კარგად უჭრიდა, თაროსზე



მართლა არაფერი აღმოჩნდა. პური და მურაბა კი შეჭამა, მაგრამ მაინც შიოდა, ამიტომ სამხარეულოში გავიდა ყველისთვის.

როცა შუქი ჩაქრა და მოციმციმე ტელევიზორიც გამოირთო, ბიჭმა მაგიდის უჯრაში ხელი მოაფათურა და გახის საჩთებელი იპოვა, მერე შილინგის ძეხვაც დაიწყო, მრიცხველში რომ ჩაედო. საბედნიეროდ, გახის აღზე კარგად ხელავდა ოთახის ყველა კუთხე-კუთხულს. განსაკუთრებით კი მაშინ განათდა მთელი ოთახი, როცა საჩთებელი აანთო და ოთხივე კედელს ისე მოაველი დაეძლია, რომ მისი პროექტი იყო და მტრის თვითმფრინავებს ეძებდა.

“ტიპერამდე შორი გზა იყო”, – წაიდიღინა ენოქმა, როგორც მამამისი მღეროდა ხოლმე სიმთვრალეში, მაგრამ უკვე თვალები ეღუღებოდა. ყველის ნაჭერი ისევ ხელში ეჭირა, თუმცა უნდოდა მშობლების მოხვლამდე დაეძინა. დაძინებული რომ დახვდებოდა, თავს დამნაშავედ იგრძნობდნენ და აღარც გაუბრაზდებოდნენ, დივანზე რატომ დაიძინეო.

საკიდიდან პალტოს ჩამოსახსნელად წამოდგა, მაგრამ არც დედის და არც მამის პალტოები იქ არ დახვდა. მათი პალტოები მაშინაც კი ეკიდა საკიდზე, როცა მის არ იყვნენ ხოლმე. ვერაფერს მიაგნო, რომ ტახტზე გადაეხურა, მაგრამ საბნის ჩამოსატანად ზემოთ ასვლა მაინც არ უნდოდა. მისთვის ეს იგივე იქნებოდა, რაც ღამით ტყეში შესვლაა. ერთხელ გზაზე მიმავალ მანქანასაც გადაურბინა, ფრანკენშტაინიც ნახა ტელევიზორში, მაგრამ ღამე ტყეში მაინც ვერ შევიდოდა, თუნდაც მატყუარა ჯიში კემსაც დაეჭაფნა, მე შევედიო.

მაგიდის ერთ კუთხეს ფეხი პკრა და ტურჭლის კარადას მიადგა. ბუხრის თავზე სვალური სარკე იყო, ორივე იდაყვით დაეყრდნო ბუხრის თავს, რათა უკეთ დაენახა საკუთარი თავი გახის მოციმციმე ვარდისფერ აღზე – დაენახა თავისი ძრგვალი სახე, პატარა ყურები, დანრდილული ნიკაპი და დატყუტილი თვალები. თითებით პირი დაიმანჭა და ენა ცხვირამდე აიტანა, ცდილობდა როგორმე დაეთრგუნა ის შიშის გრძნობა, ვარიელი სახლი რომ ჰგვრიდა და სადაც იყო აატირებდა.

უკვე ვეღარ იხსენებდა, რა ხდებოდა იმ დღეს სკოლაში. შეეცადა წარმოედგინა, როგორ შემოვიდოდა მამა სახლში და როგორ აანთებდა სინათლეს, მაგრამ მისი სახე ნათლად ვერ გაიხსენა. ამიტომ იმ წუთას ისეთი სიძულვილი იგრძნო მისდამი, რომ აღბათ ცუდითაც კი გააფრთხობინებდა სულს. დედის სახეც ვერ გაიხსენა, მაგრამ მის მიმართ სიძულვილი არ უგრძნია. ანთებულ გახთან ახლოს დაჯდა, მაგრამ მუხლები დაეწვა და უკან დაიხია.

ყველა ეს საერთოევროპული თქმულება კულტების უძველეს წარსულშია ნაფეხვილი. მათ შორის მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანია მეფე არტურის ლეგენდა, რომელმაც დროთა უთარებაში თავისკენ მოიზიდა კიდევ უფრო წარმტაცი თქმულებები – წმინდა გრაალის თახისა და პარსიფალის თქმულება, ან ყველახათვის ცნობილი ტრისტან და იზოლდას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. შუასაუკუნეების მწერალთა შორის, რომელნიც ამ თქმულებებს ამუშავებდნენ, უხდა მოვიხსენიოთ ფრანგი კრეტიენ დე ტრუას, გერმანელი მარტინ ფონ აუეს და ვოლფრამ ფონ ეშენბახის სახელები (მათ დროს იწერებოდა სვენიში “ამირანდარეჯანიანის” რომანი). მაგრამ ყველა თქმულებამ მოკვიანებით თავი მოიყარა ინგლისელი თომას მელორის თხზულებაში “არტურის სიკვდილი”. სწორედ ეს ითვლება კლასიკურ წიგნად და ამდენად ხასურველია მისი თარგმნა.

\*\*\*

“ნიბელუნგებისა” და “გუდრუნის სიმღერის” ხსენების შემდეგ (რომელნიც წარმოადგენენ გერმანული მოღვმის ხალხების ძირეული მითების კრებულს), ჰესე გვთავაზობს პროვანსადური ტრუბადურისა და მათი გერმანული მიმღვერების პოეზიას, რომლის მოტივებს ტიპოლოგიურად ანათესავენ რუსთველური მიჯნურობის იდეალებთან.

“აქ ჩვენ მივადექით შუასაუკუნეების დასასრულს. ქრისტიანულ-ლათინური ლიტერატურისა და საგების დიდი წყაროს დაშრეტის შემდეგ ევროპაში წარმოიშვა რაღაც ახალი – ცალკეულმა ეროვნულმა ენებმა შეცვალეს ლათინური და მონა'ხვნურ-ანონიმური მწერლობა, დასაბამი მიეცა საერო და ინდივიდუალურ შემოქმედებას. ამ ხანის საფრანგეთში მარტოსულად და ველურად გამოჩნდა არანვეულებრივი პოეტი ფრანსუა ვიიონი, რომლის ბორგნეულ და შემაშფოთებულ პოეზიას ძნელად თუ მოეძებნებოდა ტოლი”.

(ამ უკანასკნელ ხანს გამოჩნდა ვიიონის “მცირე ახდერძის” დ. წერეთლიანისეული ბრწეიხვადე თარგმანი, რომლის ბადალი, ხემოთქმულისა არ იყოს, ძნელად თუ მოიძებნება მთარგმნელობით ლიტერატურაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასევე წარმატებით შესრულდება “დიდი ახდერძის” თარგმანიც).

“რაც უფრო შორს შევალთ ფრანგული ლიტერატურის წიაღში, მით უფრო ბევრ აუცილებელ რასმე ვნახავთ იქ ჩვენთვის, თუნდაც ერთი ტომი მონტანის მსმობისა უნდა გაგვანდეს და მერე ბარბანტში და პანტაბრში რაბლესი, ფილისტერობის მოძულე და თუმორის მოციხარე ოსტატისა, შემდეგ მარტოსული დუთისმოძავისა და ასკეტი მონ'სროვნის პასკალის “ჟომრები”.

ესეისტიკის მამამთავრის მიშელ მონტენის (1533-1592) არც ერთი ნაწარმოები არ თარგმნიდა ქართულად (რუსულ ენაზე სამი მო'ხრდილი ტომია გამოქვეყნებული). რაც ჩვენი მთარგმნელობითი, და არა მხოლოდ მთარგმნელობითი ლიტერატურის, მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ფრანსუა რაბლესა და ბლეზ პასკალს, ერთს დიდებულ მწერალს და მეორეს ღრმა და ტრაგიკულ მონ'სროვნეს, რომელთაც ჰესე შემთხვევით როდი



ისხეხიებს ერთმანეთის გვერდით, – ამ უკანასკნელ ხანს მათაც გამოუხდნენ ბრწყინვალე მთარგმნელები. “გარგანტუა და პახტაგრუელის“ გ. გოგიაშვილისუფალი თარგმანი იბეჭდება “მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით (ერთი ნაწილი გამოქვეყნდა “საუნჯეში“ 1977. №2); ბ. ბრეგვაძემ/თარგმნა პახკადის “ასრების“ რჩეული (იხ. “საუნჯე“, 1976 №№1-2) და მადე ცალკე წიგნადაც გამოვა კრცველი გამოკვლევისა და კომენტარებითურთ.

უმდიდრესი ფრანგული ლიტერატურიდან პესე ჩამოთვლის მესხეთა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანს. სადაც ცხადდება ნამდვილი ურთიერთობის თითოეული მწერლის რამდენიმე შედეგო თუ საკმარისია მის მიერ შემოთავაზებული პრივატიული ბიბლიოთეკისათვის, მოელს მთარგმნელობითს ლიტერატურას უფრო მეტი მოეთხოვება. სწორედ აქ ხანს ჩვენი ჩამორჩენილობა, არ მოგვეპოვება ქართულად არათუ ცალკე წიგნები დრამატურგების – კორხელის, რასინისა და მოლიერის თხზულებათა, არამედ მათი საერთო კრებულიც; კი (ამგვარი რამ დაგეგმილია “მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში“) არაფერს ვამბობ დაფინანსება (“ფაქ-არაკები“) და ფენელონის (“ტელმაქე“) შესახებ. რომელთა შემოქმედება დღეს შეიძლება არ აღძრავს რაიმე ინტერესს, ასევე ითქმის აღბათ ვოლტერის გასო, რომლის თხზულებათა უმრავლესობას აქტუალობა შეიძლება მხოლოდ დედანში შემორჩა, მაგრამ, როგორც პესე წერს, თრი ტომი მისი ბრწყინვალე პროზისა უნდა გვქონდეს, უბირველეს ყოვლისა, “კანდიდი“ და “ხადიგი“ (სხაეთა შორის სწორედ ეს თრი ნაწარმოებია თარგმნილი ქართულად და კიდევ რამდენიმე, მაგრამ ეს ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენში ადრევე შემოაღწია თავის დროზე მოდურმა ვოლტერიანობამ).

შემდეგ პესე ერთად მოიხსენიებს ბოშარშეს “ფიგაროს“, ყველახათვის ცნობილს, თუმცა უფრო მოცარტის წყალობით ხახელოგანთქმულს და ჟან-ჟაკ რუსოს “აღსარებას“, რომელიც განმარტებით იღვა ფრანგული რაციონალიზმის ეპოქაში და შემდგომი პერიოდის ლიტერატურას ახალ იმპულსებს აძლევდა. აქვე უნდა ვახსენოთ მისი “ახალი ელოისა“ და მასთან ერთად ის ძველი ავტორი, მისი შორეული თანამემამულე, რომლის შთაგონებითაც დაწერა მან ეს თხზულება – პიერ აბელიარი, თეოლოგი და მიჯნურობის მოწაირე – მისი “ისტორია ჩემთა საღმობათა“, ეპისტოლეთა კრებული, სადაც გაცხადებულია ელოისასთან მისი ტრაგიკული სიტყვარულის ამბავი. ჩვენის მხრივ ეს წიგნი უნდა შევიტანოთ მსოფლიო ბიბლიოთეკაში, როგორც უბიკალური დოკუმენტი, შეასაუკუნებებში მისქმადულ პიროვნულ განწყობილებათა ამსახველი.

ქართველი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი აბატ პრევოს “მანონ დესკო“, მაგრამ უცნობია დესკოს “კიდ ბლაზი“, ავანტურული რომანი. ამათ აწევილებს პესე და განაგრძობს:

“შემდეგ მოდის ფრანგული რომანტიზმი და მისი შემკვიდრე დიდ რომანისტთა მთელი წყება: ასობით წიგნის სათაური შეიძლება დაასახელოს კაცმა! მაგრამ ვიკმართ მათ შორის ჭეშმარიტად განუმეორებელი და შეუცვლელი“.

მოდეს, ვითიება და მიურეეს (Murger) გარდა, XIX საუკუნის ყველა დიდი რომანისტი თავისი შედეგებით არის წარმოდგენილი ქართულად. სწორედ იმ თხზულებებით, რომელთაც პესე განუმეორებლად თვლის ესაა – სტენდალის “პარმის სავახე“, ბალზაკის “მამა გორიო“, “მაგრენის ტყავი“ და “ოცდაათი წლის ქალი“ (ეს უკანასკნელი ჯერ არ თარგმნილია), მერიმეს ჩოველები, ფლობერის “მადამ ბოვარი“ და “გრძნობათა აღზრდა“, ზოლას “ხაფანგი“ და “აბატ მიურეს შეცოდება“, მოპასანის რამდენიმე, “თუნდაც ავადმყოფური, მაგრამ მშვენიერი ჩოველა“.

თითოეული ამათგანის შემოქმედება ორიგინალის რამდენიმე ათეულ ტომს რომ მოიცავს, ქართულ ენაზე მხოლოდ თითო-ორიღა ტომით არის წარმოდგენილი, ასე რომ ქართველ მკითხველს არსევანის მხიბვალური შესაძლებლობა აქვს (მაგალითისათვის, ბალზაკის ერთადერთი ტომი, ახლახან



რომ გამოსცა “მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკამ”. იტყვის თითქმის ყველაფერს, რაც კი ოდესმე თარგმნილა ქართულად მაშინ, როცა ამ მწერლის თხზულებები რუსულ ენაზე 24 ტომად არის გამოცემული. იგივე თქმის სხვა მწერლების მიმართაც).

ჰესე აღარ ეხება ახალი დროის, ანუ XX საუკუნის ფრანგულ მწერლობას თორემ, როგორც ამბობს, “ბევრი დირხეული ნაწარმოების დასახელება მიუხედავად, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, — განაგრძობს იგი, — პირლ ვერლენის ლექსები, ეს უცინცხადესი და უნატიფესი ლექსები ფრანგულ “პრესიაში”. ვერლენი, ფრანგული პოეზია და საზოგადოდ პოეზია, მთრუნველესი უნატიფესი, შემოქმედების ისეთი სფეროა, სადაც იშვიათად თუ მოიპოვებს კანონის უფლებას ერთი ხელიდან გამომავალი თარგმანი. ამ ასპარეზზე ბევრმა ოსტატმა უნდა სცადოს ბედი, რათა ერთხელან შეუმჩნეველი ან გამოუხატველი ნიუანსი მეორემ გამოაჩინოს ქართული ლექსის დახვეწილობის დღევანდელი დონე ამის საშუალებას იძლევა, მაგრამ აუცილებელი პირობაა წარმატებისათვის პოეტთან სულიერი სიახლოვე (როგორსაც გრძნობდა გალაკტიონი — “ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მაძას” — და ამიტომაც მას ეკუთვნის, ჩემის ფიქრით, ამ პოეტის საუკეთესო თარგმანები, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, არა დედნიდან შესრულებული, თორმეტი მათგანი დაბეჭდილია გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-7 ტომში).

ინგლისური მწერლობის სათავეში ჰესე ჩოსერს აყენებს (თუმცა შეგვიძლია მასზე აღრუ მოგვეხსენებინა ანგლოსაქსური ხაგშირო “ბეოვულფი”), “პირველ ნამდვილ ინგლისელ პოეტს, რომელიც წილობრივ ბოლანოსგან იყო დავალებული, მაგრამ ახლებური ტონი მიანიჭა სათქმელს. ჩოსერის “კენტურბერიული მოთხრობების” საუცხოო თარგმანი (გ. ჩიშნიანიძე) დაბეჭდა აღმანახსმა “ხომლმა”, შემდეგ “საუხჯემ” და ცალკე წიგნადაც გამოაქვეყნა “მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკამ” 1977 წელს.

უშუალოდ ჩოსერის შემდეგ ჰესე ახსენებს შექსპირს, რომლის მიმართ ერთადერთ გამოხატვისს უშვებს და მისი თხზულებათა სრული კრებული შეაქვს “ბიბლიოთეკაში”. თუმცა ხეყნ არც თუ უხაფუძვლო პრეტენზიები გვაქვს შექსპირის თარგმანისა (მანიაბელმა ურყევ ნიადაგზე დააყენა ეს საქმე) და შესწავლის სფეროში (დროდადრო გამოდის მეტად სასარგებლო კრებული “ქართული შექსპირიანა”), მაგრამ ხეყნ ბიბლიოთეკას ჯერჯერობით აკლია სრული შექსპირი (თითქმის ნახევარი მისი შემოქმედებისა უთარგმნელია), თუმცა ზოგიერთი მისი თხზულების რამდენიმე განსხვავებული თარგმანი არსებობს (სახელდობრ, “მეფე ღირისა” და სონეტებისა).

“დიდის მოწიწებით დაპარაკობდნენ ჩვენი მასწავლებლები, — განაგრძობს ჰესე, — მიღტონის დაპარბულ სამოთხეზე, მაგრამ თუ წაუკითხავს ოდესმე ვინმე ჩვენგანს იგი? არა, გაუმართლებელია აღბათ ჩვენი უგულისყურობა მის მიმართ”.

ქართველ მკითხველს ვერ დავწამებთ უგულისყურობას: ეს გრანდიოზული ეპოსი ორჯერ გამოვიდა ქართულად (ვ. ჭყელიძე) და ერთხელაც არ “ნაწოდლიდა”.

“ნესტერფილდის წერილები ვაჟიშვილისადმი თუმცა ვერ არის კეთილხეობრივი წიგნი, მაგრამ მაინც უნდა მივიღოთ იგი. “ბულომ-მრის ავტორის, გენიალური ირლანდიელი მწერლის, სვიფტის თხზულებათაგან ყველაფერი უნდა ავიღოთ, რასაც კი ვიშოვით. მისი დიდი გული, მისი მწარე, გამონატანჯი იუმორი, მისი ყველასაგან გამორჩეული გენიალობა უხვად ანაზღაურებს ავტორის ახირებული ბუნების ყველა კაპრიზს”.

ქართველი მკითხველი ჯერჯერობით იშოვის მხოლოდ გახიქმულ “ბულომ-მრის მოზნაპრობას”, ბავშვობის ახაკიდანვე ყველასათვის საყვარელ წიგნს. არანაკლებ მნიშვნელოვანია “ხლაპარი კასრზე” (რომლის გამოცემა “გულიეროვრთან” ერთად დაგეგმილია “მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში”).

“დანიელ დეფოს მრავალ თხზულებათა შორის ჩვენთან მნიშვნელოვანია **რობინზონ კრუსო** და აგრეთვე — **მოლ ფლანდერის**



ისტორია, რომელიც სათავეში უდგას ინგლისური კლასიკური რომანების დიდებულ წყებას“.

დახველ დეუო წყენში საბავშვო მწერლად არის უპირატესად ცნობილი (“რობისონ კრუზის“ ხახიათის გამოს), მაგრამ სრულად სხვაა “მოდ/ულოანდერსი“.

შემდეგ მესე ასხენებს ფილდინგის “ტიმ ჯონსს“ (შეტახილია ორ წიგნად “მხოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ პროსპექტში) და ხმელეთის “პერეგრინ პიკლის თავგადასავლადს“, შემდეგ სტერნის ორ წიგნად “სტრისტრამ შენდის“ (აგრეთვე შეტახილია “ბიბლიოთეკაში“) და სენტიმენტალურ მოგზაურობას“, ნამდვილ ინგლისური ყაიფის რომანებს, სადაც სენტიმენტალურობა შესავეებულია დახვეწილ თქმართას.

“რომანტიკული ბარდის, ოსაინის (იგივე მაკვერსონი) სიმღერებიდან, – განავრძობს მესე, – საკმარისია ის, რაც გოეთეს “ვეროერში“ გვხვდება (მაგრამ ქართული მკითხველისათვის ეს საკმარისი არ უნდა იყოს). არ უნდა დავივიწყოთ შედისა და კიტხის ლექსები, ღირიკის უმშვენიერესი შედევრები, რაც კი იდებზე შექმნილა“. მაგრამ მესე ითქვებს ვიდხეორთისა და კოლრიჯის ღრმა მედიტაციურ პოეზიას (რომლის თითო-ორიღა ნიმუში თუ დაბეჭდილა ქართულად); კოლრიჯის შემოქმედებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვარხიოთ კლასიკური პოემა “ძველი მეზღვაური“ (The Ancient Mariner) და “ლიტერატურული ბიოგრაფია“ (Biographia Literaria), რომელსაც მეტერლინკი ერთგან პლასტინისა და დიონისე არეოპაგელის თხზულებათა გვერდით ასხენებს, როგორც ერთ-ერთ ღრმა და ძხელად გასაგებ წიგნს.

“ბაირონის შემოქმედებიდან, თუმცა მე ვეთაყვანები ამ რომანტიკულ ზეკაცს, უნდა ვიკმაროთ ერთი რომელიმე დიდი პოემა, უმჯობესი იქნება თუ ავიღებთ ჩაილდ-კაროლდს“.

(ქართულად სწორედ ეს პოემა არ არის თარგმნილი სრულად, თუმცა იგი შეტახილია “მხოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ პროსპექტში). ვალტერ სკოტის რომანებიდან მესე გამოარხევს “აივენისს“. სწორედ იმ რომანს, რომლისთაც ცნობილია წყენში ეს ავტორი (“მხოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში“ შეტახილია რომ რთი) შემდეგ მესე ასხენებს “ბედკრული“ დეკენსის “ინგლისელი იპოუმის მწვეულის აღსარებას“, ავტობიოგრაფიულ წიგნს, რომლისთაც თავის დროზე დაინტერესებული იყო დობტოვესკი.

“არ უნდა გამოვტოვოთ მაკოლეს მსმსსი, ხოლო კარლაიდის ნაწერებიდან უნდა ავიღოთ მმირმბის გარდა კიდევ სარტორ რმსარტმს, როგორც ინგლისური მახვილხიტყაობის ნიმუში“.

(ეს ავტორები სრულიად უცნობხი არიან ქართულ მწერლობაში).

“შემდეგ მოდიან რომანის დიდი ვარსკვლავები: თეკერი “ამაოების ბაზრობითა“ და “ხნობების წიბნით“ და დიკენსი, თუმცა გულჩვილობისაკენ მიდრეკილი, მაგრამ ბრწყინვალე მთხრობელი, გულკეთილი და სახეიმო განწყობილების მწერალი, რომლის თხზულებებიდან “პიკვიკის კლუბი“ და “კოკერფილი“ მაინც უნდა გვქონდეს, მის მიმდევართაგან განსაკუთრებულ მნიშვნელთყნად მენვენება მერედითი, სახელდობრ, მისი “მბრისტი“ და აგრეთვე “რინარდ შმპერლი“.

აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ფრანგი რომანისტების გამო ვთქვით ხემით: ქართულ მკითხველს არხევანის მინიმალური შესამდებლობა აქვს დიკენსის უმდიდრესი შემოქმედებიდან (რუსულად გამოცემულია 30 ტომი) მხოლოდ სამოდე რომანია თარგმნილი, თეკერი (რუსულად გამოდის თითხმეტომეული) ერთადერთი რომანით არის წარმოდგენილი.

ინგლისურ მწერლობას მესე ასრულებს, მისი ფიქრით, უთარგმნალი ხეობორხით და წყენში კარგად ცნობილი ოსკარ უაილდით (“ღირიან გრეის პორტრეტი“ და სოგიერთი ესე). ხოლო ამერიკული ლიტერატურიდან გამოარხევს ედგარ პოს (რომლის არათუ ლექსთა, არამედ ჩოველების მცირე კრებულიც არ მოგვეპოვება) და უოტ უიტმენს, “ვაკაცურ და მღელვარე



პოეტს“. ხვეწის მხრივ უნდა დავეუქმებოდეთ რაღაც უაღრესად ემპირიონის ესეების წიგნი და პეჩრი თორის “უიღდენი ანუ ცხოვრება ტყეში“.

ესპანურ ლიტერატურას მესე სერვანტესით იწყებს, რომლის თხზულებათა ოთხი ტომია გამოცემული ქართულად, მაგრამ აღბათ, დასაბამიდან უნდა დავიწყეთ, – ვკულისხმობ “ხიმღერას ჩემს ხიდზე“, ესპანურ ხაჯიონალურ ეპოსს რეკონკისტის გმირზე. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ ეპოსში იგივე სული ტრიალებს, რაც არაბობის ხანის საქართველოში უნდა ვიგულოვით, თუმცა მსგავსი ძველი ხვეწ არ მოგვეპოვება მოუხედავად განუთრებული რეკონკისტისა და ისლამის მიმართ მედგარი წინააღმდეგობისა. ესპანურ კულტურაზე ძლიერი დადი დაახნია არაბობამ, რამაც სხვა მიზეზებთან ერთად გახაპირობა აღბათ ამ უეროპული ქვეყნის თავისებური სახე. ამავ დროს იბერიის ნახევარკუნძულზე შეიქმნა ე.წ. არაბულ-ესპანური (ანდალუსური) პოეზია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ტრუბადურების პოეზიაზე და იგი სწორედ აქ უნდა მოვიხსენიოთ, როგორც ნიმუში ნამყენი ნერვისა, ბრწყინვალედ რომ გაიხარა ესპანეთის მიწაზე. აქ დავასახელებ მის უდიდეს წარმომადგენელს ანდალუსიელ იბნ-საიდუნს და მოახურობის თეორეტიკოსს იბნ-ხა'სმს, სახელდობრ მის ცნობილ წიგნს “მტრედის ყელსაბამი“.

“განთქმულ ესპანურ ავანტურისტულ რომანთაგან, გულადი ეილ ბლაზის წინაპრად რომ ითვლებიან, ერთი რომელიმე მაინც უნდა გვექონდეს, ძნელია არჩევანი, მაგრამ მე ჩემდა თავად ავირჩევდი კვედო-ი-ვილიეგასის **თმალთმამც პაპლო სემოვიას**. ესპანელი დრამატურგებიდან, დიდებულ და კეთილშობილ წყებას რომ ქმნიან, ერთადერთი აუცილებელი კალდერონი უნდა იყოს; ბაროკოს ხანის უდიდესი პოეტი, ნახევრად საერთ-პომპეზური და ნახევრად სულიერ-დამრიგებლური სცენების ჯადოქარი“.

ხვეწ უნდა დავეუქმებოდეთ არანაკლებ მნიშვნელოვანი ღოპე დე ვეგა და მისი მეგობარი და მოწაფე ტირსო დე მოლინა (“მხოვლით ლიტერატურის ბიბლიოთეკაში” დაგეგმილია ესპანური დრამა, სადაც, აღბათ, წარმოდგენილი იქნება ამ სამი დრამატურგის შემთქმედება) მაგრამ ეს ხომ ძალზე მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი, ნაწილია ესპანური მწერლობისა, რომელიც ხვეწში არახაკმარისად არის ცნობილი. მესე ამ ბროშურაში განხრახ არ ეხება XX საუკუნის მწერლობას, მაგრამ ხვეწ მაინც უნდა ვახსენოთ მეტად ორიგინალური მწერალი და მოახროვნე მოველ დე უნამუხი, წარმოშობით ბასკი, და ბლასკო იბანიეხი, რომლის თხზულებანი 16 ტომად გამოვიდა რევოლუციამდელ რუსეთში.

რაც შეეხება პორტუგალიას, ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისათვის იგი ნამდვილი ტერრა იხკოგიტაა. აქ უნდა დავასახელოთ ეროვნული ეპოსი რენესანსის ხანისა, კამოენსის ცნობილი “ლუსიადა“.

– აღბათ იმის გამო, რომ ერთ დროს ხიდერლანდების მხარე ესპანეთს ეჭირა, მესე ქვეყნების ლიტერატურაზე გადადის უშუალოდ და პირველ რიგში ასახელებს მარლ დე კოსტერის “ულენშპიგელს“, დონ კიხოტის გვიანდელ ძმას ფლანდრიელთა ეროვნულ ეპოსს (რომელიც ქართულად უკვე თარგმნილია სრულიად და ბრწყინვალედ) და მულტატრედის მთავარ წიგნს “მაქს პაველიარს“, თუმცა ქართულად ეს მთავარი წიგნიც არ არის თარგმნილი, მაგრამ ამ მწერალზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად უნდა დავეუქმებოდეთ არარსებული საინტერესო ავტობიოგრაფიული რომანი “ვალტერ პეტერსენის თავგადასავალი“.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ დიდი ფლანდრიელი, თუმცა ფრანგ მწერლად ცნობილი მირის მეტერლინიკი, რომლის თხზულებათა უთარგმნელობა ყოველად გაუქმართლებელია. რამდენადაც ვიცი, მისი დრამებიდან მხოლოდ “ღურჯი ფრინველია“ თარგმნილია, მაგრამ არც ერთ მხატვრულ შედეგს არ ჩამოუვარდება მისი საოცარი წიგნი, პროფესიული ცოდნით დაწერილი “ფუტკრების ცხოვრება“, სადაც ნაღვლიანი პარადულებია გატარებული კაცობრიულ საზოგადოებასთან, და ბრწყინვალე ესეების კრებული “თვინიერთა საუნჯე“ (Le trésor des humbles).



კვლავ აღბათ იმის გამო, რომ ნიდერლანდებთან, ასევე ესპანეთთან განსაკუთრებით იყო დაკავშირებული ამ ხალხის ბედი. მესხე შუასაუკუნეების ებრაელ პოეტებზე გადადის, რომელთა უმრავლესობა სწორედ ესპანეთში მოღვაწეობდა.

“ებრაელებმა, ამ ფართოდ გაფანტულმა ხალხმა, მრავალ ადგილას და მსოფლიოს მრავალ ენაზე დატოვა თავისი მხატვრული ნაღვაწი, რომელთაგან ზოგიერთი მაინც არ უნდა იქნეს დაგვიწყნებული. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ესპანელი პოეტის, ისრაელის, მალევის ლექსები და პიმნები. ხასიდისტ ებრაელთა მშვენიერ ლექსებს ვიპოვით მარტინ ბუბერისეულ კლასიკურ თარგმანებში “ბაალშემ და დიდი მაგვიდა” (Maggidah).

ამ უკანასკნელზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ იკუთვითაა პაღლევითან ერთად მოვისხეხებით სხეებსაც, აგრეთვე ესპანელთ – იბნ გაბიროლს, როგორც მას უწოდებენ: “ებრაელთა პოეზიის მეფეს”. პოეტსა და ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსს: მოჰყ იბნ-ეზრახ, რომელსაც თითქოს რუსთაველი ასხეებს ცხობილ ხტროფში (“ბრძენი ესროს”) და იტალიელ იმანუელ რომაელს (პა-რომი), რომელსაც ებრაელ პოეზიაში სონეტი შემოუღია და დანტეს მაგალითით (ფიქრობენ, თითქოს კიდევ მეგობრობდა მასთან) შეუთხზავს წარმოსახვითი მოგზაურობა საიქიოში, მაგრამ დანტესაგან განსხვავებით სამოთხე ყველა ხალხის ღირსეული ადამიანებით დაუსახლებია. არაბების მსგავსად ებრაელებმაც კპოვეს ესპანეთში მეორე სამშობლო. ბიბლიიდან ამოზრდილმა მათმა პოეზიამ შესანიშნავად იხარა ახელ მერიდიანზე და ახლებურად აქედრდა. თხივე შემონამოთვლილი პოეტის ლექსთა ნიმუშების თაყისუფალ თარგმანებს (ჯ. აფიაშვილი) უკვე გაეცნო ქართველი მკითხველი და, იმედია ცალკე წიგნადაც დაიბეჭდება.

“ნორდული სამყაროდან უნდა ავიდოთ უზროსი ელა, ძმები გრიმების მიერ ნათარგმნი და ერთ-ერთი ისლანდიური საგათაგანი, თუნდაც ებილის საბა; ახალი სკანდინავიური ლიტერატურიდან შევარჩევთ ანდერსენის ზღაპრებს და იაკ იბსენის მოთრობებს, იბსენის მოთვარ დრამებს და სტრინდბერგის რამდენიმე ტომს, თუმცა, შესაძლოა, ამ თრმა უკანასკნელმა ვერ შეინარჩუნოს მომავალში ის მნიშვნელობა, ადრე რომ პქონდათ”.

მესხეს ეს განცხადება, იბსენის მიმართ მაინც, არ უნდა მივიჩნიოთ მართებულად. იბსენი თავის დრამებში ადამიანის სულის იმგვარ ხიდრმეებსა და კავშირებს ამხედს, რომელთა აქტუალობა შეუძლებელია თდესმე გაუქმდეს. თუ არ ვიფიქრეთ, რომ მომავალში ადამიანის შიდა ბუნებას რაიმე რადიკალური ცვლილება მოეღის. ამავე დროს, ძნელია ითქვას, რომელია მოთვარი მის დრამათაგან, უნდა გქონდეს სრული იბსენი, “ბრანდიდან” დრამატულ ეპილოგამდე “რიცა ჩვენ, მკვდრები, ვავიდვიდებთ”.


მესემ აქ წარმოგვიდგინა თხივე სკანდინავიური ქვეყანა – ისლანდია, დანია, ნორვეგია და შვედეთი, რომელთაც საერთო წარსული აქვთ და ამიტომაც მათი სიტყვიერი შემოქმედების ფესვიც ერთია. შვედური ლიტერატურიდან უნდა დაგუებატოთ ისაია ტეგხერის “ფრიტიოფის საგა”, თუმცა ისლანდიური საგების საფუძველზე შექმნილი, მაგრამ აწ უკვე შვედური ეროვნული სულით გამსჭვალული, შემდეგ უნდა მოვისხეხიოთ სკანდინავიური რომანის ვარსკვლავები – შვედი ქალი მწერალი სელმა ლაგერლეფსი, ნორვეგიელი კნუდ ჰამსუნი და დანიელი პენრიკ პონტოპიდანი (სამივე ნობელის პრემიის ლაურეატი).

– ამის შემდეგ მესხე რუსულ მწერლობაზე გადადის რაკი, მისი თქმით, პუშკინი “რუსული ენის დიდი კლასიკოსი, უთარგმნად პოეტთა რიცხვს ეკუთნის”. იგი გოგოლით იწყებს (“შვედარი სულები” და მცირე მოთხრობები), მას მოჰყვება ტურგენევი (“მამები და შვილები”), გონჩაროვი (“ობლომოვი”), ტოლსტოის შემოქმედებიდან, რომლის დიდი ხელსეხება სოგჯერ მისი



ქადაგებებისა და რეფორმისტულ ძიებათა პრობლემატიკით იზრდილება ხოლმე, აუცილებელია ჩვენთვის "ომი და მშვიდობა" (ალბათ საუკეთესო რუსული რომანი) და "ანა კარენინა". არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე მისი "ხალხური მოთხოვნები". დოსტოევსკის თხზულებებიდან ჰესე შეარჩევს კარამაზოვებს, რასკოლნიკოვს და ილიოტს.

ჩვენთვის რუსი ავტორების სია უფრო ვრცელი იქნება, მაგრამ რუსული ლიტერატურა საგანგებო მიმოხილვას მოითხოვს და ამიტომ ვაშკინძისგან გავაგრძელებთ.



შემდეგ ჰესე განაგრძობს:  
"ჩვენ უკვე გადავავედეთ თვალი ბევრი ხალხის მწერლობას, მოყოლებულს ჩინეთიდან ვიდრე რუსეთამდე, ადრეული შუასაუკუნეებიდან ვიდრე თანადროულობამდე და ბევრი მნიშვნელოვანი რამ ვპოვეთ, მაგრამ ჯერ არ გვიხსენებია საკუთრივ ჩვენი უდიდესი განძი, ჩვენი მშობლიური გერმანული მწერლობა. მხოლოდ ნიბელურნგებსა და გვიანი შუასაუკუნეების თხზულებებს შევხეთ გაკვრივით, ახლა კი ჩვენი სურვილია, სიყვარულით მივუბრუნდეთ ამ სამყაროს, ჩვენს გერმანულ ლიტერატურას, დიახ. 1500 წლიდან დაწყებულს და ის გამოვარჩიოთ მისგან, რაც ყველაზე ძვირფასია ჩვენთვის და ღვიძლად მიგვჩანია".

ჰესე მარტინ ლუთერთი იწყებს თავისი მშობლიური ლიტერატურის მიმოხილვას და პირველ რიგში ამ დიდი რელიგიური მოღვაწის მოავარ შრომას, ბერძანულ ბიბლიას ახსენებს, სწორედ გერმანულს, რადგან გერმანიაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც, ამ წიგნმა დახაბამი დაუდო სამწერლო ენას, იმპულსი მისცა ორიგინალურ მწერლობას და მშობლიურ წიგნად იქცა. აქ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ლუთერისეული ბიბლიის ენობრივი ძალმოსილებისა და მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა წარსულში, გერმანელებმა საჭიროდ ჩათვალეს ხელახლა ეთარგმნათ ბიბლია, ამჯერად არა ბერძნულ-ლათინურიდან, არამედ უშუალოდ დედნიდან. ამის თაობაზე ბროშურის სხვა ადგილას ჰესე ამგვარ რასმე წერს: "ნამდვილად კლასიკურ თარგმანთა რიცხვი არც ისე დიდია; ამ რიცხვს ეკუთვნის ისეთი შრომები, როგორიცაა მარტინ ლუთერის გერმანული ბიბლია ან შლეგელისა და ტიკსეულის გერმანული შექსპირი; ამ დიდოსტატური თარგმანების წყალობით ჩვენმა ერმა შეითვისა უცხო ენის ღირებულებანი დიდი ხნის განძავლობაში, მაგრამ არა მარადიულად! ეს "დიდ ხანი". ერთხელაც იქნება, ხომ დასრულდება და, მაგალითისთვის, ლუთერის ბიბლია უმეტესწილად გაუგებარი გახდება ჩვენთვის, თუ რომ კვლავ და კვლავ არ გადახადოს და ენობრივად და დროს არ მიესადაგა. უკანასკნელ დროს გამოჩნდა სრულიად ახალი ბიბლია, მარტინ ბუბერის ხელმძღვანელობით ნათარგმნი, მაგრამ მათში ჩვენ უკვე ვეღარ ვცნობილობთ ჩვენი ბავშვობისდროინდელ წიგნს, იმდენად შეცვლილია მისი სახე. ლუთერისეული ბიბლიის გერმანული უშუალოდ ებჯინება ხიძველის იმ საზღვარს, სადამდისაც შეუძლო მიედწია ჩვენს ენას. გერმანული ენა 1500 წლის ხანისა, დღევანდელი გერმანულის მიმართ უცხო შეიქმნა".

ამ მხრივ გერმანული ენა გამოჩაკლისი არაა; ასევე დროდადრო ხადისდებოდა მე-16-ში ნათარგმნი შვედური ბიბლიის ტექსტი, ხოლო ინგლისურ ენაზე დღესდღეობით ორი ახალი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული თარგმანი არსებობს. გამოჩაკლისი არც ქართული ენა უნდა იყოს, რომლის ხიძველის მოჯნა კიდევ უფრო შორს დაუკუნეებში ძეგს. ამიტომ აუცილებელია ბიბლიის წიგნების ხელახლა თარგმნა ქართულად, ამჯერად არა ბერძნულიდან, როგორც ჩვენი ძველები იქცეოდნენ, არამედ უშუალოდ ებრაულიდან, ბიბლიოლოგიისა და ებრაისტიკის უახლეს მიღწევათა გათვალისწინებით (ბიბლიის რამდენიმე წიგნის ახალი რუსული თარგმანი დაიბეჭდა ორასტომიანი "მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის" პირველ ტომში "ძველი აღმოსავლეთის პოეზია და პროზა", სახელდობრ - წარღვხის ეპიხოდი, რუთის წიგნი, იობის წიგნი, ქებათა ქება, ეკლესიასტე).



ლუთერის მრავალრიცხოვან ორიგინალურ თხზულებათაგან პესეს “ბიბლიოთეკასათვის” ხასურველად მიანიჭა ხახილი პროკლამაციები (Flugschriften) და ხატრამუხი ქადაგებანი (Tischreden). სადაც გაცხადებულია რეფორმაციის სული და გერმანელი კაცობათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არც სხვა ერთი მკითხველსათვის უნდა იყოს ინტერესში დატოვებული.

“კონტრეფორმაციის ხანაში, – განაგრძობს პესე, უჩიბრუხელაქში გამოხნდა დირსშესანიშნაი კაცი და პოეტი, რომელმაც “ქიბრუხელაქში ბიდან მხოლოდ ლექსების ერთი მომცრო წიგნით დაკმაყოფილდებით, მაგრამ იგი ეკუთვნის გერმანული რელიგიური პოეზიის გაფურჩქუნის ხანას, – ეს არის ანგელუს სილესიუსის (Silesius) ძირუბიშული მოგზაური”.

მე-17 ს. ამ პოეტის ერთი ლექსი, რომლის მოტივი რიდეკეს შემოქმედებაში გასიძის, ორმოცდაათი წლის წინათ დაიბეჭდა ჟურნალ “კაკასიონში” (1924, №3-4, კ. გამსახურდიას თარგმანი) უკახასქელ ხანებში აქ განსვენებული ოთარ ჯინორია წარმატებით თარგმნიდა ანგელუს სილესიუსს, მცირე ნაწილი გამოქვეყნდა კიდეც (იხ. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 177, ლიტერატურათმცოდნეობა, 1976).

რაკი გერმანულ მიხტიკამდე მივედით, მისი დასაბამისკენ გავბრუნდეთ უკან და ვხახოთ, რას წერს პესე ამის თაობაზე: “შუახიუკუნებში ხემა სულიერი მოგზაურობისას რამდენიმე წიგნი ეპოვე, რომელნიც ვერ შევიდნენ ხევის იდეალურ ბიბლიოთეკაში, თუმცა ძალზე ძვირფასად კი მიმაჩნია ისინი, მაგრამ იმგვარნიც ვპოვე, რომელთა ხარიცხეა ხევის ხიაში დირხად მიმაჩნია; ესენია “ტაულერის ქადაგებანი”, “ხეხის ცხოვრება და ეკატრის ქადაგებანი” სამივენი მე-14 ს-ს ეკუთვნიან და აგრეთვე დიდი რიდი შეუსრულებული გერმანული ასრულებიხა და ენის ფორმირებაში.

ბუნებრივია, რომ თავის მშობლიური ლიტერატურის მიმოხილვისას პესე გაცილებით მეტ ხახელებს ხამოთვლის, რომელთაგან სოგი შეიძლება მხოლოდ გერმანისტებისთვის იყოს ცხობილი და არ მქონდეთ ის საკაცობრიო მნიშვნელობა, როგორიც მწერლობას განუთქვამენ ხახელს. შესაძლოა, ბევრი მათგანის თარგმნა ხევის პირობებში (თუ გავითვალისწინებთ მთარგმნელობის ტემპებს ხევისში) ფუფუნებაც იყოს, მაგრამ არ შეიძლება არ დავახახელოთ ბრიმელ-პაუზენის სატირული რომანი XVII საუკუნის გერმანულ ყოფაზე – “ხიმპლიცის ხამუხი”. ძრისტინან რიტიმრის პარადიული თხზულება “მეკმ უესკი”. ბარის მოუნახუხენის წინაპარი, რომ არაფერი ვთქვათ ეან-პილის, ხოველისის, მოფმანისა და კლახტის თხზულებებზე, რომელნიც სრულიად ხელუხელებელია ქართულ მთარგმნელობაგან, ხევის არ მოგვეპოვება ვითოეს “ფაუსტის” ოდნავ მახილ დამაკმაყოფილებელი თარგმანი (“მხოვლით ლიტერატურის ბიბლიოთეკაში” შეტახილია “ფაუსტი”, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, თუ დღემდე არსებული თარგმანი დაიბეჭდება, რომელიც შორეულ წარმოდგენასაც ვერ ქმნის ამ გენიალურ პოემასზე). ხახიხურდოა, რომ გამოხნდა ახალი თარგმანები, რომელნიც “მნათობა” და “ცისკარში” დაიბეჭდა ამ უკახასქელ წლებში, ხოლო რაც შეეხება ვითოეს პროზულ ნაწერებს, განსაკუთრებით ვიღველმ მახიტერის ეპიკას, პოეზიას და ხინამდვილეს, აგრეთვე ეკერმანის ხაუბრებს, სულიერი ბიოგრაფიის მნიშვნელობას დოკუმენტს, – მათი არსებობა ქართულ ენაზე სრულიად მიუტყვებელი ხარვეხია, ხევის კულტურაში შედარებით უკეთ იცნობს ქართული მკითხველი “მიღერისა (უფრო მის დრამებს, ხოლო სრულიად უცნობია ფილოზოფიური და ესოტიკური შრომები) და მათეს შემოქმედებს.

უკახასქელი მწერალი, რომლის ხახეებითაც პესე დაასრულებს გერმანული ლიტერატურის მიმოხილვას, ვიღველმ რააბეა (“აბუ ტელფან” და “მაგი ჭირის ფორახი”), მაგრამ არამც და არამც, – დასძენს იგი, – ამით არ უნდა დავასრულოთ, არ უნდა გამოვრიცხოთ ხევის თანამედროვე მწერლობა, ადგილი უნდა მივუჩინოთ მას ხევის ფიქრებსა და ბიბლიოთეკაში, თუმცა ეს უკვე აღარ ეხება ხევის თემას. ეველაფერ იმას, რაც დღევანდელ მწერლობას



შეადგეს, ჩვენი დრო ვერ განხვავდება იგი მომავალმა თაობებმა უნდა განსაზღვროს“.

თანადროულ დიტიტორატურას თუმცა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ სწორედ არის საცთური, რომ მისი მნიშვნელობა აბსოლუტურად იქნეს მისხეული. ჩვენს გონებაში “ახლის” ხაზებისპიროდ წნდება ცნებები “მომავლებული”, “დრომოტყუელი”, თვით ისეთი მქობველია მიმართაც, რომელთა თხზულებებმა საუკუნეებს გაუძღეს. ეს იმის გამოც ხდება, რომ ისინი არ გვესაუბრებიათ ჩვენს ყოფით უნახველ ცხოვრებად ვცდილობთ სიმბოლური მნიშვნელობა მივახიზოთ მათემატიკურად განსხვავებული გამოუცნაოთ არა მხოლოდ წარსულს, არამედ ჩვენს თანადროულობასაც. თუკი მას წარმავალი ყოფითობის ჯაჭვზე დავაბამთ და წარსულიდან მომავალ უწყვეტ ნაკადს გზას ჩავუკარგავთ, ამგვარი თვალსაზრისი ან განწყობილება სრულიად უწინააღმდეგება ხელოვნების დანიშნულებას, წარმავლობის დახადლებად რომ არის მოხმობილი. თუ ხელოვნება მაცოცხლებელი ფაქტორია, მისი ჭეშმარიტი გამოვლინებანიც მარადიული სიცოცხლის ნიშნით უნდა იყოს აღბეჭდილი. ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე მისი აწმყო, როგორც გონიერი და მუხსიერი არსება, ადამიანი პოტენციურად ყველა ეპოქაში ცხოვრობს. ეს მისი არსებითი თვისებაა და ამით იგი ადასტურებს კაცობრიული კულტურის ერთიანობას. ამასთან დაკავშირებით აქ უნდა მოვიტანოთ გამოხეხილი ამერიკელი პოეტის, თ.ს. ულიოტის სიტყვები, და მათში უფრო ფართო აზრი ჩავდეთ, ვიდრე თავად ავტორი გულისხმობს: “ისტორიის შეგრძნება გულისხმობს წარსულის აღქმას არა მხოლოდ წარსულად, არამედ აწმყოდაც; ისტორიის შეგრძნების მქონე ადამიანი წერს არა მხოლოდ საკუთარი თაობის პოზიციებიდან გამომდინარე, არამედ ისე, თითქოს მოელოდეს ყველაზე დიტიტორატურა პომეროლიდან დღემდე და მისი ქვეყნის დიტიტორატურა ერთდროულად არსებობდეს. ეს ისტორიის შეგრძნება, რომელიც იმდენად უკანასკნელია უკანასკნელის შეგრძნება, რამდენადაც გამოიყვანება, ანიჭებს მწერალს ტრადიციულობას. იგი აძლევს მწერალს უნარს, რათა უკიდურესად სუსტად განსახედროს თავისი ადგილი დროში, თავის საკუთარ თანადროულობაში“.

მწერლის მიმართ ნათქვამი ეს სიტყვები თანაბრად მიეწერება როგორც წიგნის მკითხველს (ჩვენს კერძო შემთხვევაში), ასევე საერთოდ ადამიანს, მესხს გაგებით ჩამოყვანილებულს, ვისაც კი სურს “განსახედროს თავისი ადგილი დროში, თავის საკუთარ თანადროულობაში”. იგივე ითქმის უფრო ფართო მასშტაბით ყოველი თანადროული მწერლის მიმართ.

ამავე დროს აქ წნდება სხვა ასპექტიც იმისათვის, რომ რომელიმე მწერლობამ თავი დააღწიოს პროვინციული სის და მსოფლიო ასპარეზზე გავიდეს, – მან თავის უნახე უნდა ათვისის ის უდიდესი მონაპოვარი, რასაც კლასიკური სახელი აქვს დამკვიდრებული. თუ რომელიმე მწერლობა მსოფლიო მწერლობის საერთო ცნებაში ერთიანდება, ეს იმის წყალობითაც ხდება, რომ მას გამშობლიურებული აქვს უცხო მწერლობათა ნიშნები. შეხადლოა მას მეტოქეობა გაუწიოს არიგინადს და თავზე მოახვიოს თავისი გავლენა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საშიში. მხოლოდ მეტოქეობა და ცხოველმყოფელი გავლენა დაბადებს სურვილს და მერე, რაც მთავარია, უნარსაც უკეთესის შექმნისა. ერთადერთი გზა მსოფლიო მწერლობის ათვისებისა მისი მაღალმხატვრული თარგმნაა (დუდანიში კითხვა კერძო კაცის პირადი საქმეა); მნიშვნელოვან თხზულებათა თარგმნა ქართული ენის ან სრულიად ახალ, ან დღესდღეობით დაუფარულ შეხადლებლობებს გამოავლენს.

1974-1977

1999 წლის მინაწერი

ამ წერილის დაწერის შემდეგ გავიდა იგი წელი და მთარგმნელობით ასპარეზზე მდგომარეობა შეიცვალა, ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა მსოფლიო მწერლობის ბევრი შედეგი, რომელთაც კ. მესხ “მსოფლიო დიტიტორა-



ტურის ბიბლიოთეკაში“ მიუხედავად მკვიდრ ადგილს, ჩვენ კი გულისტკივილით აღვნიშნავდით მათ არარსებობას ქართულ ენაზე.

ვახსენოთ მათ შორის უმნიშვნელოვანესი: “უპანიშადების” რუსული (მთარგმნელი ლერი აღიძონაძე) 1995; ლათინური “დაი-დე-დი-ნი” (დ. აღიძონაძე), 1983; ისლამამდელი არაბული კლასიკური პოეზიის კრებული “მუღალაკები” (მთარგმნელი ნანა ფურცველაძე); ესქილეს ტრაგედიები (გოგუა ჩერაშვილი), 1978; ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს დრამების (სამ-სამი-ფრთხი) ერთობეული, 1996. “თბილისის უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინურმა ბიბლიოთეკამ” ამ ხანებში სხვა პუბლიკაციებთან ერთად გამოსცა ხაფის “ღირიკა” (ნანა ტონია); ახაკრეონის “ღირიკა”, “ახაკრეონტეა” (თამარ კალატოზი), 1988; “პომპროსის პიმები” (ლიანა კვიციანიშვილი), 1982; თვითიუხნაშინის “ტრფობანი” (მანანა დარიბაშვილი), 1987; პორაციუსის “დიოგოსმა” (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და სოფოკლესტიკის ინსტიტუტი) წამოიწყო “ბერძნული მოთქმის სამყაროს” მრავალტომეულის გამოცემა (დაიბეჭდა ხუთი წიგნი); 1994 წელს გამოცემულია “ირმისამ” გამოსცა პლატონის ფუნდამენტური დიალოგი “ტიმეოსი” (ბახანა ბრეგვაძის თარგმანი), ხოლო “ნეკერი” (თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი) შეუდგა პლატონის “დიალოგების” თარგმანების ბეჭდვას; 1997 წელს დაიბეჭდა პირველი წიგნი, ამავე გამოცემლობამ გამოსცა ნეტარი ავგუსტინეს “აღსარებანი” (ბ. ბრეგვაძე), 1994-1995 წლებში დაიბეჭდა პენრიკ იბსეხის დრამების ორტომეული (მთარგმნელი ბ. ბრეგვაძე). 1995 გამოიცა ლორენს სტერნის “ტრისტრამ შენდი”, “სენტიმენტალური მოგზაურობა”, “მეშუარეობა” (ბ. ჯაბაშვილი), 1990. ფრანსუა ყუიონის “მცირე ანდერძი”, “დიდი ანდერძი”, “ლექსები” (დავით წერეთიანი), 1986. მ. მუტერლინკის “განხი თვინიერთა” (დ. აგრიანი), 1999.





ლუკიანე სამოსატელი (125-190წ.წ.)

თ ა რ გ მ ნ ა  
ბ შ რ ა მ ბ ო ბ ი ა შ შ ი ლ მ ა



ქებათა ქება სამშობლოს

(წარსული – მომავლისთვის ანუ მარადიული გრძნობა)

ეს მცირე პირველსათქმელიც და ქვემოთ თარგმნანიც, ჩემო კარგო მკითხველო, შენთვის ერთმა არცთუ დიდმნიშვნელოვანმა ამბავმა შემომართვა სიბებიანა. სულ ახლახან რუსულ ლიტერატურნაია გაზეტაში, რომელიც ამჟამად კანტიკუნტად აღწევს თბილისამდე, ფრიად სახელგანთქმული ტელეფურნალისტის ვლადიმერ პოზნერის ინტერვიუ წავიკითხე (“რას კითხულობენ ტელეფურსკვლავები”), ეს აგრეთვე “საჯარო ფიგურა”, როგორც თავისთავს თვითონ უწოდებს (ტერმინ “ტელეფურსკვლავს” იუმორითა და სკეფსისით ეუყურებო), კორესპონდენტის კითხვას, რომელ მწერაღს კითხულობო, ჯერ უპასუბეს, გოგოღსო, და მერე იქვე დასძენს, რაბღეს ვადმერთებო, თავაუღუბღად შემოიღსო, რომ დიდიღან საღამოღდე ვიკითხოო.

ახეთ შემთხვევაში, როცა მოსაუბრე იმისთანა რასმე ამბობს და თანაც ისე, რომ შენს გულისთქმას სიტყვასიტყვით იმეორებს, ვიტყვით ხოლმე, ეს კაცო ისე დაპარაკობს, თითქოს ჩემს გულში იჯდესო...

“წიგნის მწერაღად ყოფნის” ამ მძიმე ვაშს სწორედ ასე დამემართა: ერთ-ერთი მართლა კარგი მკითხველი კაცისაგან გოგოღისა და რაბღეს ერთად კეთილად ხსენებისას სასიამოვნოდ აშლიღმა ფიქრმა კვადად მიმახუდა ცის ქვეშეთში ყველაზე ფილოსოფიურად მხიარული “გარგანტუასა და პანტაგრუელისკენ”, რომლის ქართულად გადმოყებასაც არა ერთი და ორი წელიწადი მივათვადე. ვინც საქმეში ჩახედულია, იცის, რომ გოგოღის სიყვარული იგივე რაბღეს სიყვარულია, რადგან გოგოღის სათავე (მწერღებს მდინარეებთით არიან) რაბღეა და არა მარტო გოგოღისა, ჩვენი იღია ჭაუჭავაძეც კარგა გვარისი რაბღეულია (კაციაო? ადმიანიაო? – დიახაც რაბღურად თიხში იღებს საწყად ღუკიანებს). თვითონ რაბღე კი თუ ვისმესგან არის “შექმნიღი”, ერთ-ერთი ძველი ბრძეკაცი ღუკიანეა. ხირიაში დაბადებული, ქდაქ სამოხატაში, მერმე ფრიად სახელგანთქმული ბრძენი მწერაღი გახდა, ხატირისა და სარკაზმის დიდოსტატი (თუ საჭიროება მოიტანდა, თავად ოღიძის დმერთებსაც არ ინდობდა, სუყველას განურჩევლად სიხელს უშრობდა), თითქმის სამოცდაათი წლისა ელისისტურ ეგვიპტეში აღესრულა პირველი ათასწლეულის დაახლოებით 190 წელს.

ეს ყველაფერი კი იმად მოგახსენე, კარგო მკითხველო, რომ თვითონ ფრანგი რაბღეც, რუსი გოგოღიც, ჩვენი ქართული ჭაუჭავაძეც და ძველი ბერძენი ღუკიანეც თავიანთ დიდ სათქმელს ისეთნაირად ამბობენ, თითქოს ერთიც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც, მართლაც ჩემს გულში იჯდეს. ჩემს გულს რომ ვაშობ, ცხადია, შენს გულსაც ვგულისხმობ, ჩემო მკითხველო, და დიტონი სიტყვა რომ არ გამომივიდეს, ამჯერად ღუკიანეს მოვიშველიებ, უფრო სწორად კი, ღუკიანეს ერთ მომცრო თხზულებას (“ქებათა ქება სამშობლოს”) და თავად დარწმუნდები ჩემი ნათქვამის სიმართლეში.

“გარგანტუასა და პანტაგრუელის” გადმოყებისას ხშირად მიხედობოდა ღუკიანეში ჩახედვა და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ რაბღესთან ერთად



ის თითქოს წემს გულში იჯდა. ქვემოთ ხეშუელ თარგმანსაც ამიტომ ვთავაზობ. გულდაგულ წაიკითხე და ის შენს გულშიც აღმოჩნდება. თუ ვტყუი, გამამტყუნე.

თანაც კიდევ, როცა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო ასეთ შავ დღეში საგდეს შინაურმა და გარეულმა ძტერმა, ღუკიანებს სიტყვადღეს მართლაც მრავლისმოქმედად გაიხმის.

გურამ გუგუშვილი.

1. ძველი ჭკმშიარტებაა, რომ “არცრია მამულსელ უტკბესი”. მართლაც, განა არის სადმე რამე არა მარტოღუნ უფრორე ტკბილი, არამედ უფრორე უწმინდესი, უფრორე ამაღლებული. ვინემ სამშობლოა? რაც კი რამ ადამიანიშვილთ წმიდათაწმიდად და უმთავრეს დედააზრად უჩანთ, ყველაყი დასტურ სამშობლოსგან უსწავლიათ, რამეთუ ყოველ კაცთაგანს სამშობლო სიღუნის სიცოცხლეს, სამშობლო ახაზრდოებს და ზრდის. რა ვუყოთ, თუ ბევრნი დასტრფიან უცხო ქალაქთა შემძლებლობასა და დიდშვენიერებას, შეხებულობა-ჩაგებობათა სახინოებას, სამაგიეროდ სუყველას გულსედ ახატია მამულის ხატება. ბევრი დამტკბარა – და ძაღიან ხშირადაც – უცხო მხარეთა შინა ურიცხვი ხასწაულისა ჭვრეტით, მაგრამ არცვის ისეგვარად არ მოუხიბლავს იმ ხასწაულთა უხეებას რომ სამშობლო გადაევიწყებინოს.

2. წემის ფიქრით, ვინცავინ იმით ამაყობს, მდიდარი ქალაქის მოქალაქე ვარო, მამულის სიყვარულისა ჭკმშიარტი აზრი არა უწყის: აშკარაა ესეგვარი კაცი ფრიად იმტმუნვარებდა, უკეთუ წილად უფრორე ნაკლებად უჭირველი სამშობლო ერგებოდა. მე კი თავად სიტყვა “მამულის” პატივდება მგვრის სიამოვნებას. ვინაც ადგება და სხვადასხვა ქალაქსა ერთმანეთს შეადრის, საზომად სიდიდესა და სიღამაზეს უნდა მიმართოს, აგრეთვე ამა ქალაქსა შინა საქონლისა სიუხეებაც უნდა გაუწიოს ანგარიში. ქალაქთა ერთმანეთისათვის შემდარებული კაცი იგი დმერთებს უმაღლ იმას შეყვედრება, წემი სამშობლო სიმდიდრით იმა ქალაქთ გამითახაბრეო. არნევით კი თდუნ თავის სამშობლოს აირწყეს, სულერთია, რანაირიც არ უნდა იყოს ის სამშობლო.

3. ესეგვარიადვე იქცევიან კეთილნი ძენი და გულმართაღნი, პირუთვნელ-მოუფერებელნი მამანი, ხატკეთილი და აზნა, ანუ კეთილშობილი ჭაბუკი შემქმნელ მამასა არცროდის დაამბჯობინებს, სხვა ვინმე კაცსა; სწორედ მართაღი, ანუ ჭკმშიარტი მამა კი არცროდის იმხომ არ შეიყვარებს სხვა ვინიმე ერმასა, თავისი ღვიძლი შვილი რომ დაივიწყოს. რომელი მამანიც თავიანთი შვილების სიყვარულთ არიან გულსავსენი, ისინი სხვა მრავალთა შორის მიწყივ გამორჩეულად ხედავენ საკუთარ სისხლსა და ხორცსა, და უხეუნებათ, ძეთა სვენთა ხახვასა, არა სჯობია რათ, ყოველის უფრორე ღამაზნი და ღომგულნი არიანო, ყოველის უფრორე უხინჯონით. ვგონებ, ვინაც სხვარიგად სჯის თავისი ძისა გამო, ის საკუთარ ხაშიერს მამის თვადით არ უყურებს.

4. არცრია სიტყვაა უფრორე ახლობელი და ძვირფასი, ვინემ სიტყვა “მამულია”, როგორაც არცრია სვენთვის მამაზედ მეტად ძვირფასი. უკეთუ ჭაბუკი მამისა მიმართ ჯეროვანი პატივდებით გულსავსეა (ესეგვარია კანონისა და ბუნების ნება), განა ის ამით სამშობლოსაც არ მიაგებს პატივსა? მერედა, მამამისიც ხომ ხაწიღია სამშობლოსი. აგრეთვე მამისა მამიც, იგივე პაპა, და ყოველი წინაპარი, პეპერად ხმობილი, და მამა-პაპათა სვენთა დმერთნიც, რომელთ სახელთაც თანდათან მივიტახთ, თაობიდან თაობამდე აღმასვლით.

5. თავად დმერთებსაც უყვართ თავიანთი სამშობლო; ვითარ შეკვერით, ისერიგად აღევნებენ ისინი თვადუერს ძეხორციელთა საქმეთ, რამეთუ ყოველი მიწა და სღვა თავიანთ საბრძანებლად უჩანთ, მაგრამ თითოეული უკვდავთაგანი ყოველთა ქალაქთა შორის ყოველის უმეტესად იმას მიაგებს პატივსა, სადაც ამა ქვეყანას მოეფლია.

ცხადია, სუყოველი ქალაქი, სადაც დმერთნი შობილან, საკუთრად და განსხვავებით წმინდა ადგილია, კურთხეულია აგრეთვე სუყოველი კუნძული,



ხადაც ღმერთების დაბადებას დღესასწაულობენ. ის კი არა, ღმერთის სამშობლოში მისული კაცის მიერ შეწირული მსხვერპლიც სახურველად მიითვლება ზეცისა მკვიდრთაგან, და უკეთუ მამულისა სახელი თავად ღმერთებისთვისაც ძვირფასია, კაცნი რა, ვითომ უფრორე მეტად არ უნდა უფროხილდებოდნენ სამშობლოდ სახელდებულ მიწა-წყალსა?

6. მხეც ხომ სუყოველმა კაცმა პირველად სამშობლოში დაინახა, და თუძვალა მხე ყოველთა კაცთა საერთო ღმერთია, მაგრამ სუყოველმა თავის მამაპაპისეულად მიანხია, რადგანაც პირველად თავისი მშობლიური წყაღვლიდან აკიდა თვალი და ენაც აკი სუყოველმა მამაპაპისეულ მხარეში ამოიდგა; ყოველის უადრე მშობლიურ ენაზედ იქ აღუდუნდა და იქვე შეიცხო ღმერთნიც.

უკეთუ კაცსა წილად ისეთი სამშობლო ხვდა, საიდანაც დიდ ცოდნისა შესაძენად სხვაგან, უცხო მხარეში უხდება წახვლა, მაინც მადლიერი უნდა იყოს თავისი მამულისა, თუნდაც სულ მცირე რამის სწავლებისთვის: სხვას თავი დავანებოთ, სიტყვა "ქალაქიც" კი არ ეცოდინებოდა, უკეთუ სამშობლოში არ შეიტყობდა, რომ ქვეყნად ქალაქები არსებობენ.

7. ვგონებ, სუყოველ სვევას, სუყოველ ცოდნას, კაცნი იმად მოინაგრებენ, რათა მეტი არგონ სამშობლო ქვეყანას. სიმდიდრესაც მოკვდავთ პატივმოყვარეობა ახეუჭინებს, რა არი მერმე მამულისა კეთილდღეობას დაახარჯონ. ხემის ფიქრით, მართაღნიც არიან: თდეს დიდ სიკეთეს მოუყრი თავს, უმადურობა არღა ეგების. უკეთუ ჟამისად ერთი კაცის მადლიერნი ვართ, ვინაც კეთილსა გვწია (სამართლიანობა აგრე ითხოვს), სამშობლოს მით უფრორე მეტი უნდა გადაუყხადოთ, საკადრისი სიყვარულით შევიძინოთ.

– თითქმის არ არის ქალაქი, კანონი რამ რომ არა ჰქონდეს, რომელიც დაუხეჯელსა არცვის უშეებს, დედ-მამასა ვინაც უღირხად, უკეთურად ეპყრობა. სამშობლო კი სვენთა საყოველთაოდ დედად უნდა გვინდეს და ეველაგვარ სიკეთესა ვუძღვნიდეთ იმისდა მადლიერების ნიშნად, რომ მან, მაწოვებელმან სვენმა, დაგვხარდა, დაგვაფრთიანა, არცრა დაუკლია რა, და რჯულ-კანონთ თუ ვიცნობთ, ესეც იმისი ნახწავლია.

8. ჯერჯერობით არცვის არ უნახავს სამშობლოზედ ისეგვარად გულაყრილი კაცი, უცხო მხარეში თავისი საგაზრდილოზედ ერთხელ მაინც არ აშლოდეს ფიქრი. სხვათა ქვეყანაში გადახეუწილთაგან, ვისაც საქმე მაინცვადამაინც დამში ვერ მოუყვანია და ხელი არ ემართება, სუველანი ერთხმად გაიძახიან, სამშობლო ყოველს უფრორე დიდი მადლიაო. ის კი არა, რომელნიც წარმატებულან და ფეხზედ წელდამართულად დგანან, ისინიც ჩივიან, ფუფუნებას რა ხელსა ვყრიოთ. მოავარი რამ გვაკლიაო. უცხო ქვეყანა ვერ გვხამშობლობსო. შენი მიწა-წყლის გარეთ ცხოვრება, სხვა არა იყოს რა, ცოტა შეურაცხყოფელსუ კია, და აკი ხშირადაც ესეებით იმის მოწმენი, რომ მრავალთაგან, ვინაც სხვათა ქვეყანაში ცხოვრობს, რარიგ გაითქვა მავანმა და მავანმა სახელი, რარიგ გამდიდრდა და გაპარპაშდა, ანდა რარიგ დიდი პატივი და საყოველთაოდ აღიარება მოიხვეჭა თავისი უტყუარი ვაჟკაცობისა თუ დიდი განსწავლულობისა გამო, მაგრამ ის მაინც სამშობლოსკენ იღტვის, იმის ხული და გული სამშობლოშია, თითქოსდა უცხო მხარეში ღირსეული შემფასებელი და დამფასებელი ვერ ეპოვნოს და რაც მეტ სახელ-დიდებას აღწევს კაცი სხვა ქვეყანაში, მით უფრორე ძლიერად მიიწევს სამშობლოს გულში ჩახახუტებლად.

9. – სამშობლო სანუკვარი რამ არის ყმაწვილკაცთათვის, მაგრამ ბერიკაცთ იმხომ მადლუმ მიუწევთ სამშობლოსკენ გული, რა'სომაც ისინი ახალგაზრდებზედ მეტად ბრძენკაცნი არიან. სუყოველი ხანმრაველი კაცი იქ იღტვის და იქ ცდილობს სიკოცხლის დასრულებას, ხადაც არსებობა დაიწყო, რათა ხემტად ქვეული მშობლიურ მიწას მიეზაროს და თავისი ადვილი მიიჩნიოს მამა-პაპათა ძვალითშესაღვში.



10. — კაცსა ოდენ მკვიდრ მსახლობელთა კვალობაზეც შეგიძლია განსჯა, რა მოწიწებითაც ექცევიან სამშობლოს ნამდვილნი შვილნი, ვინაც კი იქ დაბადებულა, ხოლო გამრიელნი და გარძიანელნი, ანუ უცხონი, ჩამოხენცილნი, როგორაც უკანონო-უხსნიერნი თუ ნაბუშარ-ნაბიჭვარნი, გულარხეინად მიღი-მოდინ, როცა უნდათ, მაშინ აიყრებიან, სიტყვა „მამული“ ან სულ არ უწვიან, ანდა სულაც არ ეძვირფასებათ, პასუხიც აკი მიწვიე მზადა აქვთ, ჩვენი წილ სარჩოს მზის ქვეშე ყოველგან მოვიშოვებთო. ისინი კეთილდღეობას კუჭის მხიარულებით ზომივენ, ვისთვისაც მამული იგივე დედაა, ძვირფასია ის მიწა-წყალიც, სადაც ისინი შობილან და დაეპყრებულან. მერე — რა, თუ მიწა-წყალი ისე არ არის ვრცელი, „ხირხატია და არ ეთქმის მოსავლიანი“ და თუგინდ საქებარი მიხეხი ამა მიწა-წყლისა ძნელი საპოვნელიც იყოს, ერთ-გულნი ძენი მაინც იპოვიან და სამშობლო ქვეყნის ახმა-ქებით არღა დაშურუ-ბიან. ხოლო ყურში თუ ჩასწვდებათ სხვაგნებურთა კვეხნა, ჩვენი ველძინდ-ვრებიც თვალუწვდენელია და ხოდაბუნებიცაო, მთა უხვად ტყიანი გვაქვს, ბარი ხეხილიანი, ისინი არც მაშინ დააყოვნებენ თავიანთი სამშობლოს ახმაიფარს, ანუ საქებარ სიტყვას, სულაც არად ჩააგდებენ ბედაურთა მხარეს, კვლად „კარგ მოყმეთა აღმხრდელ“ ქვეყანას ეტყვიან ქება-დიდებას.

11. — სუყოველი კაცი სამშობლოს მიელტვის: თუნდაც ის კუნძულელი იყოს, და უკეთუ უცხო მხარე მარადიულ ნეტარებას ჰპირდება, ის არც დაფიქრდება, ხელსა მკრავს სხვაგან შეძლეულ ამ უკვდავებას, რადგანაც მშობლიურ მიწაში დამარხვას ამჯობინებს. და შინ მიბრუნებულს სამშობ-ლოს კვაძლი უცხო ცეცხლზედ უფრორე ნათელი მოეჩვენება.

12. — ჩანს, მამული სუყოველი კაცისთვის ისერიგად ძვირფასია, რომ კანონ-მდებელთაგან უდიდესი დანაშაულთათვის სასჯელის უმაღლეს საწყაულად ყოველგან მოკვეთა, თუმიდან განდევნა დაწესებული, და არა მარტო სჯულ-მდებელნი, ამავე აზრისანი არიან მხედართუფროსნიც, ვისაც ღაშქრის გაგუ-ლოვნება ევალებათ: ბრძოლის ველზე მწყობრში მდგომთათვის ყოვლის მკტად გულის შემძვრელი ხომ მამულისთვის თავდადების მოწოდებაა და ვინაც ამ მოწოდება-საძახელს ყურთ შეატყობინებს, არცვინ არ ისურვებს უღირსებო კაცად გამოჩენას, რამეთუ სიტყვა „სამშობლო“ მხდალსაც აჩაუ-ქებს.

### ზოგი მცირე რამ განმარტება

“არცრაა მამულზედ უტკბესი“. „ოდისეა“ (სე-9.34);

“—ხირხატია და არ ეთქმის მოსავლიანი“. „ოდისეა“ (მე-4.605);

—თუნდაც ის კუნძულელი იყოს... იგულისხმება ოდისევსი, კუნძულ ითაკეს მეფე, გზად იყო გადებული, ძველ მსოფლიოში ქვეყანა არ დარჩენია მოუვლელი.





### საქართველოს უკველესი კუთხის სამებროლოს მკვიდრი

ქრისტესმიერ საყვარელნო სულიერნო შვილნო, მრავალ-  
გზის ყოფილა საქართველო განსაცდელში, მაგრამ ღვთის  
მადლით და ძალით ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოსუ-  
ლა გაჭირვებიდან.

მსგავს შემთხვევებში ჩვენი ქვეყნის ძირძველი კუთხე,  
სამეგრელო, განსაკუთრებით იცავდა საქართველოს  
მთლიანობასა და დამოუკიდებლობას.

გავისვენოთ ერისთვის თავდადებული მიტროპოლიტი  
გიორგი ჭყონდიდელი, სულმნათი ცოტნე დადიანი, მაღალი  
სულიერობით გამორჩეული ალექსი ბერი (შუშანია),  
საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წამებული უწმინდ-  
ესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქი ამბროსი ხელაია, მათ და მრავალმა სხვამ თავი-  
ანთი სიცოცხლე შეაღიეს ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის  
ზრუნვას, მის სამსახურს.

დღეს, როცა საქართველო ღვთის წყალობით დამდგარია  
სრული დამოუკიდებლობის გზაზე, საჭიროა ჩვენი ერის  
ერთსულთეხება, საქართველოს მთლიანობა, ურთიერთმიმტვე-  
ბლობა, ჩვენ ყველამ კიდევ ერთხელ დავინახეთ და საკუთარ  
თავზე გამოვცადეთ, რომ არ არსებობს სხვა გზა გარდა შენ-  
დობისა და მიტევებისა; ბოროტება აძლიერებს და ამრავ-  
ლებს ბოროტებას, მისი მკურნალი მხოლოდ სიყვარული და  
ურთიერთპატიებაა, ესაა ქრისტიანობა. ასეთი უნდა იყოს  
მაღალი ზნეობის ადამიანთა ურთიერთობა.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ფილოსოფოსი სოკრატე ამ-  
ბობდა: სამშობლოს სიყვარული იმდენად დიდია, რომ დედ-  
მამის სიყვარულსაც კი უნდა აღემატებოდესო.

მაღლობა ღმერთს, დღესაც სამეგრელოში, ისევე როგორც  
საქართველოს სხვა კუთხეებში, მრავალია საქართველოსთვის  
ასეთი თავდადებული პირი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ერისთვის გადამწყვეტ ისტორი-  
ულ პერიოდში მუდამ მძაფრდებოდა ბრძოლა კეთილსა და  
ბოროტს შორის, ახლაც ასეთი ეამი უდგას საქართველოს.  
ამან არ უნდა შეგვაშინოს, არ უნდა დაგვაბრკოლოს. მე  
მჯერა, სიკეთე აუცილებლად გაიმარჯვებს და მშიდობა, რწ-  
მენა და სიყვარული კვლავ დაისადგურებს ჩვენს გულებსა  
და მთელს საქართველოში. ნიშანი ამისა არის თუნდაც ის,  
რომ დღეს, გაჭირვების ეამს ქალაქ სენაკში საფუძველი ეყ-  
რება ახალი ეკლესიის მშენებლობას სადიდებლად ღვთისა  
და საკეთილდღეოდ ჩვენი ერისა.

ეს ღირსშესანიშნავი მოვლენაა სრულიად საქართველოსთვის.  
დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ მამა ზეციერმა.  
ღმერთმა ინებოს ჩვენი ერის მშვიდობა და სულიერი  
ამაღლება; გეწამს, რომ ეს ასეც იქნება, რადგან ჩვენთან არს  
ღმერთი.

მამაშვილური სიყვარულით ყველას გეხვევით და გლოცავთ.

ილია II

1 სექტემბერი, 1992 წ.



ფასი 5 ლარი

F 749  
2008



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა